

K 97022
2

ՄՏԾՆԱՐ ՆՅՆԸՆԺՎ

ԴԱՆՇՅԱՆԻ
ՄԻՊԻՊՆԻՆ

ՄԻՏԱՐԻՄԵՆԻԼՈՒԹԻՈՒՆ

ՄԻՐԴԱՆԻԿՈՒԹՅԱՆ



შ ი ნ ა ა რ ს ი

| | |
|---|-----|
| შესავალი | 3 |
| I. სამეცნიერო თარგმანები | 11 |
| 1. ვახტანგის მეცნიერულ თარგმანთა ზოგადი დახასიათება | 17 |
| 2. სამეცნიერო ტერმინოლოგია ვახტანგის თარგმანებში | 41 |
| II. მხატვრული თარგმანები | |
| 1. „ქილილა და დამანას“ ვახტანგისეული თარგმანი | 77 |
| 2. „ამირნასარიანის“ პროზაული და გალექსილი ვერსიები | 124 |
| ა. ვახტანგის პროზაული „ამირნასარიანი“ | 130 |
| ბ. „ამირნასარიანის“ ლექსითი ვერსია | 141 |
| Резюме | 149 |


თ. აბულაძე

შვ. 2015-13007

K 97022

2

ვახტანგ გუგუშვილის მთარგმნელობითი მოღვაწეობა



თბილისი
„მეცნიერება“

1990



ნაშრომი მიზნად ისახავს ვახტანგ VI-ის მთარგმნელობითი მოღვაწეობის მონოგრაფიულად შესწავლას. ვახტანგ VI-ის თარგმანები — მეცნიერული და მხატვრული — შეიცავს უღარესად მდიდარ მასალას ქართულ-აღმოსავლური კულტურულ ურთიერთობის ისტორიის თვალსაზრისით, აგრეთვე ქართული ენის, ლიტერატურისა და მეცნიერების განვითარების ერთი მნიშვნელოვანი ეტაპის, ქართული განმანათლებლობის საერთო ტენდენციების წარმოსაჩენად. ნაშრომში ნაჩვენებია ვახტანგ VI-ის მთარგმნელობითი საქმიანობის პრაქტიკულ-საგანმანათლებლო და ეროვნული მიზანდასახულობა. თარგმანების ორიგინალებთან, სხვა ქართულ ვერსიებთან შეჯერების საფუძველზე გამოვლენილია ვახტანგის მთარგმნელობითი მეთოდის თავისებურებანი, შეფასებულია მისი როლი ქართული მეცნიერული ენის გამდიდრების საქმეში; აქვე წარმოდგენილია მისი მთარგმნელობითი მოღვაწეობის პერიოდიზაცია.

გამოკვლევა დიდ დახმარებას გაუწევს ქართული და აღმოსავლური ფილოლოგიის, კულტურის ისტორიის, თარგმანის საკითხების მკვლევართ, მკითხველთა ფართო წრეს.

რედაქტორი ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი მ. მამაცაშვილი
 რეცენზენტები: საქართველოს სსრ მეცნ. აკად. წევრ-კორ. ალ. გვახარია
 ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი მ. ქავთარია.

4603020102
 ა M 607 (06)—90 138—89

© გამოქვეყნდა „მეცნიერება“, 1990.

ISBN 5—520—00388—2

შესავალი

XVIII საუკუნის I ნახევარი უაღრესად ნაყოფიერი პერიოდია ქართლის ისტორიაში. ეს არის დიდად განათლებული სახელმწიფო მოღვაწის, ქართველი მეფის ვახტანგ VI-ის მმართველობისა და მეფობის ხანა, რომელიც ქვეყნის დამოუკიდებლობისა და პოლიტიკური ერთიანობისათვის ბრძოლითა და დიდი კულტურულ-საგანმანათლებლო ძვრებით ხასიათდება. „მაჰმადიანთა ძალმომრეობის პირობებში ვახტანგი ეროვნულ-ქრისტიანული პოლიტიკის მედროშედ გამოვიდა“¹, მან კარგად უწყოდა, რომ ეროვნული სახის შენარჩუნება, ფიზიკური არსებობისათვის ბრძოლის გარდა, ქვეყნის ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის მოვლასა და მის შემდგომ გამდიდრებასაც მოითხოვდა. სწორედ ამ მხრივაც საყურადღებო ვახტანგის, როგორც კულტურული მოღვაწისა და განმანათლებლის, მეცნიერისა და მთარგმნელის მოღვაწეობა.

ვახტანგი არის უშუალო წარმმართველი და აქტიური მონაწილე იმ საერთო ეროვნულ-კულტურული პროცესისა, რომელსაც ქართულ განმანათლებლობას უწოდებდნენ. „სწორედ გასაოცარი ხანა იყო ეს ხანა: ასეთი დაუღალავი, მედგარი მუშაობა, რომელსაც ერთი საზოგადო მიმართულება ჰქონდა და ფართო ღრმა ნიადაგი ეპყრა, უფლებას გვაძლევს ქართული მწერლობის ამ ხანას ენციკლოპედიური ხანა დავარქვათ სახელად. თითქმის ყველა იმდროინდელი მოღვაწის აზრი და გონება იჭითყენ იყო მიმართული, რომ ქართველი ხალხის შემოქმედებითი ნიჭის მრავალი საუკუნის ნამუშევარი და ნაჭირნახულევი შეეკრიბათ. შეესწავლათ და ჩამომავლობისათვის დამთავრებული, ყოველმხრივი წარმოდგენა თუ ცოდნა გადაეცათ. ამ დიდი საქმის მოთავე და სულისჩამდგმელი გიორგი XV და მეტადრე დიდებული დაუვიწყარი ვახტანგ VI იყო“².

ვახტანგის კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ჯანიშინობის პერიოდი (1703—1712); ამ პერიოდში მისი თაოსნობით ყალიბდება „სწავლულ კაცთა კომი-

¹ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 399.

² ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, ტ. I, თბ., 1928,

სია“, რომელმაც შეკრიბა და დაადგინა „ქართლის ცხოვრების“ წყაროები და დაწერა საქართველოს ისტორია XIV საუკუნიდან XVIII საუკუნემდე; ვახტანგი ადგენს ქართულ სამართალს, ორიგინალურ ქართულ ადმინისტრაციულ-სამეურნეო წესდებას: „დასტურლამალს“, სხვადასხვა სახის სახელმძღვანელოებს, ბაგრატიონთა ქართლ-კახეთის სამეფო სახლის გენეალოგიას; მისი უშუალო ხელმძღვანელობით იქმნება ქართული სტამბა, სადაც იბეჭდება არაერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი, მათ შორის „ვეფხისტყაოსანი“ მისივე კომენტარებით. ვახტანგ VI-ს დიდი დამსახურება მიუძღვის ქიმიის, ასტრონომიის, მათემატიკისა და სხვა დარგების გამოცოცხლებაში, რაც მნიშვნელოვანწილად განაპირობა ვახტანგის მეცნიერულ-მთარგმნელობითმა მოღვაწეობამ, საერთოდ, მისი საქმიანობის პრაქტიკულ-საგანმანათლებლო მიზანდასახულობამ.

იმ პერიოდის ქართული მეცნიერება ჩამორჩა მსოფლიო მეცნიერების დონეს. მისი ბუნებრივი განვითარება შეაფერხა უაღრესად მძიმე ისტორიულმა პირობებმა, ზოგიერთმა დარგმა სრულიად შეწყვიტა არსებობა; „საქართველო მრავალგზის მტერთაგან მოხრეხულ იყო და არღარა დაშთომილ იყო ქართულსა ენასა ზედა სწავლა ესე ფილასოფთა...“³. ქართული მეცნიერება საჭიროებდა შემოქმედებით ბიძგს, თუნდაც ელემენტარული საფუძვლების შემოტანას, შევსებასა და განვითარებას. ამ პირობებში „ცოდნის გადმოქართულება“, ევროპული და აღმოსავლური აზროვნების ეროვნულ ნიადაგზე გადმონერგვა საჭირობოროტო პრობლემად იქცა, რაც განუყრელად უკავშირდებოდა ქართული კულტურის სასიცოცხლო ინტერესებს.

XVIII საუკუნის დასაწყისში ინტენსიურად გაიშალა მთარგმნელობითი საქმიანობა, რაშიც თავისი ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ვახტანგმა, როგორც მეცნიერ-მთარგმნელმა. მან თარგმნა მთელი რიგი მეცნიერული თხზულებებისა — ასტრონომიულ-ასტროლოგიური, ქიმიური, მათემატიკური შინაარსის. ისინი იძლევიან უაღრესად მდიდარ მასალას როგორც მეცნიერების ისტორიის, ვახტანგის, როგორც პრაქტიკოს-მეცნიერისა და სწავლულის საქმიანობის გასაცნობად, ისე მისი მთარგმნელობითი მოღვაწეობის საერთო ხასიათისა და ტენდენციების შესწავლის თვალსაზრისითაც. დიდად ნაყოფიერი იყო ამ მხრივ ვახტანგის ირანში ყოფნის პერიოდი (1712— 1719); აქ იგი თარგმნის ულუღბეგის „ზიჯს“, ასადი ტუსელის „სტროლაბს“, „აიათს“, „ჰიდაიათ ალ-ნუჯუმს“... აქვე დაუწყია მას „ქიმიის“ შედგენაც.

საზოგადოდ ვახტანგ VI-ის ირგვლივ მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურა არსებობს: შესწავლილია მისი ორიგინალური ლიტერატურული მემკვიდრეობა⁴, როგორც პოლიტიკური მოღვაწისა და სჭულმდებლის მოღვაწეობა⁵, მისი როლი დიდი ეროვნული საქმის — ქართული სტამბის შექმნაში⁶, ვახტანგის, როგორც ლექსიკოგრაფის, როგორც განმანათლებლის მუშაობა.

ვახტანგ VI-ის მთარგმნელობითი მოღვაწეობის ზოგადი დახასიათება მოცემულია ალ. გვახარიას წერილში: ვახტანგ VI და ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობანი (სპარსულ-ქართული ცდანი, თბ., 1983, გვ. 67—77).

მეცნიერულადაა შესწავლილი ვახტანგი VI-ის მხატვრული თარგმანები — „ქილილა და დამანა“ და „ამირანსარიანი“, რომელთაც ეძღვნება ალ. ბარამიძის⁷, მ. თოდუასა და ბ. დარჩიას⁸ მონოგრაფიები, გ. იმედაშვილის პუბლიკაცია⁹, ელ. მეტრეველისა და ალ. გვახარიას¹⁰, დ. კობიძის¹¹ წერილები. მათ ჩვენ დეტალურად განვიხილავთ ჩვენი წრომის II თავში ვახტანგის აღნიშნული თარგმანების დახასიათებისას. რუსული „აპოთეგმატას“ ქართული პროზითი თარგმანიდან ვახტანგის მიერ შესრულებული გალექსილი ვერსიის შესწავლას

4 კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. II, თბ., 1952, 1 გვ. 484—4941; ლ. მენაბდე, ვახტანგ VI, თბ., 1966; ვახტანგ VI, ლექსები და პოემები. ალ. ბარამიძის რედაქციით, თბ., 1975., ბ. დარჩია, ვახტანგ VI პოეტური მემკვიდრეობა, თბ., 1986.

5 გ. პაიჭაძე, ვახტანგ VI, თბ., 1975 წ., დ. ბრეგაძე, ქართული კულტურის მოღვაწენი რუსეთში, თბ., 1974 წ.; ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, ტ. I, თბ., 1928.

6 ქრ. შარაშიძე, პირველი სტამბა საქართველოში, თბ., 1955; მ. კურდღელაშვილი, ქართული სტამბის ისტორიიდან, თბ., 1959; დ. კარიჭაშვილი, ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია, თბ., 1929; ე. ლორთქიფანიძე, ვახტანგ VI და ქართული სტამბის მოღვაწენი, თბ., 1962; ო. კასრაძე, ძველი ქართული ნაბეჭდი წიგნი, თბ., 1973; აკ. შანიძე, ქართული სტამბის ისტორიისათვის, ლიტერატურული მემკვიდრეობა, წიგნი I, თბ., 1935; შ. კვასხვაძე, ვახტანგ VI-ის სტამბის წიგნი, თბ., 1952 და სხვ.

7 ალ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, თბ. 1945 წ.

8 მ. თოდუა, „ქილილა და დამანას“ საბასეული ვერსია, თბ., 1967.

ბ. დარჩია, ვახტანგ მეექვსის პოეტური მემკვიდრეობა, თავი I, „ამირანსარიანი“, თბ. 1986.

9 გ. იმედაშვილი, „ყაბუს-ნამეს“ ქართული ვერსია „ამირანსარიანი“, ლიტერატურული ძიებანი, IX, თბ., 1955.

10 ელ. მეტრეველი, ალ. გვახარია, სულხან-საბა ორბელიანის მთარგმნელობითი მეთოდის შესწავლისათვის, სულხან-საბა ორბელიანი, საიუბილეო კრებული, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის გამოცემლობა, თბ., 1959.

11 დ. კობიძე, ყაბუს-ნამე, ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობანი, თბ., 1969.

ედღვნება დ. ბრეგაძის („სიბრძნე მალალობელის“ გალექსილი ვერსია, ალ. წულუკიძის სახ. ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XXXI, ქუთაისი, 1968 წ.) და ლ. ძოწენიძის (რუსული „აპოვეტემატას“ ქართული რედაქციები, თბ. 1959) შრომები. ჩვენს ნაშრომში არ ვეხებით „სიბრძნე მალალობელის“ ვახტანგისეულ გალექსილ ვარიანტს, რადგან იგი არ წარმოადგენს მის მიერ შესრულებულ თარგმანს.

ვახტანგის საბუნებისმეტყველო თარგმანების მეცნიერულ შექმნას საფუძველი დაუდეს ი. მარმა და კ. დონდუამ. მხედველობაში გვაქვს მათ მიერ გამოცემული „სპარსულ-ქართული ცდანი“, I (ლენინგრადი, 1926), სადაც ავტორთა მიერ მიმოხილულია ულუღბეგის „ზიჯის“ და „ჰიდაათ ალ-ნუჯუმის“ ვახტანგისეული თარგმანები, მათზე დართული მთარგმნელისეული ლექსიკონები, გამოვლენილია მთარგმნელობითი მეთოდის ზოგიერთი თავისებურება ამ ძეგლების მიხედვით.

1981 წელს გამოიცა ვახტანგ VI-ის მიერ შედგენილი ნაშრომი „წიგნი ზეთების შეზავებისა და ქიმიისა ქმნის“ (გამომცემლები თ. ენუქიძე და მ. კოკოჩაშვილი) — თხზულების სრული ტექსტი კომენტარებითა და ლექსიკონით. გამოცემა წარმოადგენს ვახტანგ VI-ის მეცნიერულ ნაშრომთა პირველ პუბლიკაციას. 1984 წ. ვახტანგის ამავე ნაშრომს მიეძღვნა რ. ჩაგუნავას მონოგრაფია „Вахтанг Багратиони и его труд по химии“, სადაც განიხილება ნაშრომის შედგენილობა, დადგენილია ზოგიერთი პირველწყარო, გაშიფრულია ნაშრომში შეტანილი არაერთი ქიმიური რეცეპტი. ვახტანგ VI-ის ფრიად საყურადღებო მათემატიკურ მემკვიდრეობას ეძღვნება რ. ჩაგუნავას მეორე მონოგრაფია¹², სადაც მასალის დეტალური ანალიზის საფუძველზე დიდი შეფასება ეძლევა ვახტანგის მოღვაწეობას ამ მიმართულებით — იგი მიჩნეულია პირველი ქართული ორიგინალური მათემატიკური სახელმძღვანელოს ავტორად.

ვახტანგის თარგმანებმა დიდი როლი შეასრულეს ქართული მეცნიერების ისტორიაში; მართალია, მათი დედნისეული თხზულებები არ ასახავენ XVIII საუკუნის თანამედროვე მიღწევებს, მაგრამ შეიცავენ ქართული მეცნიერებისათვის მრავალ უცნობ და საჭირო პრაქტიკულ-გამოყენებით ჩვენს, რომელთა გარეშეც რთულდებოდა მისი შემდგომი განვითარება. ეს უპირველესად ასტრონომიულ მეცნიერებას ეხება, რომლის აღორძინებაში ესოდენ დიდი წვლილი შეიტანა ვახტანგმა. იგი არა მხოლოდ თარგმნის ამ თხზულებებს, არა-

¹² რ. ჩაგუნავა, ვახტანგ ბაგრატიონის საბუნებისმეტყველო-სამეცნიერო მოღვაწეობა (მათემატიკა), თბ, 1986 წ.

მედ. ხშირად შეაქვს ტექსტებში თავისი ორიგინალური ნაწილებიც, ზოგიერთი მისი ნაშრომი („მათემატიკა“, „ქიმია“) მხოლოდ ნაწილობრივაა თარგმანი, მათში დიდია ვახტანგის, როგორც შემდგენელ-ავტორის წვლილი.

ვახტანგის მეცნიერული თარგმანები უადრესად ზუსტად წარმოადგენენ ორიგინალებს. ამ შემთხვევაში სიზუსტე აუცილებლობითაც იყო ნაკარნახევი — იმ აღმოსავლურენოვანი მასალის გაქართულებას, რასაც არ მოეპოვებოდა იმ დროისათვის დამკვიდრებული ქართული შესატყვისობანი, შეიძლებოდა გამოეწვია მეცნიერული შრომისათვის არასასურველი პოლისემურობა, „ქართულს ენაში“ კი „არც მცოდნე ვინმე იყო და არც წიგნი“ ამგვარი შინაარსის. ვახტანგი ძირითადად არ აქართულებს ტექსტებს, ისინი გადატვირთულია აღმოსავლური ლექსიკითა და კონსტრუქციებით, მაგრამ ურთავს მათ მრავალი საინტერესო ინფორმაციის შემცველ ლექსიკონებს, რომლებიც ნათლად წარმოაჩენენ ვახტანგის, როგორც ლექსიკოგრაფის მუშაობის სტილს, მის ეროვნულ და პრაქტიკულ-საგანმანათლებლო მიზნებს; ასევე მის მიერ სპარსულ-არაბული ლექსიკური მასალის საფუძვლიან ცოდნას, ღრმა ერუდიციასა და განსწავლულობას.

ვახტანგმა გაამდიდრა და განავითარა ქართული მეცნიერული ენა, ქართული ტერმინოლოგია. მისი მიზანია შემოიტანოს და დამკვიდროს ქართული ენობრივი ექვივალენტები უცხო წარმოშობის ტერმინთა ნაკვალად, ზოგიერთი დარგისათვის კი მთლიანად შექმნას სპეციალური ტერმინოლოგია (ასტრონომიული ტერმინოლოგია).

მეცნიერული ენა ყოველდღიურ ენასთან ღრმა ურთიერთქმედების საფუძველზე უშუალოდ მონაწილეობს მწიგნობრული ენის ფორმირებაში¹³. სამეცნიერო ტერმინოლოგია ენის ლექსიკური ფონდის ერთი ორგანული ნაწილია. ყოველი ტერმინი, რომლის ხეარება დროთა განმავლობაში ჩვეულებრივი და გათავისებული ხდება, თან ატარებს თავის ისტორიას — ტერმინის ხმარება უკვე თავისთავად ნიშნავს ამ ცნების შემუშავებასთან დაკავშირებული მეცნიერული აზრის ტრადიციას. ტერმინთა სიზუსტის ხარისხი მეცნიერულ ენაში, მათი გავრცელების საზღვრები უშუალოდ მიანიშნებს მეცნიერების ამა თუ იმ დარგის გარკვეულ დონეზე. გარდა ამისა, მწიგნობრული ენის განვითარების ყოველ ეტაპზე ამგვარი ლექსიკა ინახავს ინფორმაციას სხვადასხვა ენაზე ჩამოყალიბებული მეცნიერული აზროვნების, ცნებებისა და ტერმინების ურთიერთშედწევადობისა და ურთიერთგამდიდრების შესახებაც. მეცნიერულ თხზულებათა თარგმანების შე-

¹³ Петров В. В., Семантика научных терминов, Новосибирск, 1982, с. 43.

სწავლა სცილდება მეცნიერების ისტორიის ფარგლებს და მოიცავს ენობრივ ურთიერთობათა სფეროსაც. ჩვენ სწორედ ამ უკანასკნელს გამოვყოფთ ჩვენს ნაშრომში.

„სხვათა სიტყვათაგან“ აღრეული, ხშირად დაკარგული ტერმინოლოგიის პირობებში ვახტანგი ადგას სათარგმნი მასალის დიდი სიზუსტით გაქართულების პრინციპს. იგი ხშირად ახერხებს მოძებნოს უცხოენოვან ტერმინთა ზუსტი ქართული შესატყვისები პირდაპირი თარგმანისა და პერიფრაზირების გზით, ზოგჯერ თვითონ ქმნის ახალ ტერმინებს ან ქართულ ენობრივ მასალაში უკვე არსებულ ლექსიკურ ერთეულებს ხმარობს სპეციფიური ტერმინოლოგიური მნიშვნელობით, თუკი ზუსტი ექვივალენტი არ მოიპოვება ენაში. იგი მიმართავს შეგნებულ ტერმინირებას¹⁴, ქმნის ტერმინთა რთულ სისტემას, რომელიც ავლენს ქვეყნის კულტურული ცხოვრების, ენობრივი პროცესის არაერთ მნიშვნელოვან მხარეს და ამასთან მიუთითებს ვახტანგის, როგორც მრავალმხრივი შემოქმედის დიდ პოტენციალსა და გამსწავლულობაზე, რადგან, გ. ვინოკურის გამოთქმა რომ ვიხმართ, „ტერმინები კი არ ჩნდებიან“, არამედ „იქმნებიან“... მათი აუცილებლობის შეგნების კვალად¹⁵.

განსაკუთრებით საყურადღებოა ვახტანგის მიერ გამოყენებული ქართული ორიგინალური ტერმინები, რომელთა ხმარება მიზანშეწონილია დღესაც. მათი არსებობა მოწმობს ქართული მეცნიერული აზრის დამოუკიდებელ, თავისთავად არსებობას.

ჩვენს ნაშრომში მოცემულია ვახტანგის მიერ გამოყენებული მეცნიერული ტერმინოლოგიის მონოგრაფიულად შესწავლის, მისი სისტემატიზაციის ცდა, შეფასებულია ვახტანგის როლი ქართული მეცნიერული ენის გამდიდრების საქმეში.

ქართველი ხალხი ოდითგან დიდ სწრაფვას ავლენდა სპარსულ-ენოვანი ლიტერატურის მიმართ, რომლის მაღალმხატვრულ ძეგლებს დიდის გულმოდგინებით თარგმნიდნენ ჩვენი მწიგნობრები. პოლიტიკური და ეროვნულ-სარწმუნოებრივი ანტაგონიზმის მიუხედავად, ეს ძეგლები ორგანულად ერწყმოდნენ ქართულ ლიტერატურას, რასაც განაპირობებდა, ერთი მხრივ, ამ თარგმანთა მაღალი მხატვრული დონე, და, მეორე მხრივ, მონათესავე მოტივთა არსებობა ქართულ მხატვრულ აზროვნებაში (დიდაქტიკა, პეროიკა, რომანტიკა...). ვახ-

¹⁴ ეს ტერმინი ეკუთვნის ნ. კოტელოვს. იგი მოტანილია რ.: დამბაშიძის მონოგრაფიაში: „ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის ძირითადი პრინციპები“, თბ. 1986.

¹⁵ Винокур Т. О., О некоторых явлениях словообразования в русской технической терминологии. Труды московского Института истории, философии и литературы, т. 5, 1939 г. гл. 24.

ტანგის მთარგმნელობითი მოღვაწეობა, რომელიც წარმოადგენს ქართულ-აღმოსავლური კულტურული ურთიერთობის ერთ მნიშვნელოვან ეტაპს, ამ მხრივაც საგულისხმოა. მხედველობაში გვაქვს მისი ლიტერატურული თარგმანები, რომლებიც სპარსული წყაროებიდანაა შესრულებული.

ვახტანგის ლიტერატურულ თარგმანებში მთარგმნელობითი პრინციპის, სათარგმნი მასალისადმი მიდგომის თვალსაზრისით განირჩევა ორ სრულიად განსხვავებული ტიპი: 1. გაქართულებული, შემოქმედებითი თარგმანი და 2. ყველა კომპონენტით სპარსული ორიგინალის ჩარჩოში მოქცეული, ზუსტი, პწკარედული თარგმანი. პირველ ტიპს განეკუთვნება პროზაული „ამირნასარიანი“ („ყაბუს-ნამეს“ ვახტანგისეული თარგმანი) და მეორე — „ქილილა და დამანას“ (კრებულის B ვერსია).

ვახტანგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მსოფლიო კულტურის კუთვნილებად ქცეული „ქილილა და დამანას“ ზუსტად თარგმნას. ეს თარგმანი ვახტანგის მიერ შესრულებულია მეცნიერულ თარგმანთა იდენტური პრინციპით — ძეგლი გადმოღებულია ქართულად ზუსტად, სიტყვასიტყვით. მასში უცვლელადაა შემოტანილი დედნისეული ტექსტის სპარსული ფრაზეოლოგიური ქცევები და კონსტრუქციები. მძიმე, ტრაფარეტად ქცეული სახეებით გადატვირთული „ჩუქურთმოვანი“ სტილი, მთელი მხატვრული მოდელი, ძალზე ხშირად — ორიგინალის სპარსულ-არაბული ლექსიკაც.

ნაშრომში თარგმანის ზემოჩამოთვლილი მხარეებში განიხილება ვახტანგის სამეცნიერო თარგმანთა პრაქტიკის გათვალისწინებით. გარდა ამისა, წინა პლანზეა წამოწეული ვახტანგის რედაქციული მუშაობა მის მიერ თარგმნილ ტექსტზე (შესწორებები, ჩამატებები), რაც მიზნად ისახავდა ორიგინალთან უფრო მეტად მიახლოებულ, ადექვატური თარგმანის შექმნას. ვფიქრობთ, ვახტანგს წინასწარგანზრახვით არ უკეთებია მხოლოდ და მხოლოდ პწკარედული, არამხატვრული თარგმანი. „ქილილა და დამანას“ ვახტანგისეული თარგმანის ამგვარი ხასიათი განაპირობა მთარგმნელობითმა მეთოდმა — ყოველი დედნისეული დეტალისა და ნიუანსის ზედმიწევნით ზუსტად, სიტყვასიტყვით თარგმნამ, რასთან ერთადაც ავტორმა ვერ შეძლო შესაბამისი მხატვრული დონის შექმნა. ნაშრომში თარგმანი სრულადაა შედარებული საბას ვერსიასთან მათი თვისებრივი სხვაობის უკეთ ნათელყოფის მიზნით.

ვახტანგის მეორე მხატვრული თარგმანი „ამირნასარიანი“ ძირულად განსხვავდება „ქილილა და დამანასაგან“ მთარგმნელობითი მეთოდის, საერთოდ, თარგმანის ხასიათის მხრივ. იგი შერჩევით შემოკლებული თარგმანია; გაქართულებულია მისი ლექსიკა-ფრაზეო-

ლოგია, სადა და მარტივი, ზოგჯერ სქემატური სტილი; ტექსტში საგრძნობია მთარგმნელისეული ქრისტიანული „ჩაღხი“. აქვე მოხმობილია „ამირნასარიანის“ გალექსალი ვახტანგისეული ვერსიის მონაცემებიც პროზაულ და ლექსით ვერსიათა შორის იმ პრინციპულ განსხვავებების გამოსაყვეთად, რაც ჩანს მათ დამოკიდებულებაში ამოსავალი ტექსტისადმი.

ბოლოს მოცემულია ვახტანგის მთარგმნელობითი მოღვაწეობის პერიოდიზაცია, მისი მთარგმნელობითი მეთოდის ეტაპობრივი განვითარების სურათი.

I. სპეციალური თარგმანები

ვახტანგ VI-ის მრავალფეროვან მთარგმნელობით საქმიანობაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მეცნიერულ თხზულებათა თარგმანებს, რომლებიც უმეტესად სპარსულენოვანი წყაროებიდანაა შესრულებული. ჩვენ აქ მხოლოდ ზოგადად შევხებით მათ მეცნიერების ისტორიის თვალსაზრისით, უფრო დაწვრილებით კი განვიხილავთ ენობრივი (ლექსიკა-ტერმინოლოგიის) კუთხით. მათში ასახული მთარგმნელობითი მეთოდისა და ტენდენციების მხრივ, რისთვისაც ეს თარგმანები საკმაოდ მდიდარ მასალას იძლევა. მათი გაცნობა ამ მხრივ ერთი აუცილებელი რგოლია ვახტანგის მთარგმნელობითი საქმიანობის სრული სურათის წარმოსადგენად.

XVII—XVIII სს. საქართველო დაწინაურდა ეკონომიკურად და კულტურულად. გაცხოველდა ვაჭრობა და კავშირთა ერთობანი შორეულ ქვეყნებთან. ქართველებმა გაიციეს დასავლეთი ევროპა, მისი მოღვაწენი, „კათოლიკე პატრებთან სწავლობდნენ მოქალაქენი, თავდაზნაურნი, მეფის ძენი და თვით მეფენი“ (ვახუშტი); იმდროინდელ საქართველოში მისიონერთა შორის არაერთი იყო ექიმი. მხატვარი, მწერალი, გეოგრაფ-ასტრონომი და სხვა საერო ცოდნით აღჭურვილი. მათ საქართველოში შემოჰქონდათ მოწინავე მეცნიერული აზროვნება, რასაც ხარბად ეწაფებოდა ქართველი საზოგადოების დიდი ნაწილი¹.

ვახტანგმა მნიშვნელოვანი ღვაწლი დასდო ასტრონომიული მეცნიერების განვითარებას საქართველოში; მან თვითონაც ჩინებულად იცოდა ასტრონომია; პატრი რეჯინალდოს მიერ 1709 წ-ს თბილისიდან რომში გაგზავნილ ერთ მოხსენებაში ვახტანგის შესახებ ნათქვამია: „პატრი უფროსი ასტრონომიის გაკვეთილებს აძლევს (ვახტანგს — თ. ა.), ისიც კარგად ითვისებს და ძალიან კმაყოფილიცაა“². ვახტანგის უმცროსი თანამედროვე და ნათესავი, მის მეცნიერულ

1 გ. ხარდალიშვილი, სულხან-საბა ორბელიანი, როგორც მოგზაური და გეოგრაფ-კარტოგრაფი; სულხან-საბა ორბელიანი, საიუბილეო კრებული, უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1959, წ., გვ. 72.

2 მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, თბ., 1902. გვ. 339.

წრეში აღზრდილი იოანე წერს: „სანატრელმან მეფემან ვახტანგ ფრიადი შრომა ყო ჩემდა და მასწავა რომელიმე სწავლა... ვარსკლავთმრიცხველობისა“³. ვახტანგის ბრძანებით დაუმზადებიათ კუთხმზომი ხელსაწყო სტროლაბი (ასტროლაბია), იგი ინახება საქართველოს სახ. მუზეუმში, მასზე ტერმინებია ამოტვიფრული⁴. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა ერთი ცნობა, რომელიც დაცულია საკავშირო გეოგრაფიული საზოგადოების სამეცნიერო არქივში; იგი მიკვლეულია ირ. მათურელის მიერ. ცნობილი სწავლული, აკადემიკოსი დელილი წერს: „განსვენებული მეფე ასტრონომიის მოყვარული იყო. მისი ბრძანებით მოახდინეს დაკვირვება თბილისის, ერევნის, განჯის, ქუთაისის, ახალციხის განედებზე ისპაჰანში დამზადებული არანაკლებ ერთი ფუტის დიამეტრის მქონე პატარა ასტროლაბების საშუალებით. დაკვირვებები მოსკოვში ინახება“⁵.

ზემოაღნიშნული დაკვირვებები დღესდღეობით არ ჩანს. ჩვენთვის ცნობილი იყო ის ასტროლაბი, რომელიც ინახება საქართველოს სახ. მუზეუმში. მოტანილი ჩანაწერიდან კი ჩანს, რომ ისპაჰანში დამზადდა ასტროლაბები, რომლებიც შემდეგ საქართველოში გამოიყენებოდა პრაქტიკული დაკვირვებებისათვის. ასტროლაბის ხმარება გეოგრაფიული განედების განსაზღვრისათვის მოწმობს ასტრონომიის, მათემატიკის, როგორც დამხმარე დისციპლინის საფუძვლიან ცოდნას და ამავე დროს ვახტანგის მიერ ჩატარებულ მეცნიერულ სამუშაოთა დიდ მასშტაბს.

უპირველესად კი ვახტანგის განსწავლულობაზე ამ სფეროში მიუთითებს თვით მის მიერ ნათარგმნი ასტრონომიული თხზულებები, რომლებიც რთული, სპეციფიური შრომებია და გულისხმობს ამ მეცნიერების საფუძვლიან ცოდნას. ვახტანგი ამ შემთხვევაში გამოდის არა მარტო მთარგმნელის, არამედ ღრმად განსწავლული მეცნიერთანაავტორის, რედაქტორის როლშიც, რომელსაც ხშირად შეაქვს ტექსტში დამატებითი მასალა — ქართველი მკითხველისათვის ბევრი საინტერესო მონაცემი, ამარტივებს რთულ ცხრილებს, იძლევა ახსნა-განმარტებებს, ცდილობს ესა თუ ის ნაშრომი „სახმარ წიგნად“, სახელმძღვანელოდ აქციოს. მასვე ეკუთვნის ორიგინალური კალენდარული ხასიათის შრომებიც — „კელთა“ და „კუნკლოსი ანუ საძირკვე-

³ ამ იოანეზე ანტონ კათალიკოსი წერს: „ჩემს ცოდნისმოყვარე გონებაში ფილოსოფოსობის ღვაწლი მას „დაურგავს“, ქრ. შარაშიძე, პირველი სტამბა საქართველოში, გვ. 35. შემდეგში: ქრ. შარაშიძე.

⁴ ქრ. შ. ა. რ. ა. შ. ი. ძ. ე, გვ. 37. გ. გიორგობიანი, XVIII საუკუნის ასტროლაბი.

⁵ არქივი, განუ. 52. აღწ. 1; И. В. Матурели. Материалы по грузинской картографии, Тб. 1961, გვ. 59--60. აღნიშნული ჩანაწერი მოტანილია რ. ჩაგუნავას მონოგრაფიაში, გვ. 313.

ლი“. რომელსაც ვახუშტი დამატების სახით ურთავს მოსკოვის ქართულ ბიბლიას (1743 წ.).

ვახტანგი და მისი თანამოაზრენი საფუძვლიანად იცნობდნენ ეროვნულ ასტრონომიულ-ასტროლოგიური შინაარსის ორიგინალურ და თარგმნილ ძეგლებს.

ქართული ასტრონომიული აზროვნება იკვებებოდა არაბული და ბერძნული ასტრონომიით; ამავე დროს მას ახასიათებდა ერთობ მაღალი დონე და გარკვეული დამოუკიდებლობა. ზემოთქმულის ნათელი დადასტურებაა ასტრონომიული შინაარსის მდიდარ და მრავალრიცხოვან ქართულ ხელნაწერთა არსებობა, რომელთა შორის განსაკუთრებით მრავლადაა პრაქტიკულ-კალენდარული თხზულებები; მათი გარკვეული ნაწილი ქართულია, ორიგინალური, თუმცა ისინიც განიცდიან ბერძნული და არაბული ასტროლოგიის ძლიერ გავლენას. პოპულარული იყო საქართველოში ზოდიაქური ქრონოლოგია და, ერთობ, მოძღვრება ზოდიაქოს შესახებ. მოგვეპოვება მრავალი ასეთი ქართული ხელნაწერი, რომელთაგან ზოგიერთი X—XI სს. მიეკუთვნება.

ამ მასალის გვერდით ვხვდებით ზოგადასტრონომიული შინაარსის თარგმნილ შრომებსაც, სადაც არცთუ უმნიშვნელოა ქართველ მთარგმნელთა წვლილი მათ მიერ შეტანილი გარკვეული სახის შესწორებებისა და შევსება-დამატებათა სახით. ქართულ ასტრონომიულ თხზულებებში წარმოდგენილ სპეციფიკურ ტერმინთაგან ზოგიერთი, როგორცაა კვირის დღეების, თვეების, პლანეტათა სფეროების სახელწოდებები, უძველესია თავისი წარმოშობით⁶. განსაკუთრებით საინტერესოა ამ მხრივ იოანე დამასკელის „წყაროე ცოდნისაჲს“ ქართული თარგმანები, შესრულებული ეფრემ მცირის და არსენ ვაჩესძის მიერ, სადაც ფართოდაა წარმოდგენილი ასტრონომიული, გეოგრაფიული, მეტეოროლოგიური და სხვა სახის ორიგინალური ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია. მხედველობაში გვაქვს იოანე დამასკელის თხზულების I და III ნაწილები: „დიალექტიკა“ და „გარდამოცემა“. ჩვენ გზადაგზა წარმოვადგენთ ამ მასალას სამეცნიერო ტერმინოლოგიაზე მსჯელობისას. უაღრესად საინტერესოა აგრეთვე ერთი ძველი ასტრონომიული თხზულება (XII ს.), რომელიც არაბულიდანაა გადმოკეთებული (კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტ. ნუსხა

⁶ ამის შესახებ დაწვრილებით იხ. პ. ინგოროყვა, ქართული წარმართული კალენდარი, საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტტ. VI, VII, VIII, თბ., 1929—33 წ., ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, თბ., 1960 წ., გვ. 124—127.

A 65). აღორძინების ხანაში ეს კრებული ჯერ არჩილის, ხოლო შემდეგ ვახტანგის ყურადღების საგნად გამხდარა⁷.

ორიგინალურ ძეგლთაგან უნდა აღინიშნოს აბუსეერიძე-ტბელიძე მიერ 1233 წ. დაწერილი კალენდარულ-ასტრონომიული ტრაქტატი, რომლის შესახებ მ. ბროსე წერდა: „ქართველებმა 1233 წ.-ს უკვე იცოდნენ ნახევარი იმ ცთომილებისა, რომელმაც 1582 წ.-ს აიძულა პაპი გრიგოლ XI კალენდრის შესწორებას შესდგომოდა⁸. ქართული ასტრონომიული აზროვნების შესწავლის თვალსაზრისით საკმაოდ მდიდარ მასალას იძლევა მხატვრული ლიტერატურაც⁹.

არსებობს ცნობები, რომ საქართველოში ჯერ კიდევ XII საუკუნეში ფუნქციონირებდა ასტრონომიული ობსერვატორია გელათში, რომელიც დავით აღმაშენებელმა დააარსა¹⁰. XIII ს. თბილისშიც არსებობდა ობსერვატორია, სადაც აწარმოებდნენ პრაქტიკულ დაკვირვებებს. ამავე საუკუნეში შეეძლოთ თბილისის განედის ზუსტად განსაზღვრა, რაც თავისთავად გულისხმობს კუთხმზომი ხელსაწყოების არსებობასა და ასტრონომიის ცოდნას. ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ ცნობილმა ირანელმა ასტრონომმა მუჰამედ ნასირ ედდინ ტუსიმ ახლადდაარსებულ მერალის (ჩრდ. აზერბაიჯანი) ობსერვატორიაში სხვა მეცნიერებთან ერთად მიიწვია ნაჯმედდინ დაბირანი, რომელიც მანამდე თბილისში მოღვაწეობდა¹¹. ქართველი მეცნიერები ტუსის განთქმული „ილხანის ცხრილების“ (نسخة ج) შესავალშიც მოიხსენ-

7 „ეტლთა და შვლთა მნათობათჳს“, თხზულება გამოსცა, წინასიტყვაობა და ენობრივი მიმოხილვა დაურთო ა. შანიძემ; თბ., 1975 წ.; ამ კრებულის შესახებ არის ცნობა ქრ. შარაშიძის დასახელებულ ნაშრომში, გვ. 36.

8 ქრ. შარაშიძე, გვ. 36.

9 ამ მხრივ უპირველესად საინტერესოა შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“-ს გამოთქმულია მოსაზრება, რომ რუსთაველის პოემაში მოცემულია სამყაროს იმ დროისათვის სრულიად ორიგინალური გეო-პელიოცენტრული მოდელი, რაც ბევრად უფრო პროგრესული იყო პტოლომეს გეოცენტრულ სისტემასთან შედარებით. ამის შესახებ იხ. გ. თევზაძე, რუსთაველის კოსმოლოგია, თბ., 1979 წ.

10 დავით აღმაშენებელი თვითონაც გატაცებული ყოფილა ვარსკვლავთმრიცხველობით მემეტაინე მას „მეორე პტოლომეს“ უწოდებს. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. II, გვ. 210.

11 ე. ხარაძე და თ. ქოჩლაშვილი თავის წერილში: „К изучению астрономических знаний в Грузии“ წერენ, რომ ეს თბილისელი ასტრონომი იყო დახრედდინ იხლათი და იმოწმებენ ე. მემედბელიძის სტატიას, სადაც ფაზრედდინ იხლათის შესახებ წერია, რომ ის იყო წარმომობით აზერბაიჯანელი (из среды Азербайджанского народа, გვ. 9), თბილისელი კი იყო ნაჯმედდინ დაბირანი (გვ. 11). იხ. Г. Мемедбеёв и др., Выдающийся азербайджанский ученый (М. Насиреддин); Изв. АН. Азерб. ССР, № 9, 1951.

ნებიან¹². ზემოთქმული მოწმობის საქართველოში ასტრონომიული მეცნიერების გარკვეული ტრადიციის არსებობას, რასაც თავის მხრივ, უფრო ხანგრძლივი ისტორია უნდა ჰქონოდა.

ქვეყნის ისტორიულმა ბედუკულმართობამ და მისგან გამოწვეულმა სავალალო შედეგებმა შეაფერხა ქართული მეცნიერების ზოგიერთი დარგის, მათ შორის ასტრონომიის, განვითარება. ვახტანგის-დროინდელ საქართველოში ასტრონომია უკვე აღარ არსებობდა როგორც მეცნიერება. ამ პირობებში დიდად მნიშვნელოვანი იყო გადაარჩენილი მეცნიერული მემკვიდრეობის შესწავლა. სწორედ ამ გზით — არსებულ ტრადიციებზე დაყრდნობითა და მათი შემდგომი განვითარებით იყო შესაძლებელი ქართული მეცნიერების, კერძოდ, ასტრონომიული აზროვნების, მისი პრაქტიკული ჩვევების აღდგენა და კონკრეტული გამოყენება, ზოგადი თეორიული საფუძვლების შეტანა საზოგადოების დაინტერესებულ ნაწილში.

ვახტანგი კარგად გრძნობდა ეროვნული მეცნიერების ჩამორჩენას: „საქართველო მრავალგზის მტერთაგან მოხრებულ იყო და არღარა დაშთომილ იყო ქართულსა ენასა ზედა სწავლა ესე ფილასოფთა... და აწ მე მეფემან მეფეთამან ვახტანგ ეს სპარსული აიათი, რომელ არს ქმნულების ცოდნის წიგნი, ზიჯი თალა მასალა და სხვა ოქმების წიგნები ვთარგმნე მირზა აბდურიზა თავრიზელის წიგნის კითხვითა და თანაშეწევნითა და სტროლაბიც ქართულად გამოვიღე. ნუ უკუე ისწავონ და წადიერ იყვნენ ფილოსოფოსობისად და ინებონ და შეასრულონ ქართულისა ენითა ფილასოფოსობა და გამოიღონ“¹³ — წერდა იგი „აიათში“.

მოტიანილი ციტატა ნათელყოფს ვახტანგის პრაქტიკულ მიზნებს, ეროვნულ-პატრიოტულ სწრაფვას („შეასრულონ ქართულისა ენითა ფილასოფოსობა“...), მისი მთარგმნელობითი საქმიანობის, საერთოდ, მწიგნობრული მოღვაწეობის ძირითად მიმართულებას.

დიდი ღვაწლი დასდო ვახტანგმა, როგორც მეცნიერმა, ქართული ქიმიის შემდგომ განვითარებასაც. ვგულისხმობთ მის კრებითი ხასიათის ნაშრომს „წიგნი ზეთების შეზავებისა და ქიმიისა ქმნის“, რომელიც მრავალმხრივ საყურადღებო ძეგლია და იძლევა მდიდარ მასალას. როგორც უშუალოდ ქართული მეცნიერების ისტორიის, ისე საერთოდ, ქიმიური აზროვნების განვითარების შესწავლის თვალსაზრისითაც. ამ ნაშრომით ვახტანგი ევგვლინება პროფესიონალ პრაქტიკოს-მეცნიერად, „ტექნოქიმიკოსად, რომლის დონე და მასშტაბი

¹² Харадзе Е. К., Кочлашвили Т. А., К изучению астрономических знаний в Грузии; Историко-астрономические исследования, вып. IV, М. 1958.

¹³ აიათი, ტ. ფ. 1721, გვ. ბ, ვ.

სტილდება ჩვეულებრივი მოყვარულისა და განმანათლებლის მოღვაწეობის საზღვრებს¹⁴.

ვიდრე უშუალოდ თარგმანთა დახასიათებას შევუდგებოდეთ, გვინდა შევეხოთ ერთ მნიშვნელოვან საკითხს. როგორც შესავალშიც აღვნიშნეთ, „ვახტანგისდროინდელ მწიგნობართა საქმიანობაში ერთ ძირითად პრობლემას ენის სიწმინდის დაცვა, მისი უფლებების აღდგენა წარმოადგენდა, რაც უშუალოდ უკავშირდებოდა ლიტერატურული სტილის საკითხებს და... საზოგადოებრივ ცხოვრებასა და ლიტერატურაში სპარსოფილებთან ბრძოლის ერთ-ერთი საშუალება იყო“¹⁵. ამ საქმეში უაღრესად დიდი იყო სულხან-საბასა და მის თანამოაზრეთა როლი, ქართული ენის ლექსიკის მეცნიერული ფიქსირება, „სიტყვის კონის“ შედგენა.

ამ დიდ ეროვნულ მოძრაობაში აქტიურ და უშუალო მონაწილეობას იღებს ვახტანგიც; იგი საბას ლექსიკონის „თითქმის ყველა ავტოგრაფულ ნუსხას ეცნობა და ყველაზე ტოვებს ლექსიკონის ბედით დაინტერესებისა და ლექსიკოლოგიური ცოდნის კვალს“¹⁶. როგორც ცნობილია, ლექსიკონში მის მიერ შეტანილ მასალას საბა ითვისისწინებდა შემდგომ მუშაობაში. ვახტანგი განმარტავდა ძირითადად არანაწარმოებ სიტყვებს, უთითებდა წყაროებს და ა. შ. ამ მხრივ საინტერესოა ვახტანგის მუშაობა „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანებასთან დაკავშირებითაც; იგი ხსნის მრავალ ძნელადგასაგებ სიტყვას, ყოველთვის აღნიშნავს მათს უცხო წარმომავლობას („ღარიბი“, „აქიმი“, „მიჯნური“ — ამ სიტყვებს ვახტანგი უწერს: „არაბულია“; „არიფი“, „დავლა“, „ზადი“, „ღარდი“ — „თათრული“; „ზარქაში“, „შამშირი“ — „სპარსული“¹⁷ და სხვ.). როგორც ა. შანიძე წერს, „ეს ახსნა-განმარტებანი სიტყვებისა წარმოადგენს ცდას სპეციალური ლექსიკონის შედგენისას“¹⁸.

პრაქტიკულ მიზნებთან იყო დაკავშირებული ვახტანგის მიერ ნათარგმნ შრომებზე დართული მისივე ლექსიკონებიც. იმ პერიოდში,

¹⁴ Чагунава Р. В., Вахтанг Багратioni и его труд по химии, Тб. 1984, გვ. 135. შემდეგში Чагунава Р. В.

¹⁵ ელ. მეტრეველი, აღ. გვახარია, სულხან-საბა ორბელიანის მთარგნელობითი მეთოდის შესწავლისათვის. სულხან-საბა ორბელიანი, საიუბილეო კრებული, თბ., 1959 წ., გვ. 178. შემდეგში: ელ. მეტრეველი, აღ. გვახარია.

¹⁶ ლ. ქუთათელაძე, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის რედაქციები, თბ., 1957 წ., გვ. 107.

¹⁷ შ. რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“, ვახტანგისეული გამოცემა აღდგენილი ა. შანიძის მიერ; ამ გამოცემაზე დართული ვახტანგისეულ ლექსიკონი, თბ., 1975 წ.

¹⁸ ა. შანიძე, ვახტანგი როგორც ლექსიკოგრაფი, „ვეფხისტყაოსანის“ ვახტანგისეული გამოცემის შესავალი.

როცა ასე აღრეულია „ახალი ქართული, ცოცხალი და ვულგარული ქართული, ძველი სალიტერატურო ქართულის თითქმის მოკრძალებით შენახული ფორმები და სპარსულ-არაბულ-თურქულ-სომხური“¹⁹, ვახტანგი დიდი ყურადღებით, ცოდნითა და გულმოდგინებით ადგენს მრავალნაირ ლექსიკონს — მოკლესა და ვრცელს, სადაც განმარტებულია როგორც საზოგადო-სახმარი სიტყვები, ისე სპეციფიური სამეცნიერო ტერმინოლოგია.

ვახტანგისეული თარგმანები მეცნიერული ცოდნის ქართულ ნი-ადაგზე გადმონერგვას, ეროვნული მეცნიერების შემდგომ გამდიდრებას ემსახურება. ამ თარგმანთა უმეტესობა ვახტანგის მიერ ირანში ყოფნისასაა შესრულებული (1712—1719 წწ.). აქ იგი თარგმნის ულულბეგის „ზიჯს—ვარსკვლავთა კატალოგს“, „ჰიდაათ ალ-ნუჯუმს“ „თალა მასალას“ „აიათს“... ამავე რიგს უნდა განვაკუთვნოთ „სტრო-ლაბის სასწავლებელი წიგნის“ ქართული თარგმანიც. ირანში დაუწყია ვახტანგს „ქიმიის“ შედგენაც.

1. ვახტანგის მეცნიერულ თარგმანთა ზოგადი დახასიათება

ა) ზიჯი

როგორც აღვნიშნეთ, ვახტანგის მიერ თარგმნილი თხზულებები ძირითადად აღმოსავლური წარმოშობისაა. ისინი მეცნიერული აზროვნების განვითარების XVIII ს-ზე უფრო აღრეულ პერიოდს განეკუთვნება და ამდენად არ ასახავს ვახტანგის თანამედროვე პერიოდის მეცნიერულ მიღწევებს. ეს ეხება მის ასტრონომიულ თარგმანებს, რომელთა ავტორები არიან ულულბეგი, ნასირედდინ ტუსი და სხვ. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ ნაშრომთა თარგმნა ხდებოდა ირანში და ვახტანგს იქ ხელი სწორედ ამ თხზულებებზე მიუწვდებოდა. მას ქირმანსა და ისპაჰანში ამგვარი მუშაობისათვის ჰქონდა სათანადო პირობები, დროც და მასალაც. გარდა ამისა, საქართველოში, სადაც აღარ არსებობდა ასტრონომია, როგორც მეცნიერება, აღმოსავლელ ავტორთა ამ თხზულებების თარგმნა დიდად საჭირო იყო ქართველ მკითხველთათვის ასტრონომიის გარკვეული საფუძვლების, ელემენტარული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის მისაწოდებლად.

¹⁹ გ. მარი, კ. დონდუა, სპარსულ-ქართული ცდანი, I, ლენინგრადი, 1926, გვ. 64. შემდეგში: გ. მარი, კ. დონდუა, ცდანი...

შუა საუკუნეებში ასტრონომიული მეცნიერება მჭიდროდაა დაკავშირებული ასტროლოგიასთან, თუმცა უკვე აშკარად ებრძვის ამ უკანასკნელის გარკვეულ დოგმატებს. აღმოსავლური ასტროლოგია უაღრესად რთული სისტემაა: იგი ჩამოყალიბდა ბერძნული მემკვიდრეობის (არისტოტელე, პტოლომე) და აღმოსავლურ აღმოჩენათა სინთეზის ბაზაზე და შემდგომ განვითარდა როგორც თვითმყოფადი აზროვნება²⁰, რომელსაც შუა საუკუნეებში უკვე ასტრონომიულ მეცნიერებასთან განუყოფელ კავშირში ჰქონდა მკვეთრად გამოხატული პრაქტიკული მიმართულება. ამ დროს წამყვანი როლი მიენიჭა ცოცხალ, დაკვირვებით ასტრონომიას.

ასტრონომიული აზროვნების განვითარების ასეთი სურათი აირეკლება ვახტანგის თარგმანებში დედნისეულ თხზულებათა შესაბამისად. ეს უკანასკნელი თავისი დროისათვის მეცნიერების განვითარების უაღრესად მაღალ საფეხურს განეკუთვნებიან, რაც უპირველესად ეხება ულუბეგის „ზიჯს“, რომელიც წარმოადგენს ასტრონომიის უკანასკნელ სიტყვასა და უმაღლეს საფეხურს, რასაც მიაღწია ასტრონომიამ ტელესკოპის გამოყენებამდე²¹.

ულუბეგის (XV ს.) განთქმული „ზიჯი“ — „ვარსკვლავთა კატალოგი“ ასტრონომიის განვითარების „პრაქტიკულ-დაკვირვებით“ ეტაპს ასახავს. ულუბეგი იყო უაღრესად განათლებული მეცნიერი — იცნობდა პლატონს, არისტოტელეს, ჰიპარქეს, პტოლომეს; საუკეთესოდ იცოდა ალ-ფერგანის, ალ-ფარაბის, ალ-ბირუნის, იბნ-სინას, ალ-ხორეზმის შრომები²². მის ასტრონომიულ ნაშრომთა საფუძველი სამყაროს გეოცენტრული სისტემაა, თუმცა მისთვის არც ჰელიოცენტრული მოდელია უცხო²³.

ულუბეგის ვარსკვლავთა კატალოგი დიდი მნიშვნელობის მქონე ფაქტია ასტრონომიული აზროვნების განვითარებაში²⁴. ეს მეორე სე-

²⁰ Jachimowicy E., Islamic Cosmology; Ancient Cosmologies, edited by Carmen Blacker, Michael Loewe, London, Georg Allen Unwin, Ltd 1975, გვ. 144.

²¹ Бартольд В. Б., Культура мусульманства, П. 1918, გვ. 94.

²² Кары - Ниязов Т. Н., Астрономическая школа Улугбека, М.-Л 1950, გვ. 50.

²³ იქვე, გვ. 56.

²⁴ ვარსკვლავთა კატალოგები წარმოადგენს ვარსკვლავთა სიას, სადაც მოცემულია მათი მახასიათებლები (პარამეტრები). ისინი ძირითადი მასალაა ვარსკვლავთა სისტემების აგებულებისა და მოძრაობის შესასწავლად; სწორედ მათი საშუალებით დგინდება ცის კოორდინატთა სისტემაც. აღმოსავლურენოვან წყაროებში მათ (კატალოგებს) აღნიშნავენ ტერმინით جـ ز (ზიჯი), რაც მისაქსელს (yatak) ნიშნავს. (ცხრილს ადარებდნენ მისაქსელზე დართულ ქსოვილს). Бартольд, Е. В. соч. т. VI, გვ. 165.

რიოზული კატალოგია 16 საუკუნის განმავლობაში²⁵ (პიპარქეს /II ს. ჩვ. ე-მდე/ შემდეგ). თავის ნაშრომში ულუბეგი ემყარება ძირითადად იმ ვარსკვლავთა მდებარეობას, რომლებიც უშუალოდ სამარყანდის ობსერვატორიაშია გასაზღვრული. ყველა სხვა მანამდე არსებული კატალოგი გამომდინარეობდა პტოლომესაგან, ულუბეგი კი ეფუძნება ძირითადად საკუთარ დაკვირვებებს. მის მიერ მიღებული მონაცემები ახლოსაა დღევანდელ მონაცემებთან²⁶. იგი მიჩნეულია საუკეთესო კატალოგად, რაც კი არსებობდა ტიხო დე ბრაჰემდე²⁷.

კატალოგში ვარსკვლავები განლაგებულია თანავარსკვლავედებში. მოცემულია თითოეული ვარსკვლავის მოკლე დახასიათება მათი მდებარეობის მიხედვით, კოორდინატები და ვარსკვლავიერი სიდიდეები: ეს სიდიდეები ულუბეგს აღებული აქვს აბდურაჰმან ალ-სუფის კატალოგიდან. სულ ულუბეგთან 1018 ვარსკვლავია; მათ შორის იმ ვარსკვლავთა რაოდენობა, რომელთა გრძედი და განედი ავტორს მითითებული აქვს საკუთარი დაკვირვებებით მიღებული მონაცემების მიხედვით, შეადგენს 700-ს²⁸.

ვახტანგისათვის, რომელიც საკმაოდ განსწავლული იყო ასტრონომიაში, ცნობილი უნდა ყოფილიყო აღნიშნული ნაშრომის მეცნიერული ღირებულება. იგი შესანიშნავად უმკლავდება ამ უაღრესად რთული შრომის თარგმნას და დიდის გულმოდგინებით ადგენს მის გადმოქართულებულ ვარიანტს. ვახტანგისეული თარგმანი „ქართული მეცნიერული წიგნის გაკეთების შესანიშნავი ნიმუშთაგანია“²⁹.

მოიპოვება „ზიჯის“ ვახტანგისეული თარგმანის ორი სრული ხელნაწერი: ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერი M 12 და თბილისის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ნუსხა S 162. ლენინგრადული ხელნაწერი E 107 წარმოადგენს „ზიჯის“ თარგმანის ფრაგმენტს. თარგმანზე მუშაობის საწყის ეტაპზე „ზიჯის“ თბილისურ ნუსხას ჩვენ მივიჩნევდით თარგმანის პირველ რედაქციად, თუმცა არა თავდაპირველ, არამედ მოწესრიგებულ და გადაწერილ ვარიანტად, რომელიც ასახავდა თარგმანზე მუშაობის ირანის პერიოდს. ზემოთ აღნიშნულ მონოგრაფიაში რ. ჩაგუნავა მას M 12 ხელნაწერიდან გადაწერილად თვლის, რადგან მას-

²⁵ Boguet F. Histoire de l'astronomie, Paris, 1925. გვ. 230.

²⁶ ამ მონაცემების შედარება თანამედროვე მონაცემებთან მოცემულია დალამბერთან: Dalamber M. Histoire de l'Astronomie du moyen age. Paris, 1819, გვ. 210 კარი-ნიოზოვთან მოტანილია ეს შედარება გვ. 277-ზე.

²⁷ Карпн.-Ниязов Т. Н. დასახ. ნაშრომი, გვ. 278.

²⁸ Knobel E. B. Ulugbeg's Catalogue of Stars, Washington, 1917. გვ. 10.

²⁹ ქრ. შარაშიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 36.

ში (S 161) უცვლელადაა გადასული ლენინგრადულ ნუსხაში შეტანილი ვახტანგისეული შესწორებები³⁰. მიუხედავად ამისა, ხელნაწერთა გადაწერის თარიღის ზუსტად განსაზღვრა არ ხერხდება³¹.

„ზიჯის“ თარგმანზე ვახტანგის ფილოლოგიური, რედაქციული მუშაობის ნათელ სურათს იძლევა ლენინგრადული ხელნაწერი M 12, რომელიც რუსეთშია გადაწერილი მ. კავკასიძის მიერ³². მასში ვახტანგს შეაქვს ძხალი მასალა: თვეების დასახელებები (15v), ტერმინები და განმარტებები (26v—27v, 28v—32v და ა. შ.). არის ამ ნუსხაში მისივე მინაწერებიც: პირობითი ნიშნები, ჰლანეტათა სპარსული სახელწოდებები და სხვ. ვახტანგი ხანგრძლივად მუშაობდა „ზიჯის“ თარგმანზე, რაც მოწმობს მის დიდ დაინტერესებას ამ ძეგლით, საერთოდ, მისი მუშაობის სტილს.

„ზიჯის“ ვახტანგისეული თარგმანის ორიგინალთან (ხელ. ინსტ. ნუსხა PK 153/19) შედარებამ ნათელყო, რომ აღნიშნული თარგმანი უაღრესად ზუსტია; იგი პირდაპირ მისდევს სპარსულ ტექსტს, მხოლოდ შესავალი ნაწილია შემოკლებული. ვახტანგისეული ჩანართები გვხვდება 30-ე თავში (سرفراہی ج. გვ. 43—44). მეოთხე თავში, გვ. 47 და სხვ. ეს ჩანართები მიზნად ისახავს ქართული ქორონიკონის მიმართების ჩვენებას სპარსულ, რუმის, არაბულ ქორონიკონებთან.

განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ვახტანგი „ზიჯის“ ცხრილების ზუსტად გადმოღებას, მის განმარტებებს, ასევე „თარიხებისა და თვის დადევების“ გადმოცემას, „სხვას ანგარიშებს ვერცავენ შემოტყობენ და არც მაგთონი სახმარია, მაგთონს არას გამოფეკიდენით“ — წერს იგი (S 161.) ვახტანგი ხელმძღვანელობდა საგანმანათლებლო მიზნებით, პრაქტიკული მოსაზრებებითა და საჭიროებებით. ამ ანდერძზე ქვემოთ კიდევ გვექნება მსჯელობა. „ზიჯის“ ანდერძი, ისევე, როგორც „აიათის“ ზემოთ მოტანილი ანდერძი, ნათლად ავლენს ვახტანგის მუშაობის საერთო მიმართულებას, მთარგმნელობით ტენდენციებსა და ეროვნულ მიზანსწრაფვას.

„ზიჯის“ ქართულ თარგმანში ავტორის მიერ გარკვეული ცვლილებებია შეტანილი: მასში სრულად არ არის მოტანილი 244 ქალაქის გეოგრაფიული კოორდინატი, სამაგიეროდ ჩამატებულია 450

30 რ. ჩაგუნავა, დასახ. ნაშრ., გვ. 27.

31 მართალია, S 161-ში ხშირადაა დამოწმებული „აიათი“, რომელიც 1721 წლის ბოლოს დაიბეჭდა, მაგრამ ვახტანგს მასზე მითითება შეეძლო ნაშრომის დაბეჭდვამდეც, მისი თარგმნისა და გარკვეულად მოწესრიგების შემდეგ. ეს უკანასკნელი შედარებით მარტივი, პოპულარული ხასიათის თხზულებაა, რომლის ფართო გავრცელება და სახელმძღვანელოდ დანერგვა, როგორც ჩანს, იმათივეჟეჟკონდა განზრახული ვახტანგს.

³² ლენინგრადულ ხელნაწერის შესახებ იხ. Орбели Р. Р. Грузинские рукописи. ЛО Института востоковедения АН ССР, вып. II. გამოუქვეყნებელი მასალები. 20

(ქართველი მკითხველისათვის უფრო საჭირო და საინტერესო) გეოგრაფიული პუნქტის გრძედი და განედი. ულუბდების თხზულებაში მოტანილი ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების კოორდინატებს ვახტანგი ურთავს ახალ სიას თარგმნის „ბერძენთა და ფრანგთაგან“. საბას ლექსიკონის A რუდაქციაში შესულია 234 ქალაქის გეოგრაფიული სახელწოდება, რომელიც ანალოგიურია ვახტანგის მიერ მის თარგმანში მოტანილი სახელწოდებებისა. საერთოა აგრეთვე რუსული წყაროებიდან შემოტანილი სახელწოდებებიც. საბასთან არ მოხვდა ბერძნული წარმომავლობის გეოგრაფიული სახელები, ამ ნაწილზე დართული მინაწერები. მის ლექსიკონში აღნიშნული მასალა შევიდა ევროპული წყაროებიდან. ჩანს, საბა და ვახტანგი ჭარგებლობდნენ საერთო უცხოური მასალებით³³. ვახტანგს ზოგიერთი შესწორებაც შეაქვს ტექსტში. „ზიჯისაგან“ განსხვავებულად აქვს მას ნაჩვენები არზრუმის, ალუბოს, ყაზენის, არდებილის, ბასრას, დამასკოს, ერზინჯანის, ისპაჰანის, მექას, ქაშანის, შირაზის, შამახიას კოორდინატები. ამ მონაცემებს იგი ეცნობოდა სხვა წყაროების საშუალებით. თუმცა, შესაძლოა, ისინი საკუთარი დაკვირვებების შედეგადაც ჰქონდა მიღებული ვახტანგს. მასში მოცემულია ქართული ქორონიკონის სხვა ქორონიკონებთან შეფარდება, გაკეთებულია მთელი რიგი შენიშვნები. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს S 161 ნუსხის ბოლოს დართული მოკლე სახელმძღვანელო თვლის სამოცობითი სისტემის, მისით სარგებლობის შესახებ. ეს ნაწილი უცვლელადაა გადატანილი ვახტანგის „მათემატიკაშიც“³⁴. ვახტანგისეული „ზიჯის“ ლენინგრადულ ნუსხას ერთვის ოთხი მცირე და ოთხი ვრცელი ლექსიკონი. მოკლე ლექსიკონებში მოცემულია აღმოსავლურენოვანი საზოგადო სახმარი სიტყვების მნიშვნელობა, ვრცელ ლექსიკონებში კი ახსნილია ასტრონომიულ-ასტროლოგიური ტერმინოლოგია, ზოგიერთ მათგანში პირდაპირ შესატყვისთან ერთად მოტანილია ამა თუ იმ ტერმინის საკმაოდ ვრცელი განმარტებაც. S 161-ში ისინი ერთ ლექსიკონადაა გაერთიანებული. სწორედ ეს ლექსიკონები იქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას. მათი შესწავლა ცხადყოფს:

1. ვახტანგის მიერ სპარსულ-არაბული ენობრივი მასალისა და, განსაკუთრებით, ასტრონომიულ-ასტროლოგიური ტერმინოლოგიის საფუძვლიან ცოდნას, ავტორის ღრმა ერუდიციას.

2. ვახტანგის, როგორც ლექსიკოგრაფის ტენდენციას — მისცეს ქართველ მკითხველს ყველა უცხოენოვანი ტერმინის ზუსტი ქართული ექვივალენტი და შეძლებისდაგვარად განმარტოს კიდევ ის.

33 ამის შესახებ მიუთითებს გ. პაიჭაძე (გვ. 20), ასევე რ. ჩაგუნავა (გვ. 312).

34 ამის შესახებ იხ. რ. ჩაგუნავა, გვ. 27, 28.

3. ვახტანგის პრაქტიკულ-საგანმანათლებლო მიზნებს (მეცნიერული ნაშრომი უნდა მოემსახუროს სწავლა-აღზრდის საქმეს).

ზემოთქმული ვრცელდება ვახტანგის მიერ შესრულებულ ყველა სამეცნიერო თარგმანზე³⁵.

„ზიჯის“ ტექსტში აღმოსავლურენოვანი სიტყვები და სპეციფიკური ტერმინები უცვლელადაა გადმოტანილი. ამგვარი ტერმინების ქართული ენობრივი ექვივალენტებით შეცვლას შეეძლო გამოეწვია მეცნიერული შრომისათვის არასასურველი პოლისემიურობა, ამიტომ მათი ქართული შესატყვისი და ახსნა-განმარტებაც ვახტანგის მიერ მოცემულია მხოლოდ შრომაზე დართულ სპეციალურ ლექსიკონებში.

ამის შესახებ თვითონ ვახტანგი „ზიჯის“ ანდერძში წერს: „ეს „ზიჯის“ სწავლის რიგები, როგორც იმათში იყო, ისე გარდმოვსწერე და სახელები იმათისავე ენით არის, რომ ქართულს ენაში არც მცოდნე ვინმე იყო და არც წიგნი და შესატყობრად მოსწავლეს გაუჭირდებოდა, და იმათი სახელებისა ერთი თარგმანი და მეორე, რომელი რასა ქვიან, იმაჲს ქვეით დაგვიწერია“ (S161, 68v).

ეს ანდერძი ნათელს ხდის მიზეზს ვახტანგის მეცნიერულ თარგმანებში ასეთი დიდი რაოდენობით მოხმობილი აღმოსავლური სპეციფიკური ტერმინების არსებობისა — იმდროინდელ ქართულ მწიგნობრულ ენაში არ არსებობდა შესაბამისი ტერმინოლოგია, არ არსებობდა ამგვარი ტიპის რაიმე სახელმძღვანელოც.

ბ) ჰ ი დ ა მ ა თ ა ლ - ნ უ ჯ უ მ ი

მეცნიერების ისტორიის, ქართული პრაქტიკული მეცნიერების განვითარების თვალსაზრისით არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ვახტანგის მიერ „მასკვლავების წიგნის“ („ჰიდამათ ალ-ნუჯუმის“) შედგენაც (ხელნაწ. ინსტ. ნუსხა Q 1493)³⁶. „ზიჯის“ მსგავსად, მნათობთა წმინდა ასტროლოგიურ გააზრებასთან ერთად, რასაც თხზულების დიდი ნაწილი უჭირავს, აქაც მოცემულია პრაქტიკული მითითებანი მათი მდებარეობის გასარკვევად, ბურჯებისა და პლანეტების, მათი ცების (სფეროების) გარკვეულ ურთიერთქმედებათა შედეგად გამოწვეული მოვლენების (მზისა და მთვარის დაბნელების, პლანეტათა და ვარსკვლავთა გაუჩინარების და სხვ.) დახასიათება. ნაშრომი შედგება 37 თავისაგან; მას ერთვის მრავალი ცხრილი, ნახაზი და სხვა თვალსაჩინ-

³⁵ „სტროლაბის სასწავლებელ წიგნს“ ასეთი ლექსიკონი არ ერთვის, მაგრამ ვახტანგი ამ თარგმანში ტექსტშივე იძლევა უცხოენოვან ტერმინთა ქართულ შესატყვისებს, აწარმოებს ისეთ სამუშაოს, რაც სხვა თარგმნის ნაშრომებში ლექსიკონებშია გატანილი.

³⁶ მისი დაწერილებითი აღწერილობა ეხ. „ცდანი“, გვ. 54—66.

ნო განგარიშებანი; ასევე ვრცელი ლექსიკონი, სადაც განმარტებულია სპეციფიკური აღმოსავლური ასტრონომიულ-ასტროლოგიური ცნებები. ლექსიკონში ბევრია თავისუფლად დატოვებული პწყარები ყოველი ასოსათვის, ხოლო ბოლოს კი — რამდენიმე ფურცელი, როგორც ჩანს, შემდგომში შესავსებად. ვახტანგი უეჭველად გულისხმობდა მასზე რედაქციული მუშაობის გაგრძელებას — შეესებას, კრეული და აღრეული ტერმინოლოგიის დაწმენდას და ა. შ.

ლექსიკური თვალსაზრისით აქაც ისეთივე სურათია, როგორც „ზიჯის“ ხელნაწერებში. ტექსტი გადატვირთულია აღმოსავლურენოვანი მასალით. უნდა აღინიშნოს, რომ ვახტანგს რედაქციული მუშაობა უწარმოებია მხოლოდ ორ ფურცელზე — 18r—19v, შემდეგ იგი უცვლელად ტოვებს სპარსულ-არაბულ ლექსიკას. მართალია, ტექსტში სხვაგანაც ვხვდებით მისეულ მინაწერებს აშოებზე, სადაც ვახტანგი იძლევა ზოგიერთი ტერმინის უფრო ვრცელ განმარტებას, დაზუსტებას, ანდა უბრალოდ აშოაზე. გატანილია უცვლელად ის ტერმინი, რომელზედაც არის მსჯელობა ტექსტის შესაბამის მონაკვეთში (მაგ.: ყათინური, რადინური, დაფითაბენინი და სხვ.), მაგრამ ვახტანგს არ დაუმთავრებია მისი რედაქცია უცნობი მიზეზების გამო.

ხელნაწერის ბოლოს არის ასეთი მინაწერი: „გათავდა ჰიდააათილ ნუჯუმი ღთისა ძალითა და იმედითა“ (79r). როგორც ჩანს, სწორედ „იდააათილ ნუჯუმი“ (ჰიდაათ ალ-ნუჯუმი — *حداثات نجوم*) იყო ძეგლის დედნისეული დასათაურება. კ. დონდუა აღნიშნავს, რომ რიოს კატალოგში³⁷ არის მოხსენიებული თხზულება „ჰიდაათ ილ-ნუჯუმი“, რომლის ავტორია ნადირ ედ-დინ ბენ მუჰამედ აშ-შირაზი³⁸. ეს ნაწრომი დაცულია პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაშიც. თხზულება 1288 წ. არის დაწერილი. აღნიშნულ ავტორს ეკუთვნის კიდევ ორი ასტრონომიული შინაარსის თხზულება: „მითითებანი ასტროლობის შესახებ“ და „პლანეტათა დაკვირვების ზიჯი“. ცნობილია ნადირ ედდინ აჰმად იბნ ჰაიდარ შირაზის (XIV ს.) „ჰიდაათ ალ-ნუჯუმიც“, რომელიც უნდა წარმოადგენდეს ზემოაღნიშნული „ჰიდაათის“ გადამუშავებას. აჰმად შირაზი ჰაიდარ აშ-შირაზის შვილი უნდა იყოს.

³⁷ Rieu Ch., Catalogue of the Persian Manuscripts in the British Museum, vol. II გვ. 852. b.

³⁸ ცდანი, გვ. 59.

მეორე ნათარგმნი თხზულება არის ნასირედდინ ტუსის „სტროლაბის სასწავლებელი წიგნი“. (ხელნაწერთა ინსტიტუტის ნუსხა H 457).

სტროლაბი ანუ ასტროლაბია (ბერძნ.), იგივე პლანისფერა, ასტრონომიული და გეოდეზიური დაკვირვებების ჩასატარებელი მოწყობილობაა. მისი მეშვეობით წარმოებდა მნათობთა მდებარეობის გარკვევა მე-18 ს.-მდე. ეს ხელსაწყო ცნობილი იყო აღმოსავლეთში ჯერ კიდევ IX ს.-ში. იგი წარმოშობით ბერძნულია, აღმოსავლეთში გაუმჯობესდა, დაიხვეწა, მიღწია თავის სრულყოფას როგორც სიზუსტით, ისე მხატვრული გაფორმებით. XVIII ს-ის ინდური წყაროს მიხედვით მას იყენებდნენ ულუბგის ობსერვატორიაშიც. ცნობილია აღმოსავლელ სწავლულთა არაერთი ტრაქტატი სტროლაბის აგებულების. მისით სარგებლობის წესების შესახებ: ალ-ფერგანის, ასჟუფის, ალ-მარაკის, ალ-ბირუნის, ალ-ნუჯენდის და სხვათა შრომები³⁹.

სწორედ ამ ხელსაწყოს დეტალურ აღწერილობას, მისი მეშვეობით მნათობთა და ვარსკვლავთა მდებარეობის გარკვევას, ასევე პრაქტიკული ასტრონომიის სხვა საკითხებს ეძღვნება XI ს-ის ცნობილი აღმოსავლელი მეცნიერის ნასირედდინ ტუსის თხზულება, რომელსაც ვახტანგის თარგმანში „სტროლაბის სასწავლებელი წიგნი“ ჰქვია.

ნასირედდინ ტუსი თავისი დროის თვალსაჩინო ასტრონომია. იგი უაღრესად პოპულარული იყო აღმოსავლეთში. ამას განაპირობებდა მისი დიდი ერუდიცია და მრავალმხრივი სამეცნიერო მოღვაწეობა. მან თარგმნა და კომენტარი გაუკეთა ევკლიდეს, არქიმედესა და ავოცენას ზოგიერთ წიგნს, პტოლომის „ალმაგესტს“, დაწერა ასტრონომიის მოკლე სახელმძღვანელო, გეომეტრიული ტრაქტატი და სხვ.⁴⁰

ჰულაგუ ხანმა, რომლის სამსახურშიც იმყოფებოდა ნასირედდინი ირანის დაპყრობის შემდეგ, 1259 წ. ქ. მერაღის ჩრდილოეთით ტუსისათვის ააგო ობსერვატორია, რომელიც შეიარაღებული იყო საუკეთესო ხელსაწყოებითა და ბიბლიოთეკით. ამ ხელსაწყოთა ღირებულება 20000 დინარს შეადგენდა⁴¹. ირანელ ასტრონომთა გარდა აქ

³⁹ Кары-Ниязов Т. Н. гл. 75. ამ ხელსაწყოს შესახებ იხ. Матвиевская Г. П., Розенфельд Б. А. Т. I, 1983, 1983, გვ. 83—87.

⁴⁰ Бери А., Краткая история астрономии, М. 1946, гл. 79.

⁴¹ Бартольд, В. В. соч. т. VII, гл. 204; ასევე: т. VI, гл. 190. ეს ცნობები მას აძლევს აქვს: С. d' Ohsson. Histoire des Mongols, depuis Thinguis-Khan jusqu'à Timour bey ou Tamerlan, t. I—IV, La Haye et Amsterdam, 1834, 1835. ed. 2: 1852.

მუშაობდნენ ჩინელი, არაბი და სხვა ქვეყნის ცნობილი ასტრონომები; მათ შორის თბილისიდან მიწვეული ნაჯმედდინ დაბირანი⁴².

მერალის ობსერვატორიაში შეადგინა ნასირედდინმა თავისი ცნობილი „ილხანის ცხრილები“ — *سجل الخاندان* იგი ემყარებოდა იბნ იუნისის (?) 1008) შრომებს. ეს კატალოგი გარკვეულად ორიგინალურიც იყო. მასში მიღწეული იყო მნიშვნელოვანი შედეგი — „установление прецессии в 51'' с точностью до 1''⁴³.

„სტროლაბის“ ქართულად თარგმნა ხდებოდა ორ ეტაპად: თავდაპირველად გაკეთდა მისი პწკარედული „თარგმანი“. მას ჩვენ პირობითად ვუწოდებთ „თარგმანს“, რადგან ის ტექსტი, რაც ვახტანგს ჰქონდა ხელთ, ფაქტიურად არ არის თარგმანი. ესაა ქართული წინადადების ჩარჩოში გადმოწერილი სპარსული მასალა მთლიანად აღმოსავლური ლექსიკით. ეს „თარგმანი“ შესრულდა ვახტანგის დავალებით; მისი ავტორი იმთავითვე ვარაუდობდა ვახტანგის შემდგომ მუშაობას „სტროლაბზე“. ამას მოწმობს აღმოსავლური სიტყვებისა და სპეციალური ტერმინების შემდეგ დატოვებული ცარიელი ადგილები ხელნაწერში, რაც პირდაპირი ქართული შესატყვისისათვის იყო გათვალისწინებული. ამ ადგილების დიდ უმრავლესობას ვახტანგი აესებს ქართული ექვივალენტებით. საერთოდ, კოლექტიური თანამშრომლობა ვახტანგის მუშაობის მეთოდია⁴⁴, რასაც საუკეთესოდ გამოხატავს მის მიერ შექმნილი „კომისიის“ საქმიანობა; ასეა შესრულებული ვახტანგის „სამართლის წიგნი“, „სტროლაბი“, ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილის „სამკურნალო წიგნი“ და სხვ.

მიუხედავად „სტროლაბის“ თარგმანზე ვახტანგის მიერ ჩატარებული დიდი მუშაობისა, მასში მაინც ვხვდებით უცვლელად დატოვებულ ზოგიერთ აღმოსავლურ სიტყვას — ეს ძირითადად საზოგადო-სახმარი სიტყვებია, რომელთა თარგმნას ვახტანგი ტექსტის დამუშავების ამ ეტაპზე არ ანიჭებდა განსაკუთრებულ ყურადღებას. ამასთან, ასეთი უცვლელად დატოვებული ლექსიკური ერთეულებიც ცოტაა თარგმანში (მაგ.: მირასი, შილთახი, მუსალათი და სხვ.). რაც შეეხება მეცნიერულ-ასტრონომიულ ტერმინოლოგიას, აქ, ზოგიერთი იშვიათი გამონაკლისის გარდა, თითქმის ყველა უცხოენოვანი ტერმინი შეცვლილია შესაბამისი ქართული ექვივალენტით⁴⁵. მათ ჩვენ

⁴² Мемедбейли Г., დასახ. ნაშრომი, გვ. 11.

⁴³ Берн А., დასახ. ნაშრომი, გვ. 79.

⁴⁴ ვახტანგ VI, სამართლის წიგნი, თ. ენუქიძის გამოცემა, თბ., 1955, შესავალი, გვ. 16.

⁴⁵ ჩვენ აქ იმ ტერმინებს ვგულისხმობთ, რომლებიც ერთხელ მაინც არის შეცვლილი ხელნაწერში ქართული შესატყვისით.

სხვა თარგმნილ ძეგლთა მასალის პარალელურად მოვიტანთ ჩვენს შრომის სპეციალურ თავში, სადაც განიხილება ვახტანგის მიერ მის თარგმანებში გამოყენებული სამეცნიერო ტერმინები. აქ კი მხოლოდ გამოეყოფთ იმ ჩგუფებს, რომელთაც ვახტანგი ცვლის ქართული ენობრივი მასალით:

1. საზოგადო-სახმარი სიტყვები — ერთენებიანი სიტყვები, კომპოზიტები, აღმოსავლური სინტაგმები; ამგვარი მასალის თარგმნისას ხშირია ხელოვნური კონსტრუქციები, კალკები...

2. ასტრონომიულ-ასტროლოგიური ტერმინოლოგია

ა) ზოგადი ასტრონომიული ცნებები

ბ) საკუთარი სახელები — ზოდიაქოთა, მნათობთა, სტროლაბის ნაწილების...

სტილისტურად თარგმანი სრულიად გაუმართავია. ჩვენს ხელთ არსებული ვარიანტი უნდა ჩაითვალოს ერთგვარ შავ სამუშაოდ, ტექსტის დამუშავების პირველ ეტაპად. ამ ეტაპზე ვახტანგი შემოიფარგლა მასალის დამუშავებით მხოლოდ ლექსიკა-ტერმინოლოგიის დონეზე. უნდა ვივარაუდოთ, რომ ვახტანგის მიერ დიდის გულმოდგინებითა და მასალის წესრიგში მოყვანით თარგმნილი სხვა მეცნიერული თხზულებების მსგავსად „სტროლაბის სასწავლებელი წიგნიც“ გულისხმობდა შემდგომ სრულყოფას როგორც ტექსტობრივი, ისე თარგმანზე დართული სამეცნიერო აპარატის თვალსაზრისითაც.

აქვე უნდა აღინიშნოს ერთი მნიშვნელოვანი გარემოება: „სტროლაბის სასწავლებელი წიგნის“ ჩვენს ხელთ არსებული ხელნაწერი მთლიანად არ არის ნასწორები — მასში არის ერთი თავი (11), რომელიც ეძღვნება „თაღუმის კითხვას“ (თუ როგორ უნდა კითხვა „თაღუმისა“-20). ამ თავის ბოლოს (30v) ვახტანგის მიერ აწიაზე მიწერილია: „აქამდე“, როგორც ჩანს, ვახტანგმა ტუსელის შრომის ძირითად ნაწილად მიიჩნია „თალა მასალას სწავლიდან“ — და შემდეგ თაღუმი (طوغی) არის სამკითაო წიგნი, სადაც მოცემულია ასტრონომიული და ასტროლოგიური წინასწარმეტყველებები. „სტროლაბის“ აღნიშნული ნაწილი სწორედ ამგვარი ხასიათისაა. იგი თავისი მიზანდასახულობით სრულიად განსხვავდება თხზულების ძირითადი ნაწილისაგან, რომელიც უმთავრესად პრაქტიკული ასტრონომიის საკითხებს, ასტრონომიული ხელსაწყოს — ასტროლაბის აგებულებასა და მის გამოყენებას ეხება. შესაძლოა, „თაღუმის კითხვის“ კარიკოს თარგმნილი რომელიღაც სხვა შრომიდან, ანდა, იგი შესავლად უძღოდა ტუსელის თხზულებას. ამავე დროს, როგორც გაარკვია რ. ჩავუნავამ, ხელნაწერთა ინსტიტუტის ნუსხის H 457 მეორე, უფრო ვრცელი ნაწილი უცვლელად იმეორებს ვახტანგის ასტროლოგიური

ზასიათის თარგმანის „თალა მასალას“ მისეულ ავტოგრაფს, რომელიც ინახება აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილებაში E—15 შიფრით⁴⁶. აღნიშნულ ხელნაწერებზე ქვემოთ შევჩერდებით. „თალუმის კითხვა“ და „თალა მასალა“, რომელიც ასევე მთლიანად ასტროლოგიის საკითხებს ეძღვნება, ერთ თემატურ რკალშია მოქცეული. შესაძლოა, ამიტომაც აუარა ვახტანგმა გვერდი „თალუმის კითხვას“, მის დამუშავებას.

დ) თ ა ლ ა მ ა ს ა ლ ა

ვახტანგის შემდეგი თარგმანი „თალა მასალა“ მთლიანად ასტროლოგიას ეძღვნება. ეს ნაშრომიც ირანში ყოფნისასაა თარგმნილი „მირზა აბდურიზა თავრიზელის წიგნის კითხვითა და თანაშეწევნითა“. **مسألة اول** — „აღმოსვლის კითხვა“, როგორც მის „სტროლაში“ ცვლის ვახტანგი. წარმოადგენს მოძღვრებას ჰოროსკოპის შესახებ, სახელმძღვანელოს მის შესადგენად.

თხზულება შედგება ორი ნაწილისაგან. I ნაწილში (1r—64r) დახასიათებულია მნათობები და მათი თვისებები პლანეტათა მდებარეობის მიხედვით, ჰოროსკოპის შედგენის თეორია, სხვადასხვა ტიპის ჰოროსკოპები და სხვ. II ნაწილში კი — 64v—304r — მოცემულია მნათობთა სადგომების, ზოდიაქოების აღწერა.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ლენინგრადული ხელნაწერი E 15 თვით ვახტანგის ხელითაა შესრულებული. ამასთან იგი უფრო ფართოდ და გარკვევითაა ნაწერი, ვიდრე ეს ახასიათებს ვახტანგის ხელწერას⁴⁷.

დასაწყისში ტექსტის ლექსიკა-ტერმინოლოგიას ვახტანგი მთლიანად ცვლის ქართული ექვივალენტებით, შემდგომ კი ამგვარ სწორებებს შემთხვევითი ხასიათი აქვს, თუმცა აქ უფრო ხშირად ვხვდებით მინაწერებს, ჩამატებებს, მაგალითად: „თორმეტი სახლის შეფერებულობა“ და შესაბამისი ტექსტი (35v), „მუჭაში დამალულის შეტყობა“ (17r), „მკითხველი როგორი კაცია იმის ცნობა“ (20v) და ა. შ. ასევე სხვადასხვა აღნიშვნები და მათი განმარტებები.

განსხვავებით ვახტანგის სხვა ასტრონომიულ-ასტროლოგიური თარგმანებისაგან, სადაც მიმოხილულია და ამასთანავე თვალსაჩინოდაა ნაჩვენები დაკვირვებითი, პრაქტიკული ასტრონომიის არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი, „თალა მასალას“ ვახტანგისეული თარგმანი

⁴⁶ რ. ჩაგუნაეა, გვ. 32, 33.

⁴⁷ О р е л и П. Р., მოხსენიებული მასალები.

(ცხადია, გამომდინარე ორიგინალიდან) მხოლოდ ზემოაღნიშნულ ასტროლოგიურ საკითხებს მოიცავს და განირჩევა თავისი ხასიათით, მიზანდასახულობით დანარჩენი მეცნიერული თარგმანებისაგან.

საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცულია ორი ხელნაწერი — № 108 და № 109, რომლებიც შეიცავენ ვახტანგ VI-ის მიერ წაბრძანებულ ასტროლოგიურ ხასიათის თხზულებას „თალა მასალა“. ხელნაწერთა შესწავლისას ვაიჩქვა, რომ № 109 წარმოადგენს № 108 ხელნაწერის უშუალო გაგრძელებას. როგორც აღვნიშნეთ, ეს თხზულება შესულია ხელნაწერთა ინსტიტუტის ნუსხა H 457-ში, როგორც „სტროლაბის სასწავლებელი წიგნის“ უშუალო გაგრძელება. არქივის ხელნაწერთა შედგენილობა მთლიანად ემთხვევა H 457-ში მოთავსებული ტექსტის შედგენილობას, თუმცა № 108 და № 109 არაა მისგან გადაწერილი. ამ ორ ხელნაწერში ენა უფრო დაწმენდილია. გათვალისწინებულია H 457-ში შეტანილი სწორებების უდიდესი ნაწილი. მართალია, № 108-შიც ვხვდებით ზოგიერთ ვახტანგისეულ შესწორებას, მაგრამ ეს რედაქციული სწორებანი ძირითადად პლანეტებისა და ზოდიაქოების აღმოსავლური სახელების ქართული და ბერძნული სახელებით შეცვლას, ასევე ხელნაწერში სისტემატურად გამოყენებული რამოდენიმე სპარსულ-არაბული სიტყვის (ყაბულები, სადი, დაილა, ბურჯი, ოქმი...) ქართული შესატყვისებით შეცვლას გულისხმობს. აღნიშნული ხელნაწერის სწორებანი, ასევე აშიებზე გატანილი სათაურები ვახტანგის ხელითაა შესრულებული. ხოლო რაც შეეხება № 109 ხელნაწერს, იგი, ისევე როგორც ლენინგრადული ხელნაწერი E—15, მთლიანად ვახტანგის მიერაა გადაწერილი.

№ 108 ხელნაწერი იწყება ისევე, როგორც H 457-ში მოთავსებული „თალა მასალას“ ტექსტი: „ეს თალა მასალის წიგნი მეფის ვახტანგისაგან თარჯინილი სპარსთაგან... ბრძანების ქნის წესი რამთონი რიგი რამ არის რომ ის უნდა კაცმა იცოდეს...“

მთავრდება აღნიშნული ხელნაწერი „თალა მასალას“ ერთ-ერთი თავით — „ვარსკვლავთ ყოფის ცოდნა“ (H 457-ში ეს თავი მთავრდება გვ. 94v-ზე): „ზენარ რომ მოწმობა ბევრი უნდა ქონდეს, ზოგჯერ იქნების ბევრს რაზედმე ცოტას დელილით კაცმა ბრძანება ქნას, ის რომ უკითხავთ ის გასინჯე, თუ თვეში საქნელია, თვე თქვი, თუ წელიწადში — წელიწადი თქვი და თუ დღეში საქნელია და დღე თქვი“.

№ 109 იწყება „თალა მასალას“ შემდეგი მონაკვეთიდან: „აღმოსვლის პირველი სახლის ბრძანებაები“. ეს ნაწილი შეიცავს პლანეტათა ზოდიაქოებში გარკვეული განლაგების, ურთიერთმდებარეობის ასტროლოგიური არსის დახასიათებას.

რ. ჩაგუნავა თავის ნაშრომში „ვახტანგ ბაგრატიონის საბუნების-შეტყველო-სამეცნიერო მოღვაწეობა (მათემატიკა)“ № № 108—109 ხელნაწერებში მოთავსებულ ტექსტს მიიჩნევს ნასრედდინ ტუსის თხზულებად — „სტროლაბის სასწავლებელი წიგნი“ (გვ. 33). სინამდვილეში, აღნიშნულ ხელნაწერებში მოთავსებული ტექსტი წარმოადგენს ასტროლოგიური თხზულების „თალა მასალას“ ვახტანგ VI-ის მიერ შესრულებული თარგმანის ორ ერთმანეთის მომდევნო მონაკვეთს, რომელთაც არაფერი აქვთ საერთო ტუსის შრომასთან. ისინი მიკვებებიან H 457 კრებულში „სტროლაბის სასწავლებელი წიგნის“ შემდეგ მოთავსებულ „თალა მასალას“ ტექსტს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიმოხილული თარგმანების ენა და სტილი სრულიად იდენტურია — მათში უმეტესად უცვლელადაა მოტანილი სპეციალური სპარსულ-არაბული ტერმინები, ფრაზეოლოგიური კონსტრუქციები; ისინი ნაკლებადაა სტილისტურად გამართული. ამ ტერმინების პირდაპირი შესატყვისები და მათი განმარტებები კი, რომლებიც სპეციალურ ლექსიკონებშია მოცემული, უცვლელად მეორდება ყველა თხზულებაში. მათი გაქართულება დასაწყისში მოახდინა ვახტანგმა, შექმნა შესაბამისი ქართული ენობრივი ბაზა ამ ასტრონომიული თარგმანებისათვის და შემდეგ უკვე მიმართავდა მათ როგორც ვათავისებულს, შესაბამის მასალას მორგებულს. თუმცა, ძნელი სათქმელია, პირველად რომელი თარგმანია შესრულებული და რომლისთვის ჩატარდა ასეთი სამუშაო.

ე) ა ი ა თ ი

ვახტანგის მეცნიერულ საქმიანობაში გამორჩეული ადგილი უჭირავს მის ნაშრომს „აიათს“ (რომელ არს ქმნულების ცნობა“). იგი 1721 წ. გამოიცა მის მიერ დაარსებულ სტამბაში. ძველი თავის მეცნიერულ ღირებულებასთან ერთად საინტერესოა როგორც ერთ-ერთი ძველი ქართული ნაბეჭდი გამოცემა. ამ წიგნის ეგზემპლარები ინახება უნივერსიტეტისა და საჯარო ბიბლიოთეკებში, ასევე სსრკ შეტცნ. აკადემიისა და სალტიკოვ-შიჩედრინის სახ. ბიბლიოთეკაში,⁴⁸. — თხზულების ტექსტი მოიცავს 150 გვერდს. შრიფტი მხედრულია, თავფურცელი და სათაურები ნუსხა-ხუცურითაა ნაწერი. სპეციალური ნახაზები და მინაწერები წითელი მელნითაა შესრულებული (ე. წ. „ტექსტით შეწყობილი გრავიურები“); ილუსტრაციებისათვის გამოყენებული ფურცლები თავისუფლადაა დატოვებული, მასში პირველად ძველ ბეჭდურ გამოცემებს შორის გამოყენებულია აკინძვის

⁴⁸ ქრ. შარაშიძე, გვ. 207.

ისეთი ხერხი, როგორცაა „ჩაკვრა“⁴⁹. წიგნი იძლევა იმდროინდელი პოლიგრაფიული წარმოების პროცესისა და ბეჭდვის თანმიმდევრობის სრულ და ნათელ სურათს⁵⁰.

ნაშრომს წინ უძღვის შესავალი, რომელზეც ჩვენ ზემოთ უკვე შევაჩერეთ ყურადღება. როგორც აღვნიშნეთ, იგი ნათლად წარმოაჩენს როგორც ამ კონკრეტული ძეგლის, ისე საერთოდ ვახტანგის მეცნიერული და მთარგმნელობითი მოღვაწეობის მიზანდასახულობას, ეროვნულ სწრაფვასა და პრაქტიკულ-საგანმანათლებლო მიზნებს — „ნუ უკუე ისწავონ და წადიერ იყვნენ ფილოსოფოსობისად და ინებონ და წეასრულონ ქართულისა ენითა ფილაფოსობა და გამოიღონ“⁵¹.

ამავე შესავალში ვახტანგი იხსენიებს ვინმე მირზა აბდურიზა თავრიზელს — „...ვთარგმნე მირზა აბდურიზა თავრიზელის წიგნის კითხვითა და თანაშეწევნითა...“; როგორც ჩანს, ვახტანგი თარგმანებზე მუშაობისას იშველებდა ხსენებული აბდურიზა თავრიზელის წიგნს ან თვითონ მას. ვინ იყო იგი ან რა ხასიათის იყო ეს „თანაშეწევნა“, ჯერჯერობით უცნობია. უნდა ვივარაუდოთ, რომ ვახტანგი იყენებდა რაღაც ზოგადი ასტრონომიული სახელმძღვანელოს ტიპის ნაშრომს, სადაც იქნებოდა განმარტებული სპეციალური ასტრონომიული ცნებები, რისი კვალიც აშკარაა მისეულ თარგმანებზე დართულ ლექსიკონებში მოტანილ განმარტებებში, სადაც ბევრია უთარგმნელად გადმოტანილი არაბულ-სპარსული მასალა.

როგორ ჩანს. ვახტანგს უშუალო კავშირიც ჰქონდა ხსენებულ პირთან — მეცნიერთან, სპეციალისტთან, რომელიც აცნობდა ვახტანგს აღმოსავლური ასტრონომიის საუძელებს, განუმარტავდა ულუღბეგის და სხვათა რთულ სპეციფიკურ შრომებს⁵².

„აიათი“ იწყება გეომეტრიული ნაწილით, სადაც მოცემულია ძირეული გეომეტრიული ცნებები (წინ წკალი, (წერტილი), ხაზი, სიფრიფანა//სივაკე (სიბრტყე), სხეული, გრკალი, სფერო და სხვ.), რომლებიც შემდეგ სამყაროს აგებულების — „ქმნულებს“ — მოდელისათვის და პრაქტიკული გაანგარიშებისათვის განკუთვნილ ნახაზებშია გამოყენებული; შემდეგ მოცემულია ცხრა ცის განლაგება და მათი აღწერა, ვარსკვლავთა შეფარდებითი უძრაობისა და მოძრაობის; უძრავ („დამტკიცებულ“) ვასკვლავთა მდებარეობის გარკვევის საშუალებები. აქვეა პლანეტების, ძირითადად მზისა და მთვარის სხეულების, მათი ურთიერთმოძრაობისა და

49 ო. კასრაძე, ძველი ქართული ნაბეჭდი წიგნი, თბ., 1973, გვ. 154.

50 შ. კვასხვაძე, ვახტანგ VI სტამბის წიგნი, თბ., 1952, გვ. 174.

51 აიათი, ტფ. 1721, გვ. 8.

52 რ. ჩაუხავა, იხ. გვ. 30.

ურთიერთმდებარეობის, ამით გამოწვეული ციური მოვლენების დაწვრილებითი დახასიათება; ახსნილია სხვადასხვა ქრონოლოგიური პრინციპი (იჯრის, ფარსის, რუმის...), ქართული ქორონიკონის სხვა ქორონიკონებთან მიმართება; ბოლოს არის უშუალოდ „მიწის ქმნულება“, მის „იულიმთა“ (ქვეყნების) აღწერა ზოგჯერ ისტორიული მონაცემებით, ლეგენდების ჩართვითა და მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობით, მნიშვნელოვანი გეოგრაფიული პუნქტების კოორდინატები და სხა საკითხები.

როგორც ამ მოკლე მიმოხილვიდან ჩანს, ეს ძეგლი, ისევე, როგორც ვახტანგის მიერ თარგმნილი სხვა ასტრონომიული თხზულებები, დაკვირვებითი ასტრონომიის საკითხებს ეძღვნება, თუმცა მისი საფუძველი სამყაროს აგებულების ასტროლოგიური მოდელია. იგი მარტივი, პოპულარული ენითაა დაწერილი და წარმოადგენს სახელმძღვანელოს ტიპის ნაშრომს. ყურადღებას იქცევს ვახტანგის ზოგიერთი შენიშვნა „აიათიდან“: „ყოველს მცოდნესთან ესე არის“ (ობ), „იმის ამბავი სრულად მასლიქისა და მამალიქის წიგნებიდამ შეიტყობა“ (ოგ), „იმ მეცნიერთ რომ ვარსკვლავის სიარულით სასარტყლის გაყოფა უთქვამთ ...“ (მზ). „ამ ცოდნის პატრონებს⁵³... ამობრუნებული ცა ოთხს წილად გაუყვიათ (მუ). „მოლებს სხვადასხვა რიგად უთქვამთ; მოლა შაჲს, მოლა ანაჲსა და ამბალს“ აქვეა „მოლა მალიქი“ (რკბ), „როგორც მოლა შაჲადინი იეზიდის ზაჲარანამაში დაუწერია ქაშმირის ამბავი“ (რმ — რმა); „აბულასანს ისპაჰანელი თავის წიგნით უმბობს“ — (რმა); „ამ ცოდნის მცოდინარებს და ფილასოფოსთ ათჲს ოცდაორი ვარსკვლავი გაუწილათ“ (კგ) და სხვ.

ბოლო შენიშვნა ჰიპარქესა და მის ვარსკვლავთა კატალოგს გულისხმობს, სადაც 1022 ვარსკვლავია დახასიათებული, ამავე დროს ვახტანგი ერთგან წერს: „ჩვენ ახალი ზიჯი უწინდელის რიგით გავაკეთეთ“ (მგ). თხზულების ზოგიერთი ნაწილი (მაგ. გეომეტრიული ნაწილი, თავი კალენდარულ პრინციპთა შესახებ, სხვადასხვა საჩის დახასიათებანი — მაგ., დილისა და წიქის და სხვ.) აშკარად ვახტანგისეული ჩანს⁵⁴.

თხზულება აგებულია აღმოსავლეთში მიღებული სქემის მიხედვით. ჩამოთვლილ საკითხთა უმრავლესობა შედიოდა „ზიჯების“ გეოგრაფიულ მონაკვეთებში. ასეთი ნაწილები, აგრეთვე გეოგრაფიული ტრაქტატები პრაქტიკული ასტრონომიის, მათემატიკის განვითარების

⁵³ ეს სპარსული [صاحب] (ცოდნის პატრონი)-ს კალკირებული ფორმაა.

⁵⁴ ამის შესახებ ჩვენ ვუთითებდით ჩვენს წერილში: „ვახტანგ VI მთარგმნელობითი მოღვაწეობის პერიოდიზაციის შესახებ“ (მაცნე, ელ სერია, 1986, № 2, 33-76).

გარკვეულ ეტაპამდე ემყარებოდა პტოლომეს გეოგრაფიას (ალ-ხო-რეზმის შრომა, ალ-ბატანის „ზიჯის“ გეოგრაფიული ნაწილი). მო-გვიანებით ასეთი შრომები გამდიდრდნენ მეცნიერული მონაცემები-თა და გაანგარიშებებით, რომლებიც გამიზნული იყო გამოთვლითი გეოგრაფიის რიგი საკითხების გადასაწყვეტად (მანძილის გასაანგა-რიშებლად გეოგრაფიულ პუნქტებს შორის, ყიბლას მიმართულების განსაზღვრისათვის და სხვ.). შუა საუკუნეებში იქმნება სწორედ ამ-გვარი თხზულებები, რომელთა ავტორები არიან განსწავლული მე-ცნიერები — ასტრონომები, მათემატიკოსები: ალ-ბატანი, იაყუთი, ალ-ყაზვინი და სხვები⁵⁵.

კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული ასტრო-ნომიულ-ასტროლოგიური შინაარსის აღმოსავლურ ხელნაწერთა გა-ცნობის შედეგად შესაძლებელი გახდა „აიათის“ წყაროს დადგენა. ეს არის სპარსულ ენაზე დაწერილი თხზულება **زبد ءايات** („რჩე-ული აიათი“), რომელიც მოთავსებულია ხელნაწერ კრებულ P 534-ში. თარგმანი დიდი სიზუსტით მიჰყვება ორიგინალს.

ვახტანგის თარგმანის შესავალი, გეომეტრიული ნაწილი, სადაც მოცემულია მათემატიკური ცნებები — წერტილი, ხაზი, სიფრიფანა/სივაკე (სიბრტყე), სხეული, წრე, სფერო და სხვ. სიტყვისიტყვით მისდევს თავის წყაროს — **زبد ءايات**-ის შესაბამის მონაკვეთს. მოვიტანთ რამოდენიმე პარალელურ ადგილს აღნიშნული თხზულე-ბიდან: **خط یا مستقیم بزدا محضی | مستقیم آن بود که همه نقطهها که بران**

فرض توان کرد و برابر یکدیگر باشند

ერთი ხაზი რომ გასწიო და ზედ დასხა და ის წინწყლები ყველა რიგზე იყოს, დაბალ-მაღალი არ იყოს, იმას გამართული სწორი ხაზი ჰქვიან (1).

بهر زاویه که کمتر از قائمه بود حاده بود و آنچه بز رگتر منفرجه بود و اگر بر سطحی موضع مسام بر استقامت اخراج کنند
آن خط بزوايه قائمه محیط شود آن خط بر سطح عمود بود
 „აიათის“ აღნიშნულ მონაკვეთზე მსჯელობისას რ. ჩაგუნავა თა-ვის ნაშრომში „ვახტანგ ბაგრატიონის საბუნებისმეტყველო სამეცნი-ერო მოღვაწეობა (მათემატიკა)“ მას მიიჩნევს ცალკე გამოყოფილ სახელმძღვანელოდ, რომელიც „წარმოადგენს ევკლიდეს „საწყისე-ბის“ პირველი და მეოთხრამეტე წიგნების... შესავალი ნაწილების გა-ერთიანებას“; ამასთან იგი დიდ მსგავსებას იჩენს ბირუნის ცნობილ

⁵⁵ Матвиевская Г. П., Розенфельд Б. А. 33. 88.

თხზულებასთან „მეცნიერება ვარსკვლავთა შესახებ“. მკვლევარს მოჰყავს ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილი ზოგიერთი განმარტების შესატყვისი განსაზღვრებები აღნიშნული ავტორების თხზულებიდან.

როგორც ცნობილია, არისტოტელეს კომენტატორებთან, არაბულ და სპარსულენოვან სპეციალურ შრომებში საწყისი მათემატიკური ცნებები, როგორც განუყოფელი, „შერწყმული“ რაოდენობის სახეები, განიხილება არისტოტელეს განსაზღვრებების საფუძველზე. ამგვარადვეა ისინი წარმოდგენილი „რჩეულ აიათშიც“.

აღნიშნული გეომეტრიული მონაკვეთი დიდი ზედმიწევნითაა ასახული ქართულ თარგმანში. იგივე უნდა ითქვას $\frac{1}{2} \text{ } \frac{1}{2}$ ის სხვა ნაწილების შესახებაც.

თვალსაჩინოებისათვის მოვიტანთ პარალელურ ადგილებს ერთ-ერთი თავიდან, რომელიც შეეხება დედამიწის „ქმნილებას“.

زمین کره است یک ربع است از سطح او و آن ربع را ربع مسکون خوانند و چون مرکز زمین مرکز عالم است بسی سطح دایره مسکون انهار بر سطح محیط زمین... با این دو دایره زمین چهار ربع متساوی شود و دو شمالی و دو جنوبی

... სფერო არის... შენობა სფეროს სიფრიფანის ერთი რუბის ნაკლებია და იმ რუბს რუბის სამყოფი ჰქვია და რადგან მიწის ცქიტი ქვეყნის ცქიტი არის, მაშ დღის გამსწორებლის რკალის ხაზი რომ გრავლია... მიწა იმ ორს გრკლით სწორათ ოთხრუბად გაიყოფა. ორი რუბი ჩრდილოსაკენ დარჩება და ორი სამხრეთისაკენ (გვ. 70).

„რჩეული აიათის“ თავების მიმდევრობას, შესაბამის განმარტებებს, რომლებიც თვალსაჩინოდაა წარმოდგენილი საგანგებო ნახაზებით, უშუალოდ მიჰყვება „ქმნულების ცოდნის წიგნიც“, მხოლოდ ამ უკანასკნელში უფრო მკაფიოა თავებად დაყოფა, მათ დასაწყისებში სუმირებულია შესაბამისი მონაკვეთის ძირითადი შინაარსი.

ყურადღებას იმსახურებს ერთი მნიშვნელოვანი გარემოებაც. ვახტანგის გეომეტრიული ცნებები (ნაწილობრივ განსაზღვრებებიც) თანხვედრა საბას ლექსიკონის C (აგრეთვე ZAB) რედაქციაში მოტანილ ცნებებს (ნაწილობრივ განსაზღვრებებს). საბასთან აღნიშნული ლექსიკა ჩნდება ითანე დამასკელის „დიალექტიკის“ არსენ იყალთოელის თარგმანიდან. ამ საკითხის შესახებ ქვემოთ დაწვრილებით გვექნება მსჯელობა „აიათის“ ქართული ტერმინოლოგიური მასალის განხილვისას.

ლექსიკა-ტერმინოლოგია თხზულებისა გამონაკლისის გარდა მთლიანად ქართულია, ვხვდებით მხოლოდ რამდენიმე აღმოსავლურ ტერმინს — რუბი, იელიმი, დარაჟა, ასევე გეოგრაფიულ ნაწილ-

პი — ხალიდათი, ქონგი ზარი, აბადი აჯრში... ამ მხრივ ძეგლი თვი-
ობრივად განსხვავდება ვახტანგის სხვა სამეცნიერო თარგმანებისა-
კან, რომლებიც ჭარბი აღმოსავლურენოვანი ლექსიკითა და ფრაზე-
ოლოგიით ხასიათდება.

სხვა თარგმნილ ძეგლთაგან აღნიშნული განსხვავების, „აიათის“,
როგორც თარგმანის, თავისებური ხასიათის წარმოსაჩენად მოვიტანთ
ზოგიერთ ადგილს მისი ტექსტიდან: „მზეს ორი ცა აქუს. რომ გარე-
თისა შიგნითი მსგავსიერი ჰქვიან. ამისი ცქიტი ქუწყუნის ცქიტია. ამი-
სი სარტყელი ეტლების სარტყლის ჩამსწორად არის (კვ.); ან: „სხე-
ულებრი ის არის, ერთს სიფრიფანასა ან მეტს შემოხვეოდეს, სხეუ-
ლად ჩანდეს, როგორც სახლის კუთხეები“ (ე); „თუ სიფრიფანა სიფ-
რიფანაზე იდვას. ამის ნაპირზე ერთი ხაზი გამოჩნდება, იმას გაყრილ-
შეწყობილი ჰქვიან“ (ე).

„ქმნულების ცნობის“ პრინციპულ განსხვავებას სხვა თარგმნილი
ძეგლებსაგან უცხოენოვანი და ქართული ენობრივი მასალისადმი
მიდგომის მხრივ მოტანილ გარემოებათა გარდა ისიც განაპირობებს,
რომ იგი ბეჭდური გამოცემაა, ე. ი. გათვალისწინებულია გაცილებით
უფრო ფართო მკითხველისათვის, ვიდრე ხელნაწერთა სახით არსე-
ბული შრომები, თუნდაც ისეთ მაღალ დონეზე დამუშავებული, რო-
გორც „ზიჯის“ ზემოთ დახასიათებული ხელნაწერთა (S 161). ამდენად,
მისი ლექსიკა-ტერმინოლოგიის მთლიანად გაქართულებას ვახტანგმა,
ბუნებრივია, მეტი ყურადღება მიაქცია. ამასთან „აიათი“ 1721 წელ-
საა გამოცემული. ამ დროისათვის იგი, როგორც ჩანს, დამუშავდა
ვახტანგის მიერ. აღნიშნული პერიოდისათვის მას უკვე გაქართულე-
ბული აქვს თავის ლექსიკონებში აღმოსავლური ასტრონომიულ-ას-
ტროლოგიური ტერმინოლოგია. ყოველივე ამან განაპირობა თხზუ-
ლების საერთო ქართული ფონი.

გვინდა შევეხებოთ კიდევ ერთ სახელმძღვანელოს: „თარგმანი
და გამოცხადებანი ცისა და ქვეყნისა და ვარს-
კლავისანი მოსწავლეთათვის შვენიერი“ (ხელნა-
წერთა ინსტიტუტის ნუსხა Q 884:1). ხელნაწერი ვახტანგის ხელი-
თაა ნასწორები. ეს არის მოკლე. პოპულარული ენით დაწერილი ას-
ტრონომიულ-კოსმოლოგიური სახელმძღვანელო. სათაურის შემდეგ
კვითხულობთ: „ოდეს ენებოს კაცსა საქმე და მეტყველობა ზეციერსა
ანუ თუ ქვეყნიერთა გინა სხვისა რასამე ზედან პირველად ჭერარს და
უხმს, რათა იცოდეს რა არს ცა ანუ ქვეყანა“. ვფიქრობთ, ეს არის
ვახტანგის მონაწილეობით შედგენილი ამ ტიპის პირველი სახელმძ-
ღვანელო. იგი უეჭველად წინ უძღოდა მის ასტრონომიული შინაარ-
სის თარგმანებს. სახელმძღვანელოში მოცემულია სამყაროს დაბადე-
ბის ბიბლიური ამბავი, სამყაროს „ზეციერ“ და „კავშიროვან“ ნაწი-

ლებად დაყოფა, ცნობები ზეცის სფეროების, პლანეტათა განლაგებისა და მოძრაობის შესახებ. ქრონოლოგიური კანონზომიერებანი, დედამიწის სფეროს ფართობისა და მოცულობის რიცხვითი მნიშვნელობები, აქვე წარმოდგენილია ელემენტარული ცნობები სარტყლების, ტროპიკების, მერიდიანების, პარალელების, დედამიწის ღერძის, ზენიტისა და ნადირის შესახებ და სხვ. ხელნაწერის პირველ ორ გვერდზე მოცემულია მნათობთა და ზოდიაქოთა სიმბოლური აღნიშვნები შესაბამისი წარწერებით. სახელმძღვანელო მოთავსებულია კრებულში, სადაც შედის ვახტანგის მიერ შედგენილი „ნათესაობის წიგნი“, მისივე ხელით ნაწერი შელოცვები, ტაბულები და გასართობი სავარჯიშოები.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს სახელმძღვანელოს ბოლო მონაკვეთი, ნივთიერი სფეროს აღწერილობა, სადაც სახელმძღვანელოს ავტორი ასახელებს თვით მის მიერ გაკეთებულ ნივთიერ სფეროსაც, რომელსაც წარუდგენს ვახტანგს: „შემძღებელ არს კენჭიფეხილვად ამა უნდოსა შინა, რომელი მე გავაკეთე“ (23v).

აღნიშნული სახელმძღვანელო არ წარმოადგენს თარგმანს; იგი დაწერილია სპეციალისტის მიერ და გამიზნულია საწყისი, ელემენტარული კურსის სახელმძღვანელოდ. მასში მრავლადაა წარმოდგენილი ლათინურ-ბერძნული ტერმინები, ზოგჯერ აღმოსავლურიც. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ სახელმძღვანელო უშუალოდ ვახტანგისათვის უნდა იყოს დაწერილი, რასაც მოწმობს ავტორის შემდეგი გამონათქვამები: „აწ უკვე მართებან კელმწიფებთა ჩვენთა და უნებან რომე იყვნენ ცოდნათა და სწავლათა შინა“ (4v), „სახმარ არს მეფეთა სრულიად ცნობად ნივთიერისა სფეროსი ამაღ, რომე უშამდგომლობითა მის სფეროსითა მეფე სცნობს ძვრასა სრულიად ცათასა და სვლასა ვარსკვლავთასა...“ (23v), „კვალად უნდა შეიტყოს კელმწიფემან რომე ეს მრგვალნი — დიდნი და მცირენი მიყულებულ არიან ორს წინწკალზედან“ (24) და სხვ.

3) ზიგნი ზეთეხის შეხატებისა და კიმიისა კმინის

ვახტანგის მრავალმხრივი მეცნიერული საქმიანობის, მისი თარგმნითი მუშაობისა თუ გამოყენებული ლექსიკა-ტერმინოლოგიის შესწავლის თვალსაზრისით უაღრესად საინტერესო მასალას იძლევა მისი „ქიმია“.

ქიმიური ხასიათის თხზულებები მსოფლიო მასშტაბითაც კი ძალიან მცირეა, რაც ზრდის ვახტანგის ნაშრომის ისტორიულ-მეცნიერულ ღირებულებას, მით უფრო, რომ მასში გარდა ნათარგმნი მასალისა, შევიდა მისი ორიგინალური პარაგრაფებიც.

არსებობს ძეგლის ერთადერთი სრული ხელნაწერი — ხელნაწერთა ინსტიტუტის ნუსხა S 3721, რომელიც ვახუშტის ხელითაა გადაწერილი. შემონახულია აგრეთვე ტექსტის ავტოგრაფის ნაწყვეტიც, სადაც შესულია §§ 94—102. იგი ინახება ლენინგრადის ქართულ ხელნაწერთა კოლექციაში E 121 ნომრით. ძეგლი ამ ხელნაწერთა შესწავლა-შეჯერების საფუძველზე გამოიცა 1981 წ. თ. ენუქიძისა და ვ. კოკჩაშვილის მიერ⁵⁶.

ნაშრომი ავეიწერს ალქიმის შემდგომ პერიოდს. ამ დროს გამოავლდა ცნობები ქიმიურ ნაერთებზე, გაუმჯობესდა მათი მიღების მეთოდები, აღმოჩენილ იქნა ახალი ნაერთები. იგი პრაქტიკულ-გამოყენებითი ხასიათისაა; ამასთან გვაცნობს ქიმიის გარკვეული დარგების მდგომარეობას ირანში, რუსეთსა და საქართველოში⁵⁷. მისი არსებობა მიუთითებს ვახტანგის, როგორც პრაქტიკოს-მეცნიერის მაღალ პროფესიონალიზმსა და XVIII ს-ის ქართული მეცნიერული აზროვნების მაღალ დონეზე.

ვახტანგის ნაშრომში მნიშვნელოვნადაა ასახული აღმოსავლური, ლათინური და რუსული წყაროების კვალი. ავტორს რამდენიმე პარაგრაფი ირანელი ალქიმიკოსის არ-რაზის (865—925) თხზულებიდან „საიდუმლოებათა საგანძური“ აქვს შეტანილი. არ-რაზის მსგავსად იგი ქიმიურ ნივთიერებათა მთელ სამყაროს სამ ნაწილად ჰყოფს: მინერალური, მცენარეული და ცხოველთა; მინერალურ ნივთიერებათაგან ექვს ჯგუფს გამოჰყოფს, ცხოველთა სამყაროდან გამოსული და მოსახმარი ნივთიერებებიდან ჩამოთვლის ათ სახეობას. ასევე საერთოა „ქიმიასა“ და მის ერთ-ერთ წყაროს „საგანძურს“ შორის მარილთა ჯგუფები, მეტალთა დადნობისათვის გამოყენებულ ხელსაწყოთა ნუსხა, „ბრძნული თიხისა“⁵⁸ და ჟანგაროს დამზადების წესი. ვახტანგმა არ-რაზის კონცეფციის ზოგად-თეორიული ნაწილი გაიზიარა, აიღო მისგან გარკვეული სისტემა, მაგრამ არა მისი ალქიმიური არსი⁵⁹.

⁵⁶ ვახტანგ VI, წიგნი ზეთების შეზავებისა და ქიმიისა ქმნის, თბ., 1981 (შემდგენი — „ქიმიას“).

⁵⁷ „ქიმიას“, შესავალი, გვ. 17.

⁵⁸ ცეცხლგაშქლე თიხა.

⁵⁹ „ქიმიას“, შესავალი, გვ. 11, 12.

გარდა ამისა, როგორც ეს „ქიმიის“ პარაგრაფთა ლექსიკიდანაც ჩანს, ვახტანგს უსარგებლია რუსული წყაროებითაც. რუსეთში გადასვლის შემდეგ მას ჰქონდა ფართო შესაძლებლობა მიემართა რუსული და ლათინური პირველწყაროებისათვის. მას გამოუყენებია რუსული კრებულები წამალთა დამზადებისა და დაავადებათა მკურნალობის შესახებ („Травники“, „Лечебники“), სახელმძღვანელოები იუველიერების, წიგნის ოსტატების, მხატვრებისა და ხატმწერებისათვის („Иконские подлинники“) და ასევე კრებულები და მითითებანი ტექნიკისა და ხელოსნური წარმოების ზოგიერთ საკითხებზე. ვახტანგმა მოახდინა ამ არაერთგვაროვანი და მრავალ კრებულში გაფანტული მასალის გამოკრება და დაჯგუფება, მის ნაშრომში თავმოყრილია ყველა ხსენებული სახის მნიშვნელოვანი რეცეპტი თუ ტექნიკური მითითება⁶⁰.

რუსეთში ვახტანგს ხელი მიუწვდებოდა ევროპულ წყაროებზეც. მის პირად ექიმად 1732 წ. დაინიშნა პეტრე პირველის ყოფილი ექიმი გოტლობ შობერი, რომელიც ამასთან შესანიშნავი ქიმიკოსიც იყო⁶¹. მისი საშუალებით უნდა ვაცნობოდა ვახტანგი ლათინურ წყაროებში არსებულ ზოგიერთ რეცეპტს. ამავე დროს მისი მეცნიერული ცოდნის გაფართოებისათვის უთუოდ უნდა შეეწყო ხელი ვახტანგის მკვიდრო თანამშრომლობას ცნობილ სწავლულთან, აკადემიკოს დელილთან და მის ჯგუფთან, რომელიც სწავლობდა აღმოსავლეთის მენციერულ მემკვიდრეობას; მის შემადგენლობაში შედიოდნენ ისეთი ცნობილი მეცნიერები, როგორებიც იყვნენ დ. ბერნული, ი. გ. დიუვერნუა, ფ. ხ. მაიერი, გ. ვ. კრაფტი, დ. ეილერი და სხვები. ამავე ჯგუფის წევრი იყო ვახტანგიც⁶².

ქართულ წყაროთაგან „ქიმიის“ აისახა სულხან-საბას ლექსიკონის კვალი — § 69-ში მოცემულ ძვირფას ქვათა აღწერილობა მიჰყვება საბასეულ ნუსხას (H 1429), რომელიც მოსკოვშია გადაწერილი (1725 წ.), ასევე: A 75, A 1473-ს.

წერილობითი წყაროებიდან ვახტანგი მიუთითებს ერთ უცნობ ნუსხაზე, რომელიც მას გამოუყენებია: „ერთი ნუსხა ვნახე, რომ ამითი ოქრო გაკეთდებო, ეწერა“ (§ 128). § 119-ში ვკითხულობთ: „წამალი გამოიღე და ჩემის ძმის ნუსხის პირით გააკეთე“. გამოძკემლები მოუთითებენ, რომ ვახტანგის ძმაც (იესე ან ქაიხოსრო) ყოფილა ქი-

⁶⁰ Чагунава Р. В., გვ. 22.

⁶¹ იქვე, გვ. 23.

⁶² Невская Н. И., Ж.—Н. Делиль в Петербургской академии наук. Вопросы истории астрономии, сб. 3, М. 1974, გვ. 61—93.

შიით დაინტერესებული და არსებობდა მათი ნუსხა, რომელსაც ვახტანგი იხსენიებს⁶³.

როგორც ტექსტიდან ჩანს, ვახტანგს უსარგებლია სხვადასხვა ზეპირი გადმოცემითაც. თუმცა ზოგიერთ მათგანს იგი სექპტიკურად უყურებს: „სხვა ერთი მოლა მოვიდა, ბერიკაცი, იმან მითხრა: მე ვიციო, იმისგან გაკეთებული ვერა ვნახე რა“, „ან: „ბევრად იტყვიან, მაგრამ მე ამის მეტი არ მინახავს“ და ა. შ.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ვახტანგის ორიგინალური პარაგრაფები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ეყრდნობა ეროვნულ პრაქტიკულ ჩვევებსა და ტრადიციებს და ძეგლში ვახტანგისეული გადმოცემითაა წარმოდგენილი. ზოგიერთი ქიმიური რეცეპტი და წესი კი, რომლებიც მას შეაქვს თავის ნაშრომში, ანალოგიური სახით გვხვდება ისეთ ცნობილ მეცნიერთა თხზულებებში, როგორიცაა მაკერის, ლომონოსოვის, ქადეს, ჟაკინის, ურკსლუბენისა და სხვათა შრომებში⁶⁴. ვახტანგის მიერ მის „ქიმიამი“ მოცემულ წესებს მოსევადების, ფერადი და ოპტიკური მინების, სულფიდური პრეპარატების, ფერადი მელნის დამზადებისა და სხვა მის მიერ დამოუკიდებლად აღწერილ ქიმიურ პროცესებს მაღალ შეფასებას აძლევს თანამედროვე მკვლევარები⁶⁵. ამ ნაშრომით ვახტანგი გვევლინება პროფესიონალ ქიმიკოსად, პრაქტიკოსად, ერუდირებულ მეცნიერად.

*) მ ა თ ე მ ა ტ ი კ ა

საგანგებო ყურადღებას იმსახურებს ვახტანგის მათემატიკური მემკვიდრეობა, სადაც ყველაზე ნათლად ჩანს მისი, როგორც მეცნიერ-ავტორის დამოუკიდებელი სახე. ნაშრომი შედგება პოზიციური არითმეტიკის („ანგარიშის ცოდნა“), გეომეტრიის (პრაქტიკული, გამოთვლითი და კონსტრუქციული) და ტრიგონომეტრიის სახელმძღვანელოებისაგან. ისინი გაერთიანებულია კრებულში. მოიპოვება ამ კრებულის ორი სრული ნუსხა — კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ნუსხა S 167 და სალტიკოვ-შჩედრინის ბიბლიოთეკის იოანე ბატონიშვილის კოლექციაში დაცული ხელნაწერი № 313.

ვახტანგ VI-ის მათემატიკური ხასიათის შრომები საფუძვლიანადაა შესწავლილი რ. ჩაგუნავას მიერ. ჩვენ მოკლედ დავახასიათებთ აღნი-

⁶³ „ქიმიამი“, გვ. 9.

⁶⁴ Чагунава, Р. В. გვ. 15

⁶⁵ მ. ჩართოლანი, სვანური სევალი (ღაპელე) და მისი ადგილი ქართულ ოქრომჭედლობაში, აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე XXIII, 1962; მ. შენგელია, ეტიუდები ქართული მედიცინის ისტორიიდან, თბ., 1983, Чагунава Р. В. და სხვ.

წმულ სახელმძღვანელოებს მისი მონოგრაფიის („ვახტანგ ბაგრატიონის საბუნებისმეტყველო-სამეცნიერო მოღვაწეობა (მათემატიკა)“ მიხედვით.

მითითებული კრებული დაიწერა ვახტანგისა და ვინმე მიხეილ ელივიჩის თანამშრომლობით. იგი დათარიღებულია 1725 წლით. ტექსტს უძღვის ელივიჩის ანდერძი: „ქ. ეს წიგნი მე მიხეილ ელივიჩმა ვთარგმნე რუსულისაგან ქართულად, ოდეს მობრძანდეს მეფე ვახტანგ ქალაქსა მოსკოვს. მან მიბრძანა და თვით მანვე ქართულის ენით გაასწორა და ვრცლად დასწერა, საუკუნოცა არიან წელნი და ჟამნი ცხოვრებისა მისისნი, ამინ. ქრისტეს აქათ ჩლკე, სეკდემბერს ი გასრულდა წერილი ესე“. „ვრცლად დაწერა“, როგორც კრებულის შესწავლოთ ირკვევა, გულისხმობს არა მხოლოდ მიწოდებული მასალის გაერცობას, არამედ მის მთლიან გადამუშავებას, საერთოდ, სახელმძღვანელოს აგებას. ამასთან თვით მიხეილ ელივიჩიც განსწავლულ პირად, ქართული ენის კარგ მცოდნედ წარმოგვიდგება.

კრებულის ლენინგრადული ნუსხა საფუძვლიანადაა გადამუშავებული აღნაგობის, შინააარსის, ტექსტუალური თვალსაზრისით. აქ არითმეტიკას მოსდევს გამოთვლითი გეომეტრია, S 167-ში კი ჭერ აგებებია მოცემული. გადამუშავებისას ვახტანგს შეაქვს ტექსტში დამატებითი მასალა, მაგალითად, თავი: „ერთი ანბანით ანგარიში არის, ანგარიში და მარსკვლავთ მრცხველობის რიგებში მოიხმარება“ (თვლის 60-ობითი სისტემის შესახებ). ეს თავი მას უცვლელად აქვს აღებული „ზიჯის“ შესაბამისი ნაწილიდან (გვ. 554—556), სადაც იგი უწვლად ვახტანგის ხელითაა მიწერილი. ესეც მოწმობს იმას, რომ ვახტანგი არ ემყარება მხოლოდ ელივიჩის მიერ მოწოდებულ მასალას. № 313-ში მოცემულია დამატებითი ცნობები სხვადასხვა სახის აგებათა შესახებ, ჩართულია ახალი ნახაზები (მოცემული ოთხკუთხედებით ან მოცემული „ცქიტით“ (ცენტრით) გრკალის შემოფარგვლა (112, 41). ვახტანგი მთლიანად ტოვებს S 167-ის ზოგიერთ ქვეთავს (ტრაპეციუმის მოცემულის კუთხით პარალელოგრამათ გარდაქცევა — გვ. 106 (S 167—206), სამკუთხედის ტრაპეციუმად გადაქცევა — 107 (S 167—200). შემოფარგლულის სამკუთხედთ გარდაქცევა 113 (S 167—206) და სხვ. არის ტექსტში დაუმთავრებელი, უტექსტო ნახაზები (გვ. 131...), ცარიელი გვერდები. ამასთან ვახტანგი ეწევა მასზე ფილოლოგ-რედაქტორის მუშაობასაც — აზუსტებს ტერმინებს, ხვეწს ფრაზეოლოგიას, სტილს.

კრებულის პირველი ნაწილი პოზიციური არითმეტიკის სახელმძღვანელოა („მცირე რამ გამოკრებილი ანგარიშის ცოდნისა“), სადაც წარმოდგენილია პრაქტიკული არითმეტიკის რიგი საკითხები: არითმეტიკული მოქმედებები მათი შემოწმების სხვადასხვა ხერხით,

კვადრატული და კუბური ფესვის ამოღება, კომერციული ამოცანები. აქვეა წარმოდგენილი ანბანური ნუმერაციის დასასიათებაც. ყველა ოპერაცია სახელმძღვანელოში თვალსაჩინოა და ნაჩვენები განსხვავებით ამ ტიპის ევროპული სახელმძღვანელოებისაგან, რომელთა გამოყენება შესაძლებელი იყო მხოლოდ სპეციალისტების დახმარებით. სახელმძღვანელო მთლიანად ორიგინალური, ვახტანგის ავტორობით შექმნილი ნაშრომია.

არითმეტიკას მოსდევს გეომეტრია (პრაქტიკული პლანიმეტრია — „სივაკის ზომა“) და კონსტრუქციული (ავებები), რომელსაც წინ უძღვის ვახტანგის მიერ დაწერილი შესავალი, სადაც მოცემულია საწყისი ცნებები, განმარტებულია ევროპული და აღმოსავლური ტერმინები და სხვ. გეომეტრიული სახელმძღვანელოები კრებულში არაა ერთმანეთისაგან გამოყოფილი. კრებულის (S 167) 55—222 გვერდებზე მოთავსებული მასალა, ანუ კონსტრუქციული გეომეტრიის სახელმძღვანელო წარმოადგენს რუსეთში დაბეჭდილი სახელმძღვანელოს (პირველად დაიბეჭდა 1708 წ. გამოცემა 4-ჯერ) „Геометрия Славенски землемерие“ თარგმანს. ვახტანგი გარკვეული მიზანდასახულობით უდგება თარგმანს, მასში ამოღებულია ორიგინალის საწყისი თავები, საყოველთაო დებულებები, აქსიომები და პოსტულატები; ამასთან თარგმანში შეტანილია ვახტანგისეული მასალა, განსხვავებულადაა აგებული ზოგიერთი ნახაზი, განმეორებები რიგ შემთხვევაში „აიათიდანაა“ აღებული.

პლანიმეტრიის სახელმძღვანელო („სივაკის ზომა“) დიდ მსგავსებას იჩენს პეტერბურგში 1714 წ. დაბეჭდილ ერთ სახელმძღვანელოსთან, რომელიც ცნობილია, როგორც „გეომეტრია პრაქტიკა“.

S 167-ის 42-ე გვერდიდან იწყება ტრიგონომეტრიის სახელმძღვანელო — „დაწყება ტრიგონომეტრიისი, რომელ არს ქართულად სიღრმის, სიბრტყის და სიმაღლის ზომა“. აქ ერთგვაროვანი მასალა წარმოდგენილი, ტექსტი მოწესრიგებულია, გადაწერილი, ნახაზები საღებავებითაა შესრულებული. ტრიგონომეტრიის საკითხების დამუშავება ვახტანგმა დაიწყო ირანში ყოფნისას, კერძოდ, ისპაჰანში მისი მითითებით დამზადდა ასტროლაბი, რომლის გამოყენება თავისთავად გულისხმობს ტრიგონომეტრიის ცოდნას, მის პრაქტიკულ გამოყენებას. ტრიგონომეტრიის საკითხები განხილულია „აიათში“, ტუსელის „ასტროლაბის სასწავლებელი წიგნისა“ და ულუღბეგის „ზიჯის“ ვახტანგისეულ თარგმანებში. ამ უკანასკნელში მთარგმნელის მიერ დამატების სახით ლექსიკონში შეტანილია ქართული მკითხველისათვის გაუგებარი შესატყვისი ქართული ტერმინების ახსნა-განმარტებანი.

გარკვეული სახის ტრიგონომეტრიული მასალა („ჩრდილის გამოცხადება“, II კარი, X თავი) სიტყვასიტყვით მიჰყვება „ზიჯის“

II კარის მესამე თავში შესული მასალის ნაწილს (ტანგენისა და კო-ტანგენის დახასიათება). აქედან გამომდინარე რ. ჩაგუნავა თვლის, რომ სპარსული დედნებიდან ერთ-ერთს მეორით უნდა ესარგებლა (გვ. 252). ჩვენი აზრით, აღნიშნული ფაქტი მოწმობს ვახტანგის „ქმნულების ცოდნის წიგნის“ გვიანდრობას მის სხვა ასტრონომიულ თარგმანებთან შედარებით. „აიათის“ დაბეჭდვისათვის ვახტანგს უკვე დამუშავებული აქვს შესაბამისი ტერმინოლოგია, სპეციფიკური მასალა.

ვახტანგის „მათემატიკა“ არის უაღრესად საინტერესო ნაშრომი აღბეჭდილი ავტორის ღრმა ცოდნითა და პრაქტიკულ-საგანმანათლებლო მიზანსწრაფვით.

ჩვენ მოკლედ მიმოვიხილეთ ვახტანგის მიერ თარგმნილი და შედგენილი მეცნიერული თხზულებები. ყოველი მათგანი პრაქტიკული ხასიათისაა და ფართო მკითხველისათვისაა განკუთვნილი. იმ თვალსაჩინო მეცნიერულ-ისტორიულ მნიშვნელობასთან ერთად, რაზეც ჩვენ ზემოთ ვისაუბრეთ, ეს ძეგლები ნათლად ავლენენ ვახტანგის მთარგმნელობითი საქმიანობის მიმართულებას, საერთო ხასიათსა და ტენდენციებს, რაც უპირველესად თავს იჩენს უცხოენოვანი სამეცნიერო ტერმინოლოგიის გაქართულების დროს.

2. სამეცნიერო ტერმინოლოგია ვახტანგის თარგმანებში

მეცნიერულ ნაშრომთა თარგმნისას აქტიურად დგება ტერმინოლოგიურ მიმართებათა საკითხი.

როგორც აღვნიშნეთ, ვახტანგის დროინდელი ქართული სალიტერატურო ენა საკმაოდ ჭრელ სურათს იძლევა. ვნის ეს სიჭრელი ძლიერ ართულებდა და აბრკოლებდა სამეცნიერო თარგმანთა შესრულებას. ქართული ვნის გაწმენდა, მისი უფლებების აღდგენა ქვეყნის ეროვნული სახის შენარჩუნების ერთ-ერთ მნიშვნელოვან გზად ესახებოდათ ქართველ მწიგნობრებს. იმდროინდელ მოღვაწეთა ეს საერთო მისწრაფება კარგად ჩანს ვახტანგის მიერ თარგმნილ შრომებშიც, სადაც უმთავრესი ყურადღება ექცევა უცხო წარმოშობის სპეციფიკურ ტერმინთა ზუსტი ქართული ექვივალენტის მოძებნას.

დიდა ვახტანგის წვლილი ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის გამდიდრების საქმეში. მისი მუშაობა ამ მხრივ ნაკლებადაა წარმოჩენილი.

ვახტანგის მოღვაწეობის ამ კუთხით შესწავლა დიდად მნიშვნელოვანი და საჭირო საქმეა, როგორც უშუალოდ მისი მთარგმნელო-

შთი საქმიანობის ტენდენციებისა და საერთო ხასიათის, ისე ქართული მეცნიერული ტერმინოლოგიის განვითარების თვალსაზრისითაც. ვახტანგის მეცნიერულ თარგმანთა ლექსიკა-ტერმინოლოგიის დამუშავების საფუძველზე მის მიერ გამოყენებული სამეცნიერო ტერმინები ასე დავაჯგუფეთ:

1. ვახტანგის მიერ უცხო წყაროებიდან, უცხოენოვანი ტრადიციიდან უცვლელად შემოტანილი ტერმინები:

ა) აღმოსავლური

ბ) რუსული

გ) ლათინურ-ბერძნული

ამ ჯგუფში ყურადღება გავამახვილეთ აღმოსავლურ ტერმინებზე.

2. ტერმინები, რომელთაც ვახტანგი ქართულ შესატყვისებზე უძებნის და უმეტესად ქართულადვე განმარტავს მათ.

3. ვახტანგის მიერ გამოყენებული ქართული ორიგინალური ტერმინები.

თითოეულ ამ ჯგუფში ცალ-ცალკე გამოვყავით ვახტანგის მიერ ხმარებული ასტრონომიულ-ასტროლოგიური ტერმინოლოგია, ერთი მხრივ, და სამეცნიერო-ტექნიკური — მეორე მხრივ.

ასტრონომიულ-ასტროლოგიურ ტერმინებს განვიხილავთ ვახტანგის ამგვარი შინაარსის თარგმანთა მიხედვით („ზიჯი“, „სტროლაბი“, „ჰიდაათ ალ-ნუჯუმი“⁶⁶, „თალა მასალა“, „აიათი“); ასევე მის ორიგინალურ-ასტრონომიულ ნაშრომთა („კვკლოსი“, „ველთა“) ლექსიკასა და ზოგიერთ მის მიერ შესწორებულ მასალაზე დაყრდნობით; ტექნიკურ ტერმინოლოგიას — ძირითადად მისი „ქიმიის“ მიხედვით, სადაც წარმოდგენილია როგორც ორიგინალური, ვახტანგისეული, ისე თარგმნილი პარაგრაფებიც. საგანგებოდაა გამოყოფილი მათემატიკური ტერმინოლოგია.

ტექნიკურ-სამეცნიერო ტერმინთა უკეთ გაცნობას, ქართულ მწიგნობრულ ენაში მათი დამკვიდრებისა და გავრცელების გზების შესწავლის მიზნით „ქიმიის“ ტერმინოლოგიური მასალის პარალელურად გავეცანით ქართულ ენაზე არსებულ რამდენიმე უძველესი კარაზადინის ლექსიკას. ჩვენ ვხელმძღვანელობდით იმ მოსაზრებით, რომ მცენარეთა და მინერალთა არაქართული დასახელებების ხმარებას, რაც ასე უხვადაა წარმოდგენილი „ქიმიის“ ტექსტში, უნდა ჰქონოდა გარკვეული ტრადიცია. ისინი ძალზე ბევრია ძველ სამკურნალო წიგნებში, რომლებიც უაღრესად პოპულარული იყო საქართველოში და რომელთაგან ზოგიერთი სწორედ აღმოსავლურიდან თარგმნილადაა მიჩნეული.

66 შემდგომი: „პ. ნ.“.

ამ კარაბადინთაგან უპირველესად უნდა აღინიშნოს ვახტანგისეული „ცხენის კარაბადინი“ (ხელნ. ინსტ. ნუსხა Q 281). მასალის სპეციფიკის მიუხედავად, მასში მოტანილი უცხოენოვანი ტერმინები ყურადსაღებ მასალას იძლევა. მართალია, ისინი ტექსტში ძირითადად ქართულ განმარტებებთან ერთადაა მოცემული (უცხოენოვან ტერმინთა მხოლოდ მცირე ნაწილია მოტანილი ქართულ შესატყვისთა გარეშე) და არ არის ისეთი მრავალრიცხოვანი, როგორც მის მიერ ნათარგმნ სხვა ძეგლებში, მაგრამ მათი შესწავლა საინტერესოა სათარგმნი მასალისადმი ვახტანგის მიდგომის და საერთოდ, ამგვარი ტიპის ლექსიკის (აღმოსავლურენოვანი ტერმინოლოგიის) შესწავლის თვალსაზრისით.

ვახტანგი უშუალოდ იცნობდა რამდენიმე უძველესი კარაბადინის ლექსიკას: მაგალითად, ქანანელის „უსწორო კარაბადინის“⁶⁷ ლენინგრადის აღმ. მცოდნეობის ინსტიტუტში დაცული ნუსხა K 23. რომელიც საქართველოს სახ. მუზეუმის Z 26 ხელნაწერის პირს წარმოადგენს, გადაწერილია ვახტანგ VI-ის დროს მისივე დავალებით; მას კარაბადინის გამომცემელი ლ. კოტეტიშვილი „ვახტანგისეულს“ უწოდებს. ხელნაწერის ბოლოს გაკეთებულია წარწერა: „ჩვენ საქართველოს გამგებელ მან ბატონი შვილ მან პატრონ მან ვახტანგ დავაწერინეთ კარაბადინი ესე...“ (ხაზგასმა ჩვენია — თ. ა.). „კომისიამ“ რედაქცია გაუკეთა ძეგლს. რისი კვალიც ამჟამად ტექსტების შედარების დროს. პირდაპირი კავშირი აქვს ვახტანგს ზაზა ფანასკერტელის (XV ს.) სამედიცინო კარაბადინთანაც, რომელიც მან შინაარსობრივად გამართა, დაურთო შენიშვნები და სახმარ სამედიცინო წიგნად აქცია⁶⁸. ამ კარაბადინებთან ერთად შევიხსწავლეთ აგრეთვე „წიგნი სააქიმოჲ“⁶⁹ და „იადიგარ დაუდი“⁷⁰, რომ-

67 ნაშრომი უნდა ეკუთვნოდეს XIII საუკუნეს. ძეგლის ავტორი ქართველადა მიჩნეული. მან კარგად იცის ირანულ-არაბული, ასევე ბერძნული ტერმინოლოგია. ამ კარაბადინის შესახებ დაწერილებითი ცნობები იხ. ქანანელი, უსწორო კარაბადინი, ლ. კოტეტიშვილის გამოცემა, თბ., 1940. შესავალი.

68 ზ ა ზ ა ფ ა ნ ა ს კ ე რ ტ ე ლ ი - ც ე ც ი შ ვ ი ლ ი, სამკურნალო წიგნი, კარაბადინი, თბ., 1978 წ.

69 „წიგნი სააქიმოჲ“ ლ. კოტეტიშვილის თვალსაზრისით, არაბულადაა დაწერილი XII—XIII სს. იგი ითარგმნა XIII ს. დასაწყისში ზოჯაოფილის მიერ. „წიგნი სააქიმოჲ“, ლ. კოტეტიშვილი, მედიცინა ძველ საქართველოში, XIII ს. თბ., 1936 წ.

70. „იადიგარ დაუდი“ მეფე დავითის/დაუდხანის (1569—1578) შედგენილად ითვლება. მას ორი არაბული ან ირანული სამედიცინო კრებული შეუერთებია და ქართულად გადმოუცია. ნაშრომში ჰარბადაა არაბული ტერმინოლოგია; მასში თვალსაჩინოა ავტორის წვლილიც. „იადიგარ დაუდი“, მედიცინა ძველ საქართველოში, XVI ს., თბ., 1938 წ.

ლებშიც ჭარბადაა წარმოდგენილი აღმოსავლური ლექსიკა. ვახტანგისათვის ცნობილი უნდა ყოფილიყო ამ კრებულებში მოცემული აღმოსავლურენოვანი ტერმინების მნიშვნელობა, მათი ხმარების ტრადიცია.

ტერმინოლოგიური კვლევა-ძიება ვახტანგ VI-ის ლექსიკოგრაფიული საქმიანობის ერთ-ერთ უმთავრეს მიმართულებას წარმოადგენს. როგორც აღვნიშნეთ, იგი თავის თარგმნილ შრომათა უმეტესობას ურთავს უაღრესად საჭირო ლექსიკონებს; ამასთან, ვახტანგი აქტიურ და უშუალო მონაწილეობას იღებს სულხან-საბას სალექსიკონო მუშაობაშიც. ამაზე ჩვენ ზემოთაც მივუთითეთ. აქედან გამომდინარე, აუცილებლად ჩავთვალეთ საბას ლექსიკონის იმ ნუსხების შესწავლაც, რომლებთანაც ვახტანგს რაიმე კავშირი ჰქონდა (H 797, H 1429, H 1658, S 2498, A 75...). ყოველივე ამის საფუძველზე გამოიკვეთა ვახტანგის თავისებური მიდგომა უცხოენოვანი და ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიისადმი.

გადავიდეთ უშუალოდ ტერმინოლოგიური ჯგუფების დახასიათებაზე.

1. ვახტანგის მიერ უცხო წყაროებიდან, უცხოენოვანი ტრადიციიდან უცვლელად შემოტანილი ტერმინები.

სამეცნიერო თხზულებათა თარგმნისას ვახტანგის, როგორც მთარგმნელისა და განმანათლებლის მთავარი ამოცანაა მისცეს ქართველ მკითხველს მისაწვდომი, პრაქტიკულად ვარგისი და მისაღები თარგმანი, სადაც შეძლებისდაგვარად განმარტებული იქნება ყველა ამოსავალი ცნება, ყველა ტერმინს ექნება ზუსტი ქართული ექვივალენტი. ეს ტერმინი-ექვივალენტები ზუსტად ასახავენ შესაბამისი ცნების არსს და არიან მორიენტირებულნი ტერმინთა იმ სისტემაში, რომელსაც ქმნის ვახტანგი ძირითადად უცხოენოვან ტერმინთა ზუსტად თარგმნისა და პერიფრაზირების გზით. ამავე დროს ამგვარად მიღებული შესატყვისი ტერმინები ხშირად არ არიან მოტივირებულნი, ე. ი. არ მიანიშნებენ უშუალოდ მის შინაგან ფორმაზე, ძირითად შინაარსზე და საჭირო მიმართებას იძენენ მხოლოდ მთარგმნელისეული ახსნა-განმარტებების შემდეგ⁷¹.

ამგვარი მიდგომა განსაკუთრებით თვალსაჩინოა ასტრონომიულ-ასტროლოგიურ ტერმინთა თარგმნისას. როგორც აღვნიშნეთ, ვახტანგისდროინდელ საქართველოში სრულიად ჩამკვდარი იყო ასტრონომია, როგორც მეცნიერება; არ არსებობდა ამ დარგის ელემენ-

71 მორიენტირებელი და მოტივირებული ტერმინების შესახებ იხ. რ. ლაბაშიძე, ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის ძირითადი პრინციპები, თბ., 1986, გვ. 14, 15, 19...

ტარული საფუძვლებიც კი. ქართულ ასტრონომიულ ტერმინთა დიდი ნაწილი სრულიად დაკარგულიყო ან შეცვლილიყო უცხოენოვანი შესატყვისებით. ამაზე თვით ვახტანგიც მიუთითებს „ზიჯის“ ზემოთ მოტანილ ანდერძში. ამ პირობებში ვახტანგი ცდილობს შექმნას სახელმძღვანელოს ტიპის თარგმანები, რომლებიც ნაწილობრივ მაინც აღადგენდა პრაქტიკულ ჩვევებს, მისცემდა ქართველ მკითხველს გარკვეულ თეორიულ ცოდნას, რისთვისაც უნდა მოძებნილიყო შესაბამისი ენობრივი ფონი. მის მიერ თარგმნილ თხზულებათა სირთულის მიუხედავად, ისინი, როგორც ჩანს, წარმატებით ასრულებდნენ მათზე დაკისრებულ ამოცანას უპირველესად ვახტანგის მიერ სწორად შერჩეული ენობრივი ექვივალენტების, ასტრონომიულ ცნებათა ქართული კანონმდებლების, მისეული შენიშვნებისა და ჩანართების წყალობით. ერთი მხრივ ამ იკარგოებით და მეორე მხრივ, ქართულ მეცნიერულ ენაში უცხოენოვან ტერმინთა ხმარების ეპიზოდური ხასიათის გამო, ვახტანგის ასტრონომიულ თარგმანებში ძალზე ცოტაა ის არაქართული ტერმინოლოგია, რომელსაც ვახტანგი არც შესატყვისის უძებნის და არც განმარტავს ქართულად.

ნაწილობრივ განსხვავებულია მდგომარეობა ვახტანგის მიერ ტექნიკური ტერმინოლოგიის, მინერალთა და მცენარეთა დასახელებების გადმოქართულებისას. „ქიმიაში“ საკმაოდ ბევრია უცვლელად შემოტანილი უცხოენოვანი ტერმინი არა მარტო იმ პარაგრაფებში, რომლებიც არ-რაზის თხზულებას, ან სხვა წყაროებს მიჰყვება, არამედ მთელ ტექსტში. ამ ტერმინთა ხმარებას, როგორც ამას ქვემოთ არაერთგზის დავინახეთ, ჰქონდა ხანგრძლივი ტრადიცია და ვახტანგიც იყენებს მათ როგორც ჩვეულს, ენისათვის გათავისებულ ლექსიკურ ერთეულებს.

ვახტანგის მეცნიერული თარგმანები უმდიდრეს მასალას იძლევა მათში წარმოდგენილი ლექსიკა-ტერმინოლოგიის მხრივ. ჩვენ საინიშუმოდ შევვხებით მხოლოდ ზოგიერთ ისეთ ტერმინს, რომლებსაც ვახტანგი სისტემატურად იყენებს თარგმნისას დედნისეული მასალის შესაბამისად.

1. ბ უ რ ჯ თ ა ც ა

ტერმინი ბ უ რ ჯ ი დამკვიდრებულია მაშინდელ სალიტერატურო ენაში ე ტ ლ ი ს პარალელურად. მასზე ჩვენ დაწვრილებით შევჩერდებით ტერმინთა მეორე ჯგუფის განხილვისას. ბ უ რ ჯ ს ვახტანგი ძირითადად ე ტ ლ ი თ ცვლის, მაგრამ ამ სიტყვას ხშირად ვხვდებით მისსავე განმარტებებსა და შემოტანილ ცნებებში, რომლის ერთ-ერთი მაგალითია მოტანილი ერთეული — ბ უ რ ჯ თ ა ც ა. მას

ვახტანგი ხმარობს არაბული ძალაქულ ბურჯის (فلك البروج) შესატყვისად. თვით ულუბეგი მას ასე განმარტავს:

فلك البروج هي الدائرة التي ترسمها الشمس بسيرها من المغرب الى المشرق في سنة واحدة.

„ბურჯთა ცა არის წრე, რომელსაც შემოწერს მზე თავისი სვლის დროს დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ ერთ წელიწადში“ (21. — 617).⁷²

ეს არის ეკლიპტიკა, ანუ ცის სფეროს დიდი წრეწირი, რომელზედაც ცის სფეროს ზედაპირთან იკვეთება ეკლიპტიკის სიბრტყე. მაგრამ, რადგანაც მზის ცენტრი ცის სფეროზე ხილული მოძრაობისას ეკლიპტიკას მიჰყვება, ამ უკანასკნელს ხშირად განსაზღვრავენ როგორც „ცის სფეროს დიდ წრეწირს, რომელზედაც ხდება მზის ხილული წლიური მოძრაობა ვარსკვლავებს შორის“. სწორედ ამგვარი ულუბეგის ზემოთ მოტანილი განმარტება.

მზის ეს მოძრაობა ხდება „უძრავ ვარსკვლავთა ცაზე“, ანუ VIII ცაზე. ეს ცა არისტოტელეს, შემდეგ კი პტოლემეს მიხედვით უშუალოდ მიჰყვება პლანეტათა ცებს. ზოგიერთ ავტორთან, მაგალითად, მაიმონიდთან (1134—1205), იგი IX ცაა⁷³. ვახტანგის მითითებით ბურჯთა ცაზე „იარება 12 ეტილი“⁷⁴, მეტვე ცა „ეტლის ცა არის, რომ სულ დამტკიცებული ვარსკვლავი იმაზედ არის“ („იათი“, თ.). ამიტომაც იგი ბურჯთა (ეტლთა) ცა. თანამედროვე არაბულში მოცემულია ამ ტერმინის ასეთი ახსნა:

الفلك البروج هو كوكب مركزه العالم

„ბურჯთა ცა არის სფეროსებური სხეული, რომლის ცენტრი თანხდება სამყაროს ცენტრს“.

ეს ტერმინი შეიძლება ასეც განისაზღვროს: The sphere of the Fixed Stars (falzkal—bürudj), which is divided into the twelve-mansions of the Zodiacal signs.

ვახტანგის მიერ ნასწორებ ასტრონომიის სახელმძღვანელოში („თარგმანი და გამოცხადებანი ცისა და ქვეყნისა და ვარსკვლავისანი“

⁷² „ზიჯი“ გამოცემულია რამუნენიმე ხელნაწერის მიხედვით სელილოტის მიერ: Prolegomenes des tables astronomique d'Oloug-beg, publics avec notes et variantes et precedes d'une introduction. Paris. 1847. ჩვენ ვსარგებლობთ გ. მარის მიერ ამ გამოცემიდან მოტანილი ციტატებით. იხ. გ. მარის კ. დონდუა, ცდანი, გვ. 34.

⁷³ Rabbi Louis Jacobs, Jewish Cosmology; Ancient Cosmologies... გვ. 76.

⁷⁴ „ზიჯის“ ლექსიკონი. ვსარგებლობთ „ზიჯის“ ხელნაწ. ინსტ. ნუსხის S 161 ვრცელი ლექსიკონით („ვარსკვლავთმრიცხველობის საქმეების სახელები თათრულ“

მოსწავლეთათვის მშვენიერი“—Q 884:1) VIII ცა ასეა დახასიათებული: „მერვე ცა, რომელსა უწოდიან ლათინნი ფირმანეთოს და ქართველნი ცასა ვარსკვლავთასა ამას, რომელ მის სამკაული ყოველთა ცათა, რომელსა აქუს ვარსკვლავნი შიგ გაცემულნი და არა აქეს ძვრა (16r).

აღნიშნულ თარგმანებში („აიათი“, S 161, Q 884:1; „პ. ნ.“). უცხოენოვან წყაროთა შესაბამისად აისახება სამყაროს აგებულების შუა საუკუნეებისათვის ტრადიციული მოდელი, რომლის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია VIII ცა — უძრავ ვარსკვლავთა ცა — ბურჯთა ცა.

ბურჯს უცვლელად ხმარობს ვახტანგი მეორე შედგენილ ასტრონომიულ ტერმინშიც — „ბურჯი ზაიდი“ — ბურჯი ჯამადიდებელი („პ. ნ.“ ლექს.). ეს ტერმინი გულისხმობს ცთომილის იმ მდებარეობას, როდესაც იგი შუქს, ნათელს „იმატებს“ იმისდა მიხედვით, თუ რა მანძილზე იმყოფება იგი დედამიწიდან. „სტროლაბში“ ზაიდს (زائد — შობა) ვახტანგი სწორედ შუქმშობლით ^ს ცვლის (61v). ასეთივე მნიშვნელობით იხმარება ზაიდანურ ტერმინი „ზიჯში“, მხოლოდ აქ იგი ვარსკვლავებთან მიმართებაშია მოხმობილი. ვახტანგი მას ასე განმარტავს: „ზაიდანურ-შუქმეტი გინა შუქმშობელი. ვარსკვლავი რომ მიწას დაუახლოვდება, უფრო ნათელი გამოჩნდება“.

ამრიგად. ზაიდ (زائد) აღმოსავლურ ასტრონომიულ წყაროებში შედიოდა სხვადასხვა შედგენილი ტერმინის შემადგენლობაში და აღნიშნავდა „შუქის მომატებას“. ასევე განმარტება იგი ვახტანგთანაც.

როგორც ვნახეთ, ვახტანგი ბურჯს ხშირად ხმარობს შედგენილ ცნებათა განმარტებისას, თუმცა მას, როგორც ცალკე აღებულ ტერმინს, თითქმის ყველგან ეტლით ცვლის. ასევე ბევრგან ვხვდებით მის განმარტებებში შემდეგ აღმოსავლურ სიტყვებს: ფალაქი — არ.

فلك — ცა, დარაჯა არ. دراج — „მენაკი“, ვათადი — არ. اوج — სვეტი და სხვ. ეს ძირეული ასტრონომიული ტერმინებიც, როგორც დამოუკიდებელი ერთეულები, ყველგან შეცვლილია ქართული ეჭვივალენტებით.

ლისაგან ქართულად თარგმნილი მეფის ვახტანგისაგან“, აგრეთვე ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერის (M 12) სალექსიკონო შასა-ლით („შესწავლა სახელთა ვარსკვლავის ადგილებთა და ვარსკვლავთა და არაბთა და ინდთა ენათასა“; „პიდაათ აღ-ნუჯუმში“ (შემდგომი „პ. ნ.“) მოცემული განმარტებები კი მოგვეყვას ხელნაწერთა ინსტიტუტის ნუსხის Q 1493 მიხედვით.

2. თაყვიში/თაღვიში (არ. ۲۰۴ — ცხრილი, კალენდარი, აღმანახი) — „სადაობა“ („ზიჯის“ ლექსიკონი).

ამ ტერმინს არაბულში სხვა მნიშვნელობებთან ერთად აქვს „აღმანახის მნიშვნელობაც, სადაც მოცემულია ასტრონომიული და ასტროლოგიური წინასწარმეტყველებანი, აღნიშნულია „ავი“ და „ბედნიერი“ დღეები და ა. შ. „კალენდრის, სამკითხაო წიგნის“ მნიშვნელობით იხმარებოდა იგი ქართულშიც; მისი საშუალებით ხდებოდა მნათობთა და ვარსკვლავთა მდებარეობის მიხედვით ადამიანთა ბედის წინასწარმეტყველება.

„აბდულმესიაში“ ვკითხულობთ: „იკითხვენ, სწერენ თაყუმსა ხსჩრევენ, რამლს ჰკვრენ, არჩევენ ბედთა მათთაგან“⁷⁵.

აღნიშნულ ასტროლოგიურ ტერმინს ვხვდებით ვახტანგის თარგმანებშიც მერყევი ტრანსკრიპციით. „ზიჯში“ იგი ამ ტერმინს უცვლელად ხმარობს, ასევე „პ. ნ.“-სა და სხვა თარგმანებში. ლექსიკონებში კი თაღუმს ვახტანგი უძებნის პირდაპირ შესატყვისს — „სადაობა“ და განმარტავს: „წლითი-წლად გამოარჩევენ, რომელი მასკვლავი რას ეტლში არის...“ („ზიჯის“ ლექსიკონი); ან: „წლითი წლად გამოარჩევენ ვარსკვლავებსა ყოველ დღით რომელ ბურჯშია და იმ წელიწადს რაც მოხდება, ამაებს დასწერენ, იმას სპარსნი თაყვიმს ეტყვიან“.

აღნიშნულ ქართულ შესატყვის ტერმინს აქვს ხანგრძლივი ისტორია. „სადა“, „სადაობა“, როგორც ლექსიკური ერთეული, შეტანილია სულხან-საბას ლექსიკონის ყველა რედაქციაში: „...სადაობისა შესმენანი არიან განყოფილებსაებრ ადგილისა: ზემო, ქვემო, მარჯულ...“ „სადაობა“ ვახტანგთან უშუალოდ მნათობთა და ვარსკვლავთა მდებარეობას, ე. ი. წრიულ მოძრაობას უკავშირდება. მოტანილი ტერმინი ამავე მნიშვნელობით იხმარება იოანე დამასკელის „დიალექტიკის“ როგორც ეფრემ მცირის, ისე არსენ იყალთოელის თარგმანებში: „სადაობასა (შინა არს) მრგულივ ყვანებაჲ, რომელსაცა ეწოდების გარე-მოვლაჲ...“ (ეფრემი) თითქმის ამავე სახითაა წარმოდგენილი აღნიშნული ტერმინი არსენის თარგმანშიც: „მრგულივ-მოვლაჲ, რომელი ითქუმის გარემომვლელობად“. ტერმინი „სადაობა“, რითაც ვახტანგი განმარტავს მის თარგმანებში გამოყენებულ სპარსულ ლექსიკურ ერთეულს თაყვიმი (۲۰۴), გარკვეულად უკავშირდება „დიალექტიკის“ ქართულ თარგმანებს.

„სტროლაბში“ ამ ტერმინს ვახტანგი ყველგან უცვლელად ტოვებს: ზაგალითად, „მზე როგორც... დაგვიწერია, ისე ნახო; რამთონს

75 „ჩენი სოხჯე“, ტ. 2, გვ. 489, 17.

მენაკზე არის, უნდა თაღუმი გასინჯო... (5r და შემდეგ ყველაგან). აქვე („სტროლაბში“) არის მთელი კარი (II) — „თუ როგორ უნდა კითხვა თაღუმი სა“. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, იგი საერთოდ არაა ნასწორები ვახტანგის მიერ.

აქვე შევხებით ზოგიერთ იმ ასტრონომიულ ტერმინს, რომელთაც ვახტანგი ზოგჯერ უძებნის ქართულ შესატყვისის (ძირითადად ლექსიკონებში), ზოგჯერ კი უცვლელად ტოვებს. მაგალითად, მოჰყავს ტერმინი „სტროლაბში“ უცვლელადაა დატოვებული; „ზიჯის“ ლექსიკონში მის შესატყვისად მოცემულია „დაჭვრეტილი“. მოჰყავს — اقا — არაბული სიტყვაა და ნიშნავს: „მთვარის თვის ბოლოს; უმთვარო პერიოდს ძველსა და ახალ მთვარეს შორის“. როგორც ვხედავთ, ვახტანგი იძლევა ზუსტ და ამასთან მოსწორებულ შესატყვისის ლექსიკონში, თუმცა „სტროლაბში“ იგი არაა ამ შესატყვისით შეცვლილი.

ასეთი, უცვლელად ნახმარი უცხოენოვანი ტერმინი ბევრია ვახტანგისეულ განმარტებებში. მაგალითად, „პ. ნ.“-ის ლექსიკონში მოტანილ ტერმინ მუნსარიფის განმარტებაში ვკითხულობთ: „ეს ის არი, ვარსკულავი ყირანიდან თუ ნაზარიდან გასცილდება...“. აქ ვხვდებით ორ არაბულ ტერმინს ყირანი და ნაზარი. ყირანი (არ. ان ق) არის „კავშირი, შეერთება, მიახლოება“. ასტრონომიული შინაარსით იგი გულისხმობს ორი მნათობის შეერთებას ან დაახლოებას ერთ ზოდიაქოში, რაც ასტროლოგიაში ბედნიერების ან უბედურების მომასწავებლად აღიქმება. ვახტანგი მას უცვლელად ხმარობს. რაც შეეხება მეორე ტერმინს ნაზარი (არ. نظن), იგი ვახტანგის მიერ სტროლაბში „შეხედვადაა“ გასწორებული, რაც ვარსკვლავთა ურთიერთდაახლოებას გულისხმობს.

როგორც მოტანილი რამდენიმე მაგალითიდანაც ჩანს, ვახტანგი თუმცა პოულობს ასტრონომიულ ტერმინთა დიდი უმეტესობის ქართულ შესატყვისს, მაგრამ მათ განმარტებას ისევ აღმოსავლურენოვანი ტერმინებით უფრო ბუნებრივად მიიჩნევს: ცდილობს არ დაარღვიოს ცნების ზუსტი აზრი, მთლიანად ქართულ განმარტებებს კი შეეძლო გამოეწვია ასეთ სპეციფიურ ცნებათათვის არასასურველი პოლისემურობა. ამიტომაც ასე ჭარბად აღმოსავლური ლექსიკა ვახტანგისეულ განმარტებებში.

აქვე შევხებით ვახტანგის მიერ რამდენიმე უთარგმნელად გამოყენებულ ტერმინს მისი „ქიმიდან“⁷⁶.

76 „წიგნი ზეთების შეზავებისა და ქიმიისა ქმნის“, თბ., 1981.

ბუთა (სპ. *بوت*) — ოქრომკვდლის ხელსაწყო, თიხის ჭურჭელი ვერცხლის დასაღობად და დასახალასებლად. ტექსტში ვკითხულობთ: „რა მით შესველდეს, ამოიღე და ორამს საოქრომკვდლის ბუთაში ჩადე“⁷⁷. პირი დაუჭირე ბუთას მიწით“ (§ 84). ამ ტერმინს „ქიმიის“ ბევრგან ვხვდებით — §§ 116, 118, 120, 168... ბუთას ვახტანგი „ქილილა და დამანაშიც“ (436 და სხვ.⁷⁸) იყენებს, მას საბა ცვლის „ბრძმედი“ (497 და სხვ.⁷⁹).

ავანი/აჰვანი (სპ. *اوان*) — როდინი, ფილთაქვა.

ტექსტში ვხვდებით: „ავანიში დანაყე“, „ავანიში გალესე“, „მარმარილოს ავანი“... (§§ 84, 140, 204). მის პარალელურად ვახტანგი როდინსაც ხმარობს (მაგ. კაკლის როდინი) (§ 118), ასევე: §§ 71, 85, 139... ამავე მნიშვნელობით ავანი სხვა ქართულ ძეგლებშიც გვხვდება: მაგალითად, „იადიგარ დაუღში“⁸⁰ — 186,21; 418, 17; 418,8 და ა. შ. „უსწორო კარაბადინში“⁸¹ — 56,11. „უკ“-ს ლექსიკონში ავანი ერთი მხრივ არაბული *اوان* (ანია)-ს მრავლობითიდან — *اوانان* (ავანი) მომდინარედაა მიჩნეული და ამ შემთხვევაში მას აქვს „ჭურჭლების, ვაზების“ მნიშვნელობა, ხოლო მეორე შემთხვევაში სპარსული *اوان* (ჰავან)-იდან, რაც „როდინს“ ნიშნავს. დ. ჩუბინაშვილის ქართულ-რუსულ ლექსიკონში, რომლის ერთ-ერთ წყაროდ ავტორი ასახელებს ვახტანგის „ტექნოლოგიურ ქიმიას, დაწერილს ვახუშტის ხელით“, ავანი სპარსულ სიტყვადაა მიჩნეული და განმარტებულია როგორც „როდინი, ქვა“ — *супина*, სპარსული *اوان* („ჰავანაც) ფორმიდან⁸². ილ. აბულაძე მას სომხურ-ქართული საერთო ხმარების ირანულიდან მომდინარე სიტყვად თვლის⁸³.

ჰალი — (სპ. *حالي*) — გადნობა, ნაღობი

⁷⁷ აქ ოქროს აქსირზეა ლაპარაკი.

⁷⁸ ვგულისხმობთ ლენინგრადის აღმ/ მცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერს M 53.

⁷⁹ ვსარგებლობთ გამოცემით: სულხან-საბა ორბელიანი, თხზ. აღ. ბარამიძისა და ე. მეტრეველის რედაქციით, თბ., 1962, ტ. II, 112.

⁸⁰ შემდეგში: „ილ“.

⁸¹ შემდეგში „უკ“.

⁸² დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, სანქტ-პეტერბურგი, 1887 წ.

⁸³ ილ. აბულაძე, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX—X სს-ში, თბ., 1944, 0835. ამ ტერმინის შესახებ იხ. აგრეთვე: მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, თბ., 1966, გვ. 163.

ტექსტში ვკითხულობთ: „ოქროს ჰალის გაკეთება“ (§ 124); „ჰალი თუ როგორ უნდა, მარტო ის ეწერა“ (§ 128); „ბორა რომ წმინდად დანაყო ნამიანს სახლში ან სარდაფში დადგა, გადნება წყალსავეთ. მერმე რომ ჰელში ჩადგა ჰალი იქნას, აღარ გაჰყინავს. ნიშანდურის ზეთი რომ გამოხადო და მერმე ჰელში ჩადგა, ჰალი შეიქნას, აღარ გაჰყინავს (§. 116). უქანასკნელ მაგალითში ერთად ვხვდებით ორი სხვადასხვა მნიშვნელობის სიტყვას — ჰალს და ჰელს. ჰელი არის სპეციალური დანიშნულების ღრმა ორმო, რომელსაც ვახტანგი თვითონ განმარტავს. მასზე ქვემოთ შევჩერდებით, ტერმინთა მეორე ჯგუფის განხილვისას. ხოლო რაც შეეხება ჰალს, იგი გამოცემის ლექსიკონში არ არის ახსნილი, კითხვის ნიშნითაა გატანილი. حل (ჰალ) არაბული სიტყვაა და ნიშნავს „გაღნობას, გახსნას“. ტერმინის ეს მნიშვნელობა სავესტით ესადაგება მოყვანილ კონტექსტებს, რომლებიც ასე უნდა გავიგოთ: „ოქროს ნაღნობის გაკეთება“, „გაღნობა თუ როგორ უნდა, მარტო ის ეწერა“, „ბორა რომ წმინდად დანაყო, ნამიანს წყალში ან სარდაფში დადგა, გადნება წყალსავეთ. მერმე რომ ორმოში (თერმოსტატში) ჩადგა, გამდნარი იქნას, აღარ გაჰყინავს“ — და ა. შ.

ყურსი (არ. — სპ. قرس) — აბი, კვერი

ვახტანგი „ქიმიაში“ ხან აღმოსავლურ სიტყვას ხმარობს, ხან მის ქართულ შესატყვისს (მაგ. §§ 62, 211, 237, 269...), მაგრამ უფრო ხშირად ვხვდებით ყურსს — „გამხმარი ყურსი“ (§ 89), „ყურსის შექმნა“ (§ 168), „წითელი ყურსი“ (§ 15), აგრეთვე: §§ 108, 110, 132 და სხვ. ქართველი მკითხველისათვის გასაგები იყო ამ ცნების ორივე ენობრივი ექვივალენტი — როგორც ქართული, ისე აღმოსავლური და ამდენად ვახტანგისათვისაც მისაღები.

ყურსი კანონზომიერად იხმარებოდა ქართულში, — მაგალითად, ძველ კარაბადინებში: „უკ“-ში არის სპეციალური „კარი ყურსებისა“ (70—73). აქ მოცემულია მრავალგვარი სამკურნალო აბის, ტაბლეტის დამზადების წესი, მათ შორის შემდეგი აბების: ყურსი ალილა (17,3), ყურსი აფიონი (73, 36); ყურსი ბანავშა (72,31), ყურსი ბუზურგ (72,4) და სხვა მრავალი. გვხვდება ყურსი მრავლობითის ფორმითაც — აკრას (اقراس 136,35). ყურჩი „იღ“-შიც იხმარება. (586,5, 466,21; 428,28) და ა. შ.), სულხან-საბას ლექსიკონში კუერი განმარტებულია როგორც: „პური მგრგვალი“ (H 1429...), „შეზელილი გამხმარი“ (S 2498), „შაქარი და რაიც მობრტყელ შექმნა“ (H 1429, H 1658). ლექსიკონის S 2498 ნუსხაში კვერის გასწვრივ მიწერილია მისი „უცხო მნიშვნელობა“ —

ყურს⁸⁴. ყურსი ვახტანგს არ შეაქვს ლექსიკონის ქართულ ლექსიკონში, თუმცა მას არაერთი სიტყვა ჩაურთავს საბას ლექსიკონის ნუსხებში (მათ შორის ზემოხსენებულ ნუსხაშიც) დამატების სახით. როგორც ჩანს, მისთვის გარკვეული იყო ქართული ტერმინის მიზანშეწონილობა, თუმცა, ისევე, როგორც სხვა ძველებში, მაგალითად, კარაბადინებში, ვახტანგის „ქიმიამიც“ შეიმჩნევა ამ ტერმინის არაერთგვაროვანი ხმარება.

განსაკუთრებით გვინდა გამოვყოთ სპარსულ-არაბული სიტყვა ტაბარზადი (თაბარზადი (ასევე: ტაბარზათი, ტაბარაზი, თაბრაზადი და სხვ.) (სპარს.-არ. *طبرزد/تبرزد*). მას ჯერ კიდევ „ვისრამიანი“ ვხვდებით: „რომელსაცა ლუიძლსა გველმან უცესს, მას ტაბარაზისა უფრო თერიაყი დაშუენდების“⁸⁵. „ვისრამიანის“ ლექსიკონში იგი განმარტებულია როგორც „თეთრი შაქარი“. ამ ტერმინს ბევრგან ვხვდებით ამავე მნიშვნელობით კარაბადინებში: „უკ“ — „შაქარი თეთრი ტაბარზათი“ (72,35). ამ კარაბადინის ლექსიკონში იგი ასეა ახსნილი: „უნდა იყოს რაფინირებული თეთრი შაქარი (Sacharum Album)“; „წს“-ში—96, 13, 103, 12... იგი აქაც განმარტებულია როგორც „თეთრი შაქარი“.

სულხან-საბას ლექსიკონის იმ ნუსხებში, რომლებთანაც ვახტანგს გარკვეული კავშირი აქვს, ტაბარზადი ასე განიმარტება: „ტაბარზადი შაქარია მყინვარი-ნაბათი“ (H 797,8); „შაქარია ერთი რიგი (A 75,161). S 2494-ში კი აშიაზე ტაბარზადის გასწვრივ გაკეთებულია ასეთი მინაწერი: „კარაბადინში: შაქარი ტაბარზადი შეასვა, შაქრითა ტაბარზადითა... (121r).

სპარსულ-არაბული *طبرزد/تبرزد* არის „თეთრი შაქარიც“ და „ქვამარილიც“. ზემოთ მოყვანილ შემთხვევაში ტაბარზადი ყველგან შაქრის განსაკუთრებული სახეობის, ძირითადად „თეთრი შაქრის“ აღმნიშვნელად იხმარება. „ქიმიამიც“ ვხვდებით ამ ძველთაგანვე გავრცელებულ ტერმინს, აქ იგი მარილთან მიმართებაშია მოხმობილი: „მარილი თაბრაზანდი წმინდა თეთრია. ამისი ნატეხი მაგარია, ბრწყინვალე“ (§ 168); „მარილი 11 არის: მარილი ტკბილი, მარილი მწარე, მარილი თაბარზად...“ (§ 167) როგორც ვხვდავთ, თაბარზადი/თაბრაზანდი ამ შემთხვევაშიც (პირველ მაგალითში) „სითეთრის, გამკვირვალების“ აღმნიშვნელია. ამრიგად, თაბ-

⁸⁴ როგორც ცნობილია, სულხან-საბას ლექსიკონის მთელი რიგი ნუსხები ორ ან სამეწივედ არის დატვირთული. მათში ქართულ ტერმინთან ერთად მოცემულია არაბულ-სპარსული, თურქული, სომხური, ზოგიერთ მათგანში იტალიური, ...შესატყვისები. ამის შესახებ იხ. ც. აბულაძე. სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის სიტყვანის თურქული თარგმანება, თბ., 1968, შესავალი.

⁸⁵ „ვისრამიანი“, თბ., 1962, 211,7.

ბ ა რ ზ ა დ ი / ტ ა ბ ა რ ზ ა დ ი იხმარებოდა არა მარტო შაქართან მიმართებით მისი სითეთრის, გამჭვირვალების აღმნიშვნელად, არამედ ამავე აზრით გვხვდება მარილთან დაკავშირებითაც, როგორც „ქვა-მარილი“.

როგორც აღვნიშნეთ, „ქიმიავში“ ძალზე ხშირია მინერალთა და მცენარეთა აღმოსავლური სახელწოდებების ხმარება. სანიმუშოდ მოვიტანთ თითო-თითო ტერმინს:

მ უ რ დ ა ს ა ნ გ ი (სპ. *سندس*) — „მკვლარი ქვა“, ტყვიის ქანგი — *Plumbum Oxydatum*.

„ქიმიავში“ ვკითხულობთ: „მოიტანე ოთხი წონა სპილენძი, ბრტყლად გაწეული... სპილენძის მეთერთმეტედი მურდასანგი. გოგირდი და მურდასანგი ერთად დანაყე...“ (§ 58); აგრეთვე: „მურადსანგი ყვითელი“ (§ 62), მურდასანგს ხშირად ვხვდებით „წიგნი საქიმო⁸⁶“-ში (47,28; 54,42; 376,26...), „უქ“-ში (240,35; 371,30; 376,26...), „ილ“-ში (440,4; 534,28; 619,6), „ცხენის კარაბადინ-ში“ (660); როგორც ჩანს, ეს სპარსული კომპოზიტი კანონზომიერად იხმარებოდა ქართულში „ტყვიის ქანგის“ შესატყვისად.

ასევე უცვლელად ხმარობს ვახტანგი მინერალთა შემდეგ აღმოსავლურ სახელწოდებებს: ჯ ა ს ი ნ (*جاسين* ქაჯი, ქვა) (§ 167), ნ ა პ ს (*نابس* — სპილენძი) (§ 167), მ ა ფ რ ა ყ (*مفرغ* ბრინჯაო) (168).

„ქიმიავში“ განსაკუთრებით მრავლადაა მცენარეთა აღმოსავლური სახელწოდებები. ვახტანგის ამ ნაშრომში, ასევე ძველ კარაბადინებში, ვხვდებით საბრს „ალოეს“ მნიშვნელობით: „შავი საბრი (§ 2), „წითელი საბრი“ (§ 36). ამ მცენარის სწორედ არაბული სახელი (*صبر*) იყო და დღესაც დამკვიდრებულია ქართულში. ვახტანგი მას „ცხენის კარაბადინშიც“ იყენებს (653,657...), „წს“-ში: არის: „საბრი ყუტრი“ (54,24), საბრი ჰაბი (588,15); „ილ“-ში: საბრი ჰაბი (515,8), საბრი უსყური (217,11; 534,6); ასევე 280,31; 411,27; 534,35. ამავე კარაბადინში არის უ დ ი ც (სპ. *عوج*)⁸⁷, (118,32; 247,17...). რაფ. ერისთავის რედაქტორობით გამოცემულ სულხან-საბას ლექსიკონში საბრი განმარტებულია როგორც აზუა, სქოლიოში კი რედაქტორის შენიშვნაა: საბრი — არაბული და აზუა — თათრული და სპარსული⁸⁸.

⁸⁶ შემდეგში „წს“.

⁸⁷ უ დ ი არის ალორძინების ხანის ლიტერატურულ ძეგლებში: „რუსულდანიანში“ (ილ. აბულაძე და ივ. გიგინეიშვი. რედ. 1957), „შვილ მთიებში“ („შვილი მთიები“, თბ., 1930; 1324).

⁸⁸ ქართული ლექსიკონი შედგენილი სულხან-საბა ორბელიანისაგან, გამოცემული რაფ. დ. ერისთავის რედაქტორობით, თბ., 1884 წ.

ასევე სპარსულ-არაბულში „ქიმიიაში“ მოტანილი ზოგიერთი სხვა მცენარის სახელწოდება: ჯავზი (სპ. — არაბ. جوز), — კაკალი, ხარდალი (სპ. خردل) — მდოგვი, შაბმალილა (სპ. شابليل) ბადიანა (სპ. باديان) — კამა, ლილიფარი (სპ. ليلوفر) — მცენარე ნინოფი, შადანაჯ (სპ. آس آس) — ერთგვარი მცენარე, ანზალი. (انزل) გოგრა... ყველა ამ საკუთარ სახელს დაეძებნა პარალელები ძველ კარაბადინებში, ბევრ მათგანს (ბადიანა, ჯავზი...) — „ცხენის კარაბადინშიც“. სწორედ ამ კარაბადინებიდან მომდინარეობდა ამ მცენარეთა ფართო პრაქტიკული გამოყენებისა და მათი აღმოსავლურ დასახელებათა ხმარების ტრადიცია.

„ქიმიიაში“ ბევრია რუსული ტერმინიც, ზოგიერთი აშკარად რუსული გახმოვანებით: აღლინცკის კალა, ჩაშათირი, ფივის თხლე, ბოლოტის წყალი, კოპიკი, რუმკა, ოტკა (ხსნარის მნიშვნელობით), რუბინი, ჩარკა, ბოჭკა, პოროშოკი, ყარანდაში. ეს რუსული ლექსიკა ვახტანგის ნაშრომში გაჩნდა რუსული წყაროების გავლენით, რომელთაც იგი იყენებდა. „ქიმიის“ შედგენა ვახტანგმა დაასრულა რუსეთში ყოფნისას.

ვახტანგის მიერ უთარგმნელად ხმარებულ ტერმინთა ჯგუფში შედის ძველში უხვად მოხმობილი ლათინურ-ბერძნული ტერმინები. გვინდა გამოვყოთ რამდენიმე მათგანი, რომელნიც ერთგვარადაა ნაწარმოები: ანიმაზოლი, ანიმალუნეი, ანიმამარტი. ანიმაზოლსა და ანიმალუნეის ვახტანგი განმარტავს როგორც „ოქროს სულსა“ (§ 222) და „ვერცხლის სულს“ (§ 222). ეს განმარტება არ არის ამომწურავი. ტექსტში ვხვდებით „ოქროს სულსაც“ (§ 137), სადაც იგულისხმება „ხალასი ოქრო“, ასევე § 138, 225-ში. ნათელია, რომ „ოქროსა“ და „ვერცხლის სულს“ ქვეშ იგულისხმება, „წმინდა, ხალასი ოქრო და ვერცხლი“. ამ ლათინურ ტერმინთა პირველი ნაწილი არის anima (სული), ზოლი (სოლი) მომდინარეობს solis სიტყვიდან, რაც მზეს ნიშნავს და ოქროს უკავშირდება, ლუნაკი (luna) — მთვარეს, რაც ვერცხლზე მიგვანიშნებს. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ნივთიერებათა აღმნიშვნელი ცნებების შექმნასთან მათი რეფერენციით გარეგანი თვისებების მიხედვით. ასევეა ნაწარმოები ანიმამარტი (ანიმამარტიხ ბოლი — § 225) იგი განმარტება, როგორც რკინის, ლითონის ბოლი⁸⁹.

⁸⁹ ანიმამარტი გამოცემის ლექსიკონში არ არის ახსნილი. იგი ისევე იშლება, როგორც ზემოთ განილული ტერმინები, — ანიმა+მარტი. მარტი/მარსი არის

უახტანგის ნაშრომში უცხოენოვან წყაროთა კვალად აირეკლა ამ-
ვეარ ლათინურ ტერმინთა ხმარების ტრადიცია.

ძეგლში ბევრია სხვა ლათინური ტერმინებიც: აკატრი, აკორე-
ისი *Agua Regia* — „სამეფო წყალი“ (აზოტმთავასა და მარილ-
მკავეის ნაერთი), ელექსირი, ალექვიტერმიუს („ამბრის
ოტკა“ — ვახტანგი), ანთიმონიუმი (ანტიმონიუმი), ანისული
(მცენარე), ანთრაკი (ნახშირი), ზალი (მარილი), იაკინთი,
როზმარინი, მალნეზი და სხვ. ვახტანგი, ხელმძღვანელობდა
ლათინურ-ბერძნული წყაროებითაც.

როგორც აღვნიშნეთ, „ქიმიასი“ ძალზე ბევრია უცხო წარმოშო-
ვის ტერმინი როგორც თარგმნილ, ისე ორიგინალურ, ვახტანგისე-
ულ ჰარაგრაფებში. ჩვენ მოვიხმეთ ამ მასალის მხოლოდ ერთი ნაწი-
ლი, განსაკუთრებით გამოყავით აღმოსავლურენოვანი ტერმინები.
თითქმის ყველა ტერმინს, ძირითადად მცენარეთა და მინერალთა სა-
ზღვროდებებს, დაეძებნა პარალელები ძველ კარაბადინებში. მათ ხმა-
რებას ქართულ მწიგნობრულ ენაში ჰქონდა თავისი ხანგრძლივი და
მყარი ტრადიცია.

აქვე უნდა აღვნიშნოს ერთი საყურადღებო გარემოებაც. ვახტან-
გის თარგმნილი ძეგლების პარალელურად შევისწავლეთ მის ორიგი-
ნალურ ასტრონომიულ ნაშრომთა ლექსიკაც; აქ თითქმის ვერ ვხვდე-
ბით უცხოენოვან ტერმინებს. მართალია, ეს შრომები თემატურად იან-
სხვადდება თარგმნილი თხზულებებისაგან, მათში არ იყო საჭირო ზო-
გადასტრონომიული ცნებების, სპეციფიური დიფერენცირებული ას-
ტრონომიულ-ასტროლოგიური ტერმინოლოგიის გამოყენება, მაგრამ
დღივი ენობრივი განსხვავება ვახტანგის თარგმნილ და ორიგინალურ
შრომებს შორის მაინც ნიშანდობლივია; ვახტანგი იცავდა მაქსიმა-
ლურ სიახლოვეს დედანთან და სწორედ ეს განაპირობებს აღნიშნულ
განსხვავებას ენობრივი თვალსაზრისით.

2. ტერმინები, რომელთაც ვახტანგი ქართულ შესატყვისს უძებ-
ნის და უმეტესად ქართულადვე განმარტავს.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ვახტანგის „ქიმიასი“ სქარბობს ის ლე-
ქსიკური მასალა, რომელიც ტერმინთა უკვე განხილულ I ჯგუფს მი-
ეკუთვნება. ასტრონომიულ-ასტროლოგიურ თარგმანებში კი უმრავ-
ლესობა II ჯგუფიდანაა, ე. ი. მათთვის ძირითადად მოქმენილია ქარ-
თული ექვივალენტები, ამასთან მოცემულია ტერმინთა განმარტებაც.
ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ „ქიმიასი“ გამოყენებული უცხო-
ენოვანი (აღმოსავლური) ტერმინოლოგიური მასალა დამკვიდრებუ-

ლათინური *marz*, რაც რკინას აღნიშნავს. ამ ტერმინების შესახებ იხ. *Гагунава*

ლი იყო ქართულში, ასტრონომიულ-ასტროლოგიურ ტერმინთა შემოტანა კი ძირითადად თვითონ მოუხდა ვახტანგს; მათი შესატყვისები ქართულში თითქმის არ არსებობდა იმ დროისათვის, განსაკუთრებით კი ის დიფერენცირებული ცნებები, რომლებიც ასე მრავლადაა ვახტანგის თარგმანთა დედნისეულ თხზულებებში. ასტრონომიულ-ასტროლოგიურ ტერმინთა ქართული შესატყვისები თითქმის ყველგანაა მოცემული ვახტანგის მიერ ზოგჯერ ტექსტშივე შესწორებასა და თუ ჩამატებაში, უმეტესად კი, თუ ისინი ტექსტში უცვლელადაა დატოვებული, თარგმანზე დართულ სპეციალურ ლექსიკონებში, სადაც ვახტანგი იძლევა ამ ტერმინის არა მარტო პირდაპირ შესატყვისს, არამედ მის განმარტებასაც. როგორც აღვნიშნეთ, სრულიად განსაკუთრებულია ამ მხრივ „აიათის“ ტერმინოლოგია. ზოგიერთ ტერმინს ჩვენ დაწვრილებით შევვებით ვახტანგის მიერ თარგმანებში მოხმობილი ქართული ტერმინოლოგიური მასალის დახასიათებისას.

განვიხილოთ ზოგიერთი ასტრონომიულ-ასტროლოგიური ტერმინი II ჯგუფიდან.

დ ა რ ა ჯ ა (არ. درجات-درجہ — ხარისხი, გრადუსი, ნაწილი...) „მენაკი“ („ზიჯისა“ და „პ. ნ.“ ლექსიკონები).

„ზიჯის“ ვრცელ ლექსიკონში დ ა რ ა ჯ ა ასე განიმარტება: „მენაკი გინა ხარისხი: ცა გაუყვიათ, ერთის წილისათვის მენაკი დაურქმევიათ“.

ულუღბეგის მიხედვით:

فلك البروج مقسوم اثنى عشر قسما و هي البروج... وطول كل برج منها ثلاثون درجة وكل درجة ستون دقيقة وكل دقيقة ستون ثانية وكل ثانية ستون ثالثة⁹⁰ (21. — 216)

„ბურჯთა ცა... გაყოფილია 12 ნაწილად და ეს არის ბურჯი... და თითოეული ბურჯის შემოწერილობა არის 30 დ ა რ ა ჯ ა (და) ყოველი დ ა რ ა ჯ ა არის 60 დაყიყი (და) ყოველი დაყიყი არის 60 სანია, (და) ყოველი სანია არის 60 სალისა“.

ამ განმარტებაში არაბულ დ ა რ ა ჯ ა ს ქართული მ ე ნ ა კ ი შესატყვისება, დაყიყას — წუთი, სანიას — წამი, სალისას — კესი/კესრი⁹¹.

ნაღინოს მიერ გამოცემული ალ-ბატანის შრომაზე დართულ ლექსიკონში დ ა რ ა ჯ ა განიმარტება როგორც gradus circuli (რკალური გრადუსი).

⁹⁰ გ. მარი, კ. დონდუჯ, ცდანი, გვ. 34.

⁹¹ კესი — წამის მესამოცედი ნაწილი (საბა).

ამ ტერმინს რამოდენიმეჯერ „აიათშიც“ ვხვდებით. „თალა მასალაში“ იგი არსად არ არის შეცვლილი ქართული შესატყვისით. „სტროლაბში“ ვახტანგი დარაჯას ყველგან ქართული შესატყვისით ცვლის. მაგ.: „... ნახე რომელს ეტლის⁹² მენაკშია. ის მენაკი, რომელიც ქვეყანა გინდოდეს, იმის განი მოსძებნე... შხი: მენაკი აღმოსვლის ხაზზე შემოსწიე, ნახე მაჩვენებელს რამთონი მენაკი გაუვლია“ (17r). მოტანილ კონტექსტში ყველგან დარაჯა იყო, მას ვახტანგი ცვლის მენაკით.

არაბული ტერმინის დარაჯას ქართულ შესატყვისს (მენაკს) ჩვენ კიდევ დაუბრუნდებით ტერმინთა III ჯგუფის განხილვისას.

დარაჯას სხვა ძეგლებშიც ვხვდებით: მაგალითად, XII ს-ის ხსენებულ ასტროლოგიურ თხზულებაში „ეტლთა და შვდთა მნათობთათჳს“ ვკითხულობთ: „თუითო დარაჯაჲ სამოცი დაყყაჲ არს (1,7); ასევე: 2,4; 11,8 და სხვ. ეს არაბული ტერმინი ვახტანგამდე გაცილებით ადრე იყო დამკვიდრებული ქართულ მწიგნობრულ ენაში სხვა აღმოსავლურენოვან სპეციფიურ ასტრონომიულ-ასტროლოგიურ ტერმინთა შორის.

ასტრონომიულ თარგმანთაგან განსხვავებით, დარაჯას ვახტანგი „ქილილა და დამანაში“ უცვლელად ხმარობს „ნაწილის“ მნიშვნელობით, მაგალითად: „მთვარე ახალი თოთხმეტი დღის მოარულობით გალუელი სიმგურგლეობის დარაჯაზე მივა“ (61)⁹³. ასევე: 118,619 და ა. შ.

მეცნიერულ ცნებებსა და ტერმინებს, მათი ქართული ექვივალენტების მოძებნას ვახტანგი უფრო მეტ ყურადღებას უთმობს მეცნიერულ, ვიდრე მხატვრულ თარგმანებში, ე. ი. იქ, სადაც მათ ტერმინოლოგიური მნიშვნელობა აქვთ:

ბურჯი — (არ. جرج — جرج) — „ზოდია გინა ეტლი“ („ზიჯის“ ლექსიკონი).

ამ ასტროლოგიურ ტერმინს ჯერ კიდევ ბიბლიურ წიგნებში ვხვდებით: „ტყუბისა ბურჯი ოტერიდისა სახლი არის“ (A 65,365)⁹⁴. იგი ეტლის მნიშვნელობითაა ნახმარი XII ს-ის ხსენებულ თხზულებაში. „ესე ბურჯი (ლომისაჲ) ქრისტიანეთაჲ არს“ (5,8); ასევე: 8,9; 12,12. იგი მყარადაა დამკვიდრებული აღორძინების ხანის სალიტერატურო ენაშიც ეტლის პარალელურად: მაგალითად, თეიმურაზის „ლეილმაჯნუნიანში“ ვკითხულობთ: „ეტლები რომელს ბურჯზე დვას, ქნიან ამისი ცილობა“⁹⁵.

⁹² თავდაპირველად იყო „ბურჯის“.

⁹³ ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერი. M 53.

⁹⁴ ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.

⁹⁵ „ჩვენა საუწყე“, ტ. IV, თბ., 1960, გვ. 25.

ბ უ რ ჯ ი ასტროლოგიური ტერმინია; ცთომილთა ბურჯებში განლაგება, მათი ურთიერთდამოკიდებულების განსაზღვრა საფუძვლად უდევს ასტროლოგიური განგების ცნებას.

ეს ტერმინი ქართულში არაბულიდან გავრცელდა. იგი ბერძნულ-რომაული სამყაროდან მოდის; მას უკავშირებენ ლათინურ *burgus* (წოლდევე), ბერძნულ, *πύργος* (რეიდიფენი, ფრეიტაგი)⁹⁶. ვერსა ლექსიკონში იგი განიმარტება, როგორც *scigne of the Zodiac*⁹⁷. სულსულხან-საბას განმარტებით, ბ უ რ ჯ ი „სხუათა ენაა ქამთავან მოსული, ვარსკულავთა ათორმეტთა ზოდიათა უწოდებენ“ (Z).

ვახტანგი თავის ასტრონომიულ თარგმანებში ბ უ რ ჯ ს ძირითადად ე ტ ლ ი თ ცვლის. გამონაკლისს წარმოადგენს „თალა მასალა“, სადაც ეს ტერმინი ყველგან უცვლელადაა მოტანილი. საბა ე ტ ლ ს ასე განმარტავს: „ე ტ ლ ა დ აღუწერიათ 12 ზოდიათი და შვდნი ცთომილნი ვარსკვლავ(ნი)ცა (ZA). „სტროლაბში“ ეს ერთეული ყველგან ქართული შესატყვისითაა შეცვლილი. მაგ.: „თუ შობის დღე მოახლოებული არის, მესამე ბ უ რ ჯ ი (ვახტანგი ასწორებს: „ე ტ ლ ი“) აღმოსვლად იქნების...“ (136r); ასევე 17r, 65v და ა. შ. მთელს ტექსტში. სხვა თარგმანებში („ზიჯი“, „პ. ნ.“) იგი განიმარტება როგორც „ზოდია. ე ტ ლ ი“.

როგორც აღვნიშნეთ, ამ არაბულ ტერმინს ხშირად ვხვდებით ვახტანგისეულ განმარტებებში უცვლელად, თუმცა იგი როგორც ცალკე ერთეული ყველგან ქართული შესატყვისითაა შეცვლილი.

მხატვრულ თარგმანებში ვახტანგი ამ ტერმინს ხშირად უცვლელად ხმარობს: მას არაერთხელ ვხვდებით „ქილილა და დამანაში“; „კუროს ბ უ რ ჯ ს ციღამ მოიტაცებდა...“ (56); „... ზოპარსა და მუმთარსავის ერთს ბ უ რ ჯ შ ი შეიყრებოდნენ“ (104) და სხვ. ასევე „ამირნასარიანში“ (გალექსილში): „მთვარე წყლის ბ უ რ ჯ შ ი შევიდა, ღვარი ასტეხა ცვრეული“ (91,145)⁹⁸.

დედნისეული მასალის სპეციფიკის მიხედვით ვახტანგის მიდგომა უცხო წარმოშობის ლექსიკონადმი ხშირად არაერთგვაროვანია. მეცნიერულ თარგმანებში იგი ცდილობს ყველა აღმოსავლურ ტერმინს ჰქონდეს ზუსტი ქართული შესატყვისი, რაც მკიდროდ უკავშირდება ვახტანგის ეროვნულ და პრაქტიკულ-საგანმანათლებლო მისწრაფებებს. აღმოსავლურ მხატვრულ თხზულებათა თარგმნისას კი, სადაც ასტრონომია-ასტროლოგია მხატვრული ქსოვილის ერთ მნიშვნელო-

96 მ. ნე დ ო ს პ ა ს ო ვ ა, უცხო წარმოშობის ლექსიკა არაბულ ოთხთავში, თბ., 1978, გვ. 11.

97 H. Wehr. A dictionary of Modern Written Arabic. London, 1875.

98 ვახტანგ VI, ლექსები და პოემები, ილ. ბარამიძის რედაქციით, თბ., 1975.

უან კომპონენტად გვევლინება ავტორისეული მსოფლმხედველობისა და შედარება-მეტაფორათა სახით, ვახტანგი არცთუ იშვიათად იგივე ტერმინებს უცვლელად ხმარობს. მხატვრულ ნაწარმოებში ასეთ (ასტრონომიულ-ასტროლოგიური მნიშვნელობის) ლექსიკურ ერთეულთა სპეციფიური ტერმინოლოგიური გაგება უკანა პლანზე იწევს და წარმოჩნდება მათი, როგორც მხატვრულ სახეთა ბუნება. ამ პრინციპით განარჩევს მათ ვახტანგიც და მეტ ყურადღებას უთმობს ამ ერთეულებს, როგორც მეცნიერულ ტერმინებს.

მ ა ნ ზ ი ლ ი (არ. *كوكب* — ბინა, სადგომი...), მ თ უ ყ ი მ ი (არ. *كوكب* — ადგილი, მდებარეობა...), ზ ა მ ი რ ი (არ. *كوكب* — ადგილი).

ასტროლოგიაში ყოველ ცთომილს, რომელიც მოხეტიალეა თავისი ბუხებით (*planetes* ნაწარმოებია ბერძნული სიტყვიდან *πλανητης*, *ητας* — მოხეტიალე, მოგზაური), აქვს თავისი სახლი (სავანე, სადგომი), რაც უკავშირდება ძველ წარმოდგენებს სამყაროს თავდაპირველი უძრაობის შესახებ. ეს ცთომილთა პირველადი სადგომებია, სადაც ისინი იყვნენ დაეანებულნი საყოველთაო მოძრაობის დაწყებამდე. სწორედ ამ კერებში გამოვლინდება მაქსიმალურად მნათობთა კეთილი თუ ბოროტი თვისებები⁹⁹.

არაბულ ასტრონომიაში პლანეტათა სადგომებს ჩამოთვლილი ტერმინებით აღნიშნავენ. ამ ტერმინებს სისტემატურად ვხვდებით ვახტანგის ასტრონომიულ თარგმანებში, თუმცა იგი თითქმის ყოველთვის ცვლის მათ ქართული შესატყვისებით.

„ზიჯის“ ლექსიკონში „ზამირის ასეთი ახსნაა მოცემული: „ადგილი. ასეა რაც კაცს უკითხავს. ის, რასაც სახლიდამ თუ ეტლიდამ შეიტყობა, იმ ადგილსა ჰქვიან“. „თალა მასალაში“ ზამირი პირდაპირაა მოტანილი (21r).

მ ა ყ ა მ ს ი მ ა ვ ე („ზიჯის“) ლექსიკონში ვახტანგი ასე განმარტავს: „დასადგომი ერთია. რაჯაზე¹⁰¹, მისლვასა თუ გამოსვლაში ერთს ხანს დადგება. საცა დადგება, იმას ეტყვიან“. ნაღონოსთან ამ ტერმინის შესატყვისად მოცემულია: *statio planetarum* (ბერძნ. *σταθμαστας*), რაც ფაქტიურად დანარჩენი ორი ტერმინის განმარტებადაც გამოდგება.

„ჰ. ნ.“-სა და „ზიჯის“ ლექსიკონებში მ ა ნ ზ ი ლ ი განმარტებულია როგორც „სადგომი“. ასევე ცვლის აღნიშნულ ტერმინებს ვახტანგი „სტროლაბშიც“ (58r, 39r, 40r, 50v და ა. შ.).

⁹⁹ ამის შესახებ იხ. Зеленинский ф. ф. Умершая наука. Из жизни идей, т. III. 1907. გვ. 266.

მანზილ ტერმინი შინაარსობრივად უკავშირდება მთვარის ფაზებს. თანამედროვე არაბულში ამ ტერმინის ერთ-ერთი სპეციფიური მნიშვნელობაა სწორედ მთვარის ფაზაა (lunar phase).

„ქილილა და დამანაშიც“ ვხვდებით მანძილს/მანზილს ასტრონომიული გაგებით: მაგალითად: „მთვარესავით მანზილსა და მანზილს მიდგებოდა“ (94). ამ შემთხვევაში აღნიშნულ ტერმინს უნდა ჰქონდეს ზემოაღნიშნული ნიუანსი, აქვე („ქილილა და დამანაშიც“) ამ ტერმინს ვახტანგი ხმარობს ზოგადად „სახლის, ადგილის, სადგომის“ მნიშვნელობითაც — „შვენიერს ალაგს, დიდების მანძილს ბედნიერების ხელი მოვკიდე“ (74).

მუნსარიფი (არ. *مصرف*) — „გამოყრილი“ („სტროლაბი“). მუნსარიფს „სტროლაბში“ ხშირად ვხვდებით საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვასთან მუთასილი ი/ითისალი (არ. *متصل/متصل*) — შეემოყრილ ი/შეყრა — ერთად; მაგალითად: „ნახე მთვარე რომელს ვარსკვლავზე შემოყრილია („მუთასილი“), რომელზე გამოყრილი („მუნსარიფი“) რომელსაც ვარსკვლავისაგან გამყრელია „მუნსარიფია“), მკითხავისათვის ცხადია“.

ეს ცნებები — მუნსარიფი და ითისალი — გამოხატავენ ვარსკვლავთა გარკვეულ ურთიერთმდებარეობას. „სტროლაბში“ სპეციალური თავია — „ვარსკვლავთ ყოფის ცოდნა“, სადაც განიხილება ვარსკვლავთა 25 სახის მდებარეობა და მათი ურთიერთშემოქმედება. მათ აღმნიშვნელად ტექსტში ძირითადად არაბული ტერმინებია მოცემული, რომელთაც ვახტანგი ქართული შესატყვისებით ცვლის: ნახარი (არ. *نظر*) — შეხედვა, მან (არ. *مانع*) — „დამშლელი“, რად (არ. *رد*) — მოცილება, ხალიასეირი (სპ. *حالي* — თავისუფალი, მარტოდმყოფი, *سير* — სელა) — მარტომოარული, ვაშიასეირი¹⁰¹ (*واشي* — მოთვალთვალე, ჯაშუში) — „მოშიშრად მოარული“, ინთიქაზ¹⁰² (არ. *انتكاس*) — შექცევა, ზააფი (არ. *ضعف*) — გალუული, ნაყლინური, ჯამინური, ყათინური¹⁰³. და სხვ. (74r, v).

¹⁰⁰ არ. *رجح* — დაბრუნება.

¹⁰¹ ეს ტერმინი „ზიჯის“ ლექსიკონში განიმარტება როგორც: „მკრთალად მოარული“.

¹⁰² „შექცევა. ასეა: ერთი მასკლავი მეორეს შეეყაროს, შეყრას უწინ გაბრუნებული იყვნენ, ის შეხედვა წახდეს“ („ზიჯის“ ლექსიკონი).

¹⁰³ ამ ტერმინთა განმარტებებს ქვემოთ მოვიყვანთ.

მუნსარიფის პარალელურად ვხვდებით ინსრაჰ-ს, რაც ინსრაჰის (انصراف) ტრანსკრიფციული სახესხვაობაა. ف-ს ხ-თ შეცვლის მაგალითი ჩვენ ზემოთაც მოვიტანეთ — فلك البروج (ქალაქ ალბურუჯ) გადმოტანილი იყო ვახტანგის მიერ როგორც ალაქ-ულ-ბურჯი. ასეთი ტრანსკრიფცია საერთოდ იყო დამახასიათებელი ვახტანგის თარგმნებისათვის. (მდრ. ზაიფი /ზაიფი/ ضعف — გალელის), „ზიჯის“ ლექსიკონი. ასევე: ფირისა — ფერისა (ქ. დ.)¹⁰⁴.

„პ. ნ.-ს ლექსიკონში მუნსარიფი ასე განიმარტება: „ეს ის არი, რაც ყირანიდან თუნაზარიდან გასცილდება“, ე. ი. „რაც კავშირიდან (დაახლოვებიდან) თუ შეხედვიდან გასცილდება“. ტერმინებს ყირანსა და ნაზარს ჩვენ ზემოთ შევეხეთ ტერმინთა I ჯგუფის განხილვისას.

ისტოიებალი/ისტოიებალი (არ. استقبالي — შეხვედრა, შესახვედრად სვლა) — „გასწორება“, „მიგებება“, „დაპირდაპირება“.

ამ ტერმინის ხმარებისას ტრანსკრიპცია მერყევია — ისტოიებალი/ისტოიებალი/ისტოიებალი. „ზიჯის“ ლექსიკონით ეს ტერმინი ასე განიმარტება: „მზე და მთვარე რომ ერთმანეთს მენაკით შეხედდენ“. „პ. ნ.-ს ლექსიკონის მიხედვით: „გასწორება გინამიგებება, მთვარესა და მზეს შუა დარაჯი დარჩება, გაუპირდაპირდება ისტოიებალს ეტყვიან“. ეს არის მთვარის მზის მიმართ ოპოზიციური, მოპირდაპირე მდებარეობა, როცა ისინი „ერთმანეთს... შეხედავენ“, ანუ სავსე მთვარეობა. ამ დროს მთვარე თავის ორბიტაზე მზიდან უშორეს, მოპირდაპირე მდებარეობაშია და მოქცეულია დედამიწისაკენ განათებული ნახევარდისკოთი. „ვეფხისტყაოსანში“ ამ მოვლენას რუსთაველი ასე გვიხატავს: „მთვარე მზესა მოეწორვოს, მოშორვება განათლებს“ (830)¹⁰⁵.

ამ მოვლენის (სავსე მთვარეობის) საპირისპიროა მთვარის მცხრალობა. მას ვახტანგი „აიათში“ „შეერთებას“ უწოდებს და განმარტავს: „იმისი (მთვარის — თ. ა.) მზის მიუწოდშელი ადგილი ჩვენკენ იქნება და სინათლე სულ არ გამოჩნდება. ამ დროს სწორად ერთმანერთს დაადგებიან ერთს მენაკზე“ (აგ). ამ მოვლენის აღმნიშვნელად „ვეფხისტყაოსანში“ გამოიყენება ზმნა „და-

104 ამ მოვლენის შესახებ იხ. მეტრეველი, გვახარია, გვ. 183.

105 შ. რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“, აღ. ბარამიძის, კ. კეკელიძის, ა. შანიძის რედაქციით, თბ., 1957 წ.

წვა: „რა ეახლოს (მთვარე მზეს — თ. ა.) შუქი დასწვავს, გაეყრების, ვერ იახლებს“ (831), ე. ი. მზის სხივების, მისი შუქის მოქმედებით მასთან მიახლებულ, შეერთებულ მდებარეობაში მთვარე იკარგება, უჩინარდება¹⁰⁶. აღსანიშნავია, რომ მზის მიმართ ასეთსავე მდგომარეობაში მყოფ ვარსკვლავთა მისათითებლად ვახტანგი „ზიჯში“ დედნის შესაბამისად ხმარობს ტერმინს მოთარიღა (არ. قرق), რასაც ლექსიკონში უწერს პირდაპირ შესატყვისს — „დამწვარი“ და აქვე განმარტავს: „მზე და მასკვლავი ერთს მენაკსა და წამხე იუვენენ, იმას ქვიან“ ამ ტერმინს ხმარობს ვახტანგი „აიათშიც“ ანალოგიური მოვლენის აღსანიშნავად არიასა და მზეს შორის (გზ). ეს, ვახტანგის მიერ აღმოსავლურ ტერმინს მისადაგებელი ქართული ერთეული, თარგმანებში გაჩნდა დედნისეული თხზულებების შესაბამისად ტერმინის პირდაპირი თარგმანით. თუმცა, არც ისაა გამორიცხული, რომ დაწვა ზმნის მოცემული მნიშვნელობით ხმარებას ქართულ მწიგნობრულ ენაში ჰქონოდა გარკვეული ტრადიციაც. თუ ეს ასეა, ვახტანგისათვის, რომელიც, ერთი მხრივ გვევლინება „ვეფხისტყაოსნის“ პირველ კომენტატორად და, მეორე მხრივ, ასტრონომიის შესანიშნავ მკვლევარად, შესაძლოა, ცნობილი ყოფილიყო პოემის მოტანილი სტრიქონის ასტრონომიული გააზრებაც ამ ზმნისა და მისგან ნაწარმოებ ტერმინთა აღმოსავლურ ძეგლებში ხმარების პარალელურად.

მთვარის ფაზებთან დაკავშირებით საინტერესო ტერმინებია მოცემული იოანე დამასკელის „გარდამოცემში“¹⁰⁷. აქ „საჯვე მთვარის“ აღმნიშვნელად მთარგმნელი ხმარობს ტერმინს „ნათელ საჯვე“, „ყოვლად მთოვარე“, ხოლო იმ მოვლენის მისათითებლად, როდესაც მთვარე უჩინარდება, მას ფარავს მზის ნათება, გამოყენებულია ტერმინი „შეკრებაჲ“, რაც მთვარისა და მზის ერთ მენაკზე ყოფნას აღნიშნავს. შუალედ ფაზებს შესაბამისად ეწოდება „შობა“ (იშვების, რაემს განეშოროს მზესა ნაწილითა ათხუთმეტითა“), „აღმოსხრომა“ („რაემს გამოჩნდეს მანგლის სახედ...“), „ორგან კუეთილი“ (ნახევარი მთვარე). გამოყოფილია მთვარის „ალორძინებისა“ და „მოკლების“ გზები (180-იანი რკალები).

ისტობალს „სტროლაბშიც“ არაერთხელ ვხვდებით; მას ვახტანგი „დაპირდაპირებით“ ცვლის; მაგალითად, „პირველად... ქვეყნის წლის აღმოსვლა უნდა ნახო, მერე შეკრების (იჯთიმის) და

¹⁰⁶ ამ მოვლენათა შესახებ მსჯელობა არის გ. თევზაძის დასახელებულ ნაშრომში, გვ. 17, 19.

¹⁰⁷ კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ნუსხა S 1345.

ისტყბალის (ვახტანგი ასწორებს: „დაწინრიდაწირების“) აღმოსვლა. (30r). ამავე თარგმანში არის მუყბილა („არ. طالع“), ასევე „თალა მასალაში“ (23v), „სტროლაბში“ იგი პირდაპირითაა გასწორებული.

„ზიჯში“ ვახტანგი ხმარობს „ისტყბალი ჯუზვის“—„მიგებების რიცხვი“ (جو — ნაწილი, ნაწილაკი, წილი; სპეციფიური მეცნიერული შინაარსით—gradus mathematicus, ნაღონი); ასევე ბოდი მუხსტაყბალს — „მიგებების სიშორე“ (არ. مسورس, მოცილებით ყოფნა).

განსაკუთრებით საინტერესოა ნურ (نور; — ნათელი, სინათლე) — იანი კომპოზიტები, რომლებიც ხსენებულ თხზულებებში ასტრონომიულ ტერმინებადაა ნახმარი. ზოგიერთი მათგანი ჩვენ უკვე მოვიტანეთ მუხსაროფ ტერმინის განხილვისას.

ნათობა ვარსკვლავის ერთ-ერთი ძირითადი პარამეტრია. არსებობენ ე. წ. ცვალებადი ვარსკვლავები, რომელთა ბრწყინვალეობა იცვლება ამა თუ იმ კანონზომიერებით. ზოგჯერ ეს ცვლილებები ფიზიკური პროცესებითაა გამოწვეული, ზოგჯერ კი ვარსკვლავთა ურთიერთჩამოფარებით; ვახტანგის თარგმანებში, ისევე, როგორც დედნისეულ თხზულებებში, نور-იანი კომპოზიტები ხსენებულ მიზეზთა გამო ვარსკვლავთა ნათლის სხვადასხვაგვარი ქმედების აღმნიშვნელად გამოიყენება.

ამ ტერმინებს ვახტანგი „სტროლაბში“ გულმოდგინედ ასწორებს კომპოზიტის ორივე ნაწილის თარგმნით, ლექსიკონებში კი იძლევა მათ სრულ განმარტებებს. მოვიტანთ მხოლოდ მის მიერ მოძებნილ პირდაპირ შესატყვისებს: ჯამინური (جمع نور) — „სათლის შემკრები, ყათინური (نور قطب) — „შუქის გაქრა“, „შუქთმომკვეთი“, ნაღლინური (نور نقل) — „შუქთმომიტანი“, რადინური (نور رد) — „შუქთმომგდები, ზაიდანური (نور زائد) — „შუქმეტა გინა შუქმშობელი“. აღნიშნული ტერმინი-შესატყვისები განსაკუთრებული სიზუსტით, ცხადი მოტივებით გამოირჩევა.

ასევე ცვლის და განმარტავს ვახტანგი ბევრ სხვა ტერმინს: თალა (არ. طالع) — „აღმოსვლა“, ზილი (არ. غل) — „ჩრდილი“, ირთია (არ. ارتقا) — „შემადლება“, იჯთიმაი (არ. اجتماع) — „შეერთება“. ირთიფი (არ. ارتقا) — აღმოსხლომა, ნისპათი (არ. نسبت) — „შეფერებულობა“, ოუჯი (არ. او) —

სიმაღლე, საყითი (არ. اقصا) — „მოცილებული“ და სხვა მრავალი.

ეთომილთა და ზოდიაქოს ნიშანთა აღმოსავლურ სახელებს ვახტანგი საბას კვალად ყველგან ცვლის ბერძნული და ქართული სახელწოდებებით: მუშთარი — დია, მარხი — არია, ჯადი — თხის რქა, ჰამალ — ვერძი, მისანი — სასწორი, ჯოვზა — ტყუბი, აყრაბი — ღრიანკალი და სხვ.

აქვე შევხებით ამ ტერმინოლოგიურ ჯგუფში შემავალ ზოგიერთ ერთეულს ვახტანგის „ქიმიდან“.

ჰელი — ვახტანგი თვითონ იძლევა ამ ტერმინის ვრცელ განმარტებას: „ჰელი იმას ჰქვიან, რომ მიწა მოსთხარო ავსავით ღრმა. ქვეშ ახალი წყალუკრავი კირი ჩაყარო. მერმე ზედ ცხენის ფეინი¹⁰⁸ დაყარო სველი, შიგ რაც გინდოდეს, ჩადგა, ზედ წყალი დაასხა... ასეც იქნება ჰელი, რომ მიწა მოსთხარო, სველი ფეინი ჩაყარო. რა გახურდეს, შიგ ჩადგა, რაც გინდოდეს, თავს დაფარო რამე... ორმო ჰელი სა: სამი ადლი სიღრმე, ადლი განი და სიგრძე. ადლნახევარი სიღრმე და ადლი განი და სიგრძეც“. (§ 110). როგორც ნათქვამია ამ პარაგრაფზე დართულ გამოცემისეულ კომენტარში, ეს იგივე თერმოსტატია, რომლის მოქმედების საფუძველია წყალუკრავი კირისა და წყლის ურთიერთქმედებით გამოწვეული სითბო“¹⁰⁹.

არაყი დუათაშა — „ორჯერ ნახადი არაყი“ (§ 136), „ორნადული არაყი“ (§ 197). დუათაშა სპარსული კომპოზიტია — ა (ორი) + ائ (ცეცხლი);

ვახტანგს ხშირად მოაქვს ნივთიერებათა და მინერალთა უცხოენოვანი ტერმინი და იქვე განმარტავს მათ. ასეთი სახელები ტექსტში საკმაოდ ბევრია:

ღალმეი — „რომელ არს მიწა, სიყვითლე დაუცემს და მაგარია, საფრანგეთიღამ მოვა“ (§ 246). ეს თუთიის მინერალია.

მუთრიხი — „რომელ არს რკინის ჟანგი“ (§ 86).

ჰადიდ — „რომელ არს რკინა“ (§ 167).

ყულყანდი — „ზაჯი ყულყანდი, რომელ არს შაბი წითელი (§ 50) — წითელი შაბი — $Fe_2(SO_4)$ “¹¹⁰.

ყიბრუსი — „ზაჯი ყიბრუსი, რომელ არს შაბი მწვანე (§ 60) — რკინის კუპროსი — $FeSO_4$ “¹¹¹.

¹⁰⁸ ფეინი — „ნეხვი“ (გამოც. ლექსიკონი). ეს ლექსიკური ერთეული სპ. იდან მომდინარეობს რა „ცხენის ნეხვს“ ნიშნავს.

¹⁰⁹ „ქიმი“, გვ. 133.

¹¹⁰ „ქიმიის“ ლექსიკონი, გვ. 226.

¹¹¹ იქვე, გვ. 226.

ვახტანგი ძვირფას თვალთა სახელებს სულხან-საბასეული განმარტებებით ხსნის:

აკატრი — „აინალპური და იამანად უხმობენ“.

ბივრილი — „ზღვისა და ცის ფერია“.

იასპი — „ეს თვალი მოწითანოა და ჭრელი“.

ტოპაზიონი — „თეთრი იავუნდია“ და ა. შ.

როგორც დავინახეთ, ვახტანგი დიდ გულმოდგინებას იჩენს უცხოენოვან ტერმინთა შესატყვისების მოძებნისა და მათი განმარტებისას. მის მიერ შერჩეული ქართული ექვივალენტები აზრობრივად ზუსტად ესადაგება შესაბამის უცხოენოვან ტერმინებს, ამასთან ყოველთვის დატულია მათი გრამატიკული შესატყვისობა. ცხადია, მათ ვერ ჩავთვლით ქართულ ტერმინებად, რადგანაც ისინი მიღებულია შესაბამის უცხო წარმოშობის ლექსიკურ ერთეულთა ზუსტი თარგმნით, ვახტანგი ამგვარი მისადაგებით ქართული ლექსიკური მარავიდან აღებულ, ზოგჯერ მის მიერ ნაწარმოებ ერთეულებს ანიჭებს ტერმინოლოგიურ მნიშვნელობას. მათი გამოყენება ხშირად ზელოვანურია, ისინი ზოგჯერ არც აღიქმება ასტრონომიული შინაარსით ახსნა-განმარტებათა გარეშე, რადგან ეს ცნებები ხშირად სემანტიკურად არასაკმარის კონკრეტიზებულია და დავიწროვებულნი¹¹². ეს მეორეული, დაშრევებული ტერმინოლოგია უმთავრესად ვერ იგუა ქართულმა ენამ, მაგრამ ეს სრულებით არ ამცირებს ვახტანგის ცდას — შემოიტანოს და დაამკვიდროს უცხოენოვან ტერმინთა ზუსტი ქართული ექვივალენტები. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს უპირველესად მის მიერ გამოყენებულ ასტრონომიულ-ასტროლოგიურ ტერმინოლოგიას ეხება. მოცემული ტერმინოლოგიური მასალისადმი ამგვარი მიდგომა განპირობებული იყო ვახტანგის ეროვნულ-საგანმანათლებლო და პრაქტიკული მიზნებით.

3. ვახტანგის მიერ გამოყენებული ქართული ორიგინალური ტერმინები.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ვახტანგისეულ თარგმანებში გამოყენებული ქართული ორიგინალური მეცნიერული ტერმინები. ვახტანგის მიერ მეცნიერულ თხზულებათა თარგმნა, ცხადია, გულისხმობდა ენაში უკვე არსებული შესაბამისი ტერმინოლოგიური მასალის (ქართულის, ორიგინალურისა თუ არაქართულის, მაგრამ მწიგნობრულ ენაში ფეხმოკიდებულის) სრულად გამოყენებას და ამასთან, გარკვეულად, საკუთარი წვლილის შეტანას ზოგიერთი ახლად-

¹¹² ამ ტერმინებს ხმარობს პ. ვ. დანილენკო თავის ნაშრომში: Лингвистическое изучение терминологии и культура речи. — Актуальные проблемы культуры речи, М. 1970. გვ. 309.

შემოტანილი ტერმინის ან ენაში უკვე არსებული ლექსიკური ერთეულის ახალი ტერმინოლოგიური მნიშვნელობით დამკვიდრებაში. ქართული ორიგინალური ტერმინები საკმაოდ მრავალადა ვახტანგის თარგმანებში, განსაკუთრებით მის „ქიმიაში“.

გამოვყოფთ ზოგიერთ ასეთ ტერმინს ასტრონომიული თარგმანებიდან.

მ ე ნ ა კ ი

ტერმინთა II ჯგუფის განხილვისას აღნიშნული იყო, რომ ვახტანგი მენაკს იყენებს ასტრონომიული ტერმინის დარაჯას შესატყვისად; ამ ქართული ტერმინის ხმარებას ხსენებულ ასტრონომიულ თარგმანებში სისტემატური ხასიათი აქვს.

მენაკი/მენაკისი/ დადასტურებულია ქართულ ძეგლებში; ნიშნავს: „ცისმზომლობის ხარისხს“ (საბა), რკალურ გრადუსს, საფეხურს, ხარისხს. მას ვხვდებით ბიბლიურ წიგნებში: „ექუს მენაკ აღსავალი მისი“ (იდ. აბულაძე, 0,111, მგ. 10, 18); „ადვილ არს აჩრდილისა მის მთასა მენაკსა შთასვლა (0,IV, მგ. 20, 10); „გარემოვაქციო აჩრდილი მზისა მაგათ რომელ შთასრულ არს აჩრდილი ათასი მენაკსა ტაძარსა მაგათ აქა ზის, მამისა შენისათა“ (0, ელ. 38,8).

მოტანილ მაგალითებში ამ ტერმინს არა აქვს გარკვეული ასტრონომიული შინაარსი; იგი „საფეხურის, ხარისხის“ მნიშვნელობით იყო დამკვიდრებული ძველ ქართულში.

ც ქ ი ტ ი

ამ ტერმინს ვახტანგი სისტემატურად ხმარობს ასტრონომიულ და მათემატიკურ შრომებში ცენტრის მნიშვნელობით. მაგ.: მიწის ცქიტი, სფეროს ცქიტი, მოარული ცქიტი, ცქიტის სიშორე, ხაზის ცქიტი („აიათი“) და სხვ.

მოვიტანთ ერთ ნახაზს „აიათიდან“ (გვ. ბ), სადაც ნათლად ჩანს აღნიშნული ტერმინის — ცქიტის — შინაარსი, მისი მიმართება სხვა გეომეტრიულ ცნებებთან.



„ზიჯში“ ვახტანგი ამ ტერმინის არაბულ შესატყვისს მარქაზს (არ. مركز) ხმარობს; მის ლექსიკონებში კი ამ ერთეულსა და მისით შედგენილ სხვა ტერმინებს ყოველთვის ცქიტით განმარტავს, მაგ.: ბენელ მარქაზი—ორს ცქიტს შუა ერთი რამ იყოს..., აღისი მარქაზი—პოეზული ცქიტი, ალამის მარქაზი—ქვეყნის ცქიტი, მოადილას მარქაზი—გასწორებული ცქიტი და სხვ.

ვახტანგი „სტროლაბშიც“ ცქიტით ცვლის მარქაზს. ეს ქართული ტერმინია გამოყენებული „თალა მასალას“ ყველა ცხრილსათუ ნახაზში. (მაგ.: გვ. 101), ასევე „მათემატიკაში“, საბა ამ ტერმინს განმარტავს როგორც „კარაყინის საშუალ ადვილს“.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს „აიათის“ ქართული ტერმინოლოგიური მასალა. აქ სხვა ასტრონომიულ თხზულებათაგან განსხვავებით ტექსტში იშვიათად თუ შევხვდებით უცხოენოვან ტერმინებს (მაგ. ზოდიაქოთა ბერძნული სახელები, ზოგიერთი გეოგრაფიული ტერმინი, (დარაჯა, რუხი...); ეს ქართული შესატყვისი სწორედ ეს ენობრივი ექვევალენტებია, რომელთაც ვახტანგი უძებნის შესაბამის აღმოსავლურ ტერმინებს სხვა თხზულებებზე დართულ ლექსიკონებში (ზოგჯერ ტექსტშივე, მაგალითად „სტროლაბში“, „მათემატიკაში“), გამოყოფთ მათგან ზოგიერთ ასტრონომიულ ტერმინს: სიშორე (ბოდი), ქმნულება (ციათი), გრკალი (დაირა), შუახმელთა გრკალი (დაირაი უაჟულ), განი (არზი), შეზავებული (ეთიდალი), ჩრდილი (ზილი), მაკე (მემილი), სარტყელი (მანთუყა), ეტლების სარტყელი (მანთუყათულ ბურჯი) მიზეული ვარსკვლავი (მემილი), გასწორებული (მოადილა), მსგავესიერი (მომასალ), სხეული (მოჯასმა) და სხვ.

არაერთი ქართული ტერმინია მოხმობილი ძეგლში ვახტანგის მიერ მზისა და მთვარის, მათი ურთიერთმდებარეობის დასახასიათებლად (გვ-გვ): შეერთება, გაპირდაპირება („ზიჯით“ ისთიყბალი), დრეკილი (ახალი) მთვარე (მაილი მლალი), გავსებული (მზის პირდაპირი) მთვარე, დაწვა („ზიჯით“ ეთრალ), დაბნელება/მოჟარება, ჩიცხვის (ნაწილობრივი) მოფარება და სხვ. ზოგიერთი ამ ტერმინის შესახებ ზემოთ უკვე გვქონდა ლაპარაკი.

ცალკე უნდა გამოიყოს ვახტანგის მიერ „აიათსა“ და „პლანი-მეტრიაში“ გამოყენებული ქართული გეომეტრიული ტერმინოლოგია.

ვახტანგის მიერ მოტანილი ზოგიერთი გეომეტრიული ფიგურის განმარტება ახლოს დგას სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში შეტანილ განმარტებებთან, ხოლო რაც შეეხება შესაბამის გეომეტრიულ ცნებათა ქართულ შესატყვისებს, ისინი მთლიანად თანხვედრა საბას მიერ ხმარებულ ტერმინებს. ეს ტერმინებია: სიფრიფანა, ხაზი, წინწალი, სხელი. ისინი საბამ მიუსადაგა ბერძნულ ტერმინებს ხაზი—ლრამში, სიფრიფანა—ეპიფანია, წერტილი—სტილმა. უცვლელად მოაქვს ვახტანგს „აიათში“ საბასთან მოტანილი ტერმინი „კენტორი“, რომლის ქართულ შესატყვისად საბა „ლერას“ ხმარობს. აღნიშნული ბერძნული ტერმინი ლექსიკონში შეტანილია პროკლე დიოდოხოსის „კავშირის“ იოანე პეტრიწისეული თარგმანებიდან („დიოდოხოსში ეწერა“...) 113.

ზემოთ მოტანილ გეომეტრიულ ტერმინებს საბა იძლევა „სხეულის“ სტატიაშიც და ცალკეც. „სხეულის“ სტატიის ბოლოს იგი მითითებს აღნიშნული მონაკვეთის წყაროზეც: „სრულად კათოღორიას 33 თავში იძიე რაოდენობისათვის (განყოფილობისათვის ZAB) თქმულში. იგი გულისხმობს იოანე დამასკელის შრომის I ნაწილს— „კათიღორიას“ ანუ „დიალექტიკას“ 115.

იოანე დამასკელის ტრილოგიის „წყაროა ცოდნისაჲ“ აღნიშნული ნაწილი ქართულად ორჯერ ითარგმნა— ეფრემ მცირისა და არსენ იყალთოელის მიერ (XI ს. 90-იანი წლები) 115. ამ თარგმანებიდან განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა არსენ იყალთოელის თარგმანმა, რომელიც უფრო ახლოს იდგა ბერძნულ ორიგინალთან და ამასთან ეფრემის თარგმანისაგან განსხვავებული მთარგმნელობითი მეთოდით იყო შესრულებული 116. საბას განმარტებებიც სწორედ არსენიდან მომდინარეობს. საილუსტრაციოდ მოვიტანთ ორიოდ მაგალითს: „ეპიფანიაჲ არს გარეგნითი კერძი სხეულისაჲ და საჩინოჲ და აქუს ორ კერძოჲ განფენილობაჲ: სიგრძელ მიმართ და სივრცელ („დიალექტიკა“, არსენის თარგმანი, გვ. 133). „ეპიფანია(ა) რომელ არს სიფრიფანა, არს გარეგნითი კერძი სხეულისაჲ და საჩინოჲ...“ (ლექსიკონი ქართული, გვ. 126). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საბა შედარებით აშარ-

113 ეს აღნიშნულია ლექსიკონის ფლ. აბულაძისეულ გამოცემაში: სულხან-საბა ორბელიანი, თხულებანი, IV₁, IV₂, ლექსიკონი ქართული, ავტოგრაფული ნუსხების შიხედვით გამოსაცემად მოამზადა ი. აბულაძემ, თბ., 1965, IV₁, გვ. 370.

114 იქვე, გვ. 370.

115 იოანე დამასკელი, დიალექტიკა, ქართული თარგმანების ტექსტთა გამოცემა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო მ. რაფაევამ, თბ., 1967, გვ. 17.

116 ქართული რედაქციების ურთიერთმიმართების, მათი ბერძნული ორიგინალსადმი დამოკიდებულების საკითხი დაწვრილებითაა განხილული „დიალექტიკის“ გამოცემის შესავალში.

ტივებს მოტანილ განმარტებას, როდესაც ცალკე გააქვს „სიფრიფანა“, როგორც სალექსიკონი ერთეული: „სიფრიფანა ესე არს, რომლისა სიგრძე და სივრცე განიზომებოდეს და არა აქენდეს სიღრმე განსაზომი... რომელსა ელინნი ებიფანიად სახელ-სდებენ (გვ. 98). ვახტანგი უფრო მარტივად, ძირითადი მომენტის აღნიშვნით განმარტავს გეომეტრიულ ფიგურებს: „თუ ერთ რიგად გაიყოფება, ხაზი ჰქვიან. თუ ორად გაიყოფება, განსაცა და სიგრძეზედაც, იმას სიფრიფანა ჰქვიან (სივაკეც ჰქვიან). და თუ სამ რიგად გაიყოფება, განსა, სიგრძესა და სიღრმეზე, იმას სხეული ჰქვიან („აიათი“).

„აიათში“ მოტანილი გეომეტრიული ტერმინები „წინწკალი“, „სიფრიფანა“, „ხაზი“, „სხეული“ თანხედება საბას მიერ მოწოდებულ ტერმინებს. საჭიროა გაირკვეს, როგორ ქრონოლოგიურ მიმართებაშია ერთმანეთთან „აიათი“ და საბას ლექსიკონის შესაბამისი რედაქციები. უპირველესად საინტერესოა C (ხელნ. ინსტ. ნუსხები: Q 400, H 95, K 300) და D (S. 2498) რედაქციები, რომლებიც განეკუთვნება საბას მიერ ლექსიკონზე მუშაობის ადრეულ პერიოდს (1685—1713 წწ.)¹¹⁷. უფრო ადრეულია D რედაქცია, რომლის ნაწილი ვახტანგ VI-ის ხელთაა გადაწერილი¹¹⁸. C რედაქციაში შესულია ყველა აღნიშნული ტერმინი, „სხეულის“ სტატია უშუალოდ მისდევს „დიალექტიკის“ იყალთოელისეულ თარგმანს. D რედაქციაში კი ვითარება ასეთია: „სხეულის“ განმარტებაში არ არის მოცემული სხვა ფიგურების განმარტებები, განმარტებულია მხოლოდ თვით „სხეული“. ეს განმარტება ისევე, როგორც ცალკე გატანილი „სიფრიფანას“ განმარტება, „დიალექტიკიდანაა“ ადებული. სხვაგვარადაა განმარტებული „წერტილი — მცირედი წინწკალი“. მას არაფერი აქვს საერთო დამასკელისა და ვახტანგის განმარტებებთან. შემდეგ იგი, უკვე C რედაქციაში, ისევე „დიალექტიკიდან“ შემოიტანა საბამ. რაც შეეხება ერთეულს „ხაზი“, იგი D რედაქციაში ბერძნულ შესატყვისთან ერთად (ღრამმი), განმარტების გარეშეა მოტანილი. ამრიგად, საბას ლექსიკონის D რედაქციაში დამასკელის „დიალექტიკიდან“ შევიდა ტერმინთა და განმარტებათა მხოლოდ მცირე ნაწილი („სიფრიფანა“, „სხეული“). დასრულებული სახე აღნიშნულმა სალექსიკონო მასალამ მიიღო უკვე C რედაქციაში. ამ რედაქციის ხელნაწერებთან ვახტანგს აღარ ჰქონდა კავშირი. ქრონოლოგიურად ორივე აღნიშნული რედაქცია უსწრებს „აიათს“. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე უნდა დავასკვნათ შემდეგი: აღნიშნული რამოდენიმე ტერმინი, რომლებიც საბამ მიუსადაგა „დიალექტიკის“ იყალთოელისეულ თარ-


117 იხ. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, S კოლექცია, ტ. III, თბ., 1963.

118 ამის შესახებ იხ. ლ. ქუთათელაძე, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის რედაქციები, თბ., 1957, გვ. 75.

გმანში მოტანილ ბერძნულ ტერმინებს (ქართული ტერმინები — „წერტილი“, „სხეული“ საბამ უცვლელად გადმოიტანა არსენას თარგმანთან), „აიათში“ მოხვდა საბას მეშვეობით. ცხადია, არ არის გამორიცხული ისიც, რომ ლექსიკონის დამუშავების საწყის ეტაპზე საბა და ვახტანგი გარკვეულად თანამშრომლობდნენ ამ თვალსაზრისითაც, მაგრამ დამასკელთან მიდიოდა უშუალოდ საბა და ამ გზით ეცნობოდა ვახტანგი მისთვის საინტერესო მასალას. ამრიგად, მოტანილი ქართული ტერმინები ვახტანგთან მოხვდა იოანე დამასკელის „დიალექტიკის“ არსენ იყალთოელის მიერ შესრულებული თარგმანიდან.

საგანგებოდ გვინდა გამოვყოთ ვახტანგის მიერ „მათემატიკაში“ მოხმობილი სპეციფიური ტერმინოლოგია.

ნაშრომის I თავში, რომელსაც ჰქვია „ფიგურთა სახელის თარგმანება (რომელსა ქართულად ნაშენთა სახელის თარგმანება (ჰქვია), გვ. 65-მდე მოცემულია ერთგვარი ლექსიკონი, სადაც გეომეტრიულ ფიგურათა ლათინური თუ რუსული დასახელებებისათვის მოხმობილია ქართული შესატყვისი ტერმინები, რომლებიც შემდეგ ტექსტში ხშირად პირდაპირ, შესაბამისი უცხოენოვანი ტერმინის გარეშეა გამოყენებული. მაგ., პუნქტი — წინწყალი, პუნქტი კასატელნი — ცქიტმენახები, ლინეა — ხაზი, პრეამია ლინია — სწორი ხაზი, გამართული ხაზი, სპირალი — ვეფული ხაზი, ჰიპერბოლივა — ალილის ხაზი, პერპენდიკულარი — ბოძთადარი, პარალელივა — წყვილედი, ჯგუფთი ხაზი, ექსტერნუს — გარე კუთხე, ავუტუს ანგულ — მწვეტი კუთხე, ფიგურა — ნაშენი, კვადრატი — ოთხკუთხე, ტრაპეციუმ — ხაზსახური, რუმბუს — ჯვარედინ ოთხკუთხე, ორდინატეტიბურ — სწორგვერდი ბურჯოვანი, სექტორი — ცირკულ-გამონაჭერი გრკლისა, ფიგურ კონცენტრიცე — ერთცქიტნაშენი



(საერთო ცენტრით), ოკტაედრუმ — რვა სამკუთხე, დოდეკაედრუმ — თორმეტგვერდტოლი, სფერო, პირამიდი, კონუსი — მწვეტ მგრგვალი და ა. შ.

ასტრონომიულ ტერმინთა ამ ტიპზე აგებული შესატყვისები ჩვენ განვიხილეთ ტერმინთა II ჯგუფში, მოტანილი მათემატიკური ტერმინები კი მოვათავსეთ III-ში. საქმე ის არის, რომ უცხოენოვან ასტრონომიულ ტერმინთა ვახტანგისეული ქართული შესატყვისები ხელოვნურია, მთარგმნელის მიერაა მისადაგებული შესაბამის ტერმინებს, დამოუკიდებლად მათ უმეტესად არა აქვთ ამგვარი მნიშვნელობა. ეს მათემატიკური ტერმინები კი ქართულად აღიქმება ისეთ შემთხვევებშიც კი, როდესაც ისინი თვით ვახტანგის მიერ შედგენილად ჩანს, მაგ., სწორგვერდი ბურჯოვანი, ერთციქტნაშენი, მწვეტმ-გრგვალი, ბოძთადარი, ცქიტშენახები, წყვილედი ხაზი და სხვ.

ეს ტერმინები ნათელი მოტივაციით ხასიათდება, პირდაპირ მიანიშნებენ ცნების არსზე. ამით ისინი აშკარად განსხვავდებიან ვახტანგის მიერ შემოტანილი ასტრონომიული ტერმინებისაგან, რომლებიც აუცილებელ მიმართებას შესაბამის ცნებებთან იძენენ მხოლოდ ვახტანგისეული განმარტებების საშუალებით.

მრავლადაა ქართული ტერმინები „ქიმიისში“. ეს უპირველესად აიხსნება იმ დროისათვის ეროვნული ქიმიის მაღალი დონისა და ტრადიციის არსებობით საქართველოში, რაც ნათლად აირეკლება შესაბამის ლექსიკა-ტერმინოლოგიაში.

მოვიყვანთ ზოგიერთ ქართულ ტერმინს ვახტანგის „ქიმიიდან“:
და შ რ ო ბ ი ლ ი

ასე განმარტავს ვახტანგი არ. — სპ. قطب (თაყთირ) ტერმინს, რაც „გამოხდა ას“, „სუბლიმაციას“ ნიშნავს: „თაყთირი იმას ჰქვია, რომ ერთი რამ ჰელიდან ამოიღო, მინით იყოს თუ ფილით, ცეცხლით ამდონი ხარშო, რაც წყალი ჰქონდეს, დიშროს და ყურსსავით დარჩეს, ქართულად და შ რ ო ბ ი ლ ი ჰქვია“ (§ 110). ვხვდებით აგრეთვე „ნოტიოს „ამოშრობას“ (§ 208). სულხან-საბა და შ რ ო მ ა ს განმარტავს როგორც „ნოტიოს გახმობას“. ვახტანგის მიერ გამოყენებული ქართული ტერმინი (და შ რ ო ბ ი ლ ი) კარგად გამოხატავს თაყთირ ცნების არსს.

გ ა თ ვ ი ს ე ბ ა

ტექსტში ვკითხულობთ: „... ასეც გაწმდება: ვერცხლისწყალი ფილაში ჩაასხი. შიგ მარილი ჩაყარე და ზედ წყალი დაასხი და ხელით ქვლიტე, მერმე ვერცხლისწყალი გაათვისე. გაწმენდილი იქნება“ (§ 108), ილ. აბულაძის ლექსიკონში განთვსებული განმარტებულია როგორც „განცალკეებულნი“; სულხან-საბა მას „თვსად მყოფად“ განმარტავს (ZAB). გათვისება მოტანილ კონტექსტში ნიშნავს „გამოყოფას, გამოცალკეებას“. ეს ტერმინი ზუსტად ესადაგება შესაბამისი პროცესის არსს.

გ ა ყ ი ნ ვ ა

„ქიმიანი“ ეს ტერმინი ორი მნიშვნელობით იხმარება: ერთი პირდაპირი — „წყლის გაყინვა თბილ ადგილას“ (§ 278) და მეორე — „გამყარების“ „დაკრიტალების“, მნიშვნელობით: „მერმე კიდევ ამთონი აღუდე, რომ წყალი გასქელდეს, ერთს რაშიმე ჩაასხი, დადგი. ის მარილს გაჰყინავს“ (§ 168).

ვანტანგი ხმარობს აგრეთვე ტერმინს თბე. ეს ძველი ორიგინალური ქართული ერთეულია; მას ვხვდებით ბიბლიურ წიგნებში: „ეკრძალენით... თბისა მისგან ჰეროდინათაჲსა“ — (C, მრ. 8,15); „...რაათა იყნეთ ახალი თბე“ — (I კორ. 5,7); ასევე „თამარიანსა“ — „ერთი ბუნება ქმნა სამად თბე დად“ (XVII 3) — და „აბდულმესიანი“ — „...სცეს სწავლა თბესა მცონარსა“ (73)¹¹⁹. ამ ტერმინს ჰქონდა „ცომის, ხორცის, სხეულის, მატერიის“ მნიშვნელობა. „ქიმიანი“ იგი არის „ხორცის“ მნიშვნელობით (§ 168)¹²⁰.

ვანსაკუთრებით საინტერესოა ტერმინი წურვა. ა. ჩხენკელი თვლის, რომ გერმანულიდან ქართულში შემოსული გაფილტვრის ნაცვლად მიზანშეწონილია წურვის ხმარება, რაც გაფილტვრის იდენტურია¹²¹.

ამ ტერმინის კვლევას ეძღვნება მ. მამაცაშვილის წერილი: „ვისრამიანის ლექსიკიდან“ (აღმოსავლეთმცოდნეობა, თბ. 1983).

მას მსგავსი (გაფილტვრის) მნიშვნელობით სხვა ქართულ ძეგლებშიც არაერთხელ ვხვდებით. მაგალითად, „ვისრამიანი“ თავში „აქა ქორწილი მოაბადისა და ვისისი“ იკითხება: „შაპინ-შა ჯდა მზიარული, გულდაღრეჯილებისაგან გამოწმედილი, ვითა გამოწურვილი ვერცხლი¹²². „გამოწურვილი ვერცხლი“ ამ კონტექსტში სპარსული *مستقیم* — „სუფთა, წმინდა“ ვერცხლის ნაცვლადაა ნახმარი. გამოწმედილიც განმარტავს ფაქტიურად გამოწურვილს.

ძველ ქართულ ძეგლებში ვხვდებით სიტყვა წურვილსაც — „რომელნი სუმენ წურვილსა ღუნოსა“ (წ. ამ. 16,6). „გამოწურვილი ღვინო“ სინტაგმაში, ისევე, როგორც წინა მაგალითში, ეს ტერმინი წურვის დამკვიდრებული იგაგებისაგან („წურვიდა იგი ყურძენსა“ — აგ. კაც. 172,21) განსხვავებულ ნიუანსს იძენს და ნიშნავს „სუფთას, წმინდას“. ამავე შინაარსით უნდა

119 „ჩვენი საუნჯე“, ტ. II, თბ., 1960.

120 საბა ასე განმარტავს: ამ ტერმინს: „ესე არს ახალი ფქვილი რა შეზილო...“

121 ჩხენკელი ა., ქიმიური შინაარსის ერთი ძველი ქართული ხელნაწერის შესახებ, საქართველოს სსრ სამედიცინო საზოგადოების შრომები, ტ. I, 1964, გვ. 297.

122 „ვისრამიანი“, გვ. 64.

გავიგოთ „მათეს სახარებაში“ ხმარებული დაწურვა: „რომელნი დასწურავთ კურნაქსა და აქლემსა შთანსთქამთ“ (მ. 23,24). აქ დაწურვა „გამორჩევას“, „გამოსუფთავებას“ ნიშნავს.

ი. აბულაძის ლექსიკონში გამოწურვის ერთ-ერთ მნიშვნელობად მიჩნეულია გამოხდა. მაგალითად, „შენ გამოსწურე ზეთი“ (წინ. მქ.“ 6,15). გამოწურვილი კი განმარტებულია როგორც გამოხდილი. მაგალითად, „აღსუარულ ზეთითა გამოწურვილითა“ (რიცხვ. 28,5). ამ ორ მაგალითში გამოწურვა გამოწურვილი უნდა გავიგოთ, როგორც გასუფთავება გამოხდა/გასუფთავებული, გამოხდილი.

წურვა, როგორც ვახუშტი ბატონიშვილის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“-დან ჩანს, დაკავშირებული ყოფილა ლითონთა დამუშავებასთან; „აქა არს ლითონი ბრპენისა მრავალი, რომელსა სწურვენ ივინივე. კულად არს გოგირდი ფრიად კარგი, არს ლითონიც; ვერცხლისა, არამედ არ უწყიან გამოღება“¹²³. ამ შემთხვევაში წურვა უნდა ნიშნავდეს „გამოდნობას, დახალასებას“.

დ. ჩუბინაშვილი დაწურვის ერთ-ერთ რუსულ ექვივალენტად მიიჩნევს ტერმინს *продеживать*, რაც „გაფილტვრას“ ნიშნავს. „ქიმიასი“ ვხვდებით გარდაამოწურვას“ (§ 5), „ნაბდით გაწურვას“ (§ 27), „სარჩულში გაწურვას“ (§ 112), „ქალაღღში გაწურვას“ (§ 2), „ხელსახოცში გაწურვას“ (§ 168), „ოტკის საწურავი ქალაღღი“ (§ 268) და სხვ. ყველა ამ შემთხვევაში ნივთიერებათა გაფილტვრა-გასუფთავებაზეა ლაპარაკი.

ამრიგად, ქართულში ტერმინ წურვას ჰქონდა „გასუფთავება, გამოხდა, გაწმენდა, დახალასების“ მნიშვნელობაც და ამას თავისი გამოხატულება ვახტანგის „ქიმიასიც“ უბოვია, სადაც მას ტერმინოლოგიური მნიშვნელობა შეუძენია — იგი უნდა გავიგოთ როგორც „გაფილტვრის, გასუფთავების“, იდენტური, მისი შესატყვისი ცნება.

მთელი რიგი ტერმინებისა დღესაც იგივე ფორმითა და მნიშვნელობით იხმარება, როგორც XVIII ს-ის დასაწყისში — მაგალითად: კალა, ჯერცხლისწყალი, გოგირდი, ნიშადური, ქაფური, არჯასპი, სეფადი, სულეშა, სინგური და სხვ. ორიგინალურია და მისაღები ვახტანგის მიერ ხმარებული ტერმინები: წყალუქრავი ანუ გაუნელებელი და განელებული კირი, რაც უკეთ გამოხატავს ცნების შინაარსს, ვიდრე რუსულიდან კალკირებული ჩამქრალი და ჩაუმქრალი კირი — ამაზე.

123 „ქართლის ცხოვრება“, ტ IV, გვ. 645.

სამართლიანად მიუთითებენ „ქიმიის“ გამოცემის ავტორები¹²⁴. აქვე მითითებულია, რომ ვახტანგი ტერმინოლოგიურად ანსხვავებს კონცენტრირებულსა და არაკონცენტრირებულ ხსნარებს — პირველს „ზეთით აღნიშნავს, მეორეს — წყლით, ან წმინდა წყლით“¹²⁵. აქედანაა ძეგლის სათაურიც — „წიგნი ზეთების შეხვევისა და ქიმიისა“ ქმნის, რაც იმაზე მიეჯანიშნებს, რომ საქმე ეხება კონცენტრირებულ ხსნართა მიღებას, მათ ურთიერთქმედებას.

ძეგლში მრავალადაა სხვა ქართული ტერმინებიც. თუ მინერალთა და მცენარეთა სახელები ძალზე ხშირად არაქართულია, რაც აიხსენება მათი უტყონოვანი (ძირითადად აღმოსავლური) წყაროებიდან ან უძველესი ნათარგმნი ძეგლებიდან მომდინარე ტრადიციით, ქიმიურ პროცესთა სახელები თითქმის ყველგან ქართულია, ქართულ ენაში დამკვიდრებული და მრავალგზის ხმარებული.

ასეთებია: გამოხდა, გამოწვა, ჩამოსხმა, დაწრთობა, გაფოლადება, დახალასება, შემომიწვა, გაწყალება, დაფერვა და სხვ. ასევე განსაკუთრებულ კონტექსტში ნახმარი ტერმინები: „ოქროდან სევადის ამოყრა“ (§ 196); „რკინის გაჭმა“ (§ 179), — რკინის ამოჭმა. (აქ ლაპარაკია რკინის ზედაპირზე ცვილით გაკეთებული მოხაზულობის ამოჭრაზე გარკვეული ხსნარის საშუალებით — მიიღება წარწერა, გრავიურა); „გაცეცხლებული ნახშირი“ (§ 39 — ცეცხლმოკიდებული, აალებული ნახშირი), „ტყვიისაგან ჯივის გამოშვება“ (§ 125 — „ტყვიისაგან ვერცხლისწყლის გამოღება“ (ვახუშტის საძიებლის მიხედვით), გამოყოფა: (ვახტანგი: ვერცხლისწყლის „გაცალციკაქევეზა“). „გაუკეთებელი გოგირდი (§ 6 — დაუმუშავებელი გოგირდი“), „ბუნების სიშავის გამორთმევა (§ 127 — სპილენძის ან ვერცხლისათვის (§ 107) სიშავის მოშორება, მათი გასუფთავება), ვერცხლისწყლის მოკვდომა“ (§ 128), „გამტკიცებელი ნაცარი“ (§ 124) და სხვ.

განსაკუთრებით ბევრია ამ ტიპის ქართული სიტყვები ვარაყთან დაკავშირებით, რაც მოვარაყების ხანგრძლივ ტრადიციაზე მიუთითებს საქართველოში: ვარაყის დავარაყება (§ 182), ვარაყის მიკვრა (§ 235), დაკვრა (§§ 187, 239, 241, 235...), დაფენა (§ 236, 238, 240, 241), დაკერება (§ 243), მიცემა (268) და სხვ.

მოტანილი ტერმინები ზმნური წარმოშობისაა. ისინი გადმოცემულია განყენებული სახელებით, რომლებშიც მოქმედების მნიშვნე-

¹²⁴ „ქიმიის“, გვ. 33.

¹²⁵ იქვე, გვ. 34.

ლობა შეთავსებულია მათი აბსტრაქტული საგნობრიობის მნიშვნელობასთან¹²⁶.

ამგვარ ქართულ ტერმინთა სიჭარბე „ქიმიში“ ერთხელ კიდევ მოწმობს მეცნიერების ამ დარგის მდიდარი ტრადიციის, გარკვეულ პრაქტიკულ ჩვევათა არსებობას საქართველოში.

სხვაგვარია ვითარება ასტრონომიულ თარგმანებში. როგორც აღვნიშნეთ, ვახტანგს აღმოსავლურ ასტრონომიულ ნაშრომთა გაქართულებისას არ დახვდა შესაბამისი ქართული ლექსიკური ბაზა. ვახტანგის მიერ თარგმნილ თუ შედგენილ ასტრონომიულ თხზულებებში გამოყენებულ ქართულ სპეციფიურ ტერმინთა უზრავლესობა მის მიერ შემოტანილად ჩანს, თუმცადა ისინი ძირითადად შესაბამისი აღმოსავლური ლექსიკიდან მომდინარეობენ. ვახტანგმა გააქართულა ისინი პირდაპირი თარგმანისა და პერიფრაზირების გზით. მისი ამგვარი მუშაობის სრულ სურათს იძლევა თარგმნილ შრომებზე დართული ლექსიკონები; შემდეგი მან უკვე მოგვცა ცდა უცხო წარმოშობის ლექსიკურ ერთეულებს მოსადაგებულ ქართულ შესატყვისთა ტერმინოლოგიური მნიშვნელობით დამკვიდრებისა, რაც ნათლადაა წარმოჩენილი „აიათის“ ლექსიკურ მასალაში.

ვახტანგის მიერ ნათარგმნ და შედგენილ სამეცნიერო შრომებში გამოყენებული ტერმინოლოგიური მასალის შესწავლის შედეგად უნდა დავასკვნათ შემდეგი:

1. ვახტანგის სამეცნიერო თარგმანები უაღრესად მდიდარ მასალას იძლევა ლექსიკა-ტერმინოლოგიის მხრივ. მათში წარმოდგენილ ტერმინოლოგიურ ფენებს აშკარად ამჩნევია წარმომავლობის კვალი.

2. განხილულ თარგმანებში უცვლელად გამოყენებულ უცხოენოვან ტერმინთა დიდი ნაწილი აღმოსავლური წარმოშობისაა. ეს ტერმინები განსაკუთრებით მრავლადაა ვახტანგის „ქიმიში“. მათ ზმარებას ქართულ მწიგნობრულ ენაში იმ დროისათვის ჰქონდა თავისი ხანგრძლივი და მყარი ტრადიცია.

3. ვახტანგი დიდი ყურადღებით ეკიდება უცხო წარმოშობის ტერმინთა ზუსტი ქართული შესატყვისის მოძებნას. ასტრონომიულ თარგმანებში მას ძირითადად თვითონ უხდება სპეციფიურ (ძირითადად აღმოსავლურენოვან) ტერმინთა ქართული ეჭვივალენტების შემოტანა და მათი ტერმინოლოგიური მნიშვნელობით დამკვიდრება იმდროინდელ ქართულ სალიტერატურო ენაში შესაბამისი ტერმინოლოგიის არარსებობის გამო.

¹²⁶ ამგვარი ტერმინების შესახებ მსჯელობს გ. ვინოკური დასახელებულ ნაშრომში (გვ. 14). მოგვეყავს რ. ლამაშიძის მონოგრაფიის მიხედვით (გვ. 73).

4. ვახტანგის მიერ უცხო ასტრონომიულ ტერმინებს მისადაგებული ქართული ლექსიკური ერთეულები ქართული ენობრივი მასალიდანაა აღებული; ისინი ხშირად არ აღიქმება ასტრონომიული შინაარსით ახსნა-განმარტების გარეშე. პირდაპირ შესატყვისებთან ერთად ეს განმარტებანი მოცემულია თარგმანებზე დართულ სპეციალურ ლექსიკონებში, სადაც სჭარბობს აღმოსავლური ლექსიკა.

5. თვალსაჩინოა ვახტანგის როლი ქართული ორიგინალური სამეცნიერო ტერმინოლოგიის განვითარებისა და გამდიდრების საქმეში. მის მიერ გამოყენებულ ქართულ ტერმინთაგან ზოგიერთი მისაღებია და გამართლებული დღესაც. მათი ხმარება მოწმობს ქართული მეცნიერული აზრის დამოუკიდებელ, თავისთავად არსებობას.

6. ვახტანგი მეცნიერულ თხზულებათა თარგმნისას იჩენს სწრაფვას ზედმიწევნით სიზუსტისაკენ. მისი მთარგმნელობითი მეთოდის ეს თავისებურება აშკარად მქლავნდება უცხოენოვანი ტერმინოლოგიური მასალის გაქართულების დროსაც.

II. მხატვრული თარგმანები

1. „ქილილა და დამანას“ ვახტანგისეული თარგმანი

„ქილილა და დამანას“ მსოფლიო კულტურის კუთვნილებაა. ძველი გაიცნო და გაითავისა მრავალმა ეროვნულმა ლიტერატურამ. იგი უფრო გავრცელდა, ვიდრე ბიბლია, ყურანი და ბუდიზმი (დარმსტეტერი)¹.

კრებული ინდური წარმოშობისაა. თავისი ფაბულითა და ჩარჩოვანი თხრობის პრინციპით უკავშირდება ინდურ „პანჩატანტრას“ (ბენფეი², რიაბინინი³...), თუმცა მისი უშუალო წინაპარი, შესაძლოა „პანჩატანტრადან“ მომდინარე „ჰიტოპადეშა“ (დე სასი⁴) ან რომელიმე სხვა ჩვენამდე არმოდღეული ძველი იყოს.

ტრადიციული თვალსაზრისით, „ქილილა და დამანას“ ინდურიდან ფალაურ ენაზე უთარგმნიათ ხოსრო ანუ შირვანის დროს (531—538). ასევე ათარიღებს ამ ფაქტს არაბული ვერსიან⁵. ფალაურ თარგმანზე გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის არაბული და სირიული თარგმანები, განსაკუთრებით კი ეს უკანასკნელი, რომელიც უფრო ახლოს უნდა იდგეს ფალაურთან, ვიდრე არაბული ვერსია (ბენფეი⁶, კრაჩკოვსკი⁷).

ძველი არაბულ ენაზე ითარგმნა VIII ს. იბნ ალ-მუყაფფას მიერ. სწორედ ამ ვერსიით გაიცნო იგი კულტურულმა სამყარომ, „ქილილა და დამანას“ სპარსული ვერსიებიც მისგან მომდინარეობს.

¹ Дж. Дармстетер, Происхождение персидской поэзии, М. 1925. გვ. 21.

² Benfey Th. Kalilag und Damnag. Alte sirische Uebersetzung. Leipzig, 1876, გვ. VI.

³ Рябинин, В. Книга Kalilah u Damana, ee происхождение и история. М. 1899.

⁴ Calila et Dimna, au fables de Bidpai, en Arabe; par. M. Silvestre de Sacy. Paris, 1816, გვ. 5; შემდეგში: დე სასი.

⁵ მ. თოდუა, ქილილა და დამანას საბასეული ვერსია, თბ., 1967, გვ. 15; შემდეგში: მ. თოდუა.

⁶ Benfey Th., დასახ. ნაშრომი, გვ. XXXVIII.

⁷ Крачковский И. Ю., Избранные соч. I. II, М.-Л. 1956, გვ. 435.

გადმოცემებით, ეს კრებული ახალ სპარსულ ენაზე უთარგმნია რუდაქის (932 წ. ბალ'ამისეული ვერსია)⁸. მას გამოუყენებია არაბული („შაჰ-ნამეს“ მიხედვით⁹), შესაძლოა, ფალაური ვერსია (კობიძე¹⁰); დე სასი ფალაურთან ერთად რუდაქის წყაროდ არაბული ვერსიის არსებობასაც არ გამორიცხავს¹¹. XII საუკუნისათვის რუდაქისეული „ქილილა და დამანა“ უკვე დაკარგულია; შემორჩენილია მხოლოდ მისი ფრაგმენტები.

XII ს. ეს კრებული სპარსულად ისევ არაბულიდან ითარგმნა. ამ თარგმანს, რომელიც შეუსრულებია ბაჰრამ-შაჰ ღაზნელის (1118—1142) ვეზირს ნასრ ალ-ლაჰს, საფუძვლად დაედო იბნ ალ-მუყაფფას ვერსია. მას მაღალ შეფასებას აძლევენ ძველი თეზქერეები (მოჰამედ რუფის „ლობაბ ულ-ალბაბი“, დოვლეთშაჰის „თაზქირათ აშ-შო' არაჰ“), სხვადასხვა ავტორები (ვა' ეზ ქაშეფი¹², ბაჰარი¹³). ნასრ-ალ-ლაჰმა იბნ ალ-მუყაფფას თარგმანი შეამკო მრავალრიცხოვანი სპარსული და არაბული ლექსებით. მისეულ ტექსტს უკვე ეტყობა ე. წ. „ჩუქურთმოვანი პროზის“ გავლენა.

„ქილილა და დამანა“ სპარსულად გალექსა ბაჰა ედ-დინ ყანე'იმ. მისი თხზულება მოთეყარებითაა დაწერილი და არა მარტო ფორმით, არამედ სტილითაც ძლიერ განსხვავდება ნასრ ალ-ლაჰის ვერსიისაგან¹⁴.

XV ს.-ში ვაე'ზ ქაშეფი ქმნის „ქილილა და დამანას“ ახალ ვერსიას „ანვარე სოჰაილის“ სახელწოდებით. მან იგი უძღვნა ამირა შეიხ აჰმადს, რომელსაც სოჰაილს¹⁵ უწოდებენ. ავტორი ამდიდრებს ნასრ ალ-ლაჰის „ქილილა და დამანას“ ახალი იგავებით საადის „გოლესთან-რიდან“, რუმის „მენსევიდან“. ვხვდებით ციტატებს ნიზამის, ჰაფეზის ლექსებიდან, ავტორისეულ ორიგინალურ ჩანართებს. ბაჰარის აზრით, ქაშეფის ვერსია ნასრ ალ-ლაჰის გავრცობა-განმარტებას წარმოადგენს¹⁶. მასში ერთმანეთს ერწყმის გართიმული, რიტმიანი და თავი-

⁸ Ethe H., Neupersische Literatur. Grundriss der iranischen Philologie, II. B. 1896—1904, გვ. 221.

⁹ شاه نامه فردوسی، بمسبت جشن فزاره تولد فردوسی، جلد هشتم، تهران، ۱۳۱۶. ۲۵۰۶—۲۵۹۹, ۱۳۱۶. შ. თოდუა, გვ. 16.

¹⁰ დ. კობიძე, რუდაქი, კრ. „რუდაქი“, თბ., 1957, გვ. 50.

¹¹ დე სასი, დასახ. ნაშრომი, გვ. 39.

¹² შ. თოდუა, გვ. 23.

¹³ იქვე, გვ. 39.

¹⁴ შ. თოდუა, გვ. 30.

¹⁵ სოჰაილი (سوهایی)—თავთირი, kanopus.

სუფალი პროზა, ახასიათებს 'ხვიადი რიტორიკა' და სავსებით პასუხობს თავისი დროის მოთხოვნებს სტილისა და მხატვრული სახვის ხეობებს მხრივ. ქაშეფის ვერსია „უღარესად პოპულარული გახდა მთელს ისლამურ სამყაროში. იგი ითარგმნებოდა: მრავალ აზიურ და ევროპულ ენაზე“¹⁷.

„ანვარე სოჰაილის“ შემდეგ შეიქმნა „ქილილა და დამანას“ კიდევ ორი ვერსია — იბნ მუბარაჰის ადაპტირებული ვერსია „იარე დანეშის“ სახელწოდებით და ჯეჰანბახშის გალექსილი ვარიანტი — „რა'ი ო ბარაჰმან“. ეს გადამუშავებები უდავოდ ჩამორჩებიან მხატვრული დონით ნასრ ალ-ლაჰისა და, განსაკუთრებით, ქაშეფის მაღალმხატვრულ ვერსიებს. ამიტომ, ბუნებრივია, მათ ვერ მოიკიდეს ფეხი.

რთული და ხანგრძლივი ისტორია აქვს „ქილილა და დამანას“ ქართული ვერსიების ჩამოყალიბებას. ქართული ლიტერატურის ისტორია იცნობს ამ კრებულის რამდენიმე ვერსიას. ყველა ეს ვერსია პირდაპირი თუ ირიბი გზით ქაშეფის „ანვარე სოჰაილიდან“ მომდინარეობს. მისი თარგმნა დაიწყო დავით კახთა მეფემ (გარდ. 1602 წ.) და მიიყვანა „კუ და მორიელის“ არაკამდე. იგი დაასრულეს ანონიმმა სპარსელმა და სომეხმა თარგმნელებმა. სამეცნიერო ლიტერატურაში ამ კოლექტიურ თარგმანს A ვერსიას უწოდებენ. მასზე რედაქციული მუშაობა უწარმოებია ვახტანგს — ჩაუმატებია ლექსთა სტრიქონთარგმანები, შეუსწორებია ზოგიერთი რამ. ქირმანში ყოფნისას (1714—1716) ვახტანგი თვითონ თარგმნის მთლიანად ქაშეფის თხზულებას. იგი B ვერსიის სახელითა ცნობილი. ვახტანგმა უღარესი სიზუსტით თარგმნა ტექსტი; მასში ორიგინალის ლექსები ძირითადად პროზით იყო გადმოტანილი, ისინი ლექსადვე გაუწყვია მეფის მდივანს ონანას და ამ საქმისათვის ძირითადად წარმატებით გაურთმევია თავი. ამავე დროს ვახტანგი თავის თარგმანს გასაჩაღხავად უგზავნის სულხან-საბას, რომელიც ქმნის მაღალმხატვრულ, ქაშეფის სტილს შესაფერ. ქართული ორიგინალური ძეგლის დონის თარგმანს. სწორედ იგი (C ვერსია) იქცა „ქილილა და დამანას“ კანონიკურ ქართულ ვერსიად.

გარდა ხსენებული ვერსიებისა, არსებობს კიდევ ორი ვერსია: მელიგზედ ბებუდაშვილისა — „ქილილა და დამანას“ შეკვეცილ-გამარტივებული ვარიანტი საბასეული ვერსიის ადაპტაციის საფუძველზე და ერთი უცნობი ვერსია (ან რედაქცია), რომლის მხოლოდ ან-

¹⁶ 83. 197 II, جلد دوم، سبک شناسی، محمد تقی مہر ملک الشعراء، سبک شناسی، جلد دوم، 197 II, 83. 197 II, 83. 63.

¹⁷ Крымский А., История персии и её литературы, III, 1917, 83. 134.

დერძია შემონახული, საიდანაც ირკვევა, რომ ეს ვერსია (ან რედაქცია) ემყარებოდა ვახტანგის თარგმანს. ავტორი უცნობია; ენა XVIII საუკუნისაა და სტილით უახლოვდება ანტონის სკოლას¹⁸.

„ქილილა და დამანას“ ქართული ვერსიების კვლევას დიდი ხნის ისტორია აქვს. ჩვენ გამოვიყოფთ საკითხის ირგვლივ არსებულ იმ შრომებს, რომელთაც ეტაპობრივი მნიშვნელობა ჰქონდათ ამ კრებული-ლის ქართულ ვერსიათა კვლევის საქმეში.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ექვთიმე თაყაიშვილის ღვაწლი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ამ ვერსიათა შესწავლას¹⁹. მან მიაკვლია დავითისა და ანონიმების თარგმანს (კ. კეკელიძის სახ. ხელნ. ინსტ. ნუსხა S 3177) და დაადგინა, რომ იგი კოლექტიური ნაშრომია; მანვე ძირითადად სწორი კვალიფიკაცია მისცა ვახტანგის რედაქციულ მუშაობას თარგმანზე — კერძოდ, დაასაბუთა, რომ ჩასწორებანი როგორც თხზულების პროზით, ისე ლექსით ნაწილში, მთლიანად ეკუთვნის ვახტანგს, რომელსაც თავის მხრივ შეუდარებია ტექსტი სპარსულ ორიგინალთან. მისეულ ჩასწორებათა შედეგად მიღებული ვარიანტი მკვლევარმა მიიჩნია „ქილილა და დამანას“ ვახტანგისეულ ვერსიად²⁰; ამავე დროს ექვ. თაყაიშვილი ავითარებს რადიკალურ თვალსაზრისს საბას ვერსიის შესახებ და თვლის მას (საბას) „ქილილა და დამანას“ იმ დროისათვის გამოცემული ტექსტის მთარგმნელ-ავტორად. ამდენად, მკვლევარი იძლევა კრებულის ქართულ ვერსიათა ფაქტიურად მცდარ რედაქციულ დაყოფას.

„ქილილა და დამანას“ ქართულ ვერსიათა კვლევა ახალ საფეხურზე აიყვანა ალ. ბარამიძემ. მის ფუნდამენტურ ნაშრომში „ანვარე სოპილი“ და „ქილილა და დამანას“ ქართული ვერსიები მოცემულია დავითისა და ანონიმთა კოლექტიური თარგმანის, ასევე ვახტანგისა და საბას ვერსიათა ღრმა მეცნიერული ანალიზი, მათი შედარება-დანასიათება ფაბულურ-სიუჟეტური, სტილისტურ-ლექსიკური თვალსაზრისით. ამასთან ეს ვერსიები პირველად იქნა სისრულით შედარებული სპარსულ ტექსტთან. ვახტანგის ვერსიის (მისი ავტოგრაფიული ჩანაწერების შემცველი ხელნაწერის), ასევე საბას ავტოგრაფული ცალის მის მიერ მიკვლეულმა და შესწავლილმა ნუსხებმა ნათელი მოჰფინა საკითხთან დაკავშირებულ მრავალ ბუნდოვან მხარეს, და განსაკუთრებით, ვახტანგის როლს იგავ-არაქთა ამ კრებულის

¹⁸ ამის შესახებ იხ. მ. თოდუა, გვ. 162.

¹⁹ Такашвили Е., Описание рукописей „Общества распространения грамотности среди грузинского населения“, т. I, 1902—1904.

²⁰ კ. კეკელიძე ამ კოლექტიურ თარგმანში ცალკე რედაქციად გამოყოფდა ვახტანგის მიერ შეტანილ მასალას. იხ. კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტორია, I, თბ., 1958, გვ. 470.

ქართულ ვერსიათა ჩამოყალიბებაში. ნაშრომმა სწორი მიმართულება მისცა „ქილილა და დამანას“ ქართული ვერსიების კვლევის საქმეს.

გამოკვლევაში გამოტანილია შემდეგი ძირითადი დასკვნები:

1. „ანვარე სოჰაილის“ პირველი ქართული ვერსია (A) უთარგმნია სამ პირს: დავით კახთა მეფეს, ანონიმ სპარსელსა და ანონიმ სომეხს. ამ ვერსიაზე ვახტანგის მიერ ჩატარებული მუშაობა „შედარებით პასიური და ნაწილობრივ მექანიკური ხასიათისაა“; მის მიერ შეტანილ შესწორებათა შემდეგაც თარგმანი „უსრული და უმგვანი“ რჩება.

2. ლენინგრადის ყოფილი სააზიო მუზეუმის ხელნაწერი M 53 ვახტანგის მიერ თარგმნილი „ანვარე სოჰაილის“ მის მიერვე ნასწორები ნუსხაა. იგი შეიცავს საბასეულ მინაწერებსაც. ეს სწორედ ის ცალია, რომელიც ხელთ ჰქონდა სულხან-საბას.

3. ვახტანგმა მოგვცა „ქილილა და დამანას“ „ზედმიწვენილობით აღბეჭდილი“, „საერთოდ და მთლიანად“ სრული და უნაკლო თარგმანი.

ავტორის აზრით, ვახტანგმა საფუძვლიანად იცოდა სპარსული ენა, თუმცა თარგმნისას „სათანადოდ ვერ იმარჯვებდა ქართულ ლიტერატურულ მწიგნობრული მეტყველების საეაძმურს“²¹.

4. C ვერსიის როგორც პროზითი, ისე ლექსითი ნაწილი მთლიანად ეკუთვნის საბას. მას ჩაუტარებია ვახტანგის ტექსტის „გაბედული და თამამი რეკონსტრუქცია“ (არც მთლიანად, არც ნაწილობრივ თვითონ არ უთარგმნია ტექსტი). საბასეულ ვერსიაში წარმოდგენილი ლექსებით ავტორი გვევლინება ქართული ლექსის „ნაყოფიერ რეფორმატორად“²².

„ქილილა და დამანას“ B და C ვერსიების შესწავლის თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოა ელ. მეტრეველისა და ალ. გვახარიას წერილი „სულხან-საბა ორბელიანის მთარგმნელობითი მეთოდის შესწავლისათვის“, სადაც გამოვლენილია კრებულის ვახტანგისა და საბას ვერსიების თვისობრივი სხვაობის მრავალი საყურადღებო მხარე, გამოკვეთილია საბას როლი ქართული „ქილილა და დამანას“ შექმნაში. მოვიტანთ ზოგიერთ დასკვნას წერილიდან:

1. B ვერსიის ტექსტი სტილისტურად და მხატვრულად გაუმართავია. ვახტანგი ხშირად განგებ გაურბოდა თარგმანის აწყობას ქარ-

²¹ ნარკვევები, I, გვ. 334.

²² ავტორის მიერ დარღვეული იქნა ტრადიციული თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ ილ. ჭყონიას მიერ გამოცემულ „ქილილა და დამანას“ პროზა ეკუთვნოდა ვახტანგს, ხოლო ლექსები — საბას. კ. ევკელიძის აზრით, ვახტანგს საბასათვის ლექსების ჩასართავად გაუგზავნია A ვერსია. იხ. კ. ევკელიძე, ქართული ლიტ. ისტორია, II, 1924, გვ. 308, 309.

თული სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით, რადგან იცავდა უაღრესად ზუსტად თარგმნის პრინციპს. იგი შეგნებულად შემოისაზღვრა სტრიქონთარგმანით.

2. საბამ დიდი მუშაობა აწარმოვა ვახტანგის თარგმანზე, მილიანად დაამუშავა იგი ლექსიკური და მხატვრულ-სტილისტური თვალსაზრისით. იგი არ იყენებდა გაჩაღვისას სპარსულ ორიგინალს. საქროების შემთხვევაში მიმართავდა სპარსული ენის მცოდნეთა დახმარებას.

„ქილილა და დამანას“ საბასეული თარგმანი მხოლოდდამხოლოდ მისი მთარგმნელობითი მუშაობის ნაყოფია.

„ქილილა და დამანას“ ქართული ვერსიების კვლევის საქმეში შემდგომ მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს მ. თოდუას სოლიდური ნაშრომი „ქილილა და დამანას“ საბასეული ვერსია“. ავტორმა გააფართოვა კრებულის ვერსიათა კვლევის არე, საფუძვლიანი ანალიზი გაუკეთა თვით სპარსულ ვერსიებს, რომელთაგან ზოგიერთი ნაკლებად იყო შესწავლილი; სრულად შეუდარა ქართული ვერსიები „ქილილა და დამანას“ სპარსულ ორიგინალს, რამაც გამოავლინა მრავალი საყურადღებო სხვაობა დედანთან; გამოწვლილვით შეისწავლა ყველა ძირითადი ქართული ვერსია, მოგვცა მათი შედარებითი ანალიზი და მივიდა დასკვნამდე, რომ:

1. ვახტანგის „ქილილა და დამანას“ წინასწარგანზრახვით გაკეთებული სტრიქონთარგმანია; იგი არაა მხატვრული და არც მთარგმნელს მიაჩნდა ასეთად.

2. ვახტანგმა არ იცოდა ზედმიწევნით სპარსული ენა; მისთვის გაუგებარი რჩებოდა ქაშეფის „ანვარე სოჰაილის“ ლელარქნილი ტექსტის რიგი ადგილები.

3. თავისი სტრიქონთარგმანი ვახტანგმა მისი თანამედროვე ენით შექმნა, სადაც ჰარბად იყო აღმოსავლური ლექსიკა და B ვერსიის ენაში აირეკლა იგი. თვითონ მთარგმნელს არ ჰქონია ბარბაროზმის ტენდენცია.

4. სულხან-საბა ორბელიანმა იცოდა სპარსული ენა და C ვერსიის ტექსტზე მუშაობისას იხედებოდა ორიგინალში. მას კარგად ესმოდა ვახტანგთან უცვლელად დატოვებული სპარსულ-არაბული ლექსიკა, შესაბამისი, სპარსული ენის კვალობაზე აწყობილი ფრაზები და ძირითადად სწორად თარგმნიდა მათ. თუმცა არის შემთხვევები, როდესაც იგი ვერ იგებს ვახტანგის სწორ თარგმანს; შეცდომათა მნიშვნელოვანი ნაწილი გადამნუსხავის უზუსტობითაა გამოწვეული²³.

„ქილილა და დამანას“ ქართული ვერსიების კვლევა მყარ საფუძველზე დგას; გარკვეულია მათი წარმოშობის, ვერსიული დაყოფისა და ურთიერთმიმართების საკითხები, მთარგმნელთა და „გამჩაღვის“

როლი კანონიკური ქართული ვერსიის ჩამოყალიბებაში და სხვა მნიშვნელოვანი მხარეები, თუმცა, როგორც ვნახეთ და ამის შესახებ ჩვენ შემდეგაც გვექნება მსჯელობა, არაერთგვაროვანია მკვლევართა აზრი ზოგიერთი ძირეული საკითხის ირგვლივ.

კვლევას წარემართავდით ხსენებულ მეცნიერთა მიერ მიღებული შედეგების გათვალისწინებითა და ძირითადად მათზე დაყრდნობით: ჩვენი უპირველესი მიზანი იყო ტექსტის დეტალური ანალიზის, თარგმანის სხვა ქართულ ვერსიებთან (ძირითადად C ვერსიასთან) ზოგიერთი მიმართებითი მხარის გარკვევის შედეგად წარმოგვეჩინა ვახტანგის თარგმანის სრულიად განსაკუთრებული ხასიათი, მთარგმნელის დამოკიდებულება დედნისეული ენობრივი მასალისადმი, ლექსიკურ-სტილისტური თავისებურებები, მასში გამოვლენილი მთარგმნელობითი მეთოდი, პრინციპი და ტენდენციები, ტექსტის რედაქცია ვახტანგის მიერ (შესწორებები, ჩამატებები, განმარტებები). ამასთან ვითვალისწინებდით ვახტანგის მეცნიერულ თარგმანთა პრაქტიკას, რაც მისი მთარგმნელობითი მოღვაწეობის ერთ მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ მიემართავდით სპარსულ ორიგინალს ცალკეულ შემთხვევებში, მთლიანად არ შეგვიპირისპირებია მასთან B ვერსიის ტექსტი. ეს მხარე საკმაოდ სკრუპულოზურადაა დამუშავებული ხსენებულ მეცნიერთა მიერ (განსაკუთრებით მ. თოდუას ნაშრომში); ამასთან, ქაშეფის თხზულების გამოცემული ტექსტი, რომლის შედგენისას, შესაძლოა, სულაც არ იყო გათვალისწინებული ვახტანგისეული ნუსხის (ან ნუსხების) მონაცემები, არ გამოდგება მისი თარგმანის შეფასების უცილობელ კრიტერიუმად — შედარებისას გამოვლენილი მასალის ანალიზის დროს ყოველთვის რჩება ნუსხისეული ვარიანტული წაკითხვის შესაძლებლობა. ეს ცხადია, იმას არ ნიშნავს, რომ ასეთი შედარება არაა საჭირო ვახტანგის ვერსიის ზოგიერთი, ძირითადად ფაბულურ-სიუჟეტური, საკითხის გასარკვევად; ამავე დროს, როგორც აღვნიშნეთ, ვახტანგის თარგმანს გარკვეული მნიშვნელობა აქვს თვით სპარსული ტექსტის დადგენისათვისაც. ჩვენ მხოლოდ იმის თქმა გვინდა, რომ ასეთი შეპირისპირება ყოველმხრივ გამართლებული და მიღებული შედეგებიც დამაჯერებელი იქნება მხოლოდ იმ ნუსხის ან ნუსხების აღმოჩენის შემდეგ, რომლითაც უშუალოდ სარგებლობდა ვახტანგი.

23 ჩვენ მოვიტანეთ მხოლოდ ის დასკვნები, რომლებიც უშუალოდ ვახტანგისეულ თარგმანს, მის საბას ვერსიასთან მიმართებას ეხება.

ვახტანგის მიერ „ქილილა და დამანას“ ქართულად თარგმნა დიდი მნიშვნელობის მქონე ფაქტია ქართული ლიტერატურის ისტორიაში. მან დიდი მუშაობა ჩაატარა — ანონიმ სპარსელსა და ანონიმ სომეხ მთარგმნელებს გააგრძელებინა და დაასრულებინა დავითის მიერ „ეუ და მორიელის“ არაკამდე მიყვანილი თარგმანი, აწარმოვა ამ კოლექტიურ თარგმანზე რედაქციული მუშაობა; შემდგომ თვითონ მთლიანად თარგმნა ტექსტი, გადაამუშავა იგი რედაქციულად და „გასაჩაღხავად“ გადასცა ონანასა და საბას. ვახტანგის საქმიანობა ამ მიმართულებით ჰკრავს და მთლიანობაში მოიცავს „ქილილა და დამანას“ ძირითად ქართულ ვერსიათა ჩამოყალიბების მთელ ისტორიას. გარდა ამისა, ძეგლი უაღრესად საყურადღებოა უშუალოდ ვახტანგის მთარგმნელობითი მოღვაწეობის შესასწავლად. მასში თვალსაჩინოდ ვლინდება ავტორის თავისებური მიდგომა სათარგმნი მასალისადმი, მისი მთარგმნელობითი პრინციპი და ტენდენციები — საერთოდ, ვახტანგის მთარგმნელობითი მეთოდის ყველა თავისებურება. ჩვენ სწორედ ამ მხრივ განვიხილავთ „ქილილა და დამანას“ ვახტანგისეულ ვერსიას მის სხვა თარგმანებთან ორგანულ კავშირში.

ვახტანგის თარგმანს სრულიად განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სხვა ქართულ ვერსიათა შორის ზედმიწევნითი სიახლოვით დედანთან. იგი შეზღუდულია სპარსული ტექსტის ჩარჩოებით, რაც, ცხადია, დიდად ვნებს თარგმანს, როგორც მხატვრულ ნაწარმოებს, მაგრამ ამასაც აქვს თავისი ერთგვარად დადებითი მხარე — კერძოდ, მისი მონაცემები საინტერესოა და საყურადღებო თვით სპარსული ტექსტის რიგი ადგილების დასადგენად და დასაზუსტებლად, მით უფრო, რომ, როგორც არაერთგზის არის მითითებული სამეცნიერო ლიტერატურაში²⁴, ვახტანგის ნუსხა ხშირ შემთხვევაში შეიცავს უკეთეს წაკითხვას, ვიდრე სხვა შესწავლილი ნუსხები და აგრეთვე ქაშეთის „ანვარე სოჰაილის“ დადგენილი და გამოცემული ტექსტი, რომელიც არ არის დაზღვეული შეცდომებისაგან. ამდენად, ვახტანგისეული „ქილილა და დამანას“ გამოწვლილვით შესწავლა საჭიროა და აუცილებელიც. ამ მხრივ ბევრი რამ არის გაკეთებული ხსენებულ მკვლევართა მიერ.

„ანვარე სოჰაილის“ ვახტანგისეული თარგმანის კონკრეტულ სკოტხთა განხილვამდე გვინდა ზოგადად დავახასიათოთ იგი:

24. მ. თოდუა, გვ. 170; ალ. ბარამიძე, გვ. 308.

ვახტანგის „ქილილა და დამანა“ სტრიქონთარგმანია. იგი ზედმიწევნითი სიზუსტით მიჰყვება თავის ორიგინალს და მთლიანად მის ჩარჩოშია მოქცეული. მასში ფოტოგრაფიული სიზუსტითაა გადმოტანილი სპარსული მხატვრული მოდელი, ფრაზეოლოგიური კონსტრუქციები, სიტყვა-თქმანი; ძეგლში სჭარბობს სპარსულ-არაბული ლექსიკა — საერთოდ, B ვერსიის ყველა კომპონენტს სპარსული მხატვრული აზროვნების ღრმა დაღი აზის. მართალია, ვახტანგი ზოგჯერ ახერხებს მოძებნოს დედნის შესაბამისი ქართული გამომსახველობითი საშუალებანი, არის შემთხვევები, როდესაც მისი ვარიანტი საბასეულსაც სჯობს, მაგრამ ეს „ქილილა და დამანას“ ვრცელი ტექსტის შედარებით უმნიშვნელო ნაწილია და არ ცვლის თარგმანის ავსობრივ მხარეს — იგი მაინც პყქარედულ თარგმანად რჩება. თავისი ხასიათით ძეგლი პირდაპირ უკავშირდება ვახტანგის სამეცნიერო თარგმანებს, რომლებიც იგივე მთარგმნელობითი პრინციპითაა შესრულებული.

„ქილილა და დამანას“ B ვერსიაში არ ჩანს შემოქმედი მთარგმნელის დამოუკიდებელი ხელწერა, ძეგლი არ არის გარდათქმული ქართულად. იგი ვერ ჩათვლება ქაშეფის თხზულების მხატვრულ თარგმანად. თავისი თარგმანი არც ვახტანგს მიაჩნდა სრულყოფილად, მან „უამთა ვითარებისაგან და ერთა მოცულობით“ ვერ შეძლო მისი „გასრულება“. ეს საქმე უბადლო ოსტატობით შეასრულა საბამ და მოგვცა შინაგანად გაქართულებული ძეგლი, რომელმაც იმთავითვე საყოველთაო აღიარება მოიპოვა.

მოვიტანთ სამეცნიერო ლიტერატურაში ვახტანგის თარგმანი! შესახებ გამოთქმულ ზოგიერთ მოსაზრებას. ის ფაქტი, რომ B ვერსია მხატვრულად არასრულყოფილია და ხშირად „არაქართულობის“, სპარსულიდან პირდაპირ კალკირებულის შთაბეჭდილებას ქმნის, ვახტანგის მიერ თხზულების თარგმნის სიძნელის, მისი მხატვრული მხარის ვერდაძლევითაა ახსნილი. ალ. ბარამიძე წერს: „ვახტანგი ვერ ახერხებდა ყოველ ცალკე შემთხვევაში სპარსული გამოთქმის შესაფერისი ქართული სახეობით გამოხატვას; მთარგმნელი სათანადოდ ვერ იმარჯვებდა ქართული ლიტერატურულ-მწიგნობრული მეტყველების საგანძურს“²⁵. (მოტანილი დახასიათება, რა თქმა უნდა, არ გულისხმობს ვახტანგის ორიგინალურ შემოქმედებით მოღვაწეობას; იგი ეხება მხოლოდ მის მიერ თარგმნილ „ქილილა და დამანას“).

ასეთსავე თვალსაზრისს ავითარებენ ელ. მეტრეველი და ალ. გვახარია წერილში „სულხან-საბა ორბელიანის მთარგმნელობითი მეთოდის შესწავლისათვის“. ისინი წერენ: „ვახტანგს უძნელდებოდა სპარ-

ჩსული თქმების, ლექსიკის და იდიომების ბუნებრივი ქართული შესატყვისებით შენაცვლება...“ მან, „როგორც მთარგმნელმა, ვერ დაძლია „ქილილა და დამანას“ მხატვრული მხარე, იგი თვით მოექცა სპარსული ტექსტის ტყვეობაში“²⁶... მოტანილი ციტატა ნათლად წარმოაჩენს ვახტანგის თარგმანის თვისობრივ ხასიათს. მაგრამ საკითხი შეიძლება ასეც დავაყენოთ: ვახტანგმა ვერ შეძლო „ქილილა და დამანას“ მხატვრულად, ენის ბუნების შესაბამისად თარგმნა თუ შეგნებულად შემოიზღუდა თავი მხოლოდ ზუსტი თარგმანით? ელ. მეტრეველი, ალ. გვახარია ხაზგასმით უთითებენ, რომ „ვახტანგ VI ხშირად განგებ გაურბოდა თავისი თარგმანის გამართვას სტილისა და ქართული სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით, ვინაიდან შიშობდა ამით თარგმანის სიზუსტისათვის ზიანი არ მიეყენებინა“; „იგი ტექსტის სიტყვასიტყვითი თარგმანით დაკმაყოფილდა“²⁷.

მ. თოდუას თვალსაზრისით, ვახტანგს მიზნად ჰქონდა მხოლოდ-დამხოლოდ სტრიქონთარგმანის შესრულება, რომელიც იმთავითვე გულისხმობდა მეორე პირის მიერ მის სრულყოფას. ავტორი გადაჭრით აცხადებს: „ვახტანგის თარგმანი მხატვრული არ არის და არც მთარგმნელს მიაჩნდა იგი ასეთადო“²⁸. ამ მტკიცებების დასასაბუთებლად ნაშრომში მოტანილია ვახტანგის ანდერძი, რომელიც ონანასათვის გასაგზავნად ვარიანტს უძღვის წინ: „ჩვენ ეძითა ვითარებობაგან და ერთა მოუცლევლობით ველარ შევასრულეთ (თარგმანი -- თ. ა.)“²⁹. ვახტანგის თქმაში „ველარ შევასრულეთ“, იგულისხმება ის, რომ თარგმანს აკლდა სრულყოფა — გაჩაღხვა და რომ ავტორს მიზნად ჰქონდა მისი „შესრულება“. აქ ვახტანგი კონკრეტულად პუკარედულად მოტანილი ლექსების ლექსადვე გაწყობაზე ლაპარაკობს, რაც ონანამ შეასრულა კიდევ. მაგრამ ეს ჩვენის აზრით, არ გამოდგება იმის არგუმენტად, რომ ვახტანგს თავისი თარგმანი მხოლოდდამხოლოდ სტრიქონთარგმანად მიაჩნია, რადგან „შესრულება“ — გამართვა არ უნდა ნიშნავდეს თვისობრივად ახალი თარგმანის — პუკარედულიდან მხატვრულის შექმნას, არამედ უნდა გულისხმობდეს არსებული თარგმანის დახვეწას, გამართვას, სრულყოფას. მით უმეტეს, რომ, როგორც მკვლევარიც მიუთითებს³⁰, საქმის ასეთი ვითარება — ის, რომ ვახტანგი თავის თარგმანს მთლიანად სტრიქონთარგმანად თვლის — არ არის ასახული მის ანდერძში, სადაც იგი მხოლოდ ლექსების გამართვაზე ამახვილებს ყურადღებას. სხვა საკითხია, როგორ კვალი-

26 ელ. მეტრეველი, ალ. გვახარია, გვ. 181.

27 იქვე, გვ. 180—181.

28 მ. თოდუა, გვ. 97.

29 იქვე, გვ. 96.

30 იქვე, გვ. 97.

ფიკაციას ვაძლევთ ჩვენ დღეს ვახტანგის ვერსიას ჩვენი, თანამედროვე პოზიციებიდან ვახტანგის თარგმანი მართლაც არ არის მხატვრული, მაგრამ ავტორს მიაჩნდა, რომ თარგმნა ქაშეფის თხზულება ზუსტად, უბრალო ენით და რომ მის თარგმანს აკლდა „შესრულება“.

სრულიად ნათელია, რომ ვახტანგისეული „ქილილა და დამანა“ სტრიქონთარგმანია. მაგრამ რამ განაპირობა ეს? იმან, რომ ვახტანგმა წინასწარ განიზრახა პუკარედული და არა მხატვრული თარგმანის შექმნა და ამით „ნამდვილი თარგმანისათვის ნიადაგის მომზადება“³¹, თუ სიზუსტისადმი გადაჭარბებული მიდრეკილების, მისი მთარგმნელობითი მეთოდის ამ თავისებურების გამო უნებურად მივიღეთ სტრიქონთარგმანი?

ვახტანგის „ქილილა და დამანა“ ნათარგმნია უაღრესი სიზუსტით, მაგრამ მთარგმნელი ვერ ახერხებს (ცხადია, არა წინასწარგანზრახვით) სიზუსტესთან ერთად ენის ბუნების შესაბამისი მხატვრული გამომსახველობა მისცეს თარგმანს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სტილისტურ-ენობრივი თვალსაზრისით თხზულების შესავლის ვახტანგისეული ანდერძი თვალსაჩინოდ განსხვავდება მისი ძირითადი, თარგმნილი ნაწილისაგან. ნათქვამის ნათელსაყოფად მოვიტანთ ზოგიერთ ადგილს ტექსტიდან:

„უამსა პატიოსნისა და ამალღებულისა დედათ მშვენიერებისა თვით მპყრობელისა და ღვთივ გვირგვინოსნისა მეფეთ მეფისა თამარისა ესე წიგნი ეთარგმნათ, რომელი ცხოვრებასა ქართლისასაც წერილ არს. ამითაც საცნაურ არს — რაოდენსაცა საქართველოში ანუ არაკს ანუ იგავს ანუ ზეპირს მუნასიბსა ლექსსა ახლა იტყვიან, უფროსი ერთი ამაწი სწერია. მაშინდელი ნათარგმნი უამთა ვითარებით დაკარგულიყო... მე ის წიგნი ჯელად შემევიარდა. ვნახე, რომ იყო სიტკბოთი და სარგოთი სრული. რაოდენი ზღაპრის წიგნია და ანუ მსოფლიო სწავლანი არიან, ამისთანა სარგო და სამოდ საკითხავი არ იბოებოდა... არათუ ჩემის დანაშაულისათვის, არამედ სული უმჯობოთა საზრდელისა და გუამი სამოსლისა. ამისთვის მომიძულეს მე უსამართლოდ და შემდგომად ამისს თვისთაცა ჩემთა ნაცვლად კეთილისა მომაგეს ბოროტი და აღმიდგეს შურად და ამის მიზეზისათვის ტყვე მყვეს“... (ანდერძი, გვ. 9, 10).

ახლა მოვიტანთ ნებისმიერ ადგილს ძირითადი ტექსტიდან: „ერთ დღეს მამამ უთხრა: „ეპა, შვილო, ყოველთვის ჩემი გული შენის საქმის ფიქრში არი; ვაჟაკობისა და ყმაწვილობის საქმეს ბევრი გან-

31 ვლ. მეტრეველი, აღ. გვახარია, გვ. 182.

ყოფილება აქვს... მეშინიან ავის მოქმედმა სული ავის მოქმედებისა შენს აგებულობაში არ ჩააგდოს, მინდა, რომ გალავანი შენს მშვიდობის დროს ალაგზე შემოგავლო, რომ ერთი საქმე შენი საწაღელი გამირიგებია... (გვ. 72).

„...მოუყვანიათ, ფარსის ქალაქში ერთი შეიხი იყო. შეიხობის ხელმწიფობაში ფარსის ქვეყნის ხელმწიფობის მეიდნის სიკეთეში ნახში აეტაცა და ზარქაში თავის თავი ამალღებულის ცისათვის გაეყო“ (284).

„ნახე იმ მხიარულის კაკაბის სიცილი აფუზო/რომ განგების ქორის კლანჭის სიკვდილისა მოულოდნელი იყო. ეს მასალა იმისათვის მოვიყვანე, რომ...“ (349).

„ერთს ქურდს რომ ღამის სიარულის წელი შეერტყა და ხაზინის მოსაპარავად ხაზინის კედელს აქცევდა; მას რომ მცოდინარობის კაბა ტანთ ეცვა, ბედნიერების გვირგვინი თავს დახურეს და მიიმუნნი რომ თავის თავის სულის ტოლი და დაფარულის შინაური იყო... პატრივის ტანისამოსი მისის ტანიდან განსძარცვეს... (505) და სხვ.

„ერთმა ბრძენმა ერთი ღამაზე სახე ვაეიკაცი ნახა და მის გულს მისი მუსაიბობა მოუნდა. ახლოს მივიდა და მისი საქმის სიქა გასინჯა, ათარი რომ იმას ეფერებოდა, არა ჰქონდა“ (716) და სხვ.

სხვაობა პირველი სტრიქონებიდანვე ნათელია: ანდერძი „ქართულადაა“ ნაწერი, აქ ვახტანგი თავისუფალია, არაა შეზღუდული ორიგინალით; შემდეგ კი, თარგმნისას უკვე თავს იჩენს მისი განსაკუთრებული მოდგომა სათარგმნი მასალისადმი. ტექსტი გადატვირთულია აღმოსავლური ლექსიკით, სპარსული ფრაზეოლოგიური კონსტრუქციებით, კალკებით. აქ ვახტანგი ვერ თავისუფლდება სპარსული ტექსტის ტყვეობიდან. ეს განსხვავება კიდევ ერთხელ ნათელყოფს ვახტანგის მთარგმნელობითი მეთოდის ძირითად თავისებურებას — სწრაფვას ზედმიწევნითი, პწკარედული სიზუსტისადმი.

ვახტანგის თარგმანი ზუსტია; მაგრამ იმისათვის, რომ ნათარგმნი ძეგლი იყოს ამავე დროს მხატვრულად გამომსახველიც, ენობრივ ნორმებს მორგებულად, საჭიროა მთარგმნელის (და არა მხოლოდ მწიგნობარი პოეტის) დიდი ტალანტი, ისეთი, როგორმაც შექმნა ქართული „ვისრამიანი“ — უაღრესად ზუსტი და ამასთან ეროვნულ ძეგლის სიმაღლის მაღალმხატვრული თხზულება.

მეორეს მხრივ, ნაკლებად მოსალოდნელია, რომ ვახტანგ VI—მეფე, პოეტი, გამოცდილი მთარგმნელი, წინასწარგანზრახვით აკეთებდა პწკარედს, რომელიც შემდგომ სხვას უნდა გაეჩაღხა. ეს დღევანდელი პრაქტიკაა, ფუნქციათა ასეთი განაწილება იმ დროს არ არსებობდა. ვიმეორებთ, ვახტანგის თარგმანს პწკარედულად მივიჩნევთ დღეს მისი ხასიათის გამო. თვითონ ვახტანგს კი, ჩვენის აზრით, არ

ჰქონია ასეთი მიზანი; „ქილილა და დამანას“ მისეული თარგმანი სწორედ ამგვარი გამოვიდა ვახტანგის მთარგმნელობითი ტენდენციების, ზუსტად თარგმნის პრინციპის გამო.

ამავე მთარგმნელობითი პრინციპითაა შესრულებული ვახტანგის სამეცნიერო თარგმანები. მათი ტექსტებიც გადატვირთულია აღმოსავლური ლექსიკითა და კონსტრუქციებით, პუკარედულია და ხშირად სტილისტურადაც გაუმართავი. ეს ცხადია, უფრო ნაკლებ ვნებს ამ თარგმანებს თავისი სპეციფიკის გამო — ისინი უნდა ყოფილიყო თარგმნილი უაღრესი სიზუსტით, მათი თარგმნა არ გულისხმობდა ტექსტისადმი შემოქმედებით დამოკიდებულებას მთარგმნელის მიერ. ნათქვამი არ ეხება ვახტანგის სტამბაში გამოცემულ მისსავე „აიათს“, რომელიც, როგორც ვნახეთ, მთლიანადაა გაქართულებული. ამით იგრძირეულად განსხვავდება სხვა სამეცნიერო თარგმანებისაგან.

სხვაგვარი უნდა ყოფილიყო ვითარება მხატვრული თხზულების თარგმნისას, მაგრამ ვახტანგი მათ ანალოგიურად უდგება (ვგულისხმობთ „ქილილა და დამანას“ და „ზიჯის“, „სტროლაბის“, „თალა მასალას“ „ჰიდაათ ალ-ნუჯუმის“ მასალას); ეს აკავშირებს მის მეცნიერულ თარგმანებსა და „ქილილა და დამანას“ — მთარგმნელობითი მეთოდის თვალსაზრისით ისინი ორგანულად უკავშირდება ერთმანეთს. როგორც აღვნიშნეთ, გაცალკევებით დგას ამ მხრივ ვახტანგის „აიათი“ და „მთემათიკა“. სათარგმნი მასალისადმი მიდგომის თვალსაზრისით განსხვავებულ სურათს იძლევა მისი „ამირნასარიანიც“. ამის შესახებ ქვემოთ.

ქაშფეის „ანვარე სოჰაილის“ ვრცელი და უაღრესად რთული ტექსტის თარგმნა მოითხოვდა მთარგმნელისაგან დიდ განსწავლულობას, სპარსული ენის, მხატვრული აზროვნების. სტილისა და ტექნიკის ღრმად ცოდნას. ეს დიდი სამუშაო შესაშური მონდომებითა და კეთილსინდისიერებითაა შესრულებული ვახტანგის მიერ: B ვერსიის ტექსტი იძლევა სპარსული ორიგინალის ზუსტ ასლს და უნაკლოდ ასახავს ყოველ დენდისეულ ნიუანსს. ასეთი დიდი შრომისას ავტორი, ცხადია, არ იყო დაზღვეული შეცდომებისაგან. უნდა აღინიშნოს, რომ ისინი საკმაოდაა ვახტანგის ტექსტში.

მ. თოდუას ხსენებული ნაშრომის უკანასკნელ თავში განხილულია ქართულ ვერსიათა ორიგინალისაგან განსხვავების 546 შემთხვევა. მოტანილი მაგალითები იძლევა ყურადსაღებ მასალას. მკვლევარს მიერ ახსნილია გამოვლენილ განსხვავებათა გაჩენის მიზეზები. ჩვენ გვინტერესებს ის შემთხვევები, რომლებიც უშუალოდ ვახტანგს ეხება. ისინი საკმაოდ ბევრია ნაშრომის ამ ნაკვეთში.

ავტორი აღწუსხავს ვახტანგის მიერ თარგმნისას დაშვებულ შეცდომებს. მთარგმნელი მართლაც არასწორად კითხულობს და იგებს

ზოგიერთ სპარსულ-არაბულ სიტყვას დიაკრიტიკულ ნიშანთა აღრვისა და დაწერილობის მსგავსების გამო. მაგ. حاق (ყელი)-ს ვახტანგი კითხლობს როგორც خلق (ხალხი), اصطراب (ფათერაკი) — اصطراب (ასტროლობი), حش (სიავე), حشم (მტერი), قس (ბრძოლა) — قتل (მოკვდინება), حوزہ (რაიონი, ფარგლები), — حوض (აუზი), م' د (სული) — د' م (კული), كفه (სასწორის პინაკი) — كف (ქაფი); خاص (რჩეული) — خلاص (ხალასი, სუფთა), عقبات (განსაცდელი) — عقب (არწივი), نسيان (თავმჯ. კავება), — نسيان (აპრილი)...

ზოგჯერ ვახტანგის მიერ არასწორადაა გაგებული ამა თუ იმ სიტყვის შინაარსი — მაგ. مرعزار, რაც ნიშნავს „მდელოს, წალკოტს“, მან გაიგო როგორც „ფრინველთ სამყოფი“²², سبک روی (აჩქარება) — ჭკუამჩატეობა (მსუბუქი რჩევა... დაიწყეს — 173), حوا (მოტანილ შემთხვევაში „ვნება“) — „აერი“ (253,452...); سودا (ფიქრი, საზრუნავი), — „ვაჭრობა“ (119,424); گران (საქ. გეოგრ. სახელი „გორგანი“) — „მგელთა“ (گرگان), صحبت زنان (ქალთა საზოგადოება) — მოსაუბრე („ვინც უნამჩატეობა მოინდომოს“ — 483); دوردست („შორეული“) — „შორს ხელის გაწვდომა“ (502).

მ. თოდუას მიერ მოტანილი ვახტანგისეული შეცდომები მართლაც დამაფიქრებელია და ერთგვარ ეჭვს ბადებს — იცოდა თუ არა ვახტანგმა სპარსული საფუძვლიანად? მაგრამ აქ უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი გარემოებაც.

თვით ავტორი (მ. თოდუა) მიუთითებს, რომ ვახტანგი სარგებლობდა „ანეარე სოჰაილის“ ერთ-ერთი საუკეთესო ხელნაწერით, „ქართულ თარგმანში ზოგჯერ შემონახულია უკეთესი წაკითხვა, ვიდრე ძეგლის სპარსულ გამოცემებში“²³... მიუხედავად ამისა, კონკრეტული ანალიზის დროს მკვლევრის მიერ ხშირად არაა ეს გათვალისწინებული, არაერთგვაროვანია მასალისადმი დამოკიდებულება — თითქმის ანალოგიურ შემთხვევებში ზოგჯერ დაშვებულია ვახტანგისეული ნუსხის ვარიანტი — განსხვავებული გამოცემული ტექსტისაგან, ზოგჯერ კი არა.

ნუსხისეული ვარიანტული წაკითხვითაა ახსნილი შემდეგი შემთხვევები: ვახტანგთან არის „ერთი კაცი“ (کردی دای) (228) — ორიგინალში کردی دای (მეორე ფრინველი)²⁴; ავტორი წერს: „ორი-

²² ელ. მერტრეველისა და ალ. გვაზარაის მაგალითთა — გვ. 200.

²³ მ. თოდუა, გვ. 170.

²⁴ იქვე, გვ. 216.

გინალის **تاجو** (სიყვარული) წაუკითხავს (ვახტანგს — თ. ა.) (იქ-
ნებ მისეულ სპარსულ ნუსხაში იყო ასე), როგორც **تاجو** (სარ-
ჯელი, შრომა, ჯაფა)³⁵.

მას მოჰყავს ასეთი მაგალითიც: „სიკეთის ხაზინა უგველოდ
ბევრს გარჯით ხელში არ მოვიდოდა“ (456) და იქვე ასე ხსნის მას:
„ჩანს ორიგინალის **ار** (ტვირთი)-ის სანაცვლოდ ვახტანგის სპარსულ
ნუსხაში იკითხებოდა **ار** (გველი), რაც მით უფრო არაა მოულო-
დნელი, რომ აღმოსავლური თქმულებების მიხედვით განძს იცავს
უხსენებელი“³⁶.

საესებით დასაშვებია ამგვარ განსხვავებათა ნუსხისეული მონა-
ცემებით ახსნა. მაგრამ განსხვავებული პრინციპით უდგება ავტორი
ამ რიგის სხვა მაგალითებს; საერთოდ, ნაშრომში ხშირად ჩანს ტენ-
დენცია — გადახრები ორიგინალის ტექსტისაგან აიხსნას ვახტანგის
შეცდომებით. მათი არსებობა, ცხადია, არ არის გამორიცხული,
ვხვდებით აშკარა შეცდომებსაც, მაგრამ გაუგებარია. თუკი **تاجو - تاجو**,
ასევე **ار - ار** და სხვა განსხვავებანი შეიძლება ავხსნათ ნუსხისეული მონა-
ცემებით, რა გვიწლის ხელს ამავე მიზეზით ავხსნათ ანალოგიური შემთხვე-
ვები: **حلم - حلم** (630), **سمع - سمع** (594), **هندي - هندي** (هندي-ში),
سجده - سجده და სხვ.

ავტორი ვახტანგის მიერ ორიგინალის ტექსტის არასწორ წაკი-
თხვად მიიჩნევს მის თარგმანში ორიგინალის **داشمن** -ის ნაცვლად
داش-ის ქართული შესატყვისის არსებობას — **داش**-იდან **داش**-ის მიღება
კი გაჭირდებოდა. უფრო ბუნებრივია აქ ვივარაუდოთ ნუსხასეული ვარი-
ანტი.

მ. თოდუას B ვერსიიდან მოჰყავს ერთი ასეთი მაგალითიც:
„ასფერსა ახალს გაზაფხულს ღ რ უ ბ ე ლ ს ა ვ ი თ შ ა ვ ს ა ჰ ყ ი დ დ ა“
(ხაზგასმა ავტორისაა გვ. 550). „ქილილა და დამანას“ გამოცემულ
ტექსტში შესაბამის ადგილას არის: „عشیره فروندی، باغزار نیرنگ چون روزگار“
„საწუთროს მსგავსად ათას თვალთმაქცობით კეკლუცობას ჰყიდდა“.
ქართული ვერსიის წაკითხვა დაშორებია ორიგინალს, აზრიც ბუნდო-
ვანია. ავტორი აღნიშნული განსხვავების თაობაზე წერს: „ღრუბელსა“
და „სიშავეს“ ჩვენთვის ცნობილ სპარსულ ნუსხებში ვერ ვხვდები-
თო“ და ამიტომ რიგი ვახტანგისეული შეცდომების დაშვების გზით

35 იქვე, გვ. 245.

36 იქვე, გვ. 279.

ცდილობს გააკვიროს ამ განსხვავების გაჩენის მიზეზი: **عشوه**-ს ნაცვლად, ალბათ დიაკრიტიკულ ნიშანთა არარსებობის, ასევე ასოთა დაწერილობის მსგავსების გამო ვახტანგმა წაიკითხა **سواد**. რაც ნიშნავს „შავად ნაწერს“ (Черновик); ასევე გაჩნდა **سوار**-ის ნაცვლად **ساي**, სადაც **س** ღრუბელია, **ا** — ნაწილაკი... ბოლოს ავტორი ასკვნის: „ეს რომ ასეა, ჩანს იქიდანაც, რომ არც **عشوه** და არც **سوار**-ის მნიშვნელობა ვახტანგის თარგმანში არ არეკლილა“.

მოტანილი დაშვებანი ლოგიკურად ებმიან ერთმანეთს. მაგრამ, ჩვენი აზრით, უფრო ბუნებრივი იქნება ვივარაუდოთ, რომ აქ ვახტანგი მიპყვება თავისი ნუსხის წაკითხვას, თანაც ის, რომ ხსენებული სიტყვები („ღრუბელი“ და „სიშავე“) ავტორისათვის ცნობილ სპარსულ რედაქციებში არ იყო, გადაჭრით არაფერს ამტკიცებს — ვახტანგის ნუსხა (ან ნუსხები) ხომ არაა მიკვლეული? ეს ვრცელი მსჯელობა ჩვენ იმიტომ მოვიტანეთ, რომ შედარებისას გამოვლენილი მასალისადმი ამგვარი მიდგომა დამახასიათებელია მ. თოდუას ნაშრომისათვის, რის საფუძველზეც ავტორს ეჭვი შეაქვს ვახტანგის მიერ სპარსული ენის საფუძვლიან ცოდნაში. ამ საკითხზე ჩვენ კიდევ შევჩერდებით ვახტანგისეული თარგმანის ლექსიკის განხილვისას.

ვახტანგის თარგმანების შესწავლა ნათელყოფს მისი მთარგმნელობითი საქმიანობის ერთ მნიშვნელოვან მომენტს: იგი ხშირად უბრუნდება თარმნილ მასალას, უკეთებს რედაქციას — ახუსტებს ლექსიკას, შეაქვს შენიშვნები, ცდილობს გამონახოს უცხოენოვან ლექსიკურ ერთეულთა ქართული შესატყვისები, აღნიშნოს ის, რაც შემდგომ დამუშავებასა და სრულყოფას მოითხოვს. იგი აქაც ერთგულია თავისი პრინციპის, ყველა მის მიერ ჩატარებული ოპერაცია ემსახურება ერთ მიზანს — შექმნას უაღრესად ზუსტი და პრაქტიკულად გამართლებული თარგმანი.

ამ მხრივ არც „ქილილა და დამანაა“ გამონაკლისი: M — 53-ში ჩანს ვახტანგის მიერ თარგმანზე ჩატარებული რედაქციული მუშაობის სრული სურათი. ვახტანგისეული სწორებები, როგორც ადრე აღვნიშნეთ, ეხება ძირითადად ტექსტის ლექსით ნაწილს, ნაწილობრივ პროზაულსაც.

განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ვახტანგი თარგმანში მოცემული ლექსების (რომელთაგან ნაწილი გალექსილია) პროზაული, პუკარდული ვარიანტის მოცემას. იგი თავის ანდერძში წერს: „ლექსი სპარსული ქართულში ლექსად არ ითარგმნება, ამხად მოვალ...“ ვახტანგის ეს განცხადება ერთხელ კიდევ მოწმობს იმას, რომ თარგმნისას მაქსიმალური სიზუსტის დაცვა ამოსავალი პრინციპია მისთვის.

ამიტომ იგი ტექსტის გაჩაღვამდე გალექსილ ადგილებს ისევ „ამბად“, პუკარედულ პროზად გარდათქვამს. ამ მეორეულ ვარიანტს შიშყვება ძირითადად საბაც და ლექსავს მას. ვახტანგი კიდევ ერთ-ჯელ თავიდან ბოლომდე დიდი გულისყურით უდარებს ტექსტს დედანს და, ვფიქრობთ, იშველიებს სხვა მის მიერ მანამდე არგამოყენებულ ნუსხებსაც³⁷. სწორედ ასეთი ზუსტი, ორიგინალთან უდარესად მიახლოვებული თარგმანი უნდა გამხდარიყო ამოსავალი საბასათვის.

მსგავს ოპერაციებს ვახტანგი სხვა თარგმანებზეც ასრულებს, რაც მოწმობს მის დიდ პასუხისმგებლობას თარგმანზე მუშაობისას და მთარგმნელობით პრინციპს — იყოს თარგმანი ორიგინალის ზედმიწევნით ზუსტი სურათი.

ვახტანგის ნუსხა (M 53) შეიცავს მრავალ მთარგმნელისეულ შესწორებას. ისინი არაა ერთგვაროვანი, თუმცა ერთ საერთო მიზანს ემსახურება.

ვახტანგი სწორებისას ზოგჯერ პირველ ვარიანტსაც ტოვებს და ზემოდან აწერს მას ახალ ვარიანტს, ხოლო თუ არსებული ვარიანტი მიუღებლად მიაჩნია, მთლიანად შლის მას. შესწორებაში ვახტანგი არცთუ იშვიათად იძლევა არა მარტო ორიგინალთან სიახლოვის თვალსაზრისით უფრო ზუსტ, არამედ უფრო ლოგიკურ და გამართულ თარგმანსაც. ამასთან, როგორც ამას ქვემოთაც ვნახავთ, მისი ეს მეორადი თარგმანები მეტადაა გადატვირთული აღმოსავლური ლექსიკით, მეტადაა კალკირებული, ვიდრე პირველი. მისი რედაქციული მუშაობაც სწორედ ამას გულისხმობდა.

აქ გვინდა მოვიტანოთ ერთი მაგალითი ალ. ბარამიძის ნაშრომიდან. ავტორის მიერ ციტირებულია B ვერსიის არაკის — „მებაღე და ბულბული“ — ერთ-ერთი ლექსის ვახტანგისეული პროზაული რედაქცია:

„სანამდინ მაცოდვილებ, ჰოი, ამხანაგო, იშალა ნუმც დარჩები, სანამდინ. პირს დავხურავ, ჰოი საფარველო, იშალა, გაცუდდე“
მკვლევრის აზრით, ეს სპეციფიური გამოთქმა, რომელიც არ იკითხება დედანში, ვახტანგს თვითონ „მოუშველებია“, „ჩანს, ვახტანგისათვის ეს და ანალოგიური გამოთქმები ცხოვრებაში სახმარი ჩვეულებრივი სამეტყველო ფორმა უნდა ყოფილიყო“³⁸.

ვახტანგის მთარგმნელობითი პრაქტიკა არ ადასტურებს მის მიერ სათარგმნი ტექსტისადმი ამგვარ თავისუფალ მიდგომას. მართალია,

37 ვარიანტული ტექსტების არსებობას იმთავითვე ვარაუდობდა ალ. ბარამიძე. იხ. ნარკვევები, I, გვ. 311, 312..

38 ნარკვევები, I, გვ. 313.

იგი თარგმნისას ზოგჯერ აქართულებს ამოსავალ ტექსტს, მაგრამ მაინც ყოველთვის დედნისეული მასალიდან ამოდის. თანაც ამ შემთხვევაში, როდესაც ვახტანგი იძლევა ტექსტში არსებული გალექსილი ადგილის პროზით, პწკარედულ ვარიანტს, რაც ორიგინალის სრული ადექვატურობის დაცვას ისახავს მიზნად, მის მიერ ტექსტის ასეთი „შეცემა“ მით უფრო მოულოდნელია. ამასთან მოტანილი ადგილი სპარსული სინტაქსური წყობის ზუსტი ასლის გადმოღების ნათელ მაგალითს წარმოადგენს. ჩვენი აზრით, ამ არაბული გამოთქმის გაჩენა ვახტანგთან მის მიერ ტექსტის რედაქციისას გამოყენებულ ნუსხის მონაცემით უნდა აიხსნას.

ვახტანგის მიერ B ვერსიის ტექსტში შეტანილი შესწორებები თავისი ხასიათის მიხედვით ასე დავაჯგუფეთ:

I. შესწორების აზრი იგივეა, რაც არსებული ვარიანტის, მხოლოდ ეს ჩასწორება უფრო მიახლოვებულია დედანთან, სიტყვისიტყვიითა.

ა) ლექსები (გარითმული ან პროზაულად გადმოტანილი) მოცემულია ზუსტი პროზით.

ბ) პროზა შეცვლილია პროზით, ოღონდ დედანთან უფრო მეტად მიახლოვებული თარგმანით.

II. შესწორებაში პირველი ვარიანტისაგან განსხვავებული ნიუანსია გადმოცემული.

III. შესწორებაში ახალი, შეცვლილი (ნაწილობრივ ან მთლიანად) ან დამატებითი აზრია მოცემული.

პროცენტულად სჭარბობს პირველი ჯგუფის მასალა, ძირითადად თარგმანის ლექსებთან დაკავშირებული შესწორებანი.

შესწორებათა დიდი ნაწილი აზრობრივად თანხვედბა პირველად ვარიანტს. ამგვარი შესწორებანი ძალზე ბევრია ტექსტში. მაგალითად:

I ვარიანტი: რა დაღამდება, აღთქმას ვიქ ამ საქმის განშორებასა/ რა გათენდება, უფრო მწაღს, ვერა ვიქ მის მოკლებასა.

II ვარიანტი: ყოველი ღამე ვიტყვი ხვალ ამ საქმეს მოვშორდები/გამიხლდება ყოველს დილას მისი ნდომა მე (282), ასევე: გვ-82, 257, 176, 197, 584 და სხვ.

ამასთან ვახტანგი ბევრ კარგად გაწყობილ ლექსსაც პწკარედულ ვარიანტს აწერს. მაგ.:

I ვარიანტი: არ შეექმნას მწერს

ბოლოფრთა ფარშამანგის მსგავსი დარი,

ვერცა მკალი შეიქმნების ფასქუნჯისა მსგავსი დარი,

ძმარსა ღვინის გემოვნება ვერ უპოო ვერცა ცვარი,
ეკლისაგან ვარდის სული არ გამოვა მოსახმარი³⁹.

(651—652)

II ვარიანტი: მწერი ფარშამანგის დარად არ დაბადებულა,
მკალს ფასქუნჯის სიპათიოსნე არ მისცემია;
ძრმისაგან ღვინის გემო რა გამოიღება,
ვარდის სული ხმელის ეკლისაგან არ გამოვა.

ან: I ვარიანტი: რა ეს სთქვა ბრძენმა, საუნჯის კარი გააღო გდებულნი,
თქვა: ქვეყანისა მპყრობელო! შენმცა გაქვს ნება
ნებული;

შენს ბრძანებასა მორჩილობს არსად ვინც არი გებული,
შენმცა გაქვს ეტლი ღვთისაგან ქორედად ზეაგებულო
(688)

II ვარიანტი: მცოდნემ კაცმა რომ ეს სიტყვა გაიგონა,
სიტყვის განძის კარი გააღო,
უთხრა: ეჰ, ხელმწიფევე, ქვეყნისა და დროისავე!
შენს ბრძანების ქვეშ არის ესეცა და ისიც.

ასევე: გვ. 697, 402 და სხვ.

არის შემთხვევები, როდესაც შესწორება გართიმული ლექსია,
ან I ვარიანტი ჯერ შეცვლილია პროზაულით და იქვე მოცემულია
მისი გალექსილი ვარიანტიც.

მაგალითად:

I ვარიანტი: ქინის ხეს ასე რიგი მოსავალი აქუს/რომ მისი
გემო კაცის პირში სხვა რიგათ ეჩვენება. (sic!).

II ვარიანტი: შურის ნერგი რომ გულში დათესოს, გამოცხადე-
ბულია რომ როგორ მოხდება.

III ვარიანტი (გალექსილი): ნერგი შურის რა რომ გულსა და-
ერგოს და დაეთესოს/, შორიდან ჩანს, რაც მოხდება ანუ რაცა გა-
ეწესოს (გვ. 443).

ზოგჯერ ვახტანგი პირვანდელ ვარიანტს ასწორებს არა მარტო
უფრო ზუსტი, არამედ უფრო გამართული, ლოგიკური და თავდაპირ-
ველ თარგმანთან შედარებით უფრო გასაგები ვარიანტით.

I ვარიანტი: წადი და შემძლეობის სახელოვნობით ეცადე ქვეყა-
ნაში სახელსა/მიწის პირი აივსება ანაზღად თქმითა და მოსმენით.

II ვარიანტი: წადი და სახელოვნობის სახელს ეცადე ქვეყანა-
ში, რომ შენის სიკვდილით/მიწის პირზე შენი ქება ითქმოდეს (122),
ასევე: 407, 422, 318, 546 და სხვ.

როგორც მოტანილი მასალიდან ჩანს, ვახტანგი თავის თარგმანს აზუსტებს არა მხოლოდ ორიგინალთან სიახლოვის თვალსაზრისით, არამედ აზრობრივადაც; მისი სწორებანი ეხება როგორც თხზულების ლექსით, ისე პროზით ნაწილს, უფრო ნაკლებად ამ უკანასკნელს. ამ ჯგუფში შემავალი შესწორებანი სრულებით არ ცვლის თარგმანში არსებული შესაბამისი ადგილების აზრს, მხოლოდ ისინი უფრო სიტყვასიტყვითია, ერთგვარი „შავი მასალა“ თარგმანზე შემდგომი მუშაობის (მისი გაჩაღების) ჩასატარებლად. საბაე თითქმის ყოველთვის ამ მეორეულ თარგმანებს მიჰყვება — ასეთი სამუშაო ხომ სწორედ მისთვის იყო გამოიზნული.

მაგალითად:

I ვარიანტი: მოსავლის ჳირის ისარს რა საქმისაგან გასულა უნებს,

ფიქრისა და რჩევის ფასი იმას ვეღარ დააბრუნებს.

II ვარიანტი: განგებულობის ისარი თათბირის ცერიდამ რა გავარდა,

არ ასცთება, რამთონიც თათბირის ფარი უფარო. (57)
საბასთან ასეა: განგებულების ისარი საცერით განატყორცნია

რა მივა, აღარ დასცდება, იფაროს ფარი ოცია. (83)

2. რედაქციისას ვახტანგი თავის თარგმანში ზოგიერთ ადგილს არაზუსტად მიიჩნევს და სწორებისას ნიუანსურად ცვლის მას. ამგვარი შემთხვევები საკმაოდაა ტექსტში. მოვიხმობთ ზოგიერთს:

I ვარიანტი: კარგს ზეს მოესხმის ზილი...

II ვარიანტი: ხე ლთმა იმისთვის აღმოაცენა, ზილი მოისხას... (225)

ასევე: I ვარიანტი: კარგია გულის წამღების პირის ჳამიდამ ღვიწხო;/მავრამ ბოლო გაყრის ხუმრობა შიქმნება.

II ვარიანტი: კარგია გულის წამღების შეყრის ჳამიდამ ღვინო/მავრამ ბოლოს ზღვის მსგავსი გამოყრილობა იმაში არი“ (213).

3. შემდეგი ტიპის შესწორებათა არსებობა თარგმანში შეიძლება გამოეწვიოთ ორ გარემოებას: 1. ვახტანგი ტექსტის რედაქციისას ზოგიერთ მის მიერ თარგმნილ ადგილს არასწორად მიიჩნევს და ცვლის მას აზრობრივად; 2. ავსებს თავის თარგმანს ახალი ნუსხის ან ნუსხების მონაცემებით, რომელთაც უკეთეს წაკითხვად მიიჩნევს, ვიდრე ძირითად ნუსხისეულ ვარიანტს. ზოგჯერ შესწორებაში დამატებითი აზრია მოცემული: მაგალითად:

I ვარიანტი: „... არათუ რისხვის მოქმედობა, რომ ამის სინაცვლოდ და უდიერის მიგვიერი ამალღებულს ვალში გააბამს, იმათ ისე მოუხდება რომ...“

II ვარიანტი: „გულის სარკე შურის მტერისაგან უნდა გასწმინდოს და გულის მაგალითზე ხერხი და უწყალობა და მაცურობა არ დასახოს. ვინც საბრალო გლენი უწყალოს მეფეთა და უსამართლოს ხელმწიფის ხელში ჩავარდებიან, ის მოუხდება, რომ...“ (435)

აქ შეცვლილია არსებული ვარიანტი აზრობრივად, ამასთან შესწორებაში დამატებითი აზრითაა მოცემული — „გულის მაგალითზე ხერხი და უწყალობა და მაცურობა არ დასახოს“; ასევე დამატებულია: გლენი, ხელმწიფე...

ზოგჯერ ვახტანგი ასწორებს აზრობრივად თავდაპირველ ვარიანტს. მაგ. I ვარიანტი: „სახელი რომ გაგივიდოდეს, ნამუსის გზაზე ნუ წახვალ“ (sic!),

II ვარიანტი: „სანამდი სახელოვნობის ქნა შეგეძლოს, ავსახელის სიმოკლის გზას ნუ წახვალ“ (548).

ასევე: I ვარიანტი: „იმათი საქმე და შენი ფიქრი სხვა არის,/ შენს წერაში თუ ყოვლი ასო დასმოდეს, სულ ლომსა და ლომს დასწერ“.

II. „... წერაში ლომის სახელი და რძე ერთრიგად დაიწერება, მაგრამ ის რძეა და ის ლომი“ (190).

იგულისხმება ის, რომ სპარსულში „რძე“ და „ლომი“ ერთგვარად იწერება — شیر.

არცთუ იშვიათად ვახტანგი სრულიად ცვლის არსებულ ვარიანტს აზრობრივად:

მაგ.: I ვარიანტი: „ერთს განგებას რომ კაცმა კაცი მოარჩინოს, არ იქნება“.

II ვარიანტი: „საყვარლის კალთა ასის გულის სისხლის ხელში ჩამივარდა;/მტრის სატყუარის სიტყვით ხელიდამ არ გაიშვება“ (281).

ასევე გვ. 498, 506 და სხვ.

ვფიქრობთ, ზოგიერთ ვახტანგისეულ შესწორებაში დამატებითი, ახალი აზრის არსებობა მოწმობს ვარიანტული ნუსხების არსებობას; ამგვარ დეტალებს ვახტანგი თარგმნისას არ გამოტოვებდა — მის მუშაობას ეს არ ახასიათებს. უნდა ვივარაუდოთ, რომ აქ იგი იშველიებს ახალი ნუსხების მონაცემებს და ამით ნაწილობრივ ავსებს ტექსტს.

როგორც ვნახეთ, რედაქციისას ვახტანგის მიერ ტექსტში შეტანილ შესწორებათა დიდი ნაწილი აზრობრივად თანხვედება არსებულ ვარიანტს, მხოლოდ უფრო ზუსტია დედანთან სიახლოვის თვალსაზრისით; ნაწილი შეიცავს ნიუანსურ აზრობრივ ცვლილებას; ზოგჯერ კი სრულიად იცვლება თავდაპირველი ვარიანტის შინაარსი. ვახტანგის ამგვარი დამატებითი მუშაობა თარგმანზე ორიგინალთან

მეტი ადექვატურობის მიღწევას ისახავს მიზნად. ამიტომ მისი სწორებანი უფრო მეტად პწკარედულია და კალკირებული, უფრო მეტად გადატვირთული „უცხო ლექსიკით“. ეს მეორადი მასალა ტექსტში თვალსაჩინოს ხდის ვახტანგის რედაქციული მუშაობის სტილს — იგი უპირველესად აზუსტებს ზოგიერთ ადგილს ორიგინალთან სიახლოვისა და აზრობრივი თვალსაზრისით, უდარებს თარგმანს სხვა ნუსხისეულ მონაცემებს, განმარტავს ზოგიერთ სპეციფიურ სიტყვას.

მაგალითად, „მაქქის ქვის“ განმარტება:

„მაქქის ქვა“ — ბევრგან სწერია, ვერცხლის და ოქროს გამოსაცდელს ქვას ქვიან, რომ წაუსმენ და ყალბს იცნობენ“ (691) და სხვ. ეს განმარტებები, ისევე, როგორც ვახტანგის პწკარედული ჩასწორებანი, მთლიანად საბასათვის იყო გამიზნული. ასეთ ტექსტს უნდა უზრუნველყო კრებულის დედანთან უაღრესად ახლოს მდგომი, ზუსტი ქართულ თარგმანის შექმნა. მას ფაქტიურად ორიგინალის ფუნქცია უნდა შეესრულებინა „გამჩალხავისათვის“.

ზემოთ აღნიშნეთ, რომ ვახტანგი, როგორც ზოგჯერ მის მიერ ტექსტში შეტანილი დამატებითი მასალა გვიჩვენებს, თარგმანის რედაქციისას „ქილილა და დამანას“ B ვერსიის დედნისეული ძირითადი ნუსხის (ან ნუსხების) გარდა მიმართავს სხვა მანამდე გამოუყენებელ ნუსხას (ან ნუსხებს). ამას მოწმობს მის სწორებებში არსებული ვარიანტისაგან განსხვავებული აზრისა და დეტალების არსებობა, რასაც იგი სიზუსტისადმი დიდი მიდრეკილების გამო გვერდს არ აუვლიდა თარგმნისას.

ნათქვამის უფრო დამაჯერებელ არგუმენტად გამოდგება ვახტანგისეული ჩამატებანი ტექსტში. ისინი განსაკუთრებით მრავლადაა ტექსტის ბოლო ნაწილში. ეს არის უმეტესად ძირითადი ნაწილისა ამა თუ იმ ეპიზოდში მოცემული ამბის რომელიმე ადგილის გავრცობა — უფრო დამწვრილებითი აღწერა ან უკვე თქმულის სხვა აფორისტული (პროზითი, ლექსით ან პროზა ლექსით) თქმით შევსება. ამ ჩამატებების გარეშე ტექსტში არ წყდება ამბის ლოგიკური ხაზი. ტექსტის რედაქციისას ვახტანგი ცდილობს თარგმანს არ აკლდეს არცერთი დედნისეული დეტალი — მაგალითად, გვ. 714, 715, 716, 723, 729 და სხვ.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის შემთხვევები, როდესაც ვახტანგი ტექსტში ჩამატების სახით ურთავს ახალ ამბავს, რაც ძირითად ნაწილში არ არის. მაგალითად, „ოთხი ამხანაგის არაკში“ ჩართულია „სიტყვის მცოდნე კაცის“ მოხსენება ხელმწიფისა და დიდებულთა საკრებულს წინაშე (გვ. 756), რაც ძირითად ნაწილში არ არის.

საბა არ ტოვებს ვახტანგისეულ ჩამატებებს და მათ ძირითად ამბავში რთავს მისეული შემოქმედებითი „ჩალხის გაკვრით“:

მაგალითად, B ვერსიის 714-ე გვერდზე „ხელმწიფოსა და ოქრომჭედლის არაკში“ ჩართულია მოზრდილი ლექსი, რაც საბასთანაც გადაღის (250) ასევე: 715 (B)—253, (C) — ნაწილობრივია ჩამატება საბასთან, და სხვ.

ამგვარ ჩამატებათა არსებობა თვალნათლივ ადასტურებს რედაქციისას ვახტანგის მიერ ახალი ნუსხისეული მონაცემების გამოყენებას. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამეცნიერო ლიტერატურაში აღრევე იყო გამოთქმული აზრი ამის თაობაზე.

იმ მრავალ საკითხთა შორის, რომელნიც იჩენენ თავს „ქილილა და დამანას“ ვახტანგისეული ვერსიის შესწავლისას, უაღრესად საინტერესოა თარგმანის ლექსიკა, რომელიც დიდი სიჭრელით ხასიათდება. სწორედ იგი ავლენს განსაკუთრებული სიცხადით ვახტანგის თავისებურ მიდგომას უცხოენოვანი და ქართული ენობრივი მასალისადმი, მის მთარგმნელობით ტენდენციებს. გარდა ამისა, ძეგლის ეს მხარე ნათლად წარმოაჩენს ვახტანგის თანამედროვე სალიტერატურო ენის სურათსაც. ზემოთქმულის გამო, „ქილილა და დამანას“ ვახტანგისეული თარგმანის ლექსიკის შესწავლა უაღრესად პრობლემური საკითხია. ამას უნდა გულისხმობდეს მ. თოდუას განცხადებაც იმის თაობაზე, რომ „ენის ისტორიის თვალსაზრისით ვახტანგის „ქილილა და დამანას“ უფრო საინტერესოა, ვიდრე საბას ვერსია“, რომელსაც არქაულობის ბეჭედი აზის⁴⁰.

„ქილილა და დამანას“ ანდერძში ვახტანგი წერს:

„არ ვიყავ სულად უცოდნი, ვიცოდი ენა მძიმიები,

ვთქვი... ენით მეტად ადვილით, რომ იყოს მოუწყინები“.

მე კაცის შეუტყობრობისა და მოუძაგებლობის გულისათვის ადვილისა და მსოფლიოს სიტყვით დავსწერე, რომ მკითხველთ სამძულვაროდ არ უჩინდესთ და ეს სწავლა გაუგონებელი არ დარჩეს“ (11).

აქედან გამომდინარე მ. თოდუა ასკვნის: „მაშასადამე, აღმოსავლური ლექსიკით აჭრელებული მისი ენა იმ დროს ჩვეულებრივი, ადვილი ენა ყოფილა“⁴¹ და ვახტანგის თარგმანში ბარბაროზმების არსებობას იმდროინდელი მწიგნობრული ენის ხასიათით ხსნის — „თვითონ მას (ვახტანგს — თ. ა.) არ ჰქონია ბარბაროზმების ხმარების ტენდენცია“⁴² — წერს იგი.

40 მ. თოდუა, გვ. 104.

41 მ. თოდუა, გვ. 99.

42 იქვე, გვ. 101—102.

მკვლევარი ეყრდნობა მხოლოდ „ქილილა და დამანასა“ და „ამირნასარიანს“, რაც ვახტანგის მთარგმნელობითი მოღვაწეობის ერთ ნაწილს შეადგენს. ვახტანგისეული ანდერძიც არ უნდა ასახავდეს საქმის ნამდვილ ვითარებას. ამის შესახებ ქვემოთ.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ აღორძინების ხანის მწიგნობრულ ენაში ღრმად შეიჭრა სპარსულ-არაბული ლექსიკა, აღმოსავლურენოვანი ტყვევანი, რის ნათელ სურათსაც გვიხატავს კ. დონდუა: „ახალი ქართული, ცოცხალი და ვულგარული ქართული, ძველი სალიტერატურო ქართულის თითქმის მოკრძალებით შენახული ფორმები და სპარსულ-არაბულ-თურქულ-სომხური შეხმატკბილებული არიან“⁴³. ამ აღრევას ებრძოდა საბა, ქართული ენის სხვა მესვეურნი, თვით ვახტანგიც. მაგრამ ვახტანგის მიდგომა ამგვარი მასალისადმი სრულიად განსაკუთრებულია — ერთი მხრივ, იგი არ ლატობს თავის მთარგმნელობით მეთოდს (ორიგინალის ზუსტად მიდევნებას) და ხშირად უცვლელად ხმარობს აღმოსავლურ სიტყვებს, ფრაზოლოგიურ კონსტრუქციებს, იდიომურ გამოთქმებს და, მეორე მხრივ, ავლენს სწრაფვას შეძლებისდაგვარად გააქართულოს ლექსიკა; ზემოთქმული ძირითადად მის სამეცნიერო თარგმანებს ეხება, სადაც ვახტანგი მართალია უცვლელად ხმარობს აღმოსავლურ ლექსიკას ტექსტში — ცდილობს იყოს ზუსტი, არ დაარღვიოს მეცნიერული ცნების არსი, მაგრამ ამავე ნაშრომებს ურთავს არაერთ ვრცელ თუ მოკლე ლექსიკონს, სადაც მოცემულია უცხო წარმოშობის ლექსიკურ ერთეულთა პირდაპირი ექვივალენტებიც და ახსნა-განმარტებაც. განცალკევებით დგას მის მიერ შედგენილი „აიათი“, სადაც ძირითად გაქართულებულა ტექსტის ლექსიკა. ასეთივე სურათია „ქიმიის“ ზოგიერთი მონაკვეთში.

თარგმანის ლექსიკის ხასიათის თვალსაზრისით თითქმის ასეთივე მდგომარეობაა „ქილილა და დამანაშიც“. იმ ლექსიკურ ერთეულთა დიდი ნაწილი, რომელთაც ვხვდებით თარგმანში, უკვე სარგებლობდა იმდროინდელ მწერალთა და მოღვაწეთა შორის მოქალაქეობრივი უფლებით, მაგრამ ვახტანგთან აღმოსავლური ლექსიკის განსაკუთრებულ სიჭარბეს ვხვდავთ; ამასთან არის ისეთი სიტყვებიც, რომელთაც არ დაეჭვნათ ანალოგია ქართულ სალიტერატურო და სხვა ძეგლებში. ჩვენ შევეცდებით ქვემოთ აღვუხსნოთ ასეთი მასალა.

ვახტანგის მიერ გამოყენებულ აღმოსავლურ ლექსიკურ ერთეულებს საბაე ხშირად ხმარობს უცვლელად, მაგრამ თარგმანის „გამჩაღხავი“ არცთუ იშვიათად ვერ იგებს ზოგიერთ სპარსულ-არაბულ

⁴³ ცდანი, I, გვ. 64.

სიტყვას. თუკი მათი ხმარება იმ დროისათვის ასეთი ჩვეულებრივი მოვლენა იყო ენაში, როგორც წერს მ. თოდუა, განა საბასათვის, განსწავლული მწიგნობრისა და ენის ლექსიკის შესანიშნავი მცოდნისათვის, გაუგებარი იქნებოდა ისინი? თუკი ვახტანგის თარგმანი, მისივე თქმით, „ადვილი და მსოფლიო სიტყვითაა დაწერილი“, რატომ ვერ იგებს მას ზოგჯერ საბა? განა „სიბრძნე სიცრუისა“ არ წარმოადგენს უბრალო, სადა თბრობის საუკეთესო ნიმუშს? აქ საქმე სხვაგვარადაა. ვახტანგს, როგორც კარგ მწიგნობარსა და პოეტს აშკარად არ მოსწონს თავისი თარგმანი, იგი საქიროდ მიიჩნევს მის გადაბუშავებას. მისი ანდერძი კი, როგორც ალ. ბარაძიძეც მითითებებს, ერთგვარ თავის მართლებად ჩანს⁴⁴.

ცნობილია, რომ ორიგინალურ შემოქმედებაში ვახტანგს არ ლატობს არც გემოვნება და არც პოეტური ალღო; იგი შესანიშნავად იყენებს „ქართული ლიტერატურულ-მწიგნობრული... ენის საგანძურსა“ და ქართულ ნიადაგზე დგას. ამ შემთხვევაში მას ნამდვილად „არა აქვს ბარბარიზმის“ ტენდენცია. მაგრამ თარგმნისას? ვახტანგის მთარგმნელობითი მოღვაწეობის გამოწვევილივით შესწავლამ ნათელყო, რომ როდესაც მისთვის ამოსავალი უცხოენოვანი ძეგლია, როდესაც იგი პირდაპირ მიჰყვება ორიგინალს, მას „უცხო“ ლექსიკისადმი მიდგომის სრულიად განსხვავებული პრინციპი აქვს და სწორედ აქ უნდა ვეძებოთ მის თარგმანებში აღმოსავლური სიტყვებისა და კონსტრუქციების ასეთი სიმრავლის მიზეზი. ეს რომ მხოლოდ მისი თანამედროვე ენის სურათის ასახვა იყოს, თავის გამონატულეებას ჰპოვებდა ორიგინალურ შემოქმედებაში⁴⁵. ამის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს თვით „ქილილა და დამანას“ ანდერძი, რომელიც ვახტანგისეულია, ორიგინალური და, როგორც აღვნიშნეთ, დიდად განსხვავდება თავისი ენობრივი თუ სინტაქსური ფონით „ქილილა და დამანას“ სპარსული წყაროდან მომდინარე, თარგმნილი ტექსტისაგან. ვახტანგის, როგორც მთარგმნელისათვის, დამანასიათებელია უცხოენოვანი მასალისადმი სრულიად თავისებური მიდგომა — წინა პლანზეა წამოწეული სიზუსტე გამომდინარე „ქილილა და დამანასადმი“ ვახტანგის განსაკუთრებული დამოკიდებულებიდან, თვით სპარსული ძეგლის რთული ენობრივი ქსოვილიდან, რომლის გაქართულება ზედმიწევნითი სიზუსტის ფარგლებში ძალზე რთული საქმე იყო. ძირითადად ამან განაპირობა მოცემულ შემთხვევაში

44 ნარკვევები, I, გვ. 334.

45 ვახტანგის ორიგინალურ ლექსებში, ცხადია, არის ზოგიერთი აღმოსავლური სიტყვა, მაგრამ მხოლოდ ისეთი, რომელსაც იმდროისათვის ხმარების მყარი ტრადიცია აქვს. მაგ.: ჭუფთი, მუქაფა, ბურჯი.

ვახტანგის მთარგმნელობითი მეთოდი, ამიტომ მივიღეთ პწკარედუ-ლი თარგმანი და ვფიქრობთ, იმდროინდელ ქართულ ენობრივ მონა-ცემებთან ერთად მნიშვნელოვანწილად ამანაც განსაზღვრა B ვერ-სიაში აღმოსავლური ლექსიკის თვალშისაცემი სიჭარბე. ამასვე მო-წმობს ვახტანგის სამეცნიერო თარგმანებიც („ზიჯი“, „სტროლაბი“, „ჰიდააათ ალ-ნუჯუმი“, „თალა მასალა“, „ქიმიის“ ზოგიერთი პარა-გრაფი).

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ვახტანგის თარგმნითი საქმიანობის იზრგელივ მსჯელობა. ჩვენი აზრით, ვერ ჩაითვლება საფუძვლიანად და დამაჯერებლად, თუ არ იქნება გათვალისწინებული მის სამეცნი-ერო თარგმანთა პრაქტიკა, რაც ვახტანგის მთარგმნელობითი მოღვა-წეობის ერთ უმნიშვნელოვანეს და განუყოფელ ნაწილს შეადგენს და იძლევა უაღრესად მდიდარ მასალას მისი მწიგნობრული მოღვა-წეობის ამ კუთხით შესწავლისათვის.

გადავალთ უშუალოდ კონკრეტული მასალის ანალიზზე.

ვახტანგის მიერ თარგმანში მოხმობილი სპარსულ-არაბული ლექ-სიკური მასალიდან პირველ ყოვლისა ჩამოთვლით იმ სიტყვებს, რო-მელთაც იგი სისტემატურად ხმარობს თარგმნისას: ხათი (არ. خط — ნაწერი; შტრახი, წერილი...), ჩირალი/ჩირახი (غجراغ — სინათლე, სანთელი, ლამპარი), სოილი (سولج — თავთური). იყლიმი (არ. اقليم — ქვეყანა), მუნასიბი (مناسب — მონათესავე), ზინფუში (زين فوش — უნაგირი), ემინი (არ. امن — სიმშვიდე, სიწყნარე). მასნათი (არ. مسند — საყრდენი, ტახტი...), ავეანდი (اوژند — გამოიყენება რთულ სიტყვებში „სიმამაცის“ მნიშვნელობით), რაყამი (არ. رقم — რესკრიპ-ტი, რაყამი), ფარალათობა (არ. فراغ — დასვენება, მოსვენება), დური შევრი/შავრის მარგალიტი/გუჰარ შევრი/შავრი გოვარი (در شا هوار — დიდი, წმინდა მარგალიტი, گوهر شا هوار — იგივე მნიშ-ვნელობით), ზარნიშანი (زرنشان — მოოქროვილი), მურასა (არ. مرصع — მოოქვილი, ქვებით შემკული), ზანდუხჩა (სპ. صندوقچه — სკივრი), რუზიგარი (روزگار — დრო, წუთისოფელი, ცხოვრება), ბურჯი (არ. برج — ზოდათ, ეტლი), მანზილი (არ. منزل — ბინა, სადგომი), დარაჯა (არ. درجه — ხარისხი, საფეხური...), ზაბარჯა-დი (زبرجد — ხრიზოლიტი), მასალი (არ. مثل — არაკი, იგავი, მგა-ლითი), უდი (სპ. עוד — ალოე), ჯილავი (جلو — წინ, წინა, ვინმეს, რაიმეს), ნახში (არ. نقش — სახე, გამოსახულება), ანდაზი (اندازه —

ზომა; ოდენობა...), თაჯი (ج — ვვირვენი), სირათი (არ, سيرت — ცხოვრების წესი, საქციელი, ღირსება...), მარქათა (არ, مرگب — верховое животное), თამამ აიარი (تامعيار — სრული ღირსება; სიზუსტე), თადარიქი (არ, تدارك — მომზადება, თადარიგი), სიასათი (არ, سياست — მმართველობა), მუქათა (არ, س. م. كرات — სამაგიერო), ეპთობარი/ეთიბარი (არ, اعتبار — პატივი, ავტორიტეტი, ნდობა), ბეაბანი (بیا با — უდაბნო), ჯავაირი (არ, جوهر — ძვირფასი ქვა; აბრყვა, ბუნება), სარანჯანი (سراجان — ბოლო, დასასრული), ასაბი/ასაბი (არ, اسباب — მოსამზადებელი იარაღები), ხუი/ხუ (خوي/خو — ზნე, ბუნება, ხასიათი⁴⁶), აბლა/აბლაყი (არ, ابلا — სულელი, ქარაფშუტა), რაყიბი (არ, رقيب — კონკურენტი; მოთვალთვალე), ჯაზირი (არ, جزيره — კუნძული), ფარდახტი (فرداخت — ბრწყინვა; დასრულება), ზაიდი (არ, زاهد — განდევლი); თათაუთი (تفاوت — განსხვავება) ჯუფთი (არ, جفت — წყვილი)...

ვახტანგის მიერ თარგმანში გამოყენებული აღმოსავლურენოვანი ლექსიკიდან გამოყავით ორი ძირითადი ჯგუფი:

1. იმდროინდელ სალიტერატურო ენაში დამკვიდრებული ლექსიკა;

2. თვით ვახტანგის მიერ შემოტანილი ლექსიკა;

როგორც უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ, ვახტანგის თანამედროვე მწიგნობრულ ენაში მრავლადაა „სხვათა სიტყვა“, რომელთაც უკვე მყარად აქვთ ფეხი მოკიდებული. ასეთი ლექსიკური ერთეულები ძალზე ბევრია ვახტანგთანაც, რომელთა სრულად ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. აქ აღვნიშნავთ მხოლოდ ზოგიერთ მათგანს:

გოვარი, გოპარი, გუპარი (37, 307, 504, 677...). ამ სიტყვას ვხვდებით „ვისრამიანში“ (53,38), „რუსულანიანში“ (46,28), „როსტომიანში“⁴⁷ (1226,2) და სხვ.

მუქათა (331, 617, 637...757...); „ვისრამიანი“ (112,2), „ვეხისტყაოსანი“ (1210,1); „რუსულანიანი“ (27,1), „ვარდბულბულიანი“⁴⁸ (81,1).

46 ამ სიტყვას ვახტანგი „ცული ხასიათის“, „ავი ზნის“ მნიშვნელობით ხმარობს.

47 „როსტომიანი“, „შაპ-ნამეს“, ანუ „მეფეთა წიგნის“ ქართული ვერსიები, ტექსტი გამოსცა და წინასიტყვაობა და ლექსიკონი დაურთო იუსტ. აბულაძემ, თბ., 1916.

48 თეიმურაზ შიშველი, თხზულებათა სრული კრებული, ვედერაძე, 1934.

მურასა (35,37...673, 689...); „რუსუდანიანი“ (211,4); „როსტომიანი“ (166,3); „შაჰნავაზიანი“⁴⁹ (53,3), „არჩილიანი“⁵⁰ (498,1), თეიმურაზის „გრემის სასახლეზე“ (5,3).

ხალვათი (127...), „რუსუდანიანი“ (83,18), „ვეფხისტყაოსანი“ (1011,1), „ვარდბულბულიანი“ (27,1).

ამენი/ამანი (15... 633,690...756); თეიმურაზის „იოსებზილიხანიანი“ (31II), „იოსებზილიხანიანის“ ზაალისეული ვერსია.

თაჯი (581, 680, 241, 498...); „შაჰნავაზიანი“ (221,1)...

ისკანჯა (330); თეიმურაზის „წამება ქეთევან დედოფლისა“ (30, 3).

რამლი (265); „აბდულმესია“ (17,1, 3), „რუსუდანიანი“ (404,22); „როსტომიანი“ (60,1), „შაჰნავაზიანი“ (503,3); „ლეილმაჯუნეანი“ (10,1).

მარქათა (597, 486, 605...); „რუსუდანიანი“ (225, 3; 348,12).

ჯუფთი (683, 532...); თეიმურაზის „ლეილმაჯუნეანი“ (149,3); „ვისრამიანი“ (55,23); „რუსუდანიანი“ (6,17); „როსტომიანი“ (1293,1).

უდი (ხე) (578,710); „რუსუდანიანი“ (452,7), „ლეილმაჯუნეანი“ (208,1); „შეიდი მთიები“ (1324).

ყული (679...); თეიმურაზის „იოსებზილიხანიანი“ (74,3); „რუსუდანიანი“ (394,35), „შაჰნავაზიანი“ (68,2); „იოსებზილიხანიანის“ ზაალისეული ვერსია (108,2).

ჩირადი (332, 496, 418, 610...), „ამირანდარეჯანიანი“⁵¹ (263);

სობათი (25); „შაჰნავაზიანი“ (629,3); „არჩილიანი“ (682,3); „რუსუდანიანი“ (351,15), თეიმურაზის „გრემის სასახლეზე“ (5,1)...

როგორც ამ არასრული ჩამოთვლიდანაც ჩანს, ვახტანგის „ქილილა და დამანა“ ნათლად აირეკლავს მისი თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის სურათს; მაგრამ თხზულებების ჭრელი და ნაირგვარი ლექსიკური ფონი მხოლოდ ამ მიზეზით არაა განპირობებული — საგრძნობია ამ მხრივ თვით ვახტანგის როლიც, მისი, როგორც მთარგმნელის მიდგომა დედნისეული მასალისადმი.

2. არის ვახტანგის ტექსტში ისეთი სიტყვებიც, რომელთაც ვრ დაეძებნათ ანალოგი (ყოველ შემთხვევაში ჭერჯერობით) ქართულ ლიტერატურულ თუ საისტორიო თხზულებებში. ისინი უშუალოდ ვახტანგის შემოტანილად ჩანს.

⁴⁹ „შაჰნავაზიანი“, თბ., 1935.

⁵⁰ „არჩილიანი“, თხზ. სრული კრებული ალ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, ტ. II, თბ., 1937.

⁵¹ „ამირანდარეჯანიანი“, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ლილი ათანელიშვილმა, თბ., 1967.

თამარ აიარი (سما عا — 760, 322); მინდობის აიარი (403) — უხადო, სრულქმნილი.

თული (არ. طولى — სიგრძე, განვრცობილობა...).

შანგარფი (არ. شنگرف — სინგური; — 672).

ყანათი (არ. قنات — მცირეთი კმაყოფილება; 750).

გავზანგაბინი (კომპოზიტი: گز (კაჯალი) + گز (თაფლი))
ამ შესატყვისით თაფლია ტექსტში შესწორებული — 281).

სიბყათი (არ. صفة — რელიგია; 722).

უყუფი (وقوف — გამოცდილება, გათვითცნობიერება, 733) და სხვ. ვახტანგის თარგმანში ამგვარ ლექსიკურ ერთეულთა არსებობა მისი სიზუსტისადმი გადაჭარბებული მიდრეკილებით უნდა აიხსნას. ამასთან ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ვახტანგი საჭიროდ მიიჩნევდა მის გადამუშავებას. ზოგიერთ უცვლელად მოტანილ სპარსულ-არაბულ სიტყვას იგი შემდგომ, რედაქციისას ცვლის ქართული შესატყვისით და საფიქრებელია, რომ თარგმანზე უფრო ხანგრძლივი მუშაობისას საგრძნობლად შემცირდებოდა ტექსტში „უცხო“ მასალა, თუმცა ეს არ შეცვლიდა მას თვისობრივად — თარგმანი პწკარვდული დარჩებოდა.

თარგმანზე ვახტანგის რედაქციული მუშაობის შესახებ ჩვენ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი. აქ გვინდა შევჩერდეთ ვახტანგის მიერ უცხოენოვან ლექსიკურ ერთეულთა სწორების, მათი გაქართულების ერთ ტექნიკურ მხარეზე. კერძოდ, საკითხი ეხება M 53-ში არსებულ ნიშნებს.

აღ. ბარამიძე ვახტანგის თარგმანის ხსენებულ ნუსხაში აშვიებზე, ასევე თვით ხელნაწერში არსებულ ნიშნებს საბას ნახელავად მიიჩნევს⁵². ამავე აზრისაა მ. თოდუაძე⁵³. ეს ისეთი შემთხვევებია, როდესაც ტექსტში სპარსულ-არაბული სიტყვა უცვლელადაა მოტანილი. მკვლევართა აზრით, მათ საბა ვერ იგებდა და ამიტომ სვამდა ასეთ ნიშნებს (+) მომავალში ვახტანგთან კონსულტაციისათვის. ეს არაა გამორიცხვად, მით უფრო, რომ ხელნაწერში ზოგან არის თვით საბას მინაწერებიც („ეს ლექსი განმარტებით დამიწერეთ, დამჩრომია...“); მაგრამ ზოგიერთი მინიშნება, შესაძლოა, თვით ვახტანგს ეკუთვნოდეს, რადგან ამგვარი ნიშნები ახასიათებს მის მუშაობას ნათარგმნ ტექსტზე. სანიმუშოდ ავიღოთ „სტროლაბის სასწავლებელი წიგნი“ (ხელნაწ. ინსტ. ნუსხა H 457), სადაც თვალნათლივან წარმოჩენილი ვახტანგის მუშაობის მთელი ლაბორატორია. იგი ჩვენ და-

52 ნარკვევები, I, გვ. 304.

53 მ. თოდუა, გვ. 302.

წერილებით განვიხილეთ ჩვენი შრომის I თავში სამეცნიერო თარგმანთა დახასიათებისას. „სტროლაბის“ ტექსტი მთლიანად აჭრელებულია ასეთი ნიშნებით — „+“. მათ ვახტანგი სვამს აშიაზე იმ სტრიქონთა გასწვრივ, სადაც უცხო სიტყვა ან ტერმინი უცვლელადაა მოტანილი და საჭიროა მოიძებნოს მისთვის პირდაპირი ქართული შესატყვისი.

ფეიქრობთ, მსგავს მიდგომასთან გვაქვს საქმე „ქილილა და დამანას“ ვახტანგის ნუსხაშიც, სადაც ხსენებულ ნიშნებს იგივე ფუნქცია აქვთ, რაც აღნიშნულ მეცნიერულ თხზულებაში. „ქილილა და დამანასში“ ასეთი ნიშნით აღბეჭდილ სტრიქონში აღმოსავლური სიტყვები ხშირად შეცვლილია ქართული შესატყვისით და ამ დროს ნიშანი გადაშლილია მაგ.: სოილი/თაგდირი, თაიფანი — ტომი (608), ყაფლა — მოგზაური (608) და სხვ. ზოგჯერ ასეთ სტრიქონში უცხო სიტყვა არაა ქართული ექვივალენტით შეცვლილი. მაგ.: ღური შავრი (312...), მაყსუდი (78), დამალი, სარსამი (182) და სხვ. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ხელნაწერში თვით სიტყვების თავზე (და არა სტრიქონის გასწვრივ) არის ასეთი ნიშნებიც: — 'ან—''. ამგვარ ნიშნებს ჩვენ არ შევხვედრებივართ ვახტანგის სხვა თარგმანებში. შესაძლოა, სწორედ ისინი იყოს საბასეული. ზოგჯერ ერთ სტრიქონში არის ორივე ნიშანი — „+“ და — 'ან—'', ეს ნიშნები, ვისაც არ უნდა ეკუთვნოდნენ ისინი, აღნიშნავენ თარგმანში უცვლელად დატოვებულ უცხო წარმოშობის ლექსიკას და გულისხმობენ მათ შეცვლას პირდაპირი ქართული შესატყვისებით.

აქვე გვინდა შევეხოთ ვახტანგისა და საბას ვერსიების ლექსიკური მიმართების საკითხს. მაგრამ საჭიროა კი ამ ორი პრინციპულად განსხვავებული ვერსიის შეპირისპირება? მ. თოდუა თვლის, რომ ასეთი შედარება პუკარდელისა მხატვრულთან — არაა გამართლებული⁵⁴, მაგრამ თვითონ კვლევას სწორედ ამ გზით წარმართავს, რაც სრულიად ბუნებრივია. ჩვენი აზრით, თვისობრივი განსხვავების მიუხედავად (B ვერსია სტრიქონთარგმანია, C მხატვრული, რომელიც თავის მხრივ B ვერსიიდან მომდინარეობს), ამ ორი ვერსიის შედარება საჭიროა თითოეული ამ ვერსიის რაობის გასარკვევად, იმ სხვაობის უკეთ ნათელსაყოფად, რაც არსებობს ვახტანგისეულ თარგმანსა და „ქილილა და დამანას“ კანონიკურ ვერსიას შორის. ამ მიმართებითი მხარის გარკვევის გარეშე მათზე მსჯელობა კონკრეტულობასა და თვალსაზრისობას იქნება მოკლებული. ამავე დროს გაუმართლებლად გვეჩვენება ვახტანგის კრიტიკა საბას მიხედვით, რადგანაც საბას მიერ ვახტანგის თარგმანის „გაჩაღხვა“ იმთავითვე გუ-

ლისხმობდა (თუმცა, შესაძლოა, არა ასეთი მასშტაბით) B ვერსიის სრულყოფას, მის „შესრულებას“.

ჩვენ მთლიანად შევეუდარეთ ვახტანგის ტექსტი საბასეულს. შედარებამ კიდევ ერთხელ ნათელყო დამკვიდრებული და მრავალგზის გამეორებული თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ საბას „ქილილა და დამანა“ მაღალმხატვრული ძეგლია, ხოლო ვახტანგისეული (B ვერსია) კი სტრიქონთარგმანი, რომელიც საჭიროებდა ყოველმხრივ გადამუშავებას ქართული სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით.

ვახტანგის მიერ თარგმანში უცვლელად შემოტანილ სპარსულ-არაბულ ლექსიკას საბა ცვლის „ღრმა ქართულიდან“ აღებული შესატყვისებით. ჩვენ მთლიანად აღვნიშნეთ საბას B ვერსიის „უცხო“ ლექსიკას მისადაგებული ქართული ენობრივი ერთეულები. აქ მოვიტანთ მხოლოდ ზოგიერთ შესატყვისობას: მ ა ნ ძ ი ლ ი — ს ა ვ ა ნ ე⁵⁵, რ ა ყ ი ბ ი — ს ა ნ დ ო, ზ ე ი დ ი — მ ა რ ტ ო მ ყ ო ფ ი, ბ ე ა ბ ა ნ ი — უ დ ა ბ ნ ო, ბ ლ უ თ ა — ბ რ ძ მ ე დ ი, ყ ა ზ ი — ბ რ კ ე, თ ა ჯ ი — გ ვ ი რ გ ვ ი ნ ი, ნ უ შ ტ ა რ ი — შ ა შ რ ა, ე თ ი ბ ა რ ი — ხ ვ ა შ ი ა დ ი, ჯ ი ლ ა ვ დ ა რ ი — მ ე ჯ ი ნ ი ბ ე, მ ა რ ქ ა ფ ა — ტ ა ფ ო ქ ი, გ უ ჰ ა რ ი / გ ო ვ ა რ ი — ს პ ე კ ა ლ ი, მ ა რ გ ა ლ ი ტ ი, ა ი ბ ი — ა უ გ ი, ქ უ ლ ბ ა ქ ი — დ უ ქ ა ნ ი, ბ ა ზ ი რ გ ა ნ ი — დ ი დ ვ ა ქ ა რ ი, ვ ა ქ ა რ ი, ჯ ი ლ ა ვ ი — ა დ ვ ი რ ი, ჩ ი რ ა ხ ი — ლ ა მ პ ა რ ი, ბ ა ზ მ ა, მ ა ს ა ლ ი — ა რ ა კ ი, დ ი ა ნ ა თ ი — ა ნ ა ბ ა რ ი, ჩ ი მ ა ნ ი — ბ ი ბ ი ნ ო ვ ა ნ ი, რ ა ყ ა მ ი — უ ს ტ ა რ ი, დ ა მ ა ლ ი — გ უ ნ ე ბ ა, ს ა რ ა ნ ჯ ა მ ი — ს ა რ ვ ა გ ი. ფ ა ნ ჯ ა — რ ტ ო ნ ი, ჰ ა ბ ლ ა — უ ც ე ბ ი, ზ ა რ ა ფ ხ ა ნ ა — ს ა ვ ე ც ხ ლ ე, ყ ა ფ ა ს ი — გ ა ლ ი ა, მ ა ყ ს უ დ ი — ს ა ს უ რ ვ ე ლ ი, ო ყ ა — მ ო თ ხ ე⁵⁶, ქ ა რ ი ზ ი — ღ რ უ დ ო⁵⁷ და სხვა მრავალი.

საბა ხშირად არ კმაყოფილდება ერთი პირდაპირი შესატყვისით და ცალკეულ აღმოსავლურენოვან სიტყვას უძებნის ნიუანსებს სხვადასხვა შემთხვევაში: მაგ.: ფ ა რ ა ლ ა თ ო ბ ა — მ ა რ ტ ო ბ ა (54), მო-

⁵⁵ ჯერ ვახტანგის თარგმანში მოცემული სიტყვაა, შემდეგ კი საბას მიერ მოძებნილი: შესატყვისი.

⁵⁶ „ოყას“ საბა ასე განმარტავს: „ოყა თათართა (თათრული A) ენაჲ, 8 თუხტის წონაჲ“ (ZAB). ხოლო „მოთხე“ „სკივირის კოლოფია“ (ZA). ლექსიკონში საბა აზრობრივად ანსხვავებს ამ ორ ერთეულს, თუმცა ვახტანგის „ოყას“ შესატყვისად იგი „მოთხეს“ ხმარობს, რაც არ არღვევს კონტექსტის აზრს.

⁵⁷ „ღრუდო — ესე არს ორმო და ორმო ამოთხრილი და გამოკვრეტილი წყლით პოვნისათვის ურწყულთა ადგილთა, რომელსაც სპარსნი ქაპრიზს უწოდებენ... (ZA) ქაპრიზი — كاپر / كپر — არხი.

წვრილებით განვიხილეთ ჩვენი შრომის I თავში სამეცნიერო თარგმანთა დახასიათებისას. „სტროლაბის“ ტექსტი მთლიანად აჭრელებულია ასეთი ნიშნებით — „+“. მათ ვახტანგი სვამს აშიაზე იმ სტრიქონთა გასწვრივ, სადაც უცხო სიტყვა ან ტერმინი უცვლელადაა მოტანილი და საჭიროა მოიქებნოს მისთვის პირდაპირი ქართული შესატყვისი.

ფეიქრობთ, მსგავს მიდგომასთან გვაქვს საქმე „ქილილა და დამანას“ ვახტანგის ნუსხაშიც, სადაც ხსენებულ ნიშნებს იგივე ფუნქცია აქვთ, რაც აღნიშნულ მეცნიერულ თხზულებაში. „ქილილა და დამანასში“ ასეთი ნიშნით აღბეჭდილ სტრიქონში აღმოსავლური სიტყვები ხშირად შეცვლილია ქართული შესატყვისით და ამ დროს ნიშანი გადაშლილია მაგ.: სოილი/თავდირი, თაიფანი — ტომი (608), ყაფლა — მოგზაური (608) და სხვ. ზოგჯერ ასეთ სტრიქონში უცხო სიტყვა არაა ქართული ექვივალენტით შეცვლილი. მაგ.: ღური შავრი (312...), მაყსუდი (78), დამალი, სარსამი (182) და სხვ. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ხელნაწერში თვით სიტყვების თავზე (და არა სტრიქონის გასწვრივ) არის ასეთი ნიშნებიც:—‘ან—’. ამგვარ ნიშნებს ჩვენ არ შევხვედრებივართ ვახტანგის სხვა თარგმანებში. შესაძლოა, სწორედ ისინი იყოს საბასეული. ზოგჯერ ერთ სტრიქონში არის ორივე ნიშანი—„+“ და—‘ან—’, ეს ნიშნები, ვისაც არ უნდა ეკუთვნოდნენ ისინი, აღნიშნავენ თარგმანში უცვლელად დატოვებულ უცხო წარმოშობის ლექსიკას და გულისხმობენ მათ შეცვლას პირდაპირი ქართული შესატყვისებით.

აქვე გვინდა შევეხოთ ვახტანგისა და საბას ვერსიების ლექსიკური მიმართების საკითხს. მაგრამ საჭიროა კი ამ ორი პრინციპულად განსხვავებული ვერსიის შეპირისპირება? მ. თოდუა თვლის, რომ ასეთი შედარება პწკარედულისა მხატვრულთან — არაა გამართლებული⁵⁴, მაგრამ თვითონ კვლევას სწორედ ამ გზით წარმართავს, რაც სრულიად ბუნებრივია. ჩვენი აზრით, თვისობრივი განსხვავების მიუხედავად (B ვერსია სტრიქონთარგმანია, C მხატვრული, რომელიც თავის მხრივ B ვერსიიდან მომდინარეობს), ამ ორი ვერსიის შედარება საჭიროა თითოეული ამ ვერსიის რაობის გასარკვევად, იმ სხვაობის უკეთ ნათელსაყოფად, რაც არსებობს ვახტანგისეულ თარგმანსა და „ქილილა და დამანას“ კანონიკურ ვერსიას შორის. ამ მიმართებითი მხარის გარკვევის გარეშე მათზე მსჯელობა კონკრეტულობასა და თვალსაჩინოებას იქნება მოკლებული. ამავე დროს გაუმართლებლად გვეჩვენება ვახტანგის კრიტიკა საბას მიხედვით, რადგანაც საბას მიერ ვახტანგის თარგმანის „გაჩაღხვა“ იმთავითვე გუ-

ლისხმობდა (თუმცა, შესაძლოა, არა ასეთი მასშტაბით) B ვერსიის 'სრულყოფას, მის „შესრულებას“.

ჩვენ მთლიანად შევუდარეთ ვახტანგის ტექსტი საბასეულს. შედარებამ კიდევ ერთხელ ნათელყო დამკვიდრებული და მრავალგზის გამეორებული თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ საბას „ქილილა და დამანა“ მაღალმხატვრული ძეგლია, ხოლო ვახტანგისეული (B ვერსია) კი სტრიქონთარგმანი, რომელიც საჭიროებდა ყოველმხრივ გამამუშავებას ქართული სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით.

ვახტანგის მიერ თარგმანში უცვლელად შემოტანილ სპარსულ-არაბულ ლექსიკას საბა ცვლის „ღრმა ქართულიდან“ აღებული შესატყვისებით. ჩვენ მთლიანად აღვნიშნეთ საბას B ვერსიის „უცხო“ ლექსიკას მისადაგებული ქართული ენობრივი ერთეულები. აქ მოვიტანთ მხოლოდ ზოგიერთ შესატყვისობას: მ ა ნ ქ ი ლ ი — ს ა ვ ა ნ ე 55, რ ა ყ ი ბ ი — ს ა ნ დ ო, ზ ე ი დ ი — მ ა რ ტ ო მ ყ ო ფ ი, ბ ე ა ბ ა ნ ი — ლ ე ა ბ ა ნ ო, ბ ლ უ თ ა — ბ რ ძ მ ე დ ი, ყ ა ზ ი — ბ რ ჭ ე, თ ა ჯ ი — გ ვ ი რ გ ვ ი ნ ი, ნ უ შ ტ ა რ ი — შ ა შ რ ა, ე თ ი ბ ა რ ი — ხ ვ ა შ ი ა დ ი, ჯ ი ლ ა ვ დ ა რ ი — მ ე ჯ ი ნ ი ბ ე, მ ა რ ქ ა ფ ა — ტ ა ი ჭ ი, გ ლ უ კ ა რ ი / გ ო ვ ა რ ი — ს პ ე კ ა ლ ი, მ ა რ გ ა ლ ი ტ ი, ა ი ბ ი — ა უ გ ი, ქ უ ლ ბ ა ქ ი — დ უ ქ ა ნ ი, ბ ა ზ ი რ გ ა ნ ი — დ ი დ ვ ა ქ ა რ ი, ვ ა ქ ა რ ი, ჯ ი ლ ა ვ ი — ა ღ ვ ი რ ი, ჩ ი რ ა ხ ი — ლ ა მ პ ა რ ი, ბ ა ზ მ ა, მ ა ს ა ლ ი — ა რ ა კ ი, დ ი ა ნ ა თ ი — ა ნ ა ბ ა რ ი, ჩ ი მ ა ნ ი — ბ ი ბ ი ნ ო ვ ა ნ ი, რ ა ყ ა მ ი — უ ს ტ ა რ ი, დ ა მ ა ლ ი — გ უ ნ ე ბ ა, ს ა რ ა ნ ჯ ა მ ი — ს ა რ ვ ა ე ო. ფ ა ნ ჯ ა — რ ტ ო ნ ი, ჰ ა ბ ლ — უ ც ე ბ ი, ზ ა რ ა ფ ხ ა ნ — ს ა ვ ე ც ხ ლ ე, ყ ა ფ ა ს ი — გ ა ლ ი ა, მ ა ყ ს უ დ ი — ს ა ს უ რ ვ ე ლ ი, ო ყ ა — მ ო თ ხ ე 56, ქ ა რ ი ზ ი — ღ რ უ ღ ო 57 და სხვა მრავალი.

საბა ხშირად არ კმაყოფილდება ერთი პირდაპირი შესატყვისით და ცალკეულ აღმოსავლურენოვან სიტყვას უძებნის ნიუანსებს სხვადასხვა შემთხვევაში: მაგ.: ფ ა რ ა ლ ა თ ო ბ ა — მ ა რ ტ ო ბ ა (54), მო-

55 ჯერ ვახტანგის თარგმანში მოცემული სიტყვაა, შემდეგ კი საბას მიერ მოძებნილი შესატყვისი.

56 „ოყას“ საბა ასე განმარტავს: „ოყა თათართა (თათრული A) ენაა, 8 თუხტის წონაა“ (ZAB). ხოლო „მოთხე“ „სკიერის კოლოფია“ (ZA). ლექსიკონში საბა აზრობრივად ანსხვავებს ამ ორ ერთეულს, თუმცა ვახტანგის „ოყას“ შესატყვისად იგი „მოთხეს“ ხმარობს, რაც არ არღვევს კონტექსტის აზრს.

57 „ღრუღო — ესე არს ორმო და ორმო ამოთხრილი და გამოკვრეტილი წყლით პოენისათვის ურწყულთა ადგილთა, რომელსაც სპარსნი ქაპრიზს უწოდებენ... (ZA) ქაპრიზი — کاپریز / جزیرہ — არხი.

ცალბა (118), შება (57), გაფარათღეს — გათავისუფლდეს (70), ხალვათი — მარტომყოფობა (55), თავისწინაობა (140), ზარნიშანი — მონახჭული (233), შარავანდედი (64), ბრწყინვალე (433), მოკალული (278) და სხვ.

ამასთან საბა ხშირად უშვებს შეცდომებსაც და; უნდა ითქვას, საკმაოდ გავრცელებული სპარსულ-არაბული სიტყვების თარგმანისას — მაგალითად: ნახში (نخس) მასთან „ნახშირაღ“ ქვეულა, ანთალი (انض) კოლოკინთი) — „ხის ნათალად“ (CII, 89) — ეს შესატყვისები სრულიად არ ესადაგება შესაბამის კონტექსტთა შინაარსს. ასევე: ფითნი (فتن — ფათერაკი) მას „ფინთად“ გაუგებ ბგერითი მსგავსების გამო და „ღნოშით“ შეუცვლია; ხარას (خرس) ვახტანგთან არის ხარის (ნათ. ბრუნვა) — აბრეშუმეული) „წაბლა ხარით“ ცვლის, ვერ იგებს ვახტანგთან ხმარებულ სიტყვას. ასევე: B ვერსიაში მოტანილ ვარდისტანში საბატანს ცალკე ლექსიკურ ერთეულად აღიქვამს, استان -ისთან კი უაღრესად გავრცელებული სპარსული სუფიქსია⁵⁸.

საბა სწორად ვერ იგებს მარაქის მიწის მნიშვნელობასაც, მას „ნადიმთამიწით“ ცვლის, მარაქაკი ვახტანგთან „معر (მარიქა) ლექსიკური ერთეულის შესაბამისადაა ნახმარი. იგი ნიშნავს „ბრძოლის ველს, არენას“...

B ვერსიაში არის: „ველმწიფის შვილი თამაშად ველმწიფის კარზე მივიდა“ (753). საბასთან ფრაზა ასეთ სახეს იღებს: „კადნიერად ხელმწიფის კარსა მიდგა“ (298). მაგრამ აქ თამაშა (تاشا) — „ყურებას, ცქერას“ ნიშნავს და არა თამაშს, თამაშობას, საიდანაც საბამ მიიღო „კადნიერად“.

ვახტანგთან ვკითხულობთ: „მიზეზის სირქა ჯაბუნით ვეშათის საფრა დაანელოს“ (582), რაც შეესაბამება სპარსულ ფრაზას: بساجدين (۴۱۳) ده رانگين وحشت صفرای اعتنا ვახტანგს უცვლელად გადმოაქვს: (შიში), وحشت صفرای (სეცდა, ნალველი); ხოლო კომპოზიტი بساجدين რაც ნიშნავს: „ერთგვარ სიროფს, დამზადებულს ძმრითა და თაფლით“, B ვერსიაში დაშლილია: „სირქა (ძმარი — سر) და „ჯაბუნი“ (თაფლი. — ساجدين.) ამ ერთეულს ვახტანგი სხვაგანაც ხმარობს უცვლელად — ანგაბინი, გავზანგაბინი). საბასთან მოტანილი ფრაზა ასეა შეცვლილი: „მიზეზის სალოკელითა გველემპანისა მწითური ნალველი

⁵⁸ ეს მაგალითები მოტანილია ხსენებულ მკვლევართა შრომებში (მ. თოდუას, ალ. ბარამიდის, ე. მეტრეველი და ალ. გვახარიას).

დააცხროს“ (101₁₁). „გველშაპი“ აქ გაუგებრობის შედეგია — საბამ არ იცის „ვეშათის“ მნიშვნელობა, მას „ვეშაფად“ (ან „ვეშაბად“) კითხულობს, საიდანაც წარმოსდგა „გველშაპი“, რაც ნაკლებ ესადაგება მოტანილ კონტექსტს.

ზოგჯერ შეცდომა გადამნუსხავის უზუსტობითაა გამოწვეული, მაგალითად: ვახტანგთან არის „... შვიდი გულის ჭილავი შირინს კელში მისცა“ (754), ასევეა საბასთან — „შვიდი გულის სადავე...“ (275 II). როგორც სამართლიანად მიუთითებს მ. თოდუა⁵⁹, ვახტანგს აქ, შესაძლოა, ჰქონოდა შეიდა (شدا — შმაგი) ორიგინალის შესაბამისად. გადამწერს „შვდალ“ წაუკითხავს; შეცდომა განმეორდა საბასთანაც. ასევე მათა — მათა (عما) შემთხვევაშიც. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საბამათას სხვაგვარად ვერ იგებს, სადაც იგი სწორადაა დაწერილი: „გარიგების მათაი წინ წაყვანის“ (743) — საბასთან: „... მათგან წინ წაყვანით“ (287). როგორც ჩანს საბას მათაი „მათი“ ეგონა, აქედან მიიღო მათგან.

აქვე აღვნიშნავთ გადამწერის სხვა შეცდომებსაც, რომელთაც ვახტანგი ხშირად თვითონ ასწორებს რედაქციისას; აბსის შვილი (4) — უნდა: აბასის; სეივანი (17) — უნდა: ხეივანი; ბარდის (457) — ვახტანგი ასწორებს: „ფარდის“; „ჯამისაგან“ (94) — უნდა: ჯამისაგან, ჯავრი (718); უნდა: ჯავარი; ბებერი (68) — ვახტანგი ასწორებს: „ობობა“; გაუგებრად წერს იგი ერთი წამლის სახელს: ხან მერგანაა, ხან მერენი (312, 3113), ჩანს ვერ ამოიკითხა იგი ვახტანგთან. ზოგან წინადადება ნაკლებულია: „... რაც საქმე მოწონების მეიდანში მამივა, საბირი...“ (75) — არაა წინადადება დამთავრებული და სხვ.

გვინდა შევეხოთ მ. თოდუას მიერ მოტანილ ერთ მაგალითსაც: ავტორი ვახტანგის შეცდომად მიიჩნევს შემდეგ წაკითხვას: „ეჰა, სალიმავ, გული ხომ ადგილსა გაქუს“ (523). ორიგინალში არის ქالس (სალიმ დელ — გულუბრყვილო). მკვლევარი წერს: „სპარსული კომპოზიტი ქالس ვახტანგს ვერ გაუგია, მისი პირველი ნაწილი სავსეა გაუაზრებია როგორც მშვილობა (علا -ად მიუღია), ხოლო მომდევნო ნაწილი ქა, შემდეგი ფრაზისათვის მიუკუთვნებია⁶⁰. ვახტანგმა მართლაც არ იცის ამ კომპოზიტის მნიშვნელობა, მაგრამ B ვერსიიდან მოტანილ ციტატაში არ ჩანს, რომ ქალს-ს ვახტანგი „მშვილობად“ (علا-ად) იგებს. უბრალოდ, იგი სალიმ-ს (علا) უცვლელი ტრანსკრიპციით ხმარობს, ამასთან შლის

⁵⁹ მ. თოდუა, გვ. 303.

⁶⁰ იქვე, გვ. 274.

კომპოზიტს და მის მეორე ნაწილს (კა) სხვა წინადადებას უკავ-
შირებს. საბა კი „საღმრთა“-ს მართლაც შეცდომით, სა ლ ა მ ა დ
იგებს და წერს: „ეჰა, მ შ ვ ი დ ო ბ ა ვ!..“ (35.II). იგივეა შემდე-
გაც: 523 — B 55. II—C.

ვახტანგის თარგმანზე მუშაობისას საბას უპირველესი მიზანი
შექმნას ქართული ძველი ქართული ენობრივი მასალით. მაგრამ ზოგ-
ჯერ მასთანაც ვხვდებით აღმოსავლურენოვან ლექსიკას, რასაც იგი მი-
მართავს ვახტანგისა და იმდროინდელი სალიტერატურო ენის კვლად-
ესენია: ავ შ ა რ ა, ავ ე ა ნ დ ა/მ ე ა ვ ე ა ნ დ ე, რ ა მ ლ ე, ნ ა ს რ ა-
ნ ი, ა რ ი ფ ი, მ უ ქ ა ფ ა, ა თ ა რ ი, ჯ უ ფ თ ი, მ ე ჯ უ ფ თ ა რ ე ნ ი,
ზ ა რ ნ ი შ ა ნ ი, ა შ ი კ-მ ა შ ი კ ი და სხვ. საბასთან არის ასევე სი-
ტყვა ბ ე ე შ ტ ი (სამოთხე), რაც ვახტანგთან არ არის შესაბამის ად-
გილას. ასეთი (აღმოსავლურენოვანი) მასალა ცოტაა საბასთან: რო-
გორც არაერთხელ აღვნიშნეთ, იგი ღრმად ეროვნულ ნიადაგზე დგას;
მისი გულმოდგინე ნამუშავენი ვახტანგის თარგმანის რთულ და ჭრელ
ლექსიკაზე წარმოგვიდგენს მას როგორც დიდ ოსტატს, მწიგნობარს,
ქართული ლექსიკის ღრმად მცოდნეს, ენის სიწმინდისათვის მეზრ-
ძოლს.

აქვე გვინდა შევეხოთ ერთ პრინციპულ საკითხს: რა სურათს
იძლევა ვახტანგის თარგმანის ლექსიკა, საერთოდ B ვერსია — იცის
თუ არა ვახტანგმა სპარსული საფუძვლიანი? რა ვითარებაა ამ
მხრივ საბასთან?

საკითხის ასე დასმა გამოიწვია უპირველესად ვახტანგის თარგ-
მანში უცვლელი ტრანსკრიპციით, უთარგმნელად გამოყენებული
ქარბი სპარსულ-არაბული ლექსიკის არსებობამ, ასევე მნიშვნელო-
ვანწილად მისმა შეცდომებმაც; რომლებიც, როგორც აღვნიშნეთ, უნ-
და შეფასდეს არა მხოლოდ „ანვარე სოჰაილის“ გამოცემულ ტექს-
ტთან შეპირისპირების საფუძველზე, არამედ ვახტანგის ნუსხისეულ
ვარიანტთა გათვალისწინებითაც.

რადიკალურია ამ მხრივ მ. თოდუას თვალსაზრისი. იგი თვლის,
რომ ვახტანგმა არ იცოდა სპარსული ზედმიწევნით¹ და იმოწმებს
საბას ნათქვამს: „თვითონ (ვახტანგმა — თ. ა.) ზედმიწევნით სპარსუ-
ლი არ იცოდა და მთარგმნელებიც თავისი გუნებისა ვერ ემოვნა და
მირევე-მორევით გარდმოეთარგმნა“. საბა „ქილილა და დამანას“ მთარ-
გმნელებად უცხო პირებს გულისხმობს და იწუნებს თარგმანს. რო-
გორც აღვნიშნავს ალ. ბარამიძე, ეს უნდა ემყარებოდეს ვახტანგის
ანდერძის იმ ნაწილს, სადაც A ვერსიის შესახებაა ლაპარაკი. მასში

(საბას ანდერძში) არ არის გათვალისწინებული ვახტანგის ორმაგი ღვეწლი „ქილილა და დამანას“ მიმართ — A ვერსია მის მიერაა რედაქტირებული, B — თარგმნილი. ჩანს, სარედაქციოდ მიღებული ტექსტი საბამ პირვანდელ თარგმანად (A ვერსიად) მიიჩნია, რომლის კრიტიკული შეფასებაც მოცემულია ვახტანგის ანდერძში (და მისგან მომდინარე საბასთანაც)⁶².

საბას მიერ გამოთქმული აზრი კი — ვახტანგმა „ზედმიწვევით სპარსული არ იცოდაო“, ჩვენი აზრით, იმიტაც უნდა იყოს გამოწვეული, რომ მას ვახტანგის თარგმანში დახვდა მოზღვავებული აღმოსავლური ლექსიკა — უცვლელად შემოტანილი სპარსულ-არაბული სიტყვები, რაც ხშირად გაუგებარს ხდის ტექსტს. ვახტანგს ზედმიწვევითი სიზუსტით გადმოუღია ქაშეფის თხზულების გადატვირთული და მძიმე სტილი და ამის გამო ხშირად მისეულ თარგმანში აზრიც ბუნდოვანია, რის გამოც საბა ხშირად ვერ იგებს ვახტანგისეულ ტექსტს. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამგვარ ლექსიკურ ერთეულთა მნიშვნელობა უცნობია ვახტანგისათვისაც — იმ აშკარა შეცდომების გარდა, რომლებიც აღინიშნება ვახტანგის თარგმანში, B ვერსიის ჭარბ უცხოენოვან ლექსიკურ მასალაში ძნელად თუ დაიძებნება ისეთი სიტყვა ან ტერმინი, რომელსაც შეუსაბამოდ ხმარობს ვახტანგი; მან იცის იმ სპარსულ-არაბული სიტყვების მნიშვნელობა, რომლებიც უცვლელად, ქართული ტრანსკრიპციით გადმოაქვს თარგმნისას. მის მიერ აღმოსავლურენოვანი ლექსიკის ცოდნის დამაჩვენებელი არგუმენტია თვით ვახტანგის მეცნიერული თარგმანებიც — უაღრესად რთული სპეციფიური შრომები; ისინი, ასევე მათზე დართული მრავალრიცხოვანი ლექსიკონები, თვით ტექსტში მის მიერ შეტანილი შესატყვისები და განმარტებანი, „აიათის“ გაქართულებული სპეციფიური ტერმინოლოგია ნათლად მოწმობს ვახტანგის მიერ თარგმანებში უცვლელად გამოყენებული უცხოენოვანი ლექსიკის საფუძვლიან ცოდნას. იგივე უნდა ითქვას „ქილილა და დამანას“ შესახებაც. ვახტანგისეულ ტექსტთა გარკვეული აზრით „არაქართულობა“ გამოწვეულია მისი მთარგმნელობითი მეთოდით — ზედმიწვევითი, პწკარედული სიახლოვე დედანთან, სწრაფვით — ყოველი დედნისეული დეტალი და ნიუანსი უცვლელად იყო გადმოტანილი თარგმანში; ვახტანგი არ აქართულებს ტექსტს, რაც გამოიწვევდა გარკვეულ დაშორებას ორიგინალიდან. ყოველივე ამასთან ერთად კი მთარგმნელი ვერ ახერხებს შესაბამისი ქართული ბუნებრივი ფონისა და მხატვრული დონის შექმნას.

62 ნარკვევები, I, გვ. 275.

უფრო კატეგორიული ჩანს მ. თოდუას მიერ რუსულ რეზიუმეში მოტანილი დასკვნა ამის თაობაზე: Вахтанг не знал в совершенстве персидского языка, витневатыи язык „Анвир-е Сохайли“ был понят им не всегда правильно, а знавший персидский язык С.-С. Орбелиани при обработке перевода не всегда обращался к оригиналу и повторил поэтому почти все ошибки переводчика“⁶³.

ამრიგად, გამოდის, რომ ვახტანგს, რომელსაც „სისრულით“ უთარგმნია ქაშეფის საკმაოდ რთული ტექსტი, არ სცოდნია კარგად სპარსული, ხოლო საბამ, რომელიც ფლობდა სპარსულს და შეეძლო ამდენად ვახტანგის სწორება, გაიმეორა მისი „თითქმის ყველა შეცდომა“. ამ დასკვნას არც ალ. ბარამიძე მიიჩნევს საფუძვლიანად: კერძოდ, იგი წერს: „რუსულ რეზიუმეში მოტანილი დასკვნის მიხედვით „ქილილა და დამანას“ თარგმნა-გაჩაღხვის საქმე წილად რგეზიათ ამისათვის შეუფერებელ პირებს. მთარგმნელი არ ყოფილა და უფლებული სპარსულს, სპარსულის მცოდნე გამჩაღხავს კი არ გამოუყენებია თავისი ცოდნა და მხოლოდ იშვიათად თუ ჩაუხედავს დედანში“⁶⁴.

მ. თოდუას აზრით, საბამ სპარსული იცოდა, ოღონდ ზედმიწევნით არა, ვახტანგიც დარწმუნებული ყოფილა იმაში, რომ გამჩაღხავი ვაიგებდა მის მიერ ტექსტში უცვლელად დატოვებულ უცხოენოვან ლექსიკას⁶⁵. საბას მიერ სპარსულის ცოდნის „ერთადერთი დამადასტურებელი საბუთი ჭერჯერობით მისი „ქილილა და დამანასა“⁶⁶, — წერს იგი. საბა სპარსულის მცოდნედ მიაჩნდა კ. კეკელიძესაც⁶⁷.

იმის დასამტკიცებლად, რომ საბამ იცოდა სპარსული და იხედებოდა ორიგინალში, მ. თოდუას მოჰყავს ერთი ფრიად საყურადღებო მაგალითი: В версиаში იკითხება: „თვალსა და ხელს შუა ვერ იცნობდა მაჯუნის“ (311); საბასთან კი ჩნდება ნიკრიისი: „თვალის ტყვილსა და ნიკრისს ვერ გაპყოფდა“ (290). ეს სიტყვა ორიგინალისეულია. მოტანილი მაგალითი დამაფიქრებელია. ცხადია, არ არის გამორიცხული, რომ საბამ იცოდა სპარსული, მაგრამ ჭერჯერთი, საბა უარყოფს მის მიერ უცხო ენების ცოდნას⁶⁸, თანაც ვერ

⁶³ მ. თოდუა, გვ. 335.

⁶⁴ ალ. ბარამიძე, სარეცენზიო წერილი; მ. თოდუა, „ქილილა და დამანას“ საბასეულა ვერსია, აღმოსავლური ფილოლოგია, II, თბ., 1972, გვ. 254.

⁶⁵ მ. თოდუა, გვ. 109.

⁶⁶ იქვე, გვ. 110.

⁶⁷ კ. კეკელიძე, ეტიუდები, VIII, თბ., 1962, გვ. 301.

⁶⁸ ნარკვევები, I, 285; ს. ს. ორბელიანი, თხზ. ტ. IV, გვ. 33.

დავეთანხმებით მ. თოდუას იმაში, რომ მის შიერ სპარსულის ცოდნის საბუთად „ქილილა და დამანა“ (C ვერსია) გამოდგება, რადგანაც, როგორც აღვნიშნეთ, საბა ზოგჯერ ვერ იგებს გავრცელებულ და მარტივ სპარსულ სიტყვებს — ნახში, ანთალი, თამაშა, ხარა, სუფიქსი-ისთან, მარაქა და სხვ. თუმცა, იგი სწორად თარგმნის B ვერსიის სპარსულ-არაბული ლექსიკის დიდ ნაწილს. მათი უმეტესობა დამკვიდრებული იყო მაშინდელ მწიგნობრულ ენაში; გარდა ამისა, როგორც ვარაუდობენ ელ. მეტრეველი. აღ. გვახარია⁶⁹, აღ. ბარამიძე⁷⁰, საფიქრებელია, საბა იშველებდა სპარსულის მცოდნე პირებს საჭიროების შემთხვევაში; ხოლო, თუ ტექსტი მასში მოცემული „არაქართული“ მასალით გასაგებად ეჩვენებოდა, მიჰყვებოდა მხოლოდ საკუთარ ცოდნასა და ინტუიციას.

შემოქმედი მთარგმნელის ოსტატობა, მის მიერ სათარგმნი ძეგლის მშობლიურ ენაზე გადააზრება ლექსიკასთან ერთად მნიშვნელოვანწილად მიღებული თარგმანის სინტაქსურ-ფრაზეოლოგიურ მხარეშიც ვლინდება, რადგან ფრაზეოლოგია, როგორც „ენის ერთერთი ყველაზე უფრო ცოცხალი, გამომსახველი და თავისებური საშუალება, მკვეთრად გამოხატული ეროვნული ნიშნითაა აღბეჭდილი. თვით სტილისტურ-ნეიტრალური ფრაზეოლოგიზმებიც კი ეროვნული თვისებების მატარებელია“⁷¹. იგი თარგმნისას ლექსიკასთან ერთად ერთგვარი „საძერწი მასალის“ ფუნქციას ასრულებს და მთარგმნელის მიერ ორიგინალის მშობლიურ ენაზე გარდათქმას, გათავისებებას ემსახურება.

ყურადღებას იმსახურებს ვახტანგის თარგმანის ფრაზეოლოგია, რომელიც სწორედ რომ ვერ ასრულებს აღნიშნულ ფუნქციას და ძირითადად სპარსული ძეგლის კალკირებული სურათის შთაბეჭდილებას ქმნის.

ვახტანგმა, როგორც უკვე ითქვა, აწარმოვა თავის თარგმანზე რედაქციული მუშაობა, რაც შეეხო მხოლოდ თარგმანის ლექსიკას (ნაწილობრივ) და მის ლექსით ნაწილს. პროზა თითქმის მთლიანად უცვლელი დარჩა, რადგან მისი „გაქართულება“ მოითხოვდა ძეგლის მთლიანად გადამუშაებას, თითქმის ყოველი წინადადების ქართულად აწყობას, რაც ასეთი წარმატებით შეასრულა კიდევ საბამ.

ვახტანგის თარგმანში ძალზე ხშირია გადატვირთული აღმოსავლური კონსტრუქციების, კალკების ხმარება, რაც ნათლად მოწმობს

⁶⁹ ელ. მეტრეველი, აღ. გვახარია, 184, 187.

⁷⁰ აღ. ბარამიძე, აღმოსავლური ფილოლოგია, II, გვ. 253.

⁷¹ Рецкер Я. И. Теория перевода и переводческая практика, М. 1974, გვ. 145.

მისი მთარგმნელობითი მეთოდის ძირითად თავისებურებას — სწრაფ-
ვას ზედმიწევნითი სიზუსტისაკენ. როგორც აღენიშნეთ, ამასთან ერ-
თად იგი ვერ ახერხებს შესაბამისი მხატვრული ფორმის გამონახვას
და მთლიანად სპარსული ფრაზეოლოგიის რაკლშია მოქცეული.

ამ რიგის მასალა ძალზე ბევრია B ვერსიაში. მოვიტანთ ზოგი-
ერთი აშკარად გამოხატული სპარსიზმის მაგალითს:

1. ვახტანგის მიერ სპარსული ტექსტის პირდაპირი მიდევნება
უპირველესად ზმნათა გადმოტანისას შეიმჩნევა. ზოგჯერ მისი წინა-
დადება თითქოს კარგად, „ქართულადაა“ აწყობილი და გამართული
და ზმნა კი შეუსაბამოდ მოდევნებული, უხეშად კალკირებული. ეს
ძირითადად كراد (კეთება) ზმნით შედგენილი შემასმენლების თარ-
გმნის ეხება: — მაგ.: „... მოსვენებული ქვეყანა ქუხილის ქვეითა
და გულის დამწველის მეხითა მეორედ მოსულის საზარელობა გა-
აკეთა (ქარმან)“.

ბევრია ისეთი შემთხვევა, როდესაც თვითონ ზმნა ან შედგენი-
ლი შემასმენლის სახელადი ნაწილი აღმოსავლური სიტყვაა და მორ-
ფოლოგიურად ქართულადაა გაფორმებული — მაგ.: „დავაფარდახ-
ტო“, „გაფარალათდეს“, „თამაშა მოინდომა“, „ნახშა ვკრავ“ და სხვ.

2. ხშირად ვახტანგის წინადადების დასაწყისი პირდაპირაა კალ-
კირებული დენდინდან და ვიღებთ ტიპიურ სპარსულ წყობას:

არის, რომ შენი უგუნურება... وقت است که از کمال نادانی

ანდა: მოუყვანიათ, რომ... }
მოუტანიათ, რომ... } اور آید

ახლოს იყო, რომ... نزدیکی —

მაგ.: „დაახლოვებოდა, სიმწარის ცეცხლი თვალის შადრევნიდამ
გამოსდენოდა“ (668).

2. ვახტანგს თარგმნისას ასევე უცვლელად გადმოაქვს ზოგიერ-
თი ქართულისათვის არაბუნებრივი, სპარსულისათვის კი ძალზე ხში-
რი და დამახასიათებელი გამოთქმები:

მაგ.: ადგილს იპოვნის — }
ალაგი იპოვა — } جای گرفت

ალაგს მოიყვანა — بجای آورد

მოსვენების მოჭრა შეუძლია (შესწორებაში) — از آسایش... تواند برید

სასა ეყნოსა — }
სასა გაასურნელა — } بمشام رسید

და სხვა მრავალი.

4. განსაკუთრებით გვინდა შევჩერდეთ შემდეგი ტიპის მასალა-
ზე: სპარსულ წინადადებაში მსაზღვრელ-საზღვრული თავის პირდა-

პირ სინტაქსურ ფუნქციასთან ერთად მხატვრული სახის როლსაც ასრულებს. ამგვარი დაჯგუფებანი ცვლიან ერთ რომელიმე აბსტრაქტულ ცნებას. ეს აღმოსავლურ ლიტერატურაში ძალზე გავრცელებული ხერხია, იმდენად, რომ ზოგჯერ აღარც აღიქმება მათი მხატვრული დატვირთვა, ისინი ტრაფარეტის სახეს იღებენ. ასეთი დაჯგუფებანი ქმნიან იდიომურ გამოთქმებს, რომლებსაც ძალზე ხშირად ვხვდებით ვახტანგის თარგმანში:

„შეწვევის მეიდნის მინდორი“, „მისი ბრძანების ზინფუში“, „ბედნიერების ავეანდის მოსამსახურე“, „შენის წყალობის ხეივანი“ და სხვ.

ზოგჯერ ერთ წინადადებაში თავს იყრის რამდენიმე ასეთი (იზაფეთური) დაჯგუფება. ასეთ კონსტრუქციებში თავს იჩენს აღმოსავლური მწიგნობრული სტილისათვის დამახასიათებელი კონკრეტიზაცია, გასაგნებული აზროვნება — აქ შედარება-მეტაფორების, პარალელიზმისა და მხატვრული სახვის სხვა ხერხებისათვის ძირითადად ცოცხალი და არაცოცხალი სამყაროს კონკრეტული საგნებია გამოყენებული აბსტრაქტულ ცნებათა მისანიშნებლად. შესაბამისი მაგალითები ძალზე ბევრია B ვერსიაში; მოვიტანთ ზოგიერთს:

იმედის ცხენს საწადლის მეიდანში ვერ გააქენებს (52)

مرکب امید در میدان مراد نتازد (38)

ნდომის ნერგზე საწადლის კუკური არ გამოლილიყო (79)

هنوز بر بال آرزو شکوفه مراد نشکفته (26)

უსამართლობის ჭანგი ქვეყნის სარკის პირიღამ გაეწმინდა (31)

نگ بيداد از صفحه جهان زدوده (25)

ამპარტავნების თავი სიმდაბლის საყელოში ამოყავ (279—80)

سر قفريد در گريان توکل کش (175)

გაყრილობის დაღი დაჭრილს გულზე დაისვა (74)

داغ مفارقت برسینه ریثی نهاد (52)

შიმშილობის ცეცხლი ღვიძლის დამწვართ გულში უშეშოდ აანთო

آتش گرسنگی در سینه جگر سوختگان بی مایه بر افروخته (103) (70)

ქელმწიფემ გაკვირების თითი ფიჭრის კბილით დაიჭირა (301)

ملک انگشت تحریر بدندان تفکر گرفت (199)

ფარალათობის თავი მარტოობის მუხლზე დავდვა (100)

سر فراغت بر زانوی عزت می (78)

ამგვარი რიტორიკული წინადადებები არ არის ბუნებრივი ქართული სტილისათვის, კალკირებულია, თუმცაღა, რა თქმა უნდა, არ

რჩება გაუგებარი, მაგალითად, „მოცდის ფეხი დაწყნარების კალთაში გაეწვია“ — „წყნარად იცლიდა“, „წასასვლელი ფეხი ბედნიერობის აჟუანდში შეედგი“ — „წასვლა ბედნიერებად მიჩნდა“ და სხვ. ზოგჯერ უფრო რთულდება ასეთ მარტივ შესატყვისთა მოძებნა და წინადადება სხვაგვარად აწყობას მოითხოვს.

ამგვარ სპარსულ კონსტრუქციებში ხშირია სინონიმთა ხმარება, რასაც ზოგჯერ ვახტანგი შესაბამისი ქართული სინონიმებით გადმოგვეცემს — მაგ.: „ნდობის ნერგზე საწაღლის კუკური არ გაშლილიყო“ (79). მაგრამ არცთუ იშვიათად მათი თარგმნისას იგი თავს ვერ აღწევს ტავტოლოგიას, მაგ.: „მხიარულის ზაფრანით სამხიარულოს ბაგეს აცინებდეს“ (744), „სამსახურის კალთა სამსახურის წელში ჩაირჭო“ (629) და სხვ. ამის თავიდან ასაცილებლად ვახტანგი ზოგჯერ პარალელურად ხმარობს სპარსულ-არაბულ სიტყვასა და მის ქართულ შესატყვისს. მაგ.:

„... ჩვენ შევიყარენით წაღკოტსა და სარაიაში“ (558).

(388) حيفا روزی که مارا بر سر استان وصل

ორიგინალში ამ შემთხვევაში არ არის სინონიმები.

„არსთა ხაყანი, და მშვიდღებისა და დაემინების გამგონებელი“ (6),

خاقان دوران بسط بساط امن و امان ناشر

ასევე: მონა-ყული (679) (2.4) غلام — بندہ და სხვ.

მთლიანად დედნისეულია ვახტანგის თარგმანის მხატვრული სახვის ხერხები და საშუალებანი. როგორც არაერთხელ იყო აღნიშნული, იგი არ ახდენს თარგმნისას ძეგლის ქართულად გადააზრებას, მასში უცვლელადაა გადმოტანილი სპარსული დეკორატიული სტილი, საერთოდ, ძეგლის გარეგნული სტრუქტურა.

ყველაზე ხშირად თარგმანში დედნის შესაბამისად ვხვდებით სინონიმური პარალელიზმის მაგალითებს. ზოგიერთი მათგანი ჩვენ ზემოთ უკვე მოვიტანეთ სპარსული მწიგნობრული ენისათვის დამახასიათებელი იზაფეთური კონსტრუქციების განხილვისას.

მოვიტანთ კიდევ რამდენიმე მაგალითს:

მიხდომა და ცნობა იგავთა ხროთა ერთს ხარისხზე აღწე-

ნილა... (2) (4) ... وافاضه آن منبع حقایق ومعانی بمرتبه است...

ივლესთა და ბეზამისქინთა... (14).

72 (12) ... بضبط احوال رعیت

* სიტყვისიტყვით: „შევიწროებულ გლვხთა“; ჩანს ვახტანგის ნუსხაში იყო სა.

مكين (ძლიერ ღარიბი). ახ. ელ. მეტრეველი, აღ. გვახარია, გვ. 181.

მ ო ჩ ხ უ ბ ა რ ი და ჯ ა ვ რ ი ა ნ ი და ხ უ ი ა ნ ი... (234).

(155) جنجوى و تيز خوى

როგორც აღვნიშნეთ, „ხუიანს“ ვახტანგი „ავზნიანის“ მნიშვნელობით ხმარობს; ასევეა— „ავი და ხუიანი“ (454).

მაყსუდის პირს საწადლის თვალთ დანახავს (78).

(52) روى مقصود بايد مراد بايد

აქაც, ზემოთგანხილული მაგალითების მსგავსად, ვახტანგი ტავტოლოგიას თავს აღწევს სპარსული სიტყვისა და მისი ქართული შესატყვისის პარალელური ხმარებით:

ასევე: სირათი და საქციელი (491)

ათარი და მკურნალი (517),

ავადმყოფის მორჩომა და სნეულის განკურნება... (192). და სხვ.

აქ ვახტანგი მოსწრებულად პოულობს სინონიმურ წყვილებს და კარგად აწყობს წინადადებას. ასევე: ერთგულთა და მოყვარეთა (169), სვიანობისა და ბედნიერების (16), ნდობა და ერთგულება (341) და სხვ.

ლექსიკური პარალელიზმიდან ვახტანგი თარგმნისას მიმართავს მხატვრულ ჩამოთვლასა და სიტყვათა გამეორებას წინადადებაში, რაც ისევ და ისევ უშუალოდ ორიგინალიდან მომდინარეობს:

„წვრთნა უქნიათ და უთქვამთ და შეუგონებიათ და ცდილან“⁷³ (229).

(5.6) در نصیحت و موعظت شرط امانت بجای آوردان

„მწვანეს ხათიანთა დახუჭუჭებულ ხათთაებრ“... (5).

(6) چون طره سبز خطان... (6)

ასევე: 435 (გულს — გულს), 506 (I ვარ.), 674, 495 (II ვარ.).

მხატვრულ სახეთა შექმნისას აღმოსავლური აზროვნება უპირატესად შედარებას ემყარება, და, ბუნებრივია, ვახტანგის თარგმანშიც ყველაზე ხშირად ამ მხატვრულ ხერხს ვხვდებით.

მაგალითად: იმის ზილფი რომ მუშყისა და ამბრის დარი იყო, იმ ზილფსავით დახუჭუჭებულიყო მისი ტანი სნეულებით (576).

(5.6) چو زلف مشکای عنبرینش تکریات جسم نازنینش

ბედნიერება არყამის გველსა ჰგავს (497).

ზეცის ბურჯსავით თვალმარგალიტით შემეკობილი (38)

(30) چون برج آسمان بجواهر مزین ساخته

⁷³ ვახტანგი აქ უმატებს სინონიმებს: „უთქვამთ, ცდილან“.

მოტიანი წინადადებები მთლიანად შედარებაა. ვხვდებით უფრო მარტივ შედარებებსაც. მზე აწყასავით... (17), სარკის მსგავსი ცა (213) ბაზმა სარკის მსგავსი (138), ქექაოზის თაჯსავით (241), ათარის ქულბაქსავით (24), აჯების საღმრთოსავით (570), ორთქლი ისარსავით (532), ნაფირსავით დაიძახა (277) და სხვ.

განსაკუთრებულ, აღმოსავლურ ელფერს ატარებს ვახტანგის მიერ თარგმანში გამოყენებული სინტაგმები, რომლებიც შეიცავენ სპარსული სტილისათვის ტრადიციულად ქცეულ ეპითეტებს:

მაგალითად: ზილფმუშკი და ამბრის სული ავად ვახდა

ნაზი ტანი (576): زلف مشکای عنبرینش ...

... ორი თურქი თვალი... (695) ... دو چشم تر یک ... (219)

ოყაბაზობის მოთამაშე ჩალხი (231) چرخ شادی باز (133)

ხშირად გამოიყენება ტექსტში ეპითეტად ზარნიშანი: ზარნიშანიშანი მზის ხელმან (35), ზარნიშანი ბურთი (252), ზარნიშანი ნესვი (233), ზარნიშანი ცა (234), ზარნიშანი სიტყვები (297), ზარნიშანი დროშა (473) და სხვ.

შედარებით ნაკლებად ვხვდებით ტექსტში მარტივ მეტაფორებს — მაგალითად: გულის მაყალი (279), გულის ზარაფხანა (403), კრულობის კალო (496), სიმხიარულის ქულბაქი (29)...

ჩვენ მიერ ზემოთ განხილული მსაზღვრელ-საზღვრულის ძეწყვით აგებული წინადადებებიც მთლიანად მეტაფორულია.

როგორც ამ მოკლე მიმოხილვიდანაც ჩანს, ვახტანგის მიერ თარგმანისას გამოყენებული მხატვრული ხერხები მთლიანად ორიგინალისეული, სპარსულია ყველა დეტალსა და ნიუანსში.

ამრიგად, ვახტანგის თარგმანი ძირითადად უცვლელად იმეორებს სპარსული ორიგინალის ფრაზეოლოგიურ-კონსტრუქციულსა და მხატვრულ მხარესაც, რაც ისევე, როგორც სპარსიზმებითა და არაბიზმებით გადატვირთული მისი ლექსიკა, „არაქართულობის“ შთაბეჭდილებას ქმნის. მთარგმნელი კვალდაკვალ მიჰყვება ქაშფეფის ზვიად რიტორიკულ სტილს, რომლის სიტყვასიტყვით გადმოტანაც თარგმანში ქართული ენის ბუნების გათვალისწინებლად ფაქტიურად თხზულების მხატვრული მხარის ვერდაძლევის ნიშნავს — ის, რაც ბუნებრივია სპარსული სტილისათვის, ქართულისათვის ხელოვნურია და მიუღებელი. ამასაც ისევე და ისევე განაპირობებს ვახტანგის მთარგმნელობითი მეთოდი, მისი თარგმანის პუკარედული ხასიათი.

ახლა ვნახოთ, რა ვითარებაა ამ მხრივ საბასთან. ვახტანგისეული მასალა საბას ხელში დიდ მხატვრულ გამომსახველობას იძენს, მისი ვერსიის ყველა კომპონენტი ეროვნული ძირიდან მოდის. საბას პროზაც ისევე, როგორც მისი შვენიერი ლექსები, ღრმად ქართუ-

ლია და მაღალმხატვრული და ვახტანგის თარგმანისაგან სრულიად განსხვავებული, მისეული პრინციპითაა შესრულებული.

ამის საილუსტრაციოდ სულხან-საბას ტექსტის დიდზე დიდი ნაწილის გადმოწერა დაგვეჭირდებოდა. მოვიტანთ ასეთ წინადადებას:

„სიტყვოთა სულთაებრ შაქარბაგეანს სათუთის საუბარსავით მაცილობელი და მომაცთუნებელი მისნი იგავნი, კეკლუტა დახუჭუჭებულს თმსავით, გულთა და გონებითა ზედ შემწეებელი“ (33).

ზოგჯერ საბა ცელის ვახტანგის ფრაზის აზრს — შესაძლოა, იგი სწორად ვერ იგებს კონტექსტს ანდა განგებ ასხვადფერებს მას. მაგალითად, ვახტანგთან კვითხულობთ:

„სისწორის ბაზარში ამისგან ნაღდისა და მურასის სათაენო გაკეთო (27). (۲۹) از آن راست سرمایه سختم

საბა ასე აწყობს ფრაზას: „სისწორის ბაზართა შინა ამ რივის ხელსატაკითა თვალმარგალიტის უძვირფასე ზეთი ავანთო“.

აქ საბამ, ჩანს, „ბაზრის“ ნაცვლად წაიკითხა „ბაზმა“ და ამისდა მიხედვით გაჩნდა „ზეთი ავანთო“, თუმცა, მან, შესაძლოა, შეგნებულად შეცვლა აზრი; მისი წინადადება არ ეწინააღმდეგება კონტექსტულურად მოცემულ ადგილს, ჰირიქით, შინაარსით ესადაგება კოდეც — აქ მწირის ცხოვრებაზეა ლაპარაკი. მაინც პირველი ვარიანტი უფრო მოსალოდნელია ამ შემთხვევაში, რადგან საბა ასეთ აზრობრივ კორექტივს იშვიათად მიმართავს.

B ვერსიაში არის ერთი ასეთი წინადადება:

„ის ქვის ლომი დარაჯების ზომითა და ხედვით სახელოვნის მასკვლავის თვალთ შეუმზადებიათ“ (118).

C: „იგი ქვის ლომი ცის ეტლების ხარისხების ჩხრეკით და ვარსკლავთა სინჯით შეუქნიათ“ (133).

საბას ვახტანგის ფრაზის შინაარსი ცის ეტლთა სფეროში გადააქვს. მაგრამ შეუსაბამობა არც აქ იქმნება. ეს ქვის ლომი თავისი განსაკუთრებული თვისებებით ადრე იყო ტექსტში შედარებული ცის ლომთან (117) (ლომის ზოლიაქოსთან), თუმცაღა B ვერსიის „დარაჯების ზომითა“ ამ შემთხვევაში „ცისმზომობის“ დარაჯას (მენაცს) არ გულისხმობს.

ანალოგიურია შემდეგი მაგალითიც B (227) — C (221).

ამგვარი ტენდენცია შეიმჩნევა საბასთან. ვახტანგის თარგმანში (და ორიგინალშიც) ასეთი პარალელები ბევრია და ამდენად საბასეული აზრობრივი ცვლილებანი არ ჩანს უცხოდ და შეუსაბამოდ.

საბას „ქილილა და დამანა“, რომელიც მთლიანად B ვერსიის ემყარება, მაღალ მხატვრულ დონეზეა შესრულებული. და, ცხადია, ყოველმხრივ სჯობს ვახტანგის პწკარედულ, სტილისტურად გაუმარ-

თავ, დაუხვეწავ თარგმანს. ამ მხრივ, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, არც ფრაზეოლოგიაა გამონაკლისი. მრავალჯერ ითქვა, რომ ვახტანგის თარგმანში ძალზე ხშირია ქართული ენისათვის უცხო სპარსული კონსტრუქციების ხმარება. B და C ვერსიების ამ თვალსაზრისით შესწავლამ გვიჩვენა, რომ ქაშეფის თხზულებიდან მომდინარე ვახტანგისეული სპარსული ფრაზეოლოგიზმები არცთუ იშვიათად საბასთანაც თითქმის უცვლელად გადადის, მაგალითად:

„წასასვლელი ფეხი ბედნიერების ავჯანდათა შევდგი“ (64);

„სტომაქით სიმწუხარის ბოლი ამოედინა“ (450); B ვერსიაში იყო: „კომლი მისის სასიდან ამოუვიდა... (310); „შეწვენის ასპარეზთ მინდორი მადლიერობის ფერხით გამიზომია“ (306), „სულთა საყელონი საგონებლის ხელთა მიგიცემიეს“ (179); „სვებედნიერობის ტაიქთა აღვირი ბუთ ხელმწიფესა ხელთა აპყრია დი დალიქთა ფერხთა მოკაზმულობა მისის ფერხით გაშვენებულა“ (140), „წასასვლელი კალთა წელთა ჩაირჭო“ (132) და სხვ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საბას მიერ მოძებნილი შესატყვისი და ამდენად შესაბამისი ფრაზაც ყოველთვის არ სჯობს ვახტანგისეულს: მაგალითად, საბა B ვერსიის „მადანსა“ და „ქანს“ ყოველთვის ცვლის „ლითონით“. ეს უკანასკნელი არ არის მოტანილ ცნებათა ექვივალენტური; შესაბამის კონტექსტებში მათი ხმარება ნაკლებადაა გამართლებული ლოგიკური თუ მხატვრული თვალსაზრისით. ვახტანგთან ვკითხულობთ: „ბრწყინვალე ჯავრი რომ სიბრძნის მადნიდამ გამოიღე“ (358).

C ვერსიაში კი ასეა: „ევე ბრწყინვალე კუმტობა, რომელი ჭკვათა ლითონით გამოიღე“ (333).

ვახტანგისეული სიბრძნის მადანი აშკარად სჯობს საბას ჭკვათა ლითონს. ასევე: ვახტანგთან არის „ქანი“ (533). (სპ. مدن — 374).

C ვერსიაში: ჭირისა და სარჯლის ლითონი (45); B: მკერდის მადანში (696) — C: ლითონსა შინა (230)⁷⁴; B: ქანი (747) — C: ლითონი (292)./სპ. كان — 678/

საბა ძირეულად აქართულებს ვახტანგის თარგმანის ფრაზეოლოგიას; ამასთან თავისი სტილით C ვერსია თითქმის არც შორდება ქაშეფის თხზულების ენაწყლიან მანერას მისი ამოსავალი

74 სპარსულ ტექსტში აქ არის: در کانون مگرد (მკერდის ღუმელში). უზუხტობა განმეორდა საბასთანაც; თუმც აზრობრივად მოტანილ კონტექსტს, ვფიქრობთ, უფრო ნაკლებ უდგება „მკერდის ლითონი“.

ტექსტის — ვახტანგის თარგმანის — სპარსულ ტექსტთან პწკარედული სიახლოვის წყალობით. მაგრამ, როგორც ვნახეთ, ზოგჯერ ვახტანგის კვალად საბაც მიმართავს წმინდა სპარსულ ფრაზეოლოგიზმებს, კალკებს; თუმცა, ისინი ისე საჩოთიროდ არ ჩანს, როგორც ვახტანგის თარგმანში, რადგან ფონი საბას თხზულებისა ერთიანი ქართული სტილია B ვერსიის სპარსულიდან კალკირებული მანერისაგან განსხვავებით. არის შემთხვევები, როდესაც საბასთან ფრაზის აზრი შეეცვლილა, ვხვდებით ზოგიერთ უზუსტობას, მაგრამ ეს C ვერსიის ძალზე უმნიშვნელო ნაწილია და ნაკლებადაა შესამჩნევი. ზოგჯერ საბას მიერ ვახტანგის სწორება გაუმართლებელიც ჩანს (მადანი, ქანი (B) — ლითონის (C) მაგალითი). როგორც აღნიშნავს მ. თოდუა, საბა ზოგჯერ უმიზეზოდ უხირდება ვახტანგს და ცვლის იმასაც, რაც არაა შესაცვლელი⁷⁵. ვფიქრობთ, მიმოხილული არასრული მასალიდანაც ნათლად ჩანს საბას თარგმანის თვისობრივი სხვაობა B ვერსიისაგან, ვახტანგის თარგმანის მისეული, „გემოანი“ ჩაღბი, მისი როლი „ქილილა და დამანას“ „გაქართულებასა“ და კანონიკური ქართული ვერსიის შექმნაში.

ამასთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში დაისვა საკითხი: ვინ არის C ვერსიის ავტორი — ვახტანგი თუ საბა? ჩვენ ზემოთ უკვე მოვიტანეთ ექვ. თაყაიშვილის თვალსაზრისი — იგი მიიჩნევდა საბას იმ დროისათვის გამოცემული ტექსტის მთარგმნელ-ავტორად⁷⁶. ელ. მეტრეველის, ალ. გვახარიასა და ალ. ბარამიძის აზრით, ვახტანგი ვერ ჩაითვლება „ქილილა და დამანას“ ქართული თარგმანის ერთადერთ ავტორად, „საბას ღვაწლი უდრის თარგმანს“⁷⁷, მან მთლიანად უცვალა სახე B ვერსიის ტექსტს. კრებულის შეკვეცილ-ადაპტირებული ვერსიის ავტორი მელიგზედ ბებუდაშვილი მთარგმნელებად მიიჩნევს ვახტანგსაც და საბასაც: „თარგმნილია მეფე ვახტანგისა და ს. ს. ორბელიანის მიერ“⁷⁸ წერდა იგი. ამავე აზრისაა მ. თოდუა⁷⁹.

იყო ამის შესახებ მეორე აზრიც: ვ. გაბესკირია საბას მხოლოდ რედაქტორად მიიჩნევდა, რადგან უპირველესი და ძირითადი სამუშაო ჩაატარა ვახტანგმა — მთლიანად თარგმნა ქართულად ქაშფის

75 მ. თოდუა, გვ. 274.

76 Описание. 347.

77 ალ. ბარამიძე, ელ. მეტრეველი, ალ. გვახარია, ისევ კილილა და დამანას გარშემო. საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის საზოგ. მეცნ. განყოფილების მოამბე, 1962, № 1. გვ. 306.

78 Описание, I, გვ. 196.

79 მ. თოდუა, გვ. 93.

ტექსტი⁸⁰. თავდაპირველად საბას ვერსიას ალ. ზარამიძეც რედაქციად თვლიდა ხსენებული მიზეზის გამო⁸¹.

ჩვენი აზრით, მთარგმნელი მხოლოდ ვახტანგია — მან თარგმნა ქართულად ქაშეთის ტექსტი, საბა კი მთლიანად ეყრდნობა ვახტანგს და მისგან მომდინარეობს. უალრესად დიდია მისი როლი „ქილილა და დამანას“ გაქართულების საქმეში, მაგრამ ეს არაა მთარგმნელის წვლილი; იგი არის C ვერსიის ავტორი — არა მთარგმნელ-ავტორი, ანდა მხოლოდ რედაქტორი — მისი მუშაობა თარგმანზე დიდად სცილდება რედაქტორის ფუნქციებს. მიუხედავად იმისა, რომ საბასათვის დედანი ვახტანგისეული ტექსტია დანარჩენი ორი ძირითადი ქართული ვერსიისაგან განსხვავებით (ისინი უშუალოდ სპარსულიდანაა ნათარგმნი), მას მაინც ვერსიას უწოდებენ და ეს, ჩვენი აზრით, სავსებით ასახავს საბას დიდ ღვაწლს ქართული „ქილილა და დამანას“ საბოლოოდ ჩამოყალიბებაში.

შესწავლილი მასალის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ შემდეგი:

1. დიდია ვახტანგ VI-ის როლი „ქილილა და დამანას“ ქართულ ვერსიათა ჩამოყალიბებაში: მისი შითხებითა და რედაქციით დასრულდა A ვერსია; მან თვითონ თარგმნა ქაშეთის ტექსტი (B ვერსია), რომელიც რედაქციულად გადაამუშავა. იგი საფუძველად დაედო (ვახტანგისავე თხოვნით) სულხან-საბა ორბელიანის კანონიკურ ქართულ ვერსიას (C). ვახტანგის მუშაობა ამ მიმართულებით მთლიანად მოიცავს ძირითად ქართულ ვერსიათა ჩამოყალიბების მთელ ისტორიას.

2. „ქილილა და დამანას“ B ვერსია ნათლად წარმოაჩენს ვახტანგის მთარგმნელობით პრინციპსა და ტენდენციებს. მასში უცვლელადაა გატარებული მისი მთარგმნელობითი მეთოდის ძირითადი თავისებურება — ზედმიწევნითი სიახლოვე დედნისეულ ტექსტთან. ამან განაპირობა ის, რომ ვახტანგის ვერსია სტრიქონთარგმანია და არა იმან, რომ მთარგმნელმა წინასწარგანზრახვით გააკეთა მხოლოდდამხოლოდ პუკარედული თარგმანი, რომელიც იმთავითვე გულისხმობდა, მეორე პირის მიერ მის გამართვას (მ. თოდუა) და ამით ნიდაგი მოამზადა „ნამდვილი თარგმანისათვის“ (ელ. მეტრეველი, ალ. გვახარია). თავის თარგმანს არც ვახტანგი თვლიდა სრულყოფილად.

3. ვახტანგის მიერ თარგმანის რედაქცია მიზნად ისახავს სპარსულ ტექსტთან სრული ადეკვატურობის დაცვას. მისი სწორებანი

⁸⁰ ვ. ვაბესკირი, „ქილილა და დამანას გარშემო, მნათობი, 1961, № 3; მისივე; სამი ავტორის ერთი წერილი, წერილები ლიტერატურასა და ხელოვნებაზე, თბ., 1963, გვ. 325.

⁸¹ ნარკვევები, I, 1945, გვ. 321; ასევე: 1959 წლის გამოცემა, გვ. 123.

შეიცავს თარგმანის ზოგიერთი ადგილის დაზუსტებას აზრობრივად და ორიგინალთან სიახლოვის თვალსაზრისით. ისინი უმეტესად თანხვდება პირველად ვარიანტს, მხოლოდ უფრო მეტად პწკარედულია და კალკირებული. ზოგიერთი შესწორება შეიცავს ნიუანსურად შეცვლილ აზრსაც, ნაწილი კი სრულიად ახალ შინაარსს, რაც აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ ვახტანგი რედაქციისას მიმართავდა მის მიერ მანამდე უცნობ ნუსხას (ან ნუსხებს).

4. ვახტანგისეული ჩამატებები ტექსტში ავრცობს თარგმანის ზოგიერთ ადგილს უფრო დეტალური აღწერით, აფორისტული თქმით და სხვ. ეს ჩამატებანი ზოგჯერ მხოლოდ პროზაა ან ლექსი, ზოგჯერ კი შერეული ხასიათისაა. არის შემთხვევები, როდესაც ეს დამატებითი მასალა შეიცავს ახალ სიუჟეტურ შტრიხს, ახალ ამბავს, რასაც ვახტანგი არ აუვლიდა გვერდს თარგმნისას — მათ. არსებობა მის მიერ რედაქციისას გამოყენებული ახალი ნუსხისეული მონაცემებით უნდა აიხსნას.

5. ვახტანგის ვერსია მთლიანად ორიგინალის ჩარჩოშია მოქცეული. მის ყოველ კომპონენტს სპარსული მხატვრული აზროვნების სტილისა და ტექნიკის ღრმა დალი აზის. იგი მთლიანად საჭიროებდა გადამუშავებას ქართული სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით, „გაქართულებას“, რაც ასეთი წარმატებით შეასრულა კიდევ მისმა გამჩალხავმა სულხან-საბამ.

6. ვახტანგის თარგმანი უაღრესად გადატვირთულია აღმოსავლური ლექსიკით. სპარსული დედნის კვალად მთარგმნელის მიერ უცვლელად გამოყენებულ ერთეულთა დიდი ნაწილი დამკვიდრებულია იმდროინდელ ქართულ მწიგნობრულ ენაში, ნაწილი კი უშუალოდ ვახტანგის მიერ შემოტანილად ჩანს (გავზანგაბინი, ჯარანბა, ჯანდაგი, სიბყათი...), რაც აიხსნება მისი განსაკუთრებული მიდგომით სპარსული ძეგლისადმი, სიზუსტისადმი გადაჭარბებული მიდრეკილებით.

7. საკმაოდაა თარგმანში ვახტანგის მიერ სპარსული ტექსტის არასწორად გაგებისა და ამოკითხვის შემთხვევები, მაგრამ აშკარა შეცდომების გვერდით უნდა იქნას გათვალისწინებული ვახტანგის ნუსხისეულ ვარიანტულ წაკითხვათა შესაძლებლობაც, რადგან ქაშეჟის თხზულების დადგენილი და გამოცემული ტექსტი ყოველთვის ვერ გამოდგება ვახტანგის თარგმანის უცილობელ კრიტერიუმად.

8. ხშირია ვახტანგის მიერ უცხო ფრაზეოლოგიური კონსტრუქციების, კალკების ხმარება, რაც ძირითადად სპარსული ზმნების, წინადადების დასაწყისების. ასევე ზოგიერთი სპეციფიური თქმისა და წყობის თარგმნისას შეიძინევა. მთლიანად უცვლელადაა გადმოტა-

ნილი სპარსული მხატვრული მოდელიც. სტილისტურად თარგმანი გაუმართავია. ავტორი ვერ ახერხებს შექმნას ორიგინალის ზუსტი და ამავე დროს მხატვრულად სრულყოფილი თარგმანი. იგი ერთგვარი „შავი ვარიანტია“, ვახტანგი თვითონაც საჭიროდ მიიჩნევს მის „შესრულებას“ და „გაჩაღვას“ — მას, როგორც კარგ მწიგნობარსა და პოეტს არ აკმაყოფილებს თავისი ვერსიის მხატვრული დონე.

9. „ქილილა და დამანას“ ვახტანგისეული თარგმანი მასში ასახული მთარგმნელობითი ტენდენციების, სათარგმნი მასალისადმი მიდგომის, მეთოდის თვალსაზრისით მჭიდრო კავშირშია მის სამეცნიერო თარგმანებთან, რომლებიც იდენტური მთარგმნელობითი პრინციპით არის შესრულებული — ნათარგმნია ზუსტად, თითქმის პუკარედულად.

2. „ამირნასარიანის“ პროზაული და გალექსილი ვერსიები

ვახტანგის პროზაული „ამირნასარიანის“ პირველწყაროს წარმოადგენს სპარსული დიდაქტიკური თხზულება „ყაბუს-ნამე“. მისი ავტორია ზიარიანთა დინასტიის ცნობილი წარმომადგენლის, დიდად განათლებული პირის ყაბუსის (976—1018) შვილიშვილი ქეიქაუსი (დაბ. 1017—20 წწ.).

დავას იწვევს თხზულების სათაური. ა. კრიმსკის აზრით, იგი თვით ძველის ავტორის — ქეიქაუსის მიერაა შერჩეული და უნდა ნიშნავდეს „ყაბუსის საბრძნის წიგნს“ (არის „ყაბუსის დინასტიის წიგნი“, ან „წარმოდგენს ყაბუსის შთამომავლობისათვის დარიგებას“, „ლირსია ყაბუსის სახელისა“ და სხვ.)⁸². ამავე აზრისაა აბულყასიმ ზარეც⁸³.

ე. ბერტელსი თხზულების ასეთ დასაბუთებას შეცდომად მიიჩნევს, რადგან თხზულებაში ყაბუსი არ იხსენიება როგორც მისი ავტორი; ავტორს (ქეიქაუსს) არ უწოდებია მისთვის „ყაბუს-ნამე“ და ძველი წყაროებიც არ იცნობდნენ თხზულებას ამ სათაურით⁸⁴. ამ აზრს იზიარებს დ. კობიძე⁸⁵.

„ყაბუს-ნამეს“ მარტივი ფაბულური აღნაგობა აქვს; იგი შედგება 44 თავისაგან; თხზულება აგებულია შეგონებისა და მისი საილუს-

⁸² Крымский А., История Персии, её литературы и дервишеской теософии, т. I, № 4, М. 1915, с. 530.

⁸³ Абуль-Касим Заррэ, Очерк литературы Ирана; Восток, 1935, М.—Л. II, с. 51.

⁸⁴ Кабус-наме, перевод, статья и примечания Е. Э. Бертельса; послесловие, с. 233—234; შემდეგი: Бертельс Е. Э.

⁸⁵ დ. კობიძე, ყაბუს-ნამე, ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთობანი, თბ., 1969, გვ. 334. შემდეგი: დ. კობიძე.

ტრაციო ამბის თანმიმდევრული მონაცვლეობის პრინციპით, რაც ერთიანი სიუჟეტური ძაფითაა შეკრული. ძველი დაწერილია ქეიქაუსის ვაჟის გილანშაჰის დარიგების მიზნით. მასში მოცემულია სამეფო კარის, ფეოდალური არისტოკრატის მორალურ-ზნეობრივი კოდექსი; ღვთის სახელით ცხოვრება და მოქმედება, დედ-მამის სიყვარული და პატივისცემა, ხელგაშლილობისა და პატიების უნარი, ცოდნის შეძენის აუცილებლობა; სხვადასხვაგვარი წესები სტუმართმყოფვარეობის, ძილისა და დასვენების, თამაშობის, სამეფო პირთა (ვე-ზირთა, მდივანთა...) სამსახურის, ხელმწიფეთა მიერ ქვეყნის მართვის, ტახტის მემკვიდრის აღზრდის, სიყვარულის, სიმდიდრის დაგროვების, ვაჭრობის და სხვ.

ძველი წარმოადგენს პირველ სპარსულ პროზაულ დიდაქტიკურ თხზულებას და ამდენად მნიშვნელოვან ფაქტს სპარსული ლიტერატურის ისტორიაში.

ნაწარმოები ადრევე ყოფილა ცნობილი სპარსულ ლიტერატურაში. სანა'ი ღაზნელს გაულექსავს მისი ერთი არაკი; მას მოჰამედ ოუფეც იხსენიებს თავის თეზქერში; მისი ზოგიერთი ამბით სარგებლობდნენ ყაზი აჰმედ ლაფარი თავის „ნეგარესთანში“, ფუზუნი ასთრაბადელი „ბაჰირეში“, ნიზამი განჯელი „ხოსროვ შირინში“, ათარი „ასრარ-ნამეში“, ხოსრო დეჰლელი, ჯამი და სხვანი⁸⁶. თუმც, ეს, შესაძლოა, არც წარმოადგენდეს უშუალო სესხებას; ეს ამბები თუ სენტენციები შემუშავდა უძველეს აღმოსავლურ სინამდვილეში და შემდგომ მეორდებოდა სხვადასხვა სახით ყველა დროის აღმოსავლურენოვან დიდაქტიკურ თხზულებებში⁸⁷.

ავტორი განათლებული, განსწავლული პიროვნება ჩანს; იგი ავლენს მედიცინის, ასტრონომიის, ბერძნული ფილოსოფიის ცოდნას; თხზულებაში მოხსენიებულია ლიტერატურული ძეგლებიც — „მარზბან-ნამე“, „შაჰ-ნამე“ და სხვ. ძველი საყურადღებოა როგორც ლიტერატურის, ისე ძველი ირანის საზოგადოებრივი ყოფის ისტორიის თვალსაზრისითაც.

ამ თხზულების შესწავლა დიდხანს თვით ირანელ და ევროპელ მკვლევართა მიერ მხოლოდ სქემატურ და აღწერით ხასიათს ატარებდა⁸⁸. იგი საგანგებოდ შეისწავლა ა. კრიმსკიმ⁸⁹, შემდეგ ე. ბერტელსმა⁹⁰. 1933 წელს თხზულების ტექსტი უძველესი, 1349 წლის ხელ-

⁸⁶ წინასიტყვაობა, გვ. 33.

حاج قاسم نامہ آقا سید قاسم

⁸⁷ ამას შენიშნავს დ. კობიძეც, გვ. 340.

⁸⁸ Grundriss der iranischen Philol. 1896, II. გვ. 349 Browne E. G. A Literary History of Persia, Cambridge, 1906, II. გვ. 276—289.

⁸⁹ Крымский А. დასახ. ნაშრომი.

⁹⁰ Бертельс Е. Э. დასახ. ნაშრომი.

ნაწერის საფუძველზე გამოსცა შესაბამისი სამეცნიერო აპარატის დართვით ს. ნაფისიმ⁹¹. მის წინასიტყვაობაში მოცემულია საყურადღებო ცნობები ძეგლის ისტორიის, მისი სტრუქტურის, მხატვრულ ლიტერატურაში გავრცელების, თხზულების მეცნიერული შესწავლის შესახებ; ამასთან შეფასებულია მისი როლიც სპარსულ ლიტერატურაში. თუმცა თვითონ გამოცემული ტექსტი არაა სრული — მისი ზოგიერთი თავი შემოკლებულია, XV თავი კი მთლიანად ამოღებული.

ქართულ წყაროებში „ყაბუს-ნამე“ ჯერ კიდევ კლასიკურ ხანაში მოიხსენიება; კერძოდ, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“-ში ვკითხულობთ: „თამარსა: გონებითა: და განზრახვითა: ბრძინდა: დავიწყებოდა: მას: ყაბოს: მკვლელი: კოს“⁹². ამ არასწორ წაკითხვას კ. კეკელიძე ასე მართავს: „და თამარსა, გონებითა და განზრახვითა ბრძენსა არ ავიწყებოდა ყაბოს მწურონელი ქექაოს“⁹³. მოტიანი ადგილი მიანიშნებს იმაზე, რომ საქართველოში რაღაც სახით იცნობდნენ ამ ლიტერატურულ ძეგლს, ყოველ შემთხვევაში, მასზე გარკვეული წარმოდგენა ჰქონდა „ისტორიანი და აზმანის“ განსწავლულ ავტორს. გარდა ამისა, იგი სწორად გადმოსცემს ზიარიდების ამ ორი წარმომადგენლის სახელებს — „ყაბოს“ და „ქექაოს“, რომელთაც უშუალო კავშირი აქვთ ძეგლთან⁹⁴.

უაღრესად საინტერესოა ის ფაქტი, რომ ქართულად მოგვებოვება „ყაბუს-ნამეს“ ორი ვერსია — პროზაული და გალექსილი, მაშინ, როდესაც თვით სპარსულ ლიტერატურაში არ უნდა არსებებოდა მისი ვერსიები თუ გადამუშავებები. ორივე ქართული ვერსია ეყუთვნის ვახტანგ VI-ს. მან ჯერ თარგმნა თხზულება (გამგებლობის პერიოდი, 1703—12 წწ.). მისი თარგმანი შემოკლებულია, მას მთლიანად ჩამოშორებული აქვს მაჰმადიანური ყოფისა და ზნეობის დამახასიათებელი ელემენტები. რუსეთში ყოფნისას ვახტანგი პროზაული თარგმანის საფუძველზე ქმნის ლექსით ვერსიას, რომელიც საგრძნობლად შორდება ამოსავალ ტექსტს (პროზაულ თარგმანს) და წარმოადგენს მის თავისუფალ ლიტერატურულ გადამუშავებას.

91 ს. ნაფისი, დასახ. გამოცემა.

92 ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი გამოცემული ვ. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფ., 1906, გვ. 470.

93 ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, აკად. კ. კეკელიძის რედაქციითა და გამოკვლევით, თბ., 1941, გვ. 112.

94 კ. კეკელიძე ქექაოსს მიიჩნევდა ყაბოსის მწვრთნელად, რაც არაა სწორი — თხზულების ავტორი ქექაოსი ყაბოსის შვილიშვილია, მისი (ქექაოსის) შვილი კი, ვისთვისაც დაიწერა ძეგლი, არის გილან-შაჰი. იხ. ისტორიანი და აზმანი... გვ. 37. ამ ადგილის შესახებ მსჯელობს გ. იმედაშვილი, გვ. 337.

ორივე ვერსია სპარსულ დედნისაგან განსხვავებით „ამირნა-სარიანის“ სახელითაა ცნობილი. ეს ფაქტიც საგულისხმოა. ქართულ თარგმანში აღდგა გარკვეული ფორმით თხზულების ავტორის სახელი. ქეიქაუსის სატიტულო სახელი იყო *عصر المعالي كركا* — ამირ ანსარ ალ- მაალი (მაღალი იდეების, სიმამაცის სტიქია). ამრიგად, ამის გამო ქართულ თარგმანში უნდა გვექონოდა „ამირ ანსარიანი“ (სატიტულო სახელის დასაწყისი სიტყვები): ასოთა გადანაცვლების, ან სხვა რაიმე მოსაზრებით იგი გადაკეთდა „ამირ ნასარიანად“. ამდენად, ქართულ დასათარგმნად დიდი მნიშვნელობა ენიჭება თვით სპარსული ვერსიისათვისაც, რადგან იგი, შესაძლოა ასე იკითხებოდა ვახტანგის ნუსხაში⁹⁵.

ვახტანგის ვერსია ძლიერ შემოკლებულია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი შეიცავს ათოდე ისეთ ამბავს, რაც არ მოიპოვება განოცემულ სპარსულ ტექსტში; ესეც დიდად საყურადღებოა სპარსული ტექსტის დადგენის თალსაზრისით.

პროზაული „ამირანსარიანი“ გამოსცა გ. იმედაშვილმა საყურადღებო გამოკვლევით, სადაც მოცემულია ცნობები სპარსული „ყაბუს“-ნამეს“ შესახებ, მისი შესწავლის ისტორია; დაწვრილებითაა განხილული სპარსული თხზულების ვახტანგისეული ქართული თარგმანი. ყველა სხვა მკვლევარიც „ამირანსარიანზე“ მსჯელობისას ემყარება ამ გამოკვლევას — „ყაბუს-ნამეს“. ქართული ვერსია „ამირანსარიანი“, სადაც გარკვეულია ქართული თარგმანის რაობა, მისი სტრუქტურულ-შინაარსობრივი მიმართება ორიგინალთან, ვახტანგის, როგორც შემოქმედი მთარგმნელის როლი ამ ვერსიის ჩამოყალიბებაში.

ნაშრომში გამოტანილია შემდეგი ძირითადი დასკვნები:

1. ვახტანგის თარგმანი „ყაბუს-ნამეს“ „შერჩევით გამოწვლილული“, შემოკლებული თარგმანია. მასში თვალსაჩინოდ ვლინდება ვახტანგის, როგორც შემოქმედი მთარგმნელის პიროვნება, განსაზღვრული ქართული სინამდვილით.

2. ვახტანგის წყარო იყო „ყაბუს-ნამეს“ ხელნაწერი. რომელიც შეიცავდა დღეისათვის მიკვლეული უძველესი ხელნაწერისაგან საგრძნობლად განსხვავებულ წაკითხვებს.

3. თარგმნისას ვახტანგი ისახავდა გარკვეულ პრაქტიკულ მიზანს — ეთარგმნა და გარკვეულად შეედგინა კიდევ „ქართული საზოგადოებრივი სინამდვილისათვის შესაფერი და პრაქტიკულად გა-

⁹⁵ ამის შესახებ დაწვრილებით მსჯელობს გ. იმედაშვილი, გვ. 332; დ. კობიძეც ეხება ამ საკითხს და ასევე ხსნის მის გაჩენას ქართულ თარგმანში, გვ. 342.

მოსადეგი წიგნი უმთავრესად სახელმწიფო ადამიანისათვის საჭირო ზნეობის წესების და ჩვევების სასწავლო სახელმძღვანელოდ“.

როგორც აღვნიშნეთ, დღეს ვახტანგის თარგმანი ამ დასკვნებიდან გამომდინარე ფასდება სამეცნიერო ლიტერატურაში.

საგანგებო წერილი უძღვნა „ყაბუს“-ნამეს“ დ. კობიძემ. იგი ეხება სპარსული თხზულების სხვადასხვა პრობლემურ მხარეს, მისი შესწავლის ისტორიას და სხვ. მოკლედ მიმოიხილავს ავტორი ქართულ ვერსიებსაც ძირითადად გ. იმედაშვილის ხსენებულ გამოკვლევებზე დაყრდნობით.

ზრომის წინამდებარე თავში ჩვენ დაწვრილებით ვეხებით „ამირნასარიანის“ პროზაულ ვერსიას, როგორც ვახტანგის მიერ თარგმნილ ძეგლს. რაც შეეხება ვალექსილ ვერსიას, იგი არ წარმოადგენს თარგმანს, რადგან ემყარება ვახტანგისეულ პროზაულ ვერსიას და არ უკავშირდება სპარსულ დედანს. ჩვენ მიმოვიხილავთ მხოლოდ მის მიმართებით მხარეს პროზაულ ვერსიასთან სტრუქტურულ-შინაარსობრივი და მხატვრულ-სტილისტური, ასევე ამოსავალი ტექსტისადმი დამოკიდებულების თვალსაზრისით.

ამავე თავში ვახტანგის მთარგმნელობითი მოღვაწეობის შესწავლის შედეგად მოცემულია მისი მთარგმნელობითი მეთოდის ეტაპობრივი დახასიათება, მისი პერიოდებად დაყოფა.

მოიპოვება ქართული პროზაული „ამირნასარიანის“ 3 ხელნაწერთი: ხელნაწერთა ინსტიტუტის ნუსხები — S 4536, S 4634, S 395. S 4536 XVIII ს. ბოლოთი (1788 წლის ჭვირნიშნით) თარიღდება, S 395. — XIX ს. დასაწყისით; S 4634 შედარებით ძველი უნდა იყოს.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ მიუხედავად მათი გადაწერის თითქმის ერთდროულობისა, ჩამოთვლილი ნუსხები განეკუთვნება ორ განსხვავებულ ნორმას ფონეტიკური, მორფოლოგიური და ლექსიკური თვალსაზრისით⁹⁶. სამივე ხელნაწერში საკმაოდ შეიმჩნევა დიალექტიზმების, ვულგარიზმის ელემენტები (უფრო ნაკლებად S 395-ში). ისინი არ მომდინარეობენ უშუალოდ ვახტანგის ხელიდან და უკავშირდებიან მისგან დაშორებულ დედანს, სადაც უკვე შექრილი იქნებოდა საერთოდ ვახტანგის სტილისათვის უცხო არა-

⁹⁶ იხ. ხელნაწერთა აღწერილობა S. კოლეცია, ტ. II, VI. გ. იმედაშვილი, გვ. 347.

ლიტერატურული ელემენტები⁹⁷. ცხადია, მათი ნაწილი, აგრეთვე ის შეცდომები, რომლებიც შეიმჩნევა აღნიშნულ ხელნაწერებში, გადა-მნუსხავთა ხელიდანაა გამოსული.

ჩვენ უპირველესად გვაინტერესებს ამ ხელნაწერთა სტრუქტურულ-შინაარსობრივი მიმართება. არცერთი მითითებული ხელნაწერი არაა სრული, მაგრამ ისინი ავსებენ ერთმანეთის ხარკვს და მხოლოდ მათი ურთიერთშეჯერების საფუძველზეა შესაძლებელი ვახტანგისეული ტექსტის მეტ-ნაკლები სისრულით წარმოდგენა.

შედარებისას ჩვენ აღვნიშნავთ მხოლოდ გარკვეულ მნიშვნელოვან განსხვავებებს ნუსხებს შორის შედგენილობისა და აზრობრივი თვალსაზრისით; აღარ აღვნიშნავთ გადამწერთა შეცდომებს და ამით გამოწვეულ გაუგებრობებს; როგორც ითქვა, ისინი მრავლადაა სამივე ხელნაწერში.

მივყვეთ თანმიმდევრობით ხელნაწერებს. აღვნიშნავთ მათ ლიტერებით S 4536—A, S 4634—B, S 395—C.

B-ში აკლია A და C-ში მოტანილი ადგილი: „შვილო ამას ეცადე, რომ სიტყვა ადგილს თქუა... (163).

A და B-ში ვკითხულობთ: „... სხვაზედ უფრო უკეთესობის ცდასაცა იქმს (4v, 81v). C-ში აზრი ნაწილობრივ შეცვლილია: „... სხუათაზე უკეთეს პატივსაც შეხუდები“ (44), რაც უფრო უდგება შინაარსობრივად კონტექსტს⁹⁸.

შემდეგ კი პირიქით, A და B-ს ვარიანტი გამართულია და სრული, C-სი — არა: „ველმწიფემ უბრძანა: „რასთვის ასე არა თქვი, რომ ყოვლის ცოდნით სრული ვარო“ (A:6r, B:82v). C-ში „სრული ვარო“ წინა წინადადებასაა მიკუთვნებული და მეფის მიმართვა გამარტივებულია (46)⁹⁹.

ასევე ნაკლულია C შემდეგშიც (48). A და B-ში არის შესაბამისი ადგილი: „იმის აგებულებამ იცოდეს და დაიტიოს...“ (8v, 84v).

მოტანილი წინადადების შემდეგ A დეფექტურია — გრძელდება: „ერთ დღეს მამუ ხალიფა...“-დან (9r).

C-ში არის ასეთი წინადადება: „თუ ჯავრი არ გწადდეს, რომ წამალი არ ექმნებოდეს, უცოდინარსა და ავს კაცს ნუ ებაასები“ (51). A და B-ში ეს ფრაზა გაყოფილია და ბოლო ნაწილი („უცოდინარსა...“) ცალკე წინადადებადაა აღქმული (10 v, 86r).

⁹⁷ გ. იმედაშვილი, გვ. 347.

⁹⁸ გ. იმედაშვილის მიერ გამოცემულ ტექსტში ეს უკანასკნელი ვარიანტი შესული (გვ. 352).

⁹⁹ გამოცემულ ტექსტში C-ს მონაცემია შესული.

A-ში არ იკითხება B და C-ში მოტანილი ადგილი: „შვილო, კეთილს ადამიანს გაეწყვე...“-დან... „კაცის სამკვიდროს არს“-მდე. ეს ადგილი იკითხება C-ში (66—67), ამასთან აქ იგი უფრო ვრცელია, ვიდრე B-ში (100 რ).

შემდეგ: A და B-ში გამოტოვებულია C-ში დადასტურებული მოზრდილი მონაკვეთი: „სიჩქარე დაუდგრომელი წყალია“-დან „... შვილო კელმწიფეს უფრო ეს მართებს“-მდე (C:69—70)¹⁰⁰.

A და C ნუსხები ბოლოში ნაკლულია; ხარვეზის შევსება ხერხდება B-ს მონაკვეთით: „კაცმა ისეთი საქმე უნდა ქნას, სანაშურად არ გაუხდეს...“ და ბოლომდე (102 რ).

ამრიგად, არცერთი ხელნაწერი არაა სრული და უნაკლო; ამიტომ ვერცერთ მათგანს ვერ მივანიჭებთ უპირატესობას — ისინი ავსებენ ერთმანეთის ნაკლულ ადგილებს, აზუსტებენ ფრაზებს აზრობრივად. როგორც აღვნიშნეთ, არცერთი მათგანი არ წარმოადგენს ვახტანგის ხელიდან გამოსული ცალის პირს და სხვა შერყვნილი დედნიდან მომდინარეობენ.

ა) ვახტანგის პროზაული „ამირნასარიანი“

პროზაული „ამირნასარიანი“ თვალსაჩინოდ განსხვავდება ვახტანგის სხვა თარგმანებისაგან თავისი სტილით, სათარგმნი მასალისადმი მიდგომის, თარგმანში გამოკვეთილი მთარგმნელობითი მეთოდის თვალსაზრისით.

თხზულებაში თხრობა სადად, ლაღად და ბუნებრივად მიმდინარეობს, არ იგრძნობა სპარსული ორიგინალის დამთრგუნველი გავლენა (განსხვავებით „ქილილა და დამანასაგან“), ავტორი ახერხებს ქართული დიდაქტიკური ტონის ორიგინალის სტილისათვის მისადაგებას, თხზულების ქართულად გადააზრებას. რაც შეეხება „ამირნასარიანის“ ვახტანგისეულ ლექსით ვერსიას, იგი უკვე საგრძნობლად შორდება სტრუქტურულ-შინაარსობრივი და მხატვრულ-სტილისტური თვალსაზრისით არა მარტო დედნიეულ ტექსტს, არამედ პროზაულ ვერსიასაც და ქართულ ორიგინალურ ძეგლად აღიქმება. მის შესახებ ქვემოთ დაწვრილებით შევჩერდებით.

ვახტანგის პროზაული „ამირნასარიანი“, როგორც ვიცით, განირჩევა მისი „ქილილა და დამანასა“ და სამეცნიერო თარგმანებისაგან მთარგმნელობითი პრინციპისა და ტენდენციების თვალსაზრისით. ამან განაპირობა ის გარემოება, რომ მკვლევართა ერთი ნაწილი (მ. თოდუა, ელ. მეტრეველი, ალ. გვახარია), „ამირნასარიანისა“ და

¹⁰⁰ გამოცემის ტექსტში იგი მოტანილია (გვ. 366—367).

„ქილილა და დამანას“, როგორც ვახტანგის მიერ თარგმნილი ლიტერატურული ჰეგლების შედარებისას გამოვლენილი თვალსაჩინო განსხვავების საფუძველზე ასკვნის, რომ ისეთი მიდგომა სათარგმნი მასალისადმი, როგორც ჩანს „ქილილა და დამანასში“, დამახასიათებელი არაა ვახტანგის, როგორც მთარგმნელისათვის — „ქილილა და დამანას“ შეგნებულად გაკეთებული სტრიქონთარგმანია, ხოლო „ამირნასარიანს“ სწორედ კარგად გამოხატავს ვახტანგის მთარგმნელობითი საქმიანობის მიმართულებასა და საერთო სურათს¹⁰¹.

ხსენებულ მკვლევართა მიერ ვახტანგის მთარგმნელობით მეთოდსა და ტენდენციებზე მსჯელობა ემყარება მხოლოდ „ქილილა და დამანასა“ და „ამირნასარიანს“, როგორც ლიტერატურულ თხზულებათა თარგმანებს. როგორც ადრეც აღვნიშნეთ და როგორც დაადასტურა კვლევის შედეგებმაც, არ უნდა მოხდეს ვახტანგის სამეცნიერო და მხატვრულ თარგმანთა გამოჩენა მთარგმნელობითი მეთოდის მხრივ. მეცნიერული თარგმანები და ლიტერატურული თარგმანი „ქილილა და დამანას“ იდენტური პრინციპითაა შესრულებული მეცნიერულ და მხატვრულ თარგმანთა შორის არსებული იმ თვისობრივი განსხვავების მიუხედავად, რაც უნდა ვლინდებოდეს დედნისეული ტექსტისადმი დამოკიდებულებაში. ერთი მხრივ, „ზიჯი“, „სტროლაბი“, „პიდაათ ალ-ნუჯუმი“, „თალა მასალა“, „აიათის“ ზოგიერთი ნაწილი, „ქიმიის“ რამდენიმე კრცელი მონაკვეთი, რაც უშუალოდ თარგმანს წარმოადგენს და, მეორე მხრივ, ვახტანგის „ქილილა და დამანას“ ორგანულად უკავშირდება ერთმანეთს თარგმნის ტექნიკის თვალსაზრისით.

გამართლებული არ იქნებოდა გვეფიქრა, რომ ვახტანგის მიერ თარგმნილი ყველა ძეგლი — ლიტერატურული თუ სამეცნიერო, რომლებიც არაერთგზისაა მის მიერ გადამუშავებული და რედაქცი-აქმნილი, წინასწარგანზრახვით გაკეთებული სტრიქონთარგმანებია, რომლებიც იმთავითვე გულისხმობდნენ „გაჩაღხვასა“ და სრულყოფას, ხოლო სრულად და დამაჯერებლად მისი მთარგმნელობითი მეთოდი გამოვლინდა მხოლოდ ერთი „ამირნასარიანის“ თარგმნისას. უფრო ლოგიკურად გვეჩვენება საპირისპირო მოსაზრება — ის, რომ „ამირნასარიანი“ გამორჩეული შემთხვევაა ვახტანგის მთარგმნელობით პრაქტიკაში. როგორც ქვემოთაც დავინახავთ, ამ შემთხვევაში ვახტანგი ორიგინალისეულ ტექსტს შედარებით თავისუფლად უდგება, ძირითადად ტექსტის სტრუქტურულ-შინაარსობრივ მხარეს, აქართულებს ლექსიკა-ფრაზეოლოგიას, თხზულების სტილს და სხვ.

101 მ. თოდუა, გვ. 94. ელ. მეტრეველი, ალ. გვახარია, გვ. 181.

რაში მდგომარეობს „ამირნასარიანის“, როგორც თარგმნილი ძეგლის განსაკუთრებული ხასიათი?

საყურადღებოა ამ მხრივ თხზულების სათაური¹⁰²: „თქმული სპარსთა ენისაგან ქართულად ბატონიშვილის განმგებლის, ვახტანგისაგან“.

ჩვენ ზემოთ მოვიტანეთ ნაწყვეტი „აიათის“ წინასიტყვაობიდან, სადაც ვახტანგი მის მიერ თარგმნილი სამეცნიერო თხზულებების შესახებ წერს: „ეს სპარსული აიათი, რომელ არს ქმნულების ცნობა, ზიჯი, თალა მასალა და სხვა ოქმების წიგნები ვთარგმნე მირზა აბდურჩა თავრიზელის წიგნის კითხვითა და თანამეწევენითა...“ აქ ვახტანგი ხაზგასმით მიუთითებს, რომ მან თარგმნა ჩამოთვლილი თხზულებები. მათში წარმოდგენილი მთარგმნელობითი პრინციპების შესახებ ჩვენ ზემოთ დაწვრილებით გვექონდა მსჯელობა — ისინი წარმოადგენდნენ აღმოსავლურენოვან ორიგინალთა ადექვატურ, ზუსტ თარგმანებს ყველა დეტალსა და ნიუანსში¹⁰³.

საგულისხმოა ამ მხრივ „ქილილა და დამანას“ ვახტანგისეული ანდერძის ერთი ადგილიც: „...ლექსი ლექსად გარდმოვსთქვი უკლებრად და ამბავი ამბავად. მაგრამ ლექსი სპარსული ქართულს ენაში ლექსად არ ითარგმნება, ამბად მოვა“ (12). მოტანილი ციტატა კარგად გამოხატავს მთარგმნელის დამოკიდებულებას სათარგმნი მასალისადმი, მის უპირველეს მიზანს ამ შემთხვევაშიც — შექმნას ზედმიწევნით ზუსტი თარგმანი.

„ამირნასარიანის“ სათაურის თქმული ქართულად გარკვეულ განსხვავებას გულისხმობს ვახტანგის თარგმნისაგან. იგი უნდა ნიშნავდეს ძეგლის შრობლიურ ენაზე გარდათქმას — გადააზრებას, სათარგმნი მასალისადმი შემოქმედებით, ერთგვარ თავისუფალ მიდგომას სტრუქტურულ-შინაარსობრივი და სტილისტური თვალსაზრისით. რამდენად ზუსტად გამოხატავს ზემოთქმული პროზაული „ამირანასარიანის“ ხასიათს, ამას დავინახავთ ქვემოთ საილუსტრაციო მასალის საფუძველზე.

ამავე სათაურიდან ჩანს, რომ ვახტანგს თხზულება უთარგმნია გამგებლობის პერიოდში (1703—10 წწ.), ე. ი. დანარჩენ თარგმანებზე ადრე, რომლებიც ირანში ყოფნისასაა შესრულებული (1712—19 წწ.). ვფიქრობთ, ამანაც განაპირობა პროზაული „ამირანასარიანის“ სხვა თარგმნილი ძეგლებისაგან განსხვავებული მთარგმნელობითი მეთოდი, რომელმაც შემდგომ თვალსაჩინო ცვლილებანი განიცადა.

¹⁰² ამას აღნიშნავს გ. იმედაშვილიც, გვ. 340.

¹⁰³ აქ ვგულისხმობთ იმ მასალას ტექსტებიდან, რაც უშუალოდ თარგმანს წარმოადგენს.

ცხადია, ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა ენიჭება თვით სპარსულ „ყაბუს-ნამეს“ სტილსაც, რომელიც თვისობრივად განსხვავდება „ქილილა და დამანას“ „ჩუქურთმოვანი“ პროზისაგან. ამასთან დაკავშირებით უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ როგორც ჩანს, ვახტანგი „ყაბუს-ნამეს“ ზუსტად, სიტყვა-სიტყვით თარგმნას არ ანიჭებდა ისეთ დიდ მნიშვნელობას, როგორც „ქილილა და დამანას“ თარგმნას. ამ უკანასკნელის ანდერძში ვახტანგი წერს: „რაოდენი ზღაპრის წიგნია და ანუ მსოფლიო სწავლანი არიან, ამისთანა სარგო და საამოდ საკითხავი არ იპოებოდა“ (9).

„ქილილა და დამანას“ ზუსტი, პუკარედული თარგმანია; გარდა ამისა. ვახტანგი რედაქციისას კიდევ უფრო აზუსტებს რიგ ადგილებს (ძირითადად ლექსით ნაწილს) აზრობრივად, ორიგინალთან მიმართების თვალსაზრისით; საერთოდ, დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება ტექსტს — ცდილობს თარგმანს არ აკლდეს არცერთი დედნისეული ნიუანსი; თარგმნის მას სამეცნიერო თარგმანთა იდენტური პრინციპით, სადაც სიზუსტე აუცილებლობითაცაა ნაკარნახევი. გარდა ამისა, ვახტანგი შემდგომ კიდევ საჭიროდ მიიჩნევს თარგმანის „გაჩაღლებას“. ასეთი დამოკიდებულება „ქილილა და დამანასადმი“ განპირობებული იყო ამ ლიტერატურული ძეგლის დიდი მხატვრული და ისტორიული ღირებულებით, მისი მსოფლიო პოპულარობით.

როგორც ჩანს, ასეთ დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა ვახტანგი „ამირანასარიანის“ უზუსტესად თარგმნას და ალბათ, ამანაც გამოიწვია ის განსხვავებული და თავისუფალი დამოკიდებულება სპარსული „ყაბუს-ნამესადმი“, რაც ჩანს ტექსტში. მართალია, ვახტანგი კიდევ მიუბრუნდა „ამირანასარიანს“ და შექმნა მისი ლექსითი ვერსიაც, მაგრამ არა ტექსტის უფრო ზუსტად გადმოღების მიზნით, არამედ გამომდინარე ნაწარმოების საერთო მიზანდასახულობიდან, იმ პოლიტიკურ-სოციალური და აღმზრდელი იდეალებიდან, რისი გაქართულებაც საჭიროდ მიიჩნია მან ქართული სინამდვილისათვის და რამაც შემდგომ შთააგონა იგი შეექმნა ბევრად უფრო თავისუფალი და დამოუკიდებელი, მხატვრულად უფრო სრულყოფილი ლიტერატურული ძეგლი.

ტექსტისადმი ვახტანგის თავისუფალი დამოკიდებულება უპირველესად მთარგმნელის მიერ თხზულების შერჩევით თარგმანში იჩენს თავს. ორიგინალში 44 თავია, ვახტანგის თარგმანი კი შეიცავს მხოლოდ 11 თავს. 1. ანდერძი ზაქირისა ძისა ივისისა თანა; 2. თქმა ხელმწიფეთა სამსახურისათვის; 3. მდივანთათვის; 4. ვაზირთათვის; 5. სპასალართათვის; 6. სტუმართათვის; 7. სიყვარულისათვის; 8. საქონლისა შეგროვებისათვის; 9. ამანათის შენახვისათვის; 10. მეშურ-

ნეობისათვის; 11. სიკეთისათვის. როგორც აღნიშნავს გ. იმედაშვილი, ეს არ არის ორიგინალის მხოლოდ 11 თავის შესატყვისი, მათში სხვა თავებიდანაც საკმაო მასალა შეტანილი, იგი 44 თავის „შერჩევით გამოწველილული“ თარგმანია და გაერთიანებულია თემატურად 11 თავში¹⁰⁴.

„ყაბუს-ნამეს“ წინ უძღვის ვრცელი ტრადიციული აღმოსავლური შესავალი, რაც თარგმანში მთლიანად გამოტოვებულია; აქედან ვახტანგთან მოცემულია მხოლოდ ერთი მხატვრული თვალსაზრისით საინტერესო შედარება ორიგინალის შესავლის მეოთხე თავიდან („ლოცვის აუცილებლობისათვის“). მის შესახებ ქვემოთ. საერთოდ, თარგმანში საგრძნობია მთარგმნელისეული ქრისტიანული „ჩაღი“.

ვახტანგის ასეთი შეკუმშული თარგმანი, მის მიერ ორიგინალის ძირითადი ტექსტის ზოგიერთი ვრცელი მონაკვეთის მთლიანად უგულვებელყოფა, ჩვენის აზრით, ვერ აიხსნება მხოლოდ მთარგმნელის თავისუფალი დამოკიდებულებით ტექსტისადმი; მით უმეტეს, რომ თარგმანში მოიპოვება ათიოდე ისეთი ამბავიც, რომლებსაც საერთოდ არ იცნობს „ყაბუს-ნამეს“ დღევანდელი ვერსია¹⁰⁵: 1. ალექსანდრე და უშნო ბრძენი; 2. მოხუცის მიერ სიმღერის სწავლა; 3. კაცს უთხრეს, სიკვდილს გიბირებენო; 4. ასი წლის მოხუცი კაცის გაყიდვა; 5. ალექსანდრემ თავისი ვეზირი დაითხოვა; 6. ალექსანდრემ ნუ მაქებთო; 7. ბრძენს უთხრეს, რაღად სწავლობო; 8. ხელმწიფე ვაჭრობას უკადრისობს; 9. ურია რომ ბატონს უჩივის. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ამბები ბუნებრივადაა ტექსტში ჩართული და ორგანულად ერწყმის მის სტილსა და იდეურ შინააარსს.

„ყაბუს-ნამეს“ ზოგიერთი უცნობი ამბავი მოიპოვება სპარსულ წყაროებშიც, მაგალითად, ყაზი აჰმედ ლაფარის „ნეგარესთანში“¹⁰⁶. საქმე ისაა, რომ „ყაბუს-ნამე“ არაა შემონახული საკმაო რაოდენობის ხელნაწერებით და ის ნუსხებიც, რომლებიც მოიპოვება, გვიანდელია (უძველესი ხელნაწერი გადაწერილია თხზულების დაწერიდან 275 წლის შემდეგ), შეიცავს რედაქციულ სხვაობებს და მნიშვნელოვნადაა დაზიანებული ძირითადად დასაწყის ნაწილში (უძველეს ხელნაწერს აკლია 33 გვერდი, რის გამოც თვით თხზულების სათაურიც არაერთგზისაა გადაკეთებული¹⁰⁷). საფიქრებელია, რომ ეს ამბები მომდინარეობენ დღეისათვის უცნობი, მიკვლეულ ხელნაწერებთან შედარებით უფრო ძველი და დაუზიანებელი ნუსხებიდან, რომლებ-

104 გ. იმედაშვილი, გვ. 340.

105 ამის შესახებ მსჯელობს გ. იმედაშვილი, გვ. 341.

106 ყაბუს-ნამე. ს. ნაფისის გამოცემა, 1933, წინასიტყვაობა, გვ. 33—34; გ. იმედაშვილი, გვ. 341.

107 ს. ნაფისი, გვ. 36.

ბიც შერცავდნენ მნიშვნელოვან განსხვავებას თხზულების გამოცემული ვარიანტისაგან ტექსტობრივი და, შესაძლოა, ვერსიული თვალსაზრისითაც.

გ. იმედაშვილი თარგმანში სპარსული ორიგინალის ზოგიერთი თავის გამოტოვებას ვახტანგის ინიციატივით, მისი გემოვნებითა და ეროვნულ-იდეოლოგიური მიზანდასახულობით ხსნის („ცხენის ყიდვისათვის“, „ღვინის დაღვევისათვის“, „მონების შესყიდვისათვის“, „მკურნალობისათვის“, „ვარსკვლავთმრიცხველობისათვის“...). შესაძლოა, ვახტანგმა მართლაც ზედმეტად მიიჩნია, მაგალითად, იმ თავების თარგმნა, სადაც მონების ან ცხენის შესყიდვაზე იქნებოდა ლაპარაკი, მაგრამ, ვფიქრობთ, იმ არგუმენტით, რომ „ვახტანგი მოერიდა განმეორებას, ... კარგად ცნობილია ქართული კარაბადინები“¹⁰⁸ და სხვ., ვერ ავხსნით ვახტანგის მიერ იმ თავების გამოტოვებას, რომლებიც შეეხება მკურნალობას ან ვარსკვლავთმრიცხველობას. ვახტანგი მათ შესახებ მსჯელობს ალბათ არც აქ, მხატვრულ თხზულებაში მიიჩნევდა უადგილოდ, რადგან დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა შეცნიერების ამ დარგებს, მათი ჩვევების დანერგვას და არაერთხელ უბრუნდებოდა მათ¹⁰⁹.

ავტორი აგრეთვე წერს: „ღვინის დაღვევის წესების სწავლაში... ქართველობა სხვის სახელმძღვანელოს არ საჭიროებდა — საკუთარი ტრადიციებით ხომ ისედაც იყო ცნობილი“¹¹⁰, მაგრამ ასევე არ საჭიროებდა ქართველი კაცი სტუმართმოყვარეობის წესების სწავლას, ამასაც დიდი ტრადიცია ჰქონდა საქართველოში; მიუხედავად ამისა, ვახტანგი არ მიიჩნევს ზედმეტად თავის თარგმანში შეიტანოს თავი „სტუმართათვის“ (360—361) (ორიგინალის XII თავის შესატყვისად).

ზემოთქმულის გამო, ვფიქრობთ, ძნელია მკვეთრად გაიმიჯნოს ერთმანეთისაგან ერთი მხრივ ის თავები, რომელთა არარსებობა თარგმანში უნდა აიხსნას ვახტანგის ნუსხის თავისებურებით და, მეორე მხრივ, ის ნაწილები, რომლებიც ვახტანგმა არ თარგმნა გარკვეული მოსაზრებით. და მინც, რადგან ვახტანგი სარგებლობს დღეისათვის არსებული უძველესი ნუსხისაგან განსხვავებული ხელნაწერით, რომელიც არაა მიკვლეული, უფრო მოსალოდნელია, რომ ტექსტისაგან ასეთ შინაარსობრივ სხვაობათა უმეტესი ნაწილი უკავშირდებოდეს ვახტანგის ნუსხისეულ მონაცემებს. თუმცაღა, მკვლევარისათვის თქმით, საბოლოოდ შეუძლებელია (ყოველ შემთხვევაში ჭერჯე-

108 გ. იმედაშვილი, გვ. 340.

109 ამის შესახებ იხ. ჩვენი შრომის I თავი, გვ. 11, 15, 19..

110 გ. იმედაშვილი, გვ. 341.

რობით — თ. ა.) დადგინდეს ვახტანგის ორიგინალის დედნის მოცულობა და რაობა¹¹¹.

როგორც აღვნიშნეთ, ვახტანგი მაჰმადიანური სულით გაჟღენთილ სპარსულ ტექსტს ქრისტიანის პოზიციიდან უდგება. თარგმანში ისლამური სამყარო ჩანს მხოლოდ იმ პირთა სახით, რომლებიც ფიგურირებენ ქართულ „ამირნასარიანში“ ორიგინალის შესაბამისად. სხვა მხრივ, ძველში შესულია მხოლოდ ის დედნისეული ელემენტები, რომლებიც მისაღები და გამართლებული იქნებოდა ქრისტიანული მორალის თვალსაზრისითაც. ეს სრულიად აშკარაა ტექსტების შედარების დროს.

გ. იმედაშვილი ვახტანგის მიერ შეცვლილად და დამატებულად თვლის სოციალურ მოტივთა შემცველ ზოგიერთ ადგილს თარგმანში, მაგ.: „შვილო, გლახაკნი და დაერდომილნი გებრალეზოდეს და გაიციოთხვედე“ (ტექსტი, გვ. 356), ან: „... ვინც ღარიბად იყოს, იმას მისცემდე, ცარიელად ნუ გაუშვებ ღარიბსა“ (361). ასეთი სენტენციები მკვლევრის მიერ „მაჰმადიანური სამყაროსათვის უჩვეულო ლოზუნგებადაა“ მიჩნეული. მის მიერ მოტანილია მსგავსი გამონათქვამები ლექსითი ვერსიიდანაც¹¹²; „გლახა უფროსად გიყვარდეს“ (გვ. 82), „ნუ ზოგავ, ნახო გლახაკი, დაჭირებითა მხმობარე“ (გვ. 86...), მაგრამ ამგვარი შეგონებანი არცთუ უცხობა მაჰმადიანური სამყაროსათვის.

ვახტანგის მიერ ორიგინალის ტექსტისადმი თავისუფალ მიდგომაზე მსჯელობა აუცილებლად გულისხმობს გამოვლენილი მასალისადმი ფრთხილ დამოკიდებულებას — ორიგინალიდან ყველა გადახრას ქართულ ტექსტში ვერ ავხსნით ვახტანგის პირადი ინიციატივით.

ამრიგად, ვახტანგის პროზაული „ამირნასარიანი“ საგრძნობლად განსხვავდება „ყაბუხს-ნამეს“ დღეისათვის ცნობილი ვერსიისაგან სტრუქტურულ-შინაარსობრივი თვალსაზრისით — იგი ძლიერ შემოკლებულია. არ მისდევს სპარსული ორიგინალის თავების თანმიმდევრობას; მასში უგულვებელყოფილია მაჰმადიანური სულის მატარებელი ყოველი დეტალი, დატოვებულია მხოლოდ ის, რაც ესადაგება ქრისტიანულ მორალსა და მსოფლმხედველობას. თარგმანი თავისუფალია ამ მხრივ და განსხვავდება სხვა თარგმნილი ძეგლებისაგან, რომლებიც სიტყვისიტყვით. პწკარედულ თარგმანებს წარმოადგენენ. ამავე დროს ვერ გავმიჯნავთ საკმაო არგუმენტაციით — დედნისეული მასალიდან რას უვლის გვერდს ვახტანგი თარგმნისას და რა არ

111 გ. იმედაშვილი, გვ. 342.

112 ვალესილი „ამირნასარიანი“ გამოცემულია ალ. ბარამიძის მიერ. ვახტანგ VI, ლექსები და პოემები, თბ., 1975.

მოხვდა თარგმანში მისი ნუსხის ტექსტობრივი (შესაძლოა, ვერსიული) მონაცემებიდან მომდინარე.

ვახტანგის მიერ სხვა თარგმნილი ძეგლებისაგან „ამირნასარიანის“ თვისობრივი სხვაობა ყველაზე თვალსაჩინოდ ვლინდება თარგმანის ლექსიკა-ფრაზეოლოგიაში, რაც ძირითადად გაქართულებულია და დიდად განიზრჩევა დანარჩენი თარგმანების აღმოსავლური ლექსიკითა და სინტაქსით დამძიმებული სტილისაგან.

ცხადია, ვახტანგი თარგმანში მიმართავს ზოგიერთ აღმოსავლურ სიტყვას, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ ისეთებს (ორიოდ გამონაკლის გარდა), რომლებიც დამკვიდრებულია ქართულ ლექსიკაში და ფართოდ გამოიყენება მწიგნობრულ ენაში; მათ სხვაგანაც იყენებს ვახტანგი.

ამანათი (362) სპ. *امانت*; თარხნობა (357) *ترخان*; მაზარი (353) *محرر*; მუქათა (352, 393) *مکان*; სილა (354) *صيفه*; სეიდი (354) *سعيد*, რამლი (357) *رمل*; ფარსავი (365) *فارس*; ხალვათი (358, 360) *خلوت*; ალთუნი (354) *التون*; აზატობა (365) *آزادی*; აჭიმი (352, 364...) *چاكي*; ექმათის სწავლა; ბაზიერობა (358) სპ. *باز-იდან*. „ვეფხ.“ 602, 4; თაეაზა (354, 358) *تواضع*; გალექსილში: 77⁸¹, 81¹¹⁰; ყიზილბაში *قزلباش*, სულთანი (356, 357) *سلطان*; ჩაფარი (353) *چاپار*—შიკრიკი. აპოხტი (*آپخته*)—მოუხარშავი ნედლი, უმი („მამათა ცხოვრება“, ვ. იმნაიშვილის გამოცემა, თბ. 1975).

„ამირნასარიანის“ ლექსიკური მასალის უფრო ნათლად წარმოსაჩენად მოვიტანთ რამდენიმე ადგილს ტექსტიდან.

„... ალექსანდრე ხელმწიფეს უბრძანებია: ავის კაცისა და მტრისაგან ბევრი ვისწავლეო, ამით, რომე, მე რომ ავს ვიქმოდი მტერთა იამებოდა და მძრახვედნენ და მე რა მათს ძრახვას გავვიგონებდი, იმ ძრახვისაგან ხელს ავიღებდი...“ (352). (სპარსული ტექსტიდან: გვ. 25)¹¹³.

„სანამდის ცოცხალი ვიყავ, ყოველი ჩემი საბრძანებელი ჩემს სამართალს აქებდა, ვინც მემსახურებოდა, მადლიერს ვამყოფებდი და წყალობას უზამდი. და რა შევიტყვე ჩემის სიცოცხლისაგან განშორება, ესეები მოვიგონე და დავსწერე, რომ ვინც მოვილოდეს და

113 *کتاب نصیحت نامه معروف به قابوس نامتالیف امیرعنصر المعالی بن اسکندربن قابوس بن و شمسگیر به تمام روین لیبوی، ۱۹۵۱ شیحیحی*

ჩემს საფლავს ნახვიდეს, ესეები მისი გარჯის ფასი იყოს..." (355):
(გვ. 49).

„შვილო! რამაც კაცმან შენზედ კარგი ქნას, ხამს მუქაფა მალ
მიავო — ავს ავი, და კარგს კარგი“. (352) და სხვ. (გვ. 14)

მოტანილი ნაწყვეტები ნებისმიერადაა აღებული; როგორც აღვ-
ნიშნეთ, ქართულია თხზულების საერთო ლექსიკური ფონი.

ასევე გაქართულებულია ტექსტის ფრაზეოლოგიაც. განსხვავე-
ბით „ქილილა და დამანას“ ვახტანგისეული თარგმანისაგან, აქ თით-
ქმის არ ვხვდებით აღმოსავლურ კონსტრუქციებს — სპარსული ზმნე-
ბის, იდიომური გამოთქმების კალკირებულ გადმოტანას:

მაგალითად: „შვილო! სირცხვილი ხამს რომ კაცს ჰქონდეს ავ
კაცობისა, ავის ქართულისა და ტყუილისა. კარგ კაცობაზე, განმრჯე-
ლობაზე, კარგ საქმეზე და სწავლაზე არ უნდა მორცხვი იყოს კაცი.
თუ კაცი კარგ საქმეზე მორცხვია, ვერას ისწავლის. ურცხვს გონება
არ ეღირსების, რომ ავისა არ რცხვენოდეს და სიკეთის მორცხვი ლა-
რიბი შეიქმნების.

კარგ კაცობის ნიშანი სირცხვილია და ავ კაცობისა ურცხობა“:
(352). 41

„სადაც ხელმწიფე წავიდეს, ნუ გაეყრები, რომ შენმა მტერმა
შენი ავი არ მოახსენოს. კაცი რომ თავის სარგებლობისათვის
საქმეში ერეოდეს, სხვა კაცი არ უნდოდეს, თავისთვის მიჰქონდეს
სხვისა და თავისად დააჩნდეს, ამისთანა კაცი ნუ გინდა, ხელმწიფის-
სახელის მოხრელი და ქვეყნის საწყევარი იქნება.

მამ რუში წყალი შეავადევ, თუ ნადინებია, მალ გაივლის და თუ
შშრალია, გვიან და წყალი იმას მოუნდება“ (359). (126—127)

მოტანილი ადგილები გამართული ქართული სტილითაა შესრუ-
ლებული და ამასთან წარმოადგენს ზუსტ თარგმანს. ამგვარ მაგა-
ლითებს ქვემოთ კიდევ მოვიტანთ.

მსუბუქად მიმდინარეობს თარგმანში დიალოგები:

„ქურდმა დაუძახა და უთხრა: — ძმავო! შენი თეთრი გამომართ-
ვი, დღეს ამისათვის ჩემს საქმეს მოვცდიო. მან ჰკითხა — შენ ვინ
ხარ და ან ეს რა თეთრია და ან რა საქმე გქონდა რომ მომცდარხა-
რო? ქურდმა უთხრა: — მე ქურდი ვარო, და შენი ამანათი მომბარე
აბანოში რომ შეხველო. იმ კაცმა უთხრა — თუ ქურდი ხარ, ეს ჩემი
თეთრი რატომ არ წაიღეო? ქურდმა ასე უთხრა:

„თუ ჩემის საქმით მეშოვნა, ასი ამდენიც რომ ყოფილიყო, არ
მოგცემდიო, მაგრამ ღვთის ამანათს ლალატობა არ ექნების, ვინც ამა-
ნათს არ შეინახავს, კაცი არ იქნებისო...“ (362). (20—71)

უნდა აღინიშნოს, რომ ვახტანგის ფრაზები ზოგჯერ სქემატურია. მაგალითად: — „იბნ იმოლალ დიდი კაცი იყო. იამანელს მასურის შვილს ნასრი ერქვა. ბასრას გაგზავნა და ბევრი საქონელი შეუჭამა. მერმე ანგარიში გამოართვა. რაც დაატეხა, მოახსენა, ერთ თვეს უკან მოგართმევო. ერთ თვეს დაჭერილი ჰყვანდა და იმის სახლში პურსა სჭამდა...“ (360). ...چنان شش ماهه که پسر مقله نصر بن منصور عیسی را آمد بصره داد... (360)

არის სპარსულიდან პირდაპირ კალკირებული ადგილებიც, მაგ. რამ არა ისეთი თვალშისაცემი, როგორც „ქილილა და დამანას“ შემთხვევაში.

მაგალითად: „შვილო, /ანუშირვანი/ ადრე იყო და ყიზილბაშის ქვეყანას პატრონობდა“ (355) — ۱۱۹ — ۲۱)

ასევე: „ასე რომ ყაზი აბდულ მელიქი მამულხალიფასთან სვემდა...“ (358); (118) ...اندا: «اسه روم سولتان ماضی عبدالملك...» چنان شش ماهه که جد تو سلطان محمد حمه الله... (119)

მოტანილი ორი დასაწყისი, მართალია, ერთგვარად უქავშირდება უწულოდ ამბავს წამოღვარებულ ზოგად შეგონებებს, აბამს მათ, მაგრამ ესეც სპარსული დასაწყისებია.

ვხვდებით ასეთ კალკებსაც: „თუ შენის ფარდის დახვევა არ გინდოდეს, სხვის ფარდას ნუ დახვე“

ასეთი შემთხვევები ცოტაა თარგმანში და არაა იმდენად გამოკვეთილი, როგორც „ქილილა და დამანაში“. როგორც აღვნიშნეთ, თარგმანის ფრაზეოლოგია ისევე, როგორც ლექსიკა¹¹⁴, თითქმის მთლიანად გაქართულებულია, ქართულ ენობრივ ნორმებს მისადაგებული:

თვისობრივად განსხვავდება ძველი „ქილილა და დამანასაგან“ მხატვრულ-სახეობრივი სტრუქტურითაც. ცხადია, უპირველესად ეს ამ თვალსაზრისით ორიგინალების არაერთგვაროვნებითაა განპირობებული მაგრამ ის, პროზაული „ამირნასარიანის“ საერთო ფონთან შედარებით რთული სახეებიც, რომლებიც გვხვდება ტექსტში, დიდად განირჩევა ვახტანგის მეორე ლიტერატურული თარგმანის კალკირებული, არაქართული სახეობრიობისაგან. სწორედ ამგვარი მხატვრული ადგილების თარგმნისა და გაქართულების დროს იჩენს თავს

114 ზემოთაც მივუთითეთ, რომ თარგმანში არსებული აღმოსავლური ლექსიკური ერთეულები იმ დროისათვის ქართულად აღიქმებოდა, მუარად იყო ფხვნილობებული მწიგნობრულ ენაში.

ვანტანგის პოეტური ძალა და ინერცია. ნათქვამი ეხება თარგმანში მოტანილ ზოგიერთ შედარებას, მათზე აგებულ კონტექსტებს:

„სიკეთის საქმე თავმდაბლობით იქნების და სიმდაბლე ღვთის მფედრებელი სახმილია აღზებული. მზვობარი და უღვთო წყალთა მსგავსია: რაოდენიც სიმაღლედ ასწიო, თავდაღმართვე მოვალს...“

(351). (7)

„სიჩქარე დაუდგრომელი წყალია და სულგრძელობა სვეტი არის სიბრძნისა და მეცნიერებისა ესრეთ იტყვიან ბრძენნი: სულგრძელება თუმცა კაცმა კეთილად მოსაზრა თვისთა ჟამთა, ამ ჟამის ბურთსა მოსტაცებს და სულმოკლე სიავესა და სიგლისპეს მოიგებს. რაცა მით მიიღო, იგი მოაოვებული უგემო იქნების, უმარილო საქმელსავით და არა გუნება მას ვერ გაეწყობა...“ (366).

უფრო გამომსახველია და მხატვრულად სრულყოფილი ასეთი ადგილები გალექსილ ვარიანტში. მათზე ქვემოთ საგანგებოდ ვვექნება მსჯელობა.

მხატვრული ჩამოთვლის, სინონიმური პარალელიზმისა და სხვა მხატვრულ ხერხთა გამოყენების შემთხვევები ძეგლში ძალზე მარტივია; მათ აქ აღარ მოვიტანთ. კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ პროზაული „ამირნასარიანი“ წარმოადგენს უბრალო, სადა, შეულამაზებელი და მარტივი თხრობის თვალსაჩინო ნიმუშს.

„ყაბუს-ნამეს“ გაქართულება ძირითადად ხდებოდა ლექსიკა-ფრაზეოლოგიის დონეზე, ძეგლის მხატვრული მხარის დაძლევა არ წარმოადგენდა პრობლემას — როგორც ვთქვით, იგი სადაა და მარტივი ამ თვალსაზრისით. „ქილილა და დამანა“ კი „ჩუქურთმოვანი პროზითაა“ შესრულებული, მძიმეა მისი რთული შედარებებით, ტრაფარეტად ქცეული მხატვრული სახეებით გადატივრთული, დეკორატიული სტილი. მისი გაქართულება ბევრად უფრო საქმელსა და საქმე იყო, ასეთი მხატვრული მოდელი არ ესადაგებოდა ქართულ სტილს; ამას დაერთო ის გარემოებაც, რომ ვანტანგის უპირველესი მიზანი ამ შემთხვევაში იყო უზუსტესი თარგმანი — გამომდინარე ნაწარმოების მხატვრული ღირებულებიდან, მისდამი ვანტანგის გამორჩეული დამოკიდებულებიდან. დედნისეული ტექსტის პირდაპირი და სიტყვასიტყვითი თარგმანი კი ძალზე ხშირად იძლეოდა უხეშ კალკებს, ქართულისათვის მიუღებელ კონსტრუქციებს. „ქილილა და დამანას“ ქართული თარგმანი გაუმართავია ენობრივი ნორმების თვალსაზრისით. აღნიშნული განსხვავება სპარსულ ორიგინალებს შორის, ვანტანგის, როგორც მთარგმნელის არაერთგვაროვანი დამოკიდებულება თითოეული მათგანისადმი წარმოადგენს მნიშვნელოვან ფაქტორებს, რამაც განაპირობა ამ ორი თარგმნილი ძეგლის თვალსაჩინ-

ნო განსხვავება სათარგმნი მასალისადმი მიდგომის, მთარგმნელობითი მეთოდის მხრივ.

აქვე უნდა გავითვალისწინოთ კიდევ ერთი გარემოებაც: დიდაქტიკური თხზულების ისეთი სტილი, როგორცაა დაწერილი „ყაბუს-ნამე“ ახლობელი უნდა ყოფილიყო ვახტანგისათვის, მის მიერ შეთვისებული. ამ ტიპის თხრობის (მხოლოდ შეუღარებლად უფრო მაღალი მხატვრული დონის) ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენს საბას „სიბრძნე სიცრუისა“; „ქილილა და დამანას“ „ჩუქურთმოვან“, გადატვირთულ მანერას კი არ დაეძებნებოდა ანალოგი ქართულ ლიტერატურაში. უნდა ჩავთვალოთ, რომ ვახტანგმა პირველმა მიმართა ქართულ ლიტერატურაში სპარსული სტილის პეკარედულად, გადმოუქართულებლად შემოტანას მისთვის ამ შემთხვევაში მთავარი იყო სიზუსტე; ამასთან თარგმანი თვით ვახტანგისავე აზრით საჭიროებდა სრულყოფა-„გაჩაღხვას“

ამრიგად, ვახტანგის პროზაული „ამირნასარიანი“ წარმოადგენს სპარსული „ყაბუს-ნამეს“ შემოქმედებითად გაქართულებულ, შერჩევით შემოკლებულ თარგმანს ქართული ენობრივი მასალით, სადა და მარტივი სტილით. როგორც არაერთხელ მივუთითეთ, ამ მხრივ ძველი თვისობრივად განსხვავდება „ქილილა და დამანას“ ვახტანგისეული თარგმანისაგან. ეს გამოიწვია შემდეგმა გარემოებებმა:

1. ამ ორი თხზულების დიდმა მხატვრულ-სტილისტურმა არაერთგვაროვნებამ;
2. ვახტანგის გამორჩეულმა დამოკიდებულებამ „ქილილა და დამანასადმი“;
3. ქართულმა ლიტერატურულმა ტრადიციამ.

აღნიშნული გარემოებანი მჭიდროდ უკავშირდებიან ერთმანეთს და ჯანაპირობებენ ვახტანგის პროზაული „ამირნასარიანისა“ და მისი „ქილილა და დამანას“ განსხვავებულ მთარგმნელობით მეთოდს. როგორც ზემოთაც მივუთითეთ, ვახტანგის მთარგმნელობითმა მეთოდმა მნიშვნელოვანი ცვლილებანი განიცადა დროთა განმავლობაში:

პირველ ეტაპზე (1703—10 წწ.) „ყაბუს-ნამეს“ თარგმნისას ვახტანგი იცავს შერჩევით თარგმანისა და გაქართულების პრინციპს.

შემდეგ, ირანში ყოფნის დროს (1712—19 წწ.), სადაც იგი თარგმნის არაერთ მეცნიერულ ნაშრომს, ასევე „ქილილა და დამანას“, აშკარად იკვეთება მისი, როგორც მთარგმნელის, სრულიად განსხვავებული ტენდენცია — წინა პლანზე იწვევს ზუსტად თარგმნის პრინციპი, უგულვებელყოფილია ტექსტების გაქართულება, რაც გამოიწვევდა დაშორებას ორიგინალისაგან. ამგვარი მიდ-

გომა საჭიროც იყო გარკვეული აზრით — მხედველობაში გვაქვს სამეცნიერო თარგმანები.

მესამე ეტაპზე, უკვე რუსეთში ყოფნისას (1724—37 წწ.) ვახტანგი ქმნის „ამირნასარიანის“ ლექსით ვერსიასა და „სიბრძნე მაღალბელს“. ისინი მომდინარეობენ პროზაული თარგმანებიდან და არა უცხოენოვანი დედნებიდან; წარმოადგენენ მხატვრულ გადამუშავებებს — საგრძნობლად შორდებიან ორიგინალს სტრუქტურულ-შინაარსობრივი თვალსაზრისით და სრულიად განსხვავდებიან მათგან მხატვრული ფორმით.

განცალკევებით დგას ამ პერიოდში შესრულებული „მათემატიკა“.

ბ) „ამირნასარიანის“ ლექსითი ვერსია

ახლა გვინდა შევხვთ „ამირნასარიანის“ ვახტანგისეულ ლექსით ვერსიას, რომელიც მის მიერ რუსეთში ყოფნისასა შესრულებული და მისი მთარგმნელობითი მოღაწეობის ზემოაღნიშნულ მესამე პერიოდს განეკუთვნება. იგი ემყარება პროზაულ თარგმანს; აქ ვახტანგისეულია თხზულების სტრუქტურაც, სტილიც, მხატვრული ფორმაც. იგი მნიშვნელოვნად შორდება პროზით ვერსიას, რომელიც საფუძვლად უდევს მას. ცხადია, თარგმანია პროზაული „ამირნასარიანი“, ხოლო ლექსითი არ ჩაითვლება თარგმანად და ჩვენის აზრით, არ უნდა შეუდარდეს ამ მხრივ სხვა თარგმნილ ძეგლებს, რადგან მისთვის ამოსაჯალი „ყაბუ-ნამეს“ პროზაული თარგმანია და არა სპარსული დედანი. ამასთან ლექსითი ვერსია წარმოადგენს პროზაულის არა სრულყოფას, გამართვას და ა. შ. არამედ იგი სრულიად ახალი ვერსიაა, უფრო შემოკლებული, ვიდრე პროზაული და ყველა კომპონენტით თვისობრივად განსხვავდება სპარსული „ყაბუ-ნამესაგან“, რაც თავის მხრივ არის დედანი პროზაული „ამირნასარიანის“ — „ყაბუ-ნამეს“ ქართული თარგმანისათვის.

ამ მხრივ უპირველესად საყურადღებოა „ამირნასარიანის“ პროზაული და გალექსილი ვერსიების შედარება სტრუქტურულ-შინაარსობრივი თვალსაზრისით.

როგორც აღვნიშნეთ, პროზაული თარგმანი იწყება ყოველგვარი შესავლის გარეშე, გალექსილ ვერსიას კი წამდღვარებული აქვს სამიოდ სტროფი, სადაც ვახტანგი ლაპარაკობს ყოველი არსის; „ნივთისა და უნივთელის“ შემქმნელ ღმერთზე, „ყრმათა და გამოუცდელთათვის“ სიბრძნის თქმის სარგებლობის, ნაწარმოების აღმზრდელი მისი მისხანდასახულობის („შევზადავ რამე საზრდელი“...) შესახებ. შემდეგ იწყება უშუალოდ ამბავი.

რიგ ადგილებში ვახტანგის გალექსილი „ამირნასარიანი“ ზუსტად მიჰყვება შინაარსობრივად პროზაულს. მაგალითად: თავი „მტრისაგან სწავლა“ — ლექსითი ვერსიის 23—27 სტროფები, „თქმა ხელმწიფეთ სამსახურისათვის“ — 75—78 სტრ.; „ამბავი ხელმწიფისა და ვეზირისა“ — 101—103 სტრ.; „ამანათის შენახვისათვის“ — 127—133 სტრ.; „სოკრატეს შეგონებანი“ — 162—167 სტრ.

ზოგიერთი თავის გალექსვისას ვახტანგი ხან ზუსტად მიჰყვება პროზაულ თარგმანს, ხან უფრო ავრცობს ან ამოკლებს მას და თავისუფლად ლექსავს. მაგალითად: მეექვსე თავს ლექსით ვერსიაში შეესატყვისება სტროფები 8—22. აქედან 8,9 სტროფები სრულებით არ სცილდება პროზაულს, შუა ნაწილში კი ლექსი უფრო გავრცობილია: „მშვილ დევით მოხრილი ბერიკაცის ამბავში“ — პირიქით, ლექსითი ვერსია ნაწილობრივ ამოკლებს ტექსტს — „შვილო! ასე არს, რომ კაცი ოცდა თოთხმეტს წლამდის...“-დან შემდეგ თავამდე, თუმცა ზუსტად გადმოსცემს შესაბამის აზრს.

ამოკრებითაა გალექსილი თავი „ბრძენი კიდევ სწავლობდა“, მას შეესაბამება 177—179 სტროფები. ასევე შემოკლებულია: „ალექსანდრემ ნუ მაქებთო“ — 175—176 სტრ.; „ამბავი ბოზორჯმირისათვის...“ აქ ლექსით ვერსიაში პირველი აბზაცი გამოტოვებულია, შემდეგ უშუალოდ მოჰყვება ტექსტს (39—40 სტრ.).

ვახტანგი ტექსტის გალექსვისას ტოვებს მთელ რიგ ადგილებს; ლექსით ვერსიაში არ მოხვდა პროზაულის შემდეგი თავები: „მცოდნეს არიებს გიყი“, „ამბავი მცოდნე ბერიკაცისა“, „ბრძენი გაყიდეს“, „ვეზირი დითხოვა“, „ვეზირთა წაყიდება“.

ზოგიერთ ადგილს ვახტანგი სრულიად ახლებურად ლექსავს — მაგალითად, თავს „სიყვარულისათვის“; გალექსილ ვარიანტში აღარაფერი რჩება საერთო პროზაულის შესაბამის თავთან¹¹⁵. მოვიყვანთ ტექსტებს:

„შვილო! საყვარელი გიყვარდეს, ნიადგ ხუმრობასა და თამაზობას ნუ აპყვები. ნიადგ ნუ დასწვები, მუდმისად წოლას კაცისათვის ზიანი მოაქვს და მთვრალის კაცისაგან ქალთან წოლას კიდევ უფრო ზიანი აქვს.

...ნამეტნავი იმგვარი საქმე ავი არის და რომ სულ არა ქნას, ისიც ავი არის.

მაშ ყოველს ფერში კაცი შუათანად უნდა იყოს, რომ ზიანი არა ჰქონდეს ამ საქმისაგან... (გვ. 361).

¹¹⁵ ამ საკითხის შესახებ იხ. ბ. დარჩია, „სიყვარულის საკითხი „ამირნასარიანში“, ლიტერატურულ ძიებანი, II (XVII), თბ., 1987, გვ. 259—271.

ლექსით ვერსიაში შესაბამის თავში იკითხება:

მღვთით სევთან და მოკირვებამან წარიმართა ამა სამა,
ერთმა სოფლის მოსავალმა ცუდად რამე ამასამა,
აწ გამხადა სოფლის მგობოლად ჭირმა ჩემმა ამ ასამა,
ვერვინ კპოოს სოფელშია საამბობლად ამას ამა.

ეს სტროფი შესავლად უძღვის თავს. შემდეგ ორ სტროფში კი გადმოცემულია ძირითადი აზრი:

ნახეთ, მოციქულთ წერილი სიყვარულს როგორ ზრახებდა!
თვით მას მოქმედს და უქმედსა სიყვარულს დაასახებდა,
ამით გვიქადის მორჩენას მას ძნელსა დასახებდა,
თავსა დაგზურავს გვირგვინსა თვალთაგან დაუნახებდა.
გიყვარდეს ასე მოყვასი, რაცა გწადს შენ საქნელადო,
მტერი იყოს თუ მოყვარე მეტი ნუ გინდა ძნელადო;
ნუ საქმით, ნუცა რჩევითა, ნურც სიტყვის გამომთქმელადო,
სხვისგან შენ ავი სხვამ შენგან ვერ კპოთთ მოსავლელადო

(88₁₁₇₋₁₁₈).

როგორც ვხედავთ, სავსებით განსხვავებულია ამ ორი მოტიანილი კონტექსტის შინაარსი და იდეური მიზანდასახულობა.

ვახტანგი გალექსილ ვერსიაში ურთავს ერთ ახალ ამბავს, რომელიც ამოღებულია ეზოპეს ცხოვრების ქართული თარგმანიდან და თავისი ძირითადი ნასკვით შეიფერება შესაბამის კონტექსტსა და სიტუაციას¹¹⁶.

ვახტანგი სხვაგვარად აგებს გალექსილ ვარიანტს. აქ ყოველ თავს, ყოველ ამბავს, წინ უძღვის პატარა, ერთ- ან ორსტროფიანი შესავალი, რაც არ არის პროზაულ ვერსიაში. მაგალითად, ამგვარი ტიპის:

ხედავთ, ტრფიანო, გამოდით გაზაფხულისა არესო,
ვარდსა ლახვრისა მსობელსა, რომელს მიჯნურსა არესო;
ყვავილსა ფერად-ფერებში ეს თუ არავინ არესო
იმას უამოდ რას ვაქნევ, სამსალის უფრო მწარესო (82₆₇).

შემდეგ იწყება ამბავი: „აწ გაგიცხადო მსახურთა, მეფეთა სამსახურისა; რაზომ მიგწიოს, შორ დადევ... (თავი: „თქმა ხელმწიფეთ სამსახურისათვის“ გვ. 83—84).

ანდა:

ბრალი არის წასახდენად მალა სარო ანაზარდი,
ქვე ზურმუხტად გამწვანული, დაცვარული გარე ვარდი,

¹¹⁶ ამის შესახებ მსჯელობს გ. იმედაშვილი, გვ. 343—344.

ჩრდილი მისი მონაბული, გაგდებული, განავარდი,
არვინ ჰყვანდეს ხელის მურელი, შესახვევი, შესაყვარდი.

(89¹²⁶).

მას მოჰყვება შეგონებები (თავი: „თქმა ანაბრის შენახვისათვის“ გვ. 89) და სხვ.

ამგვარი შესავალი სტროფები, რომლებიც იწყებს ამა თუ იმ თავს, ნაკლებად გამოხატავს შესაბამისი თავის შინაარსს. ისინი ვახტანგის მიერ კარგად გაწყობილი სტროფებია, რომლებშიც იგი გადმოგვცემს სოფლის სამღურავს (87, 79; 85, 89; 90, 140...), ბუნების წარმტაც სურათებს (82,67), ხელუხლები მშვენიერების მომხიბვლობას (89,126), კარგის ქმნის აუცილებლობას (87,109) და სხვ. ისინი ლოგიკურად არ ებმის ძირითად ამბებსა თუ შეგონებებს, მაგრამ ორგანულად ერწყმის მათ და მთლიანად თხზულებას მხატვრული ფორმის თვალსაზრისით.

როგორც აღვნიშნეთ, გალექსილი „ამირნასარიანი“ ყველა კომპონენტით თვალსაჩინოდ განსხვავდება პროზაული ვერსიისაგან. ეს ეხება ლექსიკასაც. პროზაულ თარგმანში ცოტაა აღმოსავლური წარმოშობის ლექსიკური ერთეულები — მათ შესახებ ზემოთ ვვქონდა მსჯელობა. გალექსილ ვარიანტში მხოლოდ ორიოდ ასეთი ერთეული თუ მოიპოვება: თავაზა (عاض), ხარა (حرا — ევლი). ბურჯი (ج) ¹¹⁷. ბურჯს ხშირად ვხვდებით სხვა თარგმანებში (სამეცნიერო თარგმანებში) იგი მყარადაა დამკვიდრებული ქართულ ლექსიკაში. ასევე თავაზა და ხარა. თავაზა, როგორც მიუთითეთ, არის პროზაულ თარგმანშიც (გვ. 354, 358...)

სრულიად განსხვავებულია პროზაულისაგან გალექსილი „ამირნასარიანის“ სტილიც. აქ ამოსავალი ფაბულური მასალა ემორჩილება პოეზიის კანონებს. ვახტანგის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ლექსითი ვარიანტის ზოგიერთი ადგილი ზუსტად, უნაკლოდ გადმოსცემს პროზაულის შესაბამის აზრს, ამავე დროს თვისობრივად განსხვავდება მისგან სტილისტურად და შეუდარებლად უფრო მაღალია მხატვრული დონის თვალსაზრისით.

მაგალითად: „კიდევ უთქვამთ: ხელმწიფის გატეხა ხომალდის გატეხა არისო. ამასთან ბევრი კაცი წახდების.

სადაცა აქვს რამე, კაცისა სამკვიდრო ის არის“ (365).

ლექსით ვერსიაში ეს ადგილი შემდეგნაირად იკითხება:

რა ის გატყდება მრავალი დანიტქმის, დაიქელავსა,

აგრე მათივე ქვეყანას გააწლობს, გააწველავსა,

სადაც სჭირს კაცსა სიკეთე, სამკვიდროდ ის უღელავსა, (93,171).

117 ამ ტერმინის შესახებ იხ. ჩვენი შრომის I თავი; გვ. 57—58.

როგორც მიუფთითეთ, ვახტანგის პროზაული „ამირნასარიანი“ მსადა და მარტივი, ძირითადად არასახეობრივი სტილითაა შესრულებული. აქ იშვიათად ვხვდებით ფაბულური სქემის მხატვრული ფორმით გადმოცემას. სხვაგვარია ვითარება ლექსით ვერსიაში. იგი მხატვრულია როგორც ფორმის, ისე სტილის თვალსაზრისით, თუმცა არაა გადატვირთული პოეტური სამკაულებით. თვალსაჩინოებისათვის მოვიტანთ ორიოდ პარალელურ ადგილს ამ ვერსიებიდან:

„ოთხფეხის სიკვდილი უენობით არის და ადამიანის სიკვდილი თავისი ენით. ვინც აჩქარდეს, ბოლოს დაინანოს“ (366).

ლექსითში მოტანილი ადგილი ასეთ სახეს იღებს:

თუ ოთხფეხსა უენობა მოჰკლავს, ისიც გააცულებს.
ენა კაცსა სულისაგან გაიყვანს და გააგულებს,
სჩქარე და არ ვახინჯვა სინანულსა წინ დაუდებს,
თვალი ავად მყურებელი გაასივებს მისსა ბუდეს (94,179).

ასევე: „კაცი ხმლის ქარქაშია, სული ხმალია; ხმლის პირი უქეთესი უნდა იყოს ქარქაშისაგან“.

შვილო! ავგული კაცი რომ კარგი სანახავი იყოს, ის კაი ტყავი შიმიმე საპალნე არის მისთვის“ (364).

ლექსითი ვერსიის შესაბამისი ადგილი უფრო გავრცობილია, სრულყოფილია მხატვრულად:

უწყალოთ უნდა სძრახვედუ, არ სიგონჯისა მქონელსა,
ვამსგავსებ კაცსა ქარქაშსა, ხმლის პირსა სულსა მგონელსა,
ჩამს პირისათვის უზნობდენ ქებასა შეუწონელსა,
თვარამ ქარქაში რაც იყოს, დაფარავს შესაქონელსა.
ავგული იყოს კეკლუცი, მშენენვარე, სატურფალია,
მისთვის მძიმეა სიტყვაი უგვანი, სალაფალია,
არ სჭირდეს კარგი სიტურფეს დასამარხ, დასაფალია,
ვერას იშოვნის იმითი მთავარი საუფალია (92, 156—160).
ასევე: 78₂₆, 91₁₄₅ და სხვ.

განსაკუთრებულ გამომსახველობას იძენს ლექსით ვერსიაში ისეთი ადგილები, რომლებიც პროზაულშიც დატვირთულნი არიან მხატვრულად. მოვიტანთ ერთ მაგალითს:

„მაშ რუში წყალი შეაგდე, თუ ნადინებია, მალ გაივლის; და თუ შშრალია, გვიან და წყალი იმას მოუნდება“ (359).

ლექსითი ვერსია:

ამგვარი: გვიანან. უდენს რუს წყალი ჩაუგლო მდენადო,
თვითონ შეისვამს, არ უშვებს ცოტა ჩავიდეს ქვენადო,
ნადენს რუს მალე გაივლის, ჩქარა და მოუწყენადო,
მით მაძღარია სისველით, ძირსა, ბოლოს და ზენადო.

გარდა იმისა, რომ მოტანილი გალექსილი ადგილი პროზაულზე ბევრად უფრო მაღალია მხატვრული დონით, იგი უფრო გავრცობილია და აზრობრივად გამართულიც.

პროზით ვერსიაში სპარსულ სენტენციებს მორგებული ქართული შესატყვისები გალექსილ „ამირნასარიანში“ უფრო ლაკონურია, მოსწრებული, რიტმული; ზოგიერთი მათგანი რუსთაველიდან მომდინარეობს:

ავს ჰყიდი, ავსა იყიდი, მოსაელად დაუზარავსა (81, 84)
არ იციან კარგი კარგს შობს, ავი ავსა მოიყვანებს (77,14)
რაც არ დასთესო სათესში, ვერ ჰპოო მოსაძლეველი (87,106)
რა ერთის მოვლა შეგეძლოს, იმდენ თემს ექმენ მქონელად (82,62)

ლექსითი ვერსია რუსთაველური შაირითაა დაწერილი: აქ ერთმანეთს ენაცვლება მაღალი და დაბალი შაირი, თუმცა არა კანონზომიერად.

საერთოდ, თხზულების პოეტური ფორმა, მხატვრული ზისტემა ძირითადად რუსთაველურია, ისევე, როგორც აღორძინების ხანის მთელი პოეზია.

მაგალითად ასეთი სტროფი:

მებრძოლს მართებს ქალწულება, არ შეუშვას სიძვა გულად,
არ უნდოდეს მოსვენება, გარჯით იყოს დადაგულად,
მართ აგრეთვე მორჩილება არ მიაჩნდეს მისა წყლულად,
ნუ იქაიღი მამაცობას, თუ არა გვირს ესე სრულად (86,105).

ანდა:

კაცსა უნდა მოწყალება გულსა ჰქონდეს დანერგულად,
რჯიდე ვისმე, რა სარგოა წყლულს აძლევდე წყლულსა გულად?
(90,142)

შურით კაცისა წახდენა ვისგან რა საუბნარია,
მიტევება და დათმობა კარგი რამ საცოდნარია (90,134).

ვახტანგი ხშირად იყენებს რუსთაველურ პოეტურ ფორმას. ეს მიმართება ცალკე კვლევის საგანია და არ შეადგენს ჩვენს მიზანს. მოტანილი მასალა მოვიხმეთ მხოლოდ პროზაულ და გალექსილ „ამირნასარიანს“ შორის არსებული იმ თვისობრივი განსხვავების უკეთ ნათელსაყოფად, რაც განსაკუთრებული სიცხადით ვლინდება მათი შედარებითი შესწავლისას სწორედ მხატვრულ-სტილისტური თვალსაზრისით.

ჩვენს მიერ მოტანილი საილუსტრაციო მასალა, ვფიქრობთ, ნათლად წარმოაჩენს „ამირნასარიანის“ ლექსითი ვერსიის ხასიათს, მის მიმართებას პროზაული ამოსავალი ტექსტისადმი.

გალექსილ ვარიანტში მთლიანად ვახტანგისეულია და ორიგინალური თხზულების სტილი, პოეტური ფორმა. მნიშვნელოვნადაა გადაამუშავებული შინაარსიც. იგი წარმოადგენს პროზაული „ამირნასარიანის“ ხშირად სქემატური ტექსტის შინაგანად პოეტურ გარდათქმას. როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, ძეგლი ყველა კომპონენტით. საგრძნობლად შორდება ორიგინალს. იგი უნდა ჩაითვალოს „ყაბულს-ნამეს“ ფაბულური ამბის ვახტანგისეულ პოეტურ გადაშუქებად.

მიმოხილული მასალის, „ამირნასარიანის“ ვახტანგისეული პროზაული და ლექსითი ვერსიების შედარების საფუძველზე უნდა დავასკვნათ შემდეგი:

1. პროზაული „ამირნასარიანი“ წარმოადგენს გაქართულებულ, შერჩევით შემოკლებულ თარგმანს („თქმულს“ ქართულად). მასში თვალსაჩინოდ ვლინდება ვახტანგის დამოუკიდებელი მთარგმნელისეული როლი.

2. ვახტანგის თარგმანი მნიშვნელოვნად სცილდება ორიგინალს სტრუქტურულ-შინაარსობრივი თვალსაზრისით; იგი ძლიერ შეეკუმშულია და ამასთან შეიცავს ისეთ ამბებსაც, რომლებსაც არ იცნობს „ყაბუს-ნამეს“ დღევანდელი ვერსია.

3. მთარგმნელი სარგებლობდა მიკვლეული ნუსხებისაგან განსხვავებული ხელნაწერთ, რომელიც, შესაძლოა, შეიცავდა ვერსიულ სხვაობებსაც. ამავე დროს საგრძნობია თვით ვახტანგის შერჩევითი დამოკიდებულებაც ტექსტისადმი, მისი ქრისტიანული „ჩაღბი“.

4. გაქართულებულია თარგმანის ლექსიკა-ფრაზეოლოგია, სტილი; იგი წარმოადგენს სადა და მარტივი, ზოგჯერ სქემატური და მშრალი თხრობის ნიმუშს.

5. პროზაული „ამირნასარიანი“ თვისობრივად განსხვავდება ვახტანგის სხვა თარგმანებისაგან, რომლებიც მის მიერ სიტყვასიტყვით თარგმნის პრინციპითაა შესრულებული.

6. „ამირნასარიანის“ ვახტანგისეული ლექსითი ვერსია მომდინარეობს მისი პროზაული ვარიანტიდან. იგი არ უკავშირდება სპარსულ ორიგინალს და ამდენად თარგმანად არ ჩაითვლება.

7. ძეგლი შორდება სტრუქტურულ-შინაარსობრივი და მხატვრულ-სტილისტური თვალსაზრისით არა მარტო სპარსულ „ყაბუს-ნამეს“, არამედ მის ვახტანგისეულ პროზით თარგმანსაც. და წარმოადგენს ამ უკანასკნელის ავტორისეულ მხატვრულ გადაშუშავებას.

8. სათარგმნი მასალისადმი მიდგომის, მთარგმნელობითი მეთოდის თვალსაზრისით ვახტანგის მთარგმნელობით მოღვაწეობაში განიორჩევა სამი პერიოდი: I შემოქმედებითი, გაქართულებული თარგმანი (პროზაული „ამირნასარიანი“). II. პუკარედული, ყველა კომპონენტით დედნის ადეკვატური თარგმანი („ზიჯი“, „სტროლაბი“, „ჰი-დამათ ალ-ნუჯუმი, „თალა მაჰალა“ „აიათისა“ და „ქიმიის“ ზოგიერთი მონაკვეთი, „ქილილა და დამანა“; ირანში ყოფნის პერიოდი — 1712—19). III. პროზაულ თარგმანთა თავისუფალი ლექსითი გამაშუშავებები (გალექსილი „ამირნასარიანი, „სიბრძნე მალაღობელი“, ქრუსეთის პერიოდი — 1724—37). განცალკევებით დგას „მათემატიკა“.

Многогранная переводческая деятельность Вахтанга VI сыграла видную роль в общенациональном движении грузинских просветителей XVIII в. Она включает в себя художественные переводы и целый ряд научных переводов астрономическо-астрологического, химического, математического содержания, которые представляют собой важный этап в истории развития грузинско-восточных культурных связей.

Особый интерес вызывают научные переводы Вахтанга VI. Помимо научной ценности, они содержат богатый материал для изучения стиля и метода работы Вахтанга как ученого-соавтора, переводчика, лексикографа, филолога-редактора и вместе с тем ясно отражают грузинскую научную и языковую традицию того времени.

Вахтанг VI внес большой вклад в деле возрождения и дальнейшего развития астрономической науки в Грузии. Его переводы — «Зидж» («Каталог звезд») известного восточного ученого средневековья Улугбека, «Астролябий» Насирэддина Туси, «Айят», «Тала масала», «Хидаят ал-Нуджум», восполняют пробел в грузинской науке, внедряя необходимые теоретические и практические навыки. С переводческой точки зрения эти труды являются предельно точными, полностью воспроизводящими все языковые особенности первоисточников, что помимо специфики переводов такого рода сочинений, определяются как уровнем, так и потребностями грузинской науки, а в ряде случаев неизменно соответствующей грузинской научной терминологии в литературном языке того времени.

По-иному обстоит дело с «Химией» Вахтанга VI. Языковая неоднородность источников четко отражается в лексико-терминологических слоях сочинения; значительная же часть иноязычной терминологии из «Химии» имела свою давнюю и прочную традицию в грузинском литературном языке.

По подходу к лексическому материалу от других научных переводов качественно отличается труд Вахтанга VI «Айят», который в 1721 году был напечатан в его типографии. Стиль и языковой фон произведения — авторский, грузинский, что объясняется следующими обстоятельствами: 1. Это печатное

издание и предназначено для широкого круга читателей; 2. публикации «Айята» предшествовала большая лексикографическая работа; в специальных словарях Вахтангом найдены все грузинские смысловые — языковые соответствия иноязычных специфических терминов (астрономических, математических).

С научной точки зрения особую значимость приобретает оригинальный труд Вахтанга VI — «Математика», который состоит из следующих частей: арифметика, геометрия (конструктивная, вычислительная), тригонометрия. В нем отражены восточные, европейские, русские достижения в математическом мышлении, даются практические, наглядные способы вычислений, построений, специальные словари научных терминов. Сочинение относится к российскому периоду деятельности Вахтанга VI.

Все научные труды Вахтанга VI ясно отражают национально-практическую целенаправленность его переводческой деятельности, что особенно четко вырисовывается при переводе специальной научной терминологии.

Грузинский литературный язык периода Вахтанга VI представляет собой довольно пеструю картину, что в свою очередь затрудняло выполнение научных переводов. Одним из важных средств сохранения национального облика страны грузинские деятели того времени считали борьбу за чистоту литературного языка (Метревели Е. П., Гвахария А. А.). Эта тенденция ясно отражается и в переводах Вахтанга VI, где особое внимание уделяется цонским точным грузинским эквивалентам иноязычных научных терминов.

В работе выделены три группы: 1. иноязычные термины; 2. термины, к которым переводчиком подысканы грузинские эквивалентные термины — переводы; 3. грузинские оригинальные термины.

Тексты научных переводов Вахтанга VI в большинстве случаев перегружены иноязычной лексикой. Вахтанг стремился к предельной точности и так как в литературном языке того времени не было соответствующей языковой базы, избегая нежелательную для научного труда полисемию, точные грузинские эквиваленты представлены лишь в специальных словарях, приложенных переводчиком к текстам сочинений. Определенная часть этих иноязычных терминов (*burži*, *tabarzadi*, *taqvimi*, *avani*, *xardali*, *mudasangi* и др.), которые систематически встречаются в переводах, была прочно обоснована в грузинском литературном языке.

Вахтанг VI создает целую систему астрономическо-астрологической терминологии путем точного перевода и перефразировки иноязычных, в основном, арабско-персидских

терминов. Эта трудоемкая работа переводчика не имеет аналогов в истории грузинской научной литературы, в грузинской лексикографии. Подысканные Вахтангом точные грузинские смысловые-языковые соответствия иноязычных научных терминов являются ориентировочными в той системе терминов, которую создает переводчик. В работе рассматриваются следующие термины-переводы из специальных словарей, а также поправок Вахтанга VI: *daraza*—*menaki*, *harisxi*; *manzili*—*sadgomi*; *zainiri*—*adgili*; *istiqbali*—*gašoreba*, *dapirdapireba*, *notariga*—*damčvari* и т. д.

Особый интерес представляют грузинские оригинальные термины, примененные Вахтангом, наличие которых указывает на богатые традиции и самобытность грузинской научной мысли. Применение некоторых лексико-семантических единиц такого рода представляется возможным и в настоящее время; они характеризуются точной мотивацией и основываются на национальную языковую традицию: *čkiti*, *menaki*, *dašrobili*, *gašurva*, *dačrloba*, *gašoladeba* и т. д. В работе особо выделяется терминологический материал из «Айята» и «Математики».

*
* *

Художественные переводы Вахтанга VI — «Калила и Димна» и «Амирнасарияни» по подходу к переводимому материалу, переводческому методу относятся к двум различным типам: «Калила и Димна» подстрочный перевод, а «Амирнасарияни» — переосмысленный, выборочно-сокращенный.

Работа Вахтанга VI над произведением Кашефи «Анвар-е Сохайли» вмещает в себя всю историю становления грузинских версий «Калилы и Димны». Вахтанговская версия (B) является подстрочным переводом, все компоненты которого отмечены знаком решающего влияния, стиля и техники персидского художественного мышления.

В научной литературе перевод Вахтанга VI на основе его сопоставления с другим художественным переводом («Амирнасарияни») квалифицируется как подстрочный перевод, который представляется выпадением из общих тенденций Вахтанга — переводчика (М. Тодуа, Е. Метревели, А. Гвахария).

Детальное же изучение переводческого метода Вахтанга VI учитывая и практику его научных переводов показало, что в данной версии «Калилы и Димны» четко и последовательно, во всех своих проявлениях прослеживается основная особенность переводческого метода Вахтанга VI — стремле-

ние к предельной точности при переводе; одновременно переводчик не сумел придать своему переводу грузинское языковое звучание и художественную выразительность.

Вахтанговский перевод «Калилы и Димны» изобилует персидско-арабской лексикой, фразеологизмами, специфическими синтаксическими конструкциями с изафетным строением.

Исследуемый список версии В (рукопись ЛО Института востоковедения АН СССР М—53) отражает полную картину редакционной работы Вахтанга VI над переводом (поправки, вставки), что ставит целью еще больше приблизить текст к оригиналу. Ряд вставок и поправок свидетельствует о наличии вариантных списков, данные которых принимались во внимание при редакции.

Весь материал перевода Вахтанга VI в версии Орбелиани приобретает большую художественную выразительность. Детальное сравнение этих версий, привлечение данных персидского оригинала еще раз отчетливо выявили качественное различие между этими грузинскими версиями по подходу к исходному тексту.

Вахтангу VI принадлежат две версии «Амирнасарниани» перевода сочинения Кейкауса «Кабус-наме» — прозаическая и стихотворная, которая исходит из прозаического перевода. Этот последний выполнен по-иному принципу — он переосмыслен, приспособлен к требованиям грузинского литературного языка. Данное различие этого перевода с подстрочным переводом «Калилы и Димны» объясняется следующим: большой неоднородностью персидских оригиналов, особым отношением Вахтанга VI к точнейшему переводу «Калилы и Димны»; вместе с тем стиль «Кабус-наме» был близок и приемлем для грузинской литературы, в то время как переосмысление «декоративного» стиля «Анвар-е Сохайли» было значительно сложнее.

На основе изучения всей переводческой деятельности Вахтанга VI стало возможным проследить поэтапное развитие его переводческого метода, периодизация переводческой деятельности.

Период правления (1703—12 гг.) — переосмысленный перевод (прозаический «Амирнасарниани»); Иранский период (1712—19 гг.) — самый плодотворный период в переводческой работе — предельно точные переводы (научные переводы, «Калила и Димна»); Российский период (1724—37 гг.) — свободная обработка исходного материала (стихотворные обработки, «Математика»).

Тамара Леонидовна Абуладзе

ПЕРЕВОДЧЕСКАЯ ДЕЯТЕЛЬНОСТЬ ВАХТАНГА VI

(На грузинском языке)

ТБИЛИСИ
«МЕЦНИЕРЕБА»
1990

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სამეცნიერო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

სბ 4096

გამომცემლობის რედაქტორი ნ. ებრალიძე
მხატვარი ქ. ცინცაძე
მხატვრული რედაქტორი გ. ლომიძე
ტექნიკური რედაქტორი ნ. შოკენაძე
კორექტორი ლ. შაბუნიშვილი
გამომშვები ელ. მაისურაძე

გადეცა წარმოებას 29.12.1988; ხელმოწერილია დასაბეჭდად 16.1. 1990;
ქალაქის ზომა 60X90¹/₁₆; ქალაქის № 2; ბეჭდვა მაღალი;
გარნიტურა ვენური; პირობითი საბეჭდი თაბახი 9,5;
პირ. საღ.-გატ. 9.75; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 8,6;
უფ 02304 ტირაჟი 2300; შეკვეთა № 80

ფასი 1 მან 80 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. 19.
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузов, 19

